ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

# ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი

№ 6, მარტი

# Journal of Young Researchers

**No. 6, March,**

ელექტრონული სტუდენტური სამეცნიერო ჟურნალი

**2018**

**ISSN: 2346-7754**

**სამეცნიერი რედაქტორი:**

კორნელი კაკაჩია – პროფესორი

ვალერიან მელიქიძე – ასოცირებული პროფესორი

**აღმასრულებელი რედაქტორი:**

თეონა მატარაძე – ასოცირებული პროფესორი

**სარედაქციო კოლეგიის წევრები:**

იაგო კაჭკაჭიშვილი – პროფესორი

ხათუნა მაისაშვილი – ასოცირებული პროფესორი

თორნიკე თურმანიძე – ასოცირებული პროფესორი

ზურაბ აბაშიძე – ასოცირებული პროფესორი

**ტექნიკური ჯგუფი:**

ნინო აბესაძე – ტექნიკური რედაქტორი

ლევან კახიშვილი – სამეცნიერო რედაქტორის ასისტენტი

# ს ა რ ჩ ე ვ ი


1. მანონ ბოკუჩავა

   საქართველო და რუსეთი ოკუპირებული რეგიონების მედიაში…….....2

2. ილონა გოგია, ნანა მაჭარაძე

   ციფრული უთანასწორობა ქართულ სოციუმში…….....18

3. თინათინ მაჭარაშვილი

   2012-2014 წლების ყველაზე სკანდალური ამბის ვიზუალიზება თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში…….....35

4. ნინო ოხანაშვილი

   პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები: მასების და ელიტების ძალადობა……....60

5. მარიამ ღამბაშიძე

   რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია საქართველოში…….....72

6. რატი შუბლაძე

   ამომრჩეველთა პასუხი მთავრობის მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკაზე: 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემთხვევა……..90

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №6, თებერვალი, 2018

Journal of Young Researchers, No. 6, February, 2018

# საქართველო და რუსეთი ოკუპირებული რეგიონების მედიაში

მანონ ბოკუჩავა*

*დოქტორანტი, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება*
*სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

სტატია მიზნად ისახავს, კონტენტანალიზისა და სიღრმისეული ინტერვიუების მეთოდების გამოყენებით, შეისწავლოს და გაანალიზოს ის შინაარსობრივი და მნიშვნელობითი ჩარჩოები, რომლებსაც საქართველოსა და რუსეთის შესახებ ქმნის ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვანი მედია, კერძოდ, შემდეგი წყაროები: sputnik-ossetia.ru; osinform.org; sputnik-abkhazia.ru; apsnypress.info.

ამ მიმართებით ყველაზე ზედაპირული, მოსალოდნელი, ადვილად პროგნოზირებადი შინაარსობრივი ჩარჩო, სავარაუდოა, იყოს მტრის ხატის შექმნა საქართველოსგან, ხოლო რუსეთის წარმოჩენა, როგორც მეგობარი სახელმწიფოსი. თუმცა ეს გენერალიზებული ფრეიმი, შესაძლოა, შეიცავდეს სპეციფიკურ მიმართებებსაც, რომელთა გამოკვეთაც ჩვენს კვლევით ინტერესს წარმოადგენს.

კვლევისთვის მონაცემთა ბაზად გამოყენებულია ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვან ინტერნეტმედიაში გამოქვეყნებული 261 ჟურნალისტური ნამუშევარი. [2016 წლის მარტი, 2017 წლის მარტი] სიღრმისეული ინტერვიუები კი ჩატარდა კონფლიქტოლოგებთან და მედიის ექსპერტებთან [შვიდი რესპონდენტი].

კვლევის ძირითადი მიგნებებია:

კვლევა აჩვენებს, რომ ოკუპირებულ რეგიონებში, დიდია საჭიროება ობიექტური ინფორმაციის წყაროების არსებობის. ამჟამად მოქმედ, რუსულენოვან ინტერნეტმედიას [ sputnik-ossetia.ru; osinform.org; sputnik-abkhazia.ru; apsnypress.info] კონფლიქტის ყველა მხარე ისევ ომში შეჰყავს, ამ შემთხვევაში, საინფორმაციო ომში. ეს ომი ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ წარსულში რეალური საბრძოლო მოქმედებებით მიყენებული იარები არასდროს შეხორცდეს.

**საკვანძო სიტყვები:** ოკუპირებული რეგიონები, აფხაზეთი, ცხინვალი (სამხრეთ ოსეთი), კონფლიქტები, რუსულენოვანი მედია, საქართველო, რუსეთი.

**Abstract**

The article aims to study and analyze the principal and essential frameworks being created by the Russian Media of the Occupied Regions in reference to Georgia and Russia by using the methods of content analysis and in-depth interviews. Namely, the following sources: sputnik-ossetia.ru; osinform.org; sputnik-abkhazia.ru; apsnypress.info.

The most superficial, expected, easy-to-predictable essential frame is to create an image of enemy from Georgia, and Russia as a friendly State. However, this generalized frame may also contain the specific concepts that are of interest to our research.

*ელფოსტა: manonbokuchava@gmail.com

261 journalistic works published in the Russian Internet Media of the Occupied Regions are used as a database for research. [March 2016, March 2017] in-depth interviews were conducted with the conflicts and media experts [seven respondents].
The main findings of the research are:
The research shows that in the Occupied Regions there is a need for the existence of objective information sources. The current Russian Internet Media [sputnik-ossetia.ru; osinform.org; sputnik-abkhazia.ru; apsnypress.info] make efforts to push all the sides of the conflict to the war, in this case, in the information war. This war is doing everything, that the hurts caused by fighting actions in the past are never healed.

Key words: Occupied Regions, Abkhazia, Tskhinvali (South Ossetia), Conflicts, Russian-speaking Media, Georgia, Russia

## შესავალი

ოცდახუთი წელიწადია, საქართველოს რეგიონების - აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის - სტატუსი ცვლილებას განიცდის - საბჭოთა საქართველოს ავტონომიური წარმონაქმნებიდან რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებამდე. თანამედროვე პოლიტკური დისკურსი მათ „განდგომილ რეგიონებად“ მოიხსენიებს, მაგრამ სახელდების მიუხედავად, ვითარება მაინც ერთია: მაშინ, როდესაც ათასობით ეთნიკურად ქართველი გამოდევნილია ოკუპირებული რეგიონებიდან, აფხაზეთსა და ცხინვალში ცხოვრება გრძელდება. იბადებიან ახალი თაობები, რომელთაც არ ახსოვთ ომი, მაგრამ დღეს სხვადასხვა ინფორმაციის წყაროებთან ერთად, თვალყურს ადევნებენ ადგილობრივ მედიას. ექმნებათ თავიანთი აზრი საქართველოზე და ამ კონფლიქტების მთავარ მონაწილე - რუსეთზე. ვინაიდან, მედია არის საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მთავარი არქიტექტორი - კვლევითი სტატია აგებულია ოკუპირებული რეგიონების მედიაში გამოქვეყნებული ჟურნალისტური ნამუშევრების შესწავლაზე.
აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის (ცხივალის რეგიონი/სამაჩაბლო) რეგიონებში კონფლიქტი რუსეთის იმპერიალისტური მიზნებით დაიწყო.
საქართველოს ,,დიდი მეზობლის“ - რუსეთის ინტერესებში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ - ყოფილ დაქვემდებარებულ რესპუბლიკებზე ძალაუფლების შენარჩუნება იყო. რუსეთი ცხინვალის და აფხაზეთის სეპარატისტული მოძრაობების სამხედრო მხარდაჭერით, კონფლიქტის გამწვავებას და სასურველი შედეგის მიღებას ახერხებს. შედეგად, საქართველო კარგავს კონტროლს თავის რეგიონებზე. ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთს 400 000-ზე მეტი ადგილობრივი მოსახლე ტოვებს და დევნილობაში,[1] დღემდე ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში ცხოვრობს.
დღეს, რუსეთი ლიდერობს იმ სახელმწიფოთა მცირე ნაწილის სიაში, რომლებმაც სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარეს. რუსეთმა აგრეთვე, აღნიშნულ რეგიონებთან 2015 წელს ,,თანამშრომლობის განსაკუთრებული ფორმატის ხელშეკრულებას“ მოაწერა ხელი. აღნიშნული ხელშეკრულების მთავარი პუნქტი - ერთიანი სამხედრო ძალის[2] შექმნას ითვალსწინებს. ასევე, მის თანახმად, რუსეთი იღებს ვალდებულებას საპენსიო ფონდით უზრუნველყოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი.[3]
საინტერესოა, რას ფიქრობს დღეს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მოსახლეობა საქართველოსა და რუსეთზე?! რადგან საზოგადოებრივი აზრის შექმნაში, მთავარი ძალაუფლება მედიას აქვს, ამიტომაც ჩვენ ვიკვლევთ, თუ რას და როგორ წერს საქართველოსა და რუსეთზე კონფლიქტური რეგიონების მედია.
ლიტერატურის მიმოხილვა

კონფლიქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონი

2011 წელს, მკვლევარები (CEDRIC RYNGAERT and SVEN SOBRIE) აქვეყნებენ კვლევას[4] სახელწოდებით “საერთაშორისო სამართალი და სახელმწიფოებად არ აღიარებული რეგიონები: აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი.“ მკვლევარები ფიქრობენ, რომ წლების უკან იუგოსლავიის კონფლიქტი ვერ მოგვარდა საერთაშორისო სამართლის პრინციპების დაცვით, რამაც ხელი შეუწყო ძალადობრივ ქმედებებს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილში და მათ შორის საქართველოშიც. კვლევაში საუბარია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ქართველი ეროვნების მოსახლეობის ეთნიკური ნიშნით დევნაზე.

---

[1] General Assembly Adopts Resolution Recognizing Right of Return for Refugees, Internally Displaced Persons in Georgia, Regardless of Ethnicity,2016. https://www.un.org/press/en/2016/ga11785.doc.htm
[2] “Russia Gains Military Base in Abkhazia”, RFE/RL, 17 February 2010. “Russia to Sign Deal on Military Base in South Ossetia”, RIA Novosti, 6 April 2010.
[3] “Report of the IIFFMCG”, Op. Cit.

[4] CEDRIC RYNGAERT and SVEN SOBRIE. 2011. International Law or Realpolitik? The Practice of Recognition in the Wake of Kosovo, South Ossetia, and Abkhazia. Journal of International Law.

მსგავსი აქცენტები აქვს გაკეთებული კემბრიჯის უნივერსიტეტის მკვლევარს გამოცემაში,, სახელმწიფოებრიობა და თვითგამორკვევა.“ ავტორს აფხაზეთთან და ე.წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებით შემოაქვს ტერმინი - სეპარატიზმი.

,,ხშირად ადამიანების უფლება თვითგამორკვევის, ანუ ცალკე სახელწიფოდ გამოყოფის შესაძლოა გამოყენებულ იქნეს შემდეგი მიზნებისთვის: სახელმწიფოს დახლეჩვისთვის, ქვეყნის სუვერენიტეტის შერყევისთვის, ან სამხედრო ინტერვენციის გამართლებისთვის,“ - წერს მკვლევარი. აღნიშნავს, რომ ეს არის თემა, რომელიც ამაზე გაცილებით მცირე ნაწილებად შეიძლება დაიყოს, რადგან საკითხს მრავალი წახნაგი აქვს.

საერთაშორისო სამართლის კონტექსტში განიხილავენ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს მკვლევარები - კვლევაში, რომელიც ,,საერთაშორისო სამართლის“ ჟურნალში გამოქვეყნდა - კოსოვოს, აფხაზთის და ცხინვალის კონფლიქტების ისტორიას ქრონოლოგიურად აანალიზებენ.

მკვლევარების აზრით, ახალი სახელწიფოების შექმნისთვის აუცილებელია შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცესი იქნება მტკივნეული და ნეგატიური მოვლენების საწყისი.

გარდა სამეცნიერო კვლევებისა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონზე პერიოდულად უცხოეთის მედიაშიც იწერება სტატიები.

ჟურნალისტები (Alexander Cooley, Lincoln Mitchell.Abkhazia on Three Wheels)[5] აფხაზეთის კონფლიქტის შესახებ წერენ და მთავარ აქცენტს აფხაზეთის რუსეთზე დამოკიდებულებაზე აკეთებენ. აშუქებენ დღევანდელი აფხაზეთის ცხოვრებას და მკითხველს აჩვენებენ რეგიონის, როგორც სამხედრო ასევე საგანმანათლებლო და საპენსიო სისტემის დიდ დამოკიდებულებას რუსეთზე.

რუსეთის ფაქტორზე წერს ავტორი პერ გარტონი (Georgia: Pawn in the New Great Game)[6] აცხადებს, რომ დღეს რუსეთის სამხედრო ნაწილები მშვიდობის მყოფელების სახელით არიან აფხაზეთში, თუმცა აღნიშნული კონფლიქტის სათავეებში თავად რუსეთი დგას.

საქართველო-რუსეთის კონფრონტაციის ჭრილში ხედავს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტს მკლევარი ანურადჰა ჩენოი (Anuradha Chenoy).[7] წერს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არაკეთილგანწყობილი ურთიერთობა დაიწყო საქართველოსა და რუსეთს შორის. ,,დიდმა მეზობელმა“ ეთნიკურად ჭრელ რეგიონებში - სეპატარისტული მოძრაობების მხარდაჭერა დაიწყო. მკვლევარი წერს, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში საქართველო ვერ პოულობდა სანდო მოკავშირეს ევროპასა და ამერიკაში, თუმცა ახლა სურათი შეიცვალა და ბევრი რამ თავად საქართველოზეა დამოკიდებული.

აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის კონფლიქტების გაანალიზების მიზნით 2009 წელს გამოიცა სამტომიანი ანგარიში სახელწოდებით: ,,საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია.“[8]

ეს გამოცემები მოიცავს სხვადასხვა სამხედრო, იურიდიული, ჰუმანიტარული, ადამიანის უფლებათა, პოლიტიკური და ისტორიული სფეროს ექსპერტთა მიერ მოწოდებული ინფორმაციების ნაკრებს. ისინი ფაქტების დამდგენმა მისიამ შეაფასა და წარმოადგენს საქართველოში მომხდარი კონფლიქტის შესახებ ანგარიშს. აღნიშნულ მისიაზე და შედეგების გაანალიზებაზე მომუშავე ადამიანები წერენ, რომ საერთაშორისო სამართალის მიხედვით, რუსი სამხედროების მოქმედებები ქართული სამხედრო ძალების წინააღმდეგ ვერ იქნება გამართლებული, როგორც კოლექტიური თავდაცვა.

თვლიან, რომ „ჰუმანიტარული ინტერვენცია“ რუსეთს ღიად არ გამოუცხადებია, თუმცა, პრეზიდენტმა მედვედევმა 2008 წლის 8 აგვისტოს თავის განცხადებაში სამხრეთ ოსეთში სიტუაციის შესახებ აღნიშნა, რომ „რუსეთი ისტორიულად იყო კავკასიის ხალხების უსაფრთხოების გარანტი, და ეს დღესაც ასეა.“ [9]აღნიშნულ ანგარიში ასევე წერია: ,, მედვედევმა აგრეთვე, აღნიშნა, რომ „დღეს სამხრეთ ოსეთში მშვიდობიანი მოსახლეობა, ბავშვები და მოხუცებულები იხოცებიან.“ გარდა ამისა, ტერმინი, რომელსაც რუსები ხშირად იყენებენ - „დაცვის მოვალეობა“ (responsibility to protect) ერთგვარად კვეთს დაცვის უფლების ახალ საერთაშორისო კონცეფციას, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის დაცვას, მათი ეროვნების მიუხედავად. ამ განცხადებებით, ჰუმანიტარული ინტერვენციის საკითხი, თუმცა, არაპირდაპირი ფორმით წამოჭრილი იყო რუსეთის მიერ. ჰუმანიტარული ინტერვენცია ნიშნავს ძალისმიერ, მეტწილად, სამხედრო ქმედებას სახელმწიფო საზღვრების მიღმა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის მიერ.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის მიერ ძალის გამოყენება ვერ იქნება გამართლებული, როგორც ჰუმანიტარული ინტერვენცია,“ - წერია მისიის ანგარიშში.

---

[5]Alexander Cooley და Lincoln Mitchell. 2014. Abkhazia on Three Wheels.

[6]Per Gahrton.2014. Georgia: Pawn in the New Great Game

[7]Anuradha Chenoy.2013. The Russian-Georgian Confrontation. Published by: Economic and Political Weekly.

[8]ანგარიში: ,,საქართველოშიმომხდარკონფლიქტთანდაკავშირებულიფაქტებისდამდგენიდამოუკიდებელისაერთაშორისომისია. 2009. http://new.smr.gov.ge/Uploads/eb7e7f.pdf

[9]ანგარიში: ,,საქართველოშიმომხდარკონფლიქტთანდაკავშირებულიფაქტებისდამდგენიდამოუკიდებელისაერთაშორისომისია. 2009. http://new.smr.gov.ge/Uploads/eb7e7f.pdf

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტიც, თავიანთ 2013 წლის ანგარიშში, საქართველოს გაყინულ კონფლიქტებში რუსეთის დიდ წვლილზე საუბრობენ. ანგარიში, რომლის სათაურადაც გამოყენებულია ოტო ფონ ბისმარკის სიტყვები: ,,არასდროს არაფერი ჩაიფიქროთ რუსეთის წინააღმდეგ, რადგან ყოველ ჩვენს ეშმაკობას ის გაუთვლელი სისულელით უპასუხებს.“[10]

ასეთი დასათაურებული ანგარიში თავის სახელს ამართლებს. მასში აფხაზეთის კონფლიქტი სრულად რუსეთის ინტერესების ჭრილშია დანახული.

,,ეთნიკური დაპირისპირების გაღვივება არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობით. რუსეთის სპეცსამსახურების ხელშეწყობით ჩრდილოეთ კავკასიაში შეიქმნა მოხალისეთა მობილიზაციის სპეციალური პუნქტები, საიდანაც ორგანიზებულად გზავნიდნენ საომრად შეკრებილ ბოევიკებს საქართველოს სხვადასხვა ცხელ წერტილში. ასე აღმოჩნდნენ კონფლიქტში ჩართული კაზაკები, ასევე ჩეჩნები, ინგუშები, სომხები და სხვა კავკასიური ერების წარმომადგენლები.

კონფლიქტის გადამწყვეტ ეტაპებზე აქტიურ მოქმედებაზე გადავიდა თავად რუსეთის შეიარაღებული ძალები, რომელიც უკვე უშუალოდ მონაწილეობდა სამხედრო ოპერაციებში. გარდა სპეცრაზმელებისა და მედესანტეებისა, ბრძოლებში აქტიურად ჩაება რუსეთის არმიის არტილერია და ავიაცია,“- ვკითხულობთ ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის ანგარიშში. [11]

მშვიდობის ჟურნალისტიკა

მშვიდობის ჟურნალისტიკა არის ეთიკური, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქება, რომელიც სცდება მოვლენათა მარტივი ბიოპოლარული ინტერპრეტირების ფარგლებს და მტრულად განწყობილ მხარეთა ვიწრო შეხედულებებს. ასეთი ჟურნალისტიკა ხელს უწყობს კონფლიქტით გახლეჩილ მხარეებს შორის ნდობის აღდგენას.

მკვლევარმა იოჰან გალტუნგმა (JOHAN GALTUNG) ჟურნალისტიკას განუსაზღვრა დიდი როლი კონფლიქტის დარეგულირებაში (1953).[12] მისი თეორიების თანახმად, მედიასაშუალებები ან ამძიმებენ სიტუაციას ან აწარმოებენ სამშვიდობო ჟურნალისტიკას. ეს უკანასკნელი მოიცავს მშვიდობაზე ორიენტირებულ მედიას. სამშვიდობო მედია არ არის მიმართული კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის "გამარჯვებისკენ", მისთვის არ არსებობს კონცეფცია – ჩვენ და ისინი. სამშვიდობო ჟურნალისტიკა არასოდეს აკეთებს აქცენტს, თუ ვინ ისროლა პირველმა, არასოდეს ხდის კონფლიქტს ბურუსით მოცულს, იდუმალს, ან სკადალურს. თვლის, რომ კონფლიქტი უნდა იყოს მაქსიმალურად გამჭვირვალე, უნდა ჩანდეს ყველა მხარის პოზიცია, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმ ხალხზე, ვინც სამშვიდობო პროცესებშია ჩართული. რაც მთავარია, ჟურნალისტები კონფლიქტის გაშუქებისას ყველა მხარეს უნდა მიუდგნენ ჰუმანურად, ყველა მხარის მოსაზრება უნდა გახადონ ცნობილი.

თეორიული ჩარჩო

ნაშრომის თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია ფრეიმინგის თეორია. ფრეიმინგი არის მეთოდი, რომლის მეშვეობითაც მედია არჩევს და განსაკუთრებულად გამოაქვს ამა თუ იმ მოვლენიდან მისი მხოლოდ ერთი ასპექტი. ეს შეიძლება აღვიქვათ, როგორც ერთი დიდი ნახატიდან მისი მხოლოდ ერთი მხარის ან კუთხის აღქმა. პროცესი თავისი არსით, შეიძლება ითქვას, რომ არ წარმოადგენს მოვლენის ობიექტური, სრულყოფილი გაშუქების ფორმას.

ენთმანი (Entman,1991)[13] განმარტავდა, რომ ფრეიმის ორი დონე არსებობს. პირველია გონებაში გამჯდარი პრინციპები და ღირებულებები, ხოლო მეორე - ახალი ამბების ტექსტის პარამეტრები. ფრეიმინგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ არის სტრუქტურირებული საკითხები და მოვლენები (Reese, 2007)[14]. ამ მოსაზრებების თანახმად, ჟურნალისტები გაუცნობიერებლად ქმნიან ამბების გადმოცემის ფრეიმებს (Tuchman, 1978).[15]

გოფმანი (Goffman,1974) [16] თვლიდა, რომ ჟურნალისტური საქმიანობისას ეფექტს განაპირობებს არა გამიზნული/გაცნობიერებული სურვილი, მოვლენა მხოლოდ ერთი კუთხით წარმოაჩინოს, არამედ ის პიროვნული თვისებები-ღირებულებები, რაც თავად ავტორს აქვს. მისი განმარტებით, ფრეიმი არის ადამიანის ინდივიდუალური გამოცდილების ერთიანობის შედეგი.

მედია და კონფლიქტები

კონკრეტულად ოკუპირებული აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მედიის შესახებ ანალიზის ხასიათის კვლევა, რომელიც მათ დამოკიდებულებას გამოხატავს საქართველოსა და რუსეთის მიმართ - ამ დრომდე არაა მომზადებული. თუმცა ქართულ სამეცნიერო წრეებში მოიპოვება, ,, მედიის განვითარების ფონდის“ (2012 წელი) კვლევა, რომელიც აჩვენებს არა ოკუპირებული რეგიონების მედიის, არამედ ქართული მედიის დამოკიდებულებას მათ მიმართ.

---

[10] ქართულ-ამერიკულიუნივერსიტეტისდაჯორჯქენანისრუსეთისკვლევებისინსტიტუტის 2013 წლისანგარიში, გადმოწერილისლინკი: gau.ge/sites/default/.../Bulletin%20№02,%202013.doc

[11] ქართულ-ამერიკულიუნივერსიტეტისდაჯორჯქენანისრუსეთისკვლევებისინსტიტუტის 2013 წლისანგარიში, გადმოწერილისლინკი: gau.ge/sites/default/.../Bulletin%20№02,%202013.doc

[12] Johan Galtung (1998); War Journalism; Peace Journalism;

[13] Entman, R. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. Journal of Communication.

[14] Reese. The Framing Project: A Bridging Model for Media Research Revisited. 2007.

[15] Tuchman, Gaye 1978. Making news: A study in the construction of reality. New York: Free Press.

[16] Erving Goffman, 1974. Frame analysis. Cambridge, MA, US: Harvard University Press.

კვლევის: ,,კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში“ მთავარი სამიზნე იყო საქართველოს სეპარატისტული რეგიონების ირგვლივ განვითარებული მოვლენები. დაკვირვება ერთი თვის განმავლობაში მიმდინარეობდა და მოიცავს 2012 წლის 12 მარტიდან 12 აპრილამდე პერიოდს. დროის ეს მონაკვეთი საგანგებოდ შეირჩა, ვინაიდან ის ემთხვეოდა სეპარატისტულ სამხრეთ ოსეთში ე.წ. პრეზიდენტის და აფხაზეთში დე ფაქტო პარლამენტის არჩევნებს. მონიტორინგის ობიექტებად შეირჩა როგორც სატელევიზიო, ისევე ბეჭდური მედიასაშუალებები.

ერთთვიანი დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა, რომ ტელევიზიები თავიანთ მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში ნაკლებ ყურადღებას უთმობენ კონფლიქტური რეგიონების და მათ ირგვლივ განვითარებული მოვლენების გაშუქებას. რაც შეეხება კონფლიქტების გაშუქების შინაარსობრივ სტრუქტურას, საანგარიშო პერიოდში განხილული საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტების ანალიზმა აჩვენა,რომ ხშირია თემების გამეორება, თუმცა, ასევე იშვიათი გამონაკლისის სახით გვხვდება ცალკეული ექსკლუზიური მასალებიც. ამასთან, ცალკეული თემები ყველა ტელევიზიის ან ზოგიერთი მათგანის მიერ მთლიანად იგნორირებულია. მკვლევარების აზრით, საგანგებო აღნიშვნას მოითხოვს ის ფაქტიც, რომ ბეჭდური მედია, საერთოდ არ უთმობს სივრცეს სეპარატისტულ რეგიონში საანგარიშო პერიოდში გამართულ არჩევნებს.

2011 წელს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტების ანალიზისა და მართვის მაგისტრმა, ნინო მანიაშვილის სამაგისტრო ნაშრომი „ კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში“ (გაზეთების „რეზონანსისა“ და „ალიას“ მიხედვით. 2010წ.) მოამზადა. [17]ნაშრომი მიზნად ისახავდა შესწავლას, თუ როგორ შუქდება კონფლიქტები ქართულ პრესაში, რამდენად სწორად და კარგად ასახავენ ჟურნალისტები ამ სფეროში არსებულ ვითარებას, რა ტენდენციები იკვეთება და რამდენად შეესაბამება იგი საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტებსა და ნორმებს, რამდენად ინარჩუნებენ ნეიტრალურობას, გადმოსცემენ თუ არა ახალ ამბებს კონფლიქტურ რეგიონებზე სრულად, ზუსტად, სამართლიანად და გასაგებად. სამაგისტროს დასკვნის თანახმად: „აღსანიშნავია, რომ „რეზონანსი“ თითქმის ყველა ნომერში ეხმაურებოდა კონფლიქტის თემას, თანაც არა ერთი, არამედ რამდენიმე პუბლიკაციით. ხშირად გვთავაზობს რეპორტაჟებს ახალგორიდან, თუმცა მაინც ექსპერტების მოსაზრებებზე დაყრდნობილი პუბლიკაციები სჭარბობს.

რაოდენობრივი კვლევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „რეზონანსისთვის“ ეს საკითხი უდავოდ პრიორიტეტულია. სამწუხაროდ, იმავეს ვერ ვიტყვი „ალიაზე,“ პუბლიკაციები კონფლიქტებზე საკმაოდ მწირია, თუმცა, სჭარბობს სააგენტოების მიერ გავრცელებული ახალი ამბები. „რეზონანსისგან“ განსხვავებით „ალიას“ მთავარი მიზანი არა კონფლიქტის გაშუქება და რეალურად არსებული ვითარების ასახვაა, არამედ სენსაცია და სკანდალია, რის გამოც ხშირად ვხვდებით არაეთიკურ გამოთქმებს,“- ვკითხულობთ სამაგისტრო ნაშრომში. [18]

უცხოური მედიის მიერ კონფლიქტის გაშუქებაზე კვლევა: „რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქება საერთაშორისო მედიაში“ - მკლევარებმა ლაშა ბაქრაძე, ნინო დანელია, ზაზა თორია, ანა ქეშელაშვილი და თიკო ცომაიამ მომზადეს.[19] კვლევის მიზანი იყო საერთაშორისო მედიით რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის გაშუქების გაანალიზება. კონკრეტულად კი, განსაზღვრა თუ ვინ იყო ამ მოვლენების გაშუქებისას უცხოური მედიისთვის ინფორმაციის წყარო, რა ძირითადი მესიჯები ხვდებოდა პრესასა თუ ტელეარხებზე და რა კონტექსტში განიხილებოდა კონფლიქტი. საკვლევ მედიად შეირჩა ყველაზე გავლენიანი ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულენოვანი მედია. კერძოდ, ყოველდღიური გაზეთები – „ნიუ-იორკ ტაიმსი“ (New-Yok Times),“ვოშინგტონ პოსტი” (Washington Post), „დეილი მეილი“(Daily Mail)“გარდიანი“ (Guardian),“ინდეპენდენტი“ Independent, „ლიბერასიონი“ (libération),“ლე-შონდი” (le monde),“ლე ფიგარო” (le Figaro)“ფრანკფურტერ ალგემეინე ცაიტუნგი” (Frankfurter Algemaine Zeitung),“ზიუდდეოიჩე ცაიტუნგი” (Soud Deutsche Zeitung), ყოველკვირეული ჟურნალი „დერ შპიგელი“ (Der Spiegel). ასევე, შესწავლილ იქნა CNN-ის ეთერით გასული სიუჟეტები. კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მსოფლიოს ყველაზე გავლენიან მედიაში გასული ინფორმაციის თითქმის 40% რუსეთ-საქართველოს შორის კონფლიქტს არ არქმევს რაიმე კონკრეტულ სახელს და აღწერილობითი ხასიათისაა. თუმცა, იქ, სადაც მოვლენების სახელი კონკრეტდება, უმეტეს შემთხვევაში – 20,2% უკანასკნელი დრამატული მოვლენები განხილულია, როგორც რუსეთ-საქართველოს კონფლიქტი. მოხსენიების სიხშირით მეორე ადგილზეა (12,5%) საქართველოშიკონფლიქტისომის სახით მოხსენიება. ყველაზე იშვიათად – ახალი ამბების მხოლოდ 3,5% არქმევს კონფლიქტს სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს. კატეგორია “სხვაში” მოხვდა სიუჟეტებისა და სტატიების ის სათაურები, სადაც კონფლიქტი კავკასიის კრიზისად ან კავკასიის კონფლიქტად მოიხსენიება.

---

[17]„ კონფლიქტებისგაშუქებათანამედროვექართულბეჭდურმედიაში“,
ივ.ჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისმაგისტრისნინომანიაშვილისამაგისტრონაშრომი.
[18]„ კონფლიქტებისგაშუქებათანამედროვექართულბეჭდურმედიაში“,
ივ.ჯავახიშვილისსახელობისთბილისისსახელმწიფოუნივერსიტეტისმაგისტრისნინომანიაშვილისამაგისტრონაშრომი.
[19]„რუსეთ-საქართველოსომისგაშუქებასაერთაშორისომედიაში“ - ავტორები: ლაშაბაქრაძე, ნინოდანელია, ზაზათორია, ანაქეშელაშვილიდათიკოცომაია.

კვლევის თანახმად, მხარეთა პასუხისმგებლობასთან ერთად, საერთაშორისო მედია ყველაზე ხშირად, სტატიებისა და სიუჟეტების 44.0%, რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის განხილვისას აღწერდა სამხედრო ძალების გადაადგილებას, საომარი მოქმედებების მიმდინარეობას. კონფლიქტზე საუბრისას სიხშირით მეორე ადგილზეა - 36.0% - ომის სისასტიკეების აღწერა, ანუ, აქცენტის გაკეთება ადამიანური მსხვერპლის რაოდენობაზე, სამოქალაქო ინფრასტრუქტურის ნგრევაზე და ა.შ. ხოლო მესამე ადგილზე - პროგნოზის ფრეიმი. კონფლიქტს ადამიანური ტრაგედიის ჭრილში აშუქებს სიუჟეტებსი მხოლოდ 21%.

რაც შეეხება თავად ოკუპირებული მედიის სურათის დანახვის შესაძლებლობას, ამ დროისთვის ქართულ მედია სივრცეში არსებობს ერთადერთი გადაცემა ,,მედია ოკუპირებულ ტერიტორიებზე" (საპატრიარქოს ტელევიზია –„ერთსულოვნება"),[20] სადაც პერიოდულად ხდება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ბეჭდური და ინტერნეტ მედიის გაანალიზება. გადაცემის ავტორი და წამყვანი თამარ ბელქანია და თანაწამყვანი, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი – აკვირდებიან ოკუპირებული ტერიტორიის მედიას და მასალების ანალიზთან ერთად – მაყურებლებს დასკვნებს სთავაზობენ. გადაცემამ ამ დროისთვის ასობით საგაზეთო, თუ ინტერნეტ მედიაში გამოქვეყნებული ჟურნალისტური მასალა გაანალიზა. მაგალითად, ამ გადაცემების მთავარი თემები იყო: ცხივალის მედია და ახალი სამხედრო აქცენტები მედიაში; გალის ახალი გამგებელი და სამხედრო რეჟიმი რეგიონში; აფხაზური და ცხინვალის მედია დღეს.

აღნიშნულ გადაცემებში განხილული მასალების თანახმად, ოკუპირებული ტერიტორიების მედია პერიოდულად წერს საქართველოზე, თუმცა კონტექსტი უმრავლეს შემთხვევაში ნეგატიურია. ასეთი დამოკიდებულება არ არის რუსეთის მიმართ. მასალების უმრავლესობაში რუსეთი ,,მეგობრად" და ,,მფარველად" არის წარმოდგენილი.

საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებში, მედიის დახმარებით მიმდინარე პროპაგანდის შესახებ მიგნებებს ვკითხულობთ ,,სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი"- ის კვლევაში: ,,დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია."[21]

აღნიშნულ კვლევაში, რომელიც 2011 წლის ივლისი-სექტემბერს მოიცავს ვკითხულობთ: ,,რაც უფრო დიდხანს შენარჩუნდება გამოუვალი პოლიტიკური მდგომარეობა, მით უფრო გაიზრდება გაუცხოება, ერთი მხრივ, ქართულ და მეორე მხრივ, აფხაზურ და ოსურ საზოგადოებებს შორის. ამგვარად, რეგიონების გაუცხოების პროცესი შეუქცევადი გახდება არა მხოლოდ რუსული ოკუპაციის შედეგად, არამედ საზოგადოებებს შორის ნდობისა, კეთილი ნებისა და კონტაქტების არარსებობის გამო. მხარეების ოფიციალური რიტორიკა და პროპაგანდა უნდობლობასა და ანტაგონიზმს მხოლოდ აღვივებს."

**მეთოდოლოგია**

იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროისთვის აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონები ოკუპირებულია, ვერ მოხერხდა აღნიშნულ ტერიტორიებზე ჩასვლა და დაკვირვების განხორციელება - ყველა სახის მედიასაშუალებებზე. ორივე რეგიონის მართვა ხდება საერთაშორისო სამართლის კანონს მიღმა მყოფი ძალების მიერ და კვლევითი საქმიანობის ჩატარება პირადი უსაფრთხოების რისკთან არის დაკავშირებული. შესაბამისად,სტატიის საკვლევ კითხვებზე პასუხების ძებნას ვიწყებთ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მხოლოდ, რუსულენოვან ინტერნეტმედიაში.

ნაშრომშიძირითადადსაკვლევმეთოდებადგამოყენებულიაკონტენტანალიზისადასიღრმისეულიინტერვიუების მეთოდი.

სიღრმისეული ინტერვიუები მომზადდა, აღნიშნულ სფეროში მოღვაწე პირებთან: კონფლიქტოლოგი ლევან გერაძე, პროფესორი თამარ ბელქანია, პროფესორი ზაზა ცოტნიაშვილი, „მედიის განვითარების ფონდის" ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი, „სტუდიარე"-ს ხელმძღვანელი მამუკა ყუფარაძე, პროფესორი ხათუნა მაისაშვილი და „კავკასიისრეგინალური უსაფრთხოების ინსტიტუტის" დირექტორი სალექსანდრე რუსეცკი.

კონტენტანალიზის მეთოდით შევისწავლიდით 2016 წლის მარტსა და 2017 წლის მარტში შემდეგ ვებ-გვერდზე მომზადებულ ჟურნალისტურ ნამუშევრებს: sputnik-ossetia.ru; osinform.org; sputnik-abkhazia.ru; apsnypress.info.

კოდირების ანკეტის მეშვეობით ვადგენთ ჟურნალისტურ ნაშრომში საქართვეოსა და რუსეთის მიმართ გამოვლენილ ტენდენციას/ტონს (ნეიტრალური ტონი/ტენდენცია; დადებითი ტონი/ტენდენცია; უარყოფითი ტონი/ტენდენცია)

ტენდენციის/ტონის შეფასების კრიტერიუმები:

მოვლენა წარმოჩენილია მასში მონაწილე, თუ მასთან კავშირში მყოფი მხოლოდ ერთი მხარის პოზიციით; ჟურნალისტურ ნამუშევარში ავტორი პირდაპირი ფორმით გვთავაზობს მხოლოდ ფაქტის/მოვლენის მისეულ შეფასებას და არ უთმობს ტრიბუნას განსხვავებულ შეფასებებს; ჟურნალისტი მოსაზრებას ფაქტად წარმოაჩენს, ან პირიქით; მასალაში გამოყენებული ფაქტები არაა ზუსტი; დარღვეულია ბალანსი - მოვლენაში მონაწილე მხარეები არათანაბარპირობებშიარიან. მაგალითად, ერთი მხარის მოსაზრებას სამი რესპონდენტის პოზიცია ამყარებს, ხოლო მეორე მხარის, ან სხვა მხარეების პოზიციებს თითო-

---

[20] ტელევიზია ,,ერთსულოვნება" გადაცემებისციკლი ,,მედიაოკუპირებულტერიტოეიებზე." www.myvideo.ge/v/2434026

[21] ,, სოციალურიკვლევისადაანალიზისინსტიტუტი"- ისკვლევა: ,, დემოკრატიზაციისპროცესი, რეგიონულიკონტექსტი, ეროვნულიუმცირესობებიდაკონფლიქტებისტრანსფორმაცია."(2011 წლისივლისი-სექტემბერი)

თითო; როდესაც ხდება ჟურნალისტურ ნამუშევარში გამოგონილი, ან დაუზუსტებელი, გადაუმოწმებელი ინფორმაციის გამოყენება.
როდესაც ეს ტენდენციები შეინიშნება ჟურნალისტურ ნამუშევარში, ვახდენ შინაარსობრივად მათ გაანალიზებას დავადგენ ასეთი გაშუქება, შინაარსობრვად, რუსეთის იმიჯის სასიკეთოდ იყო, თუ საქართველოსი. ასევე გაშუქების ეს ფორმა უარყოფითად წარმოაჩენს თუ არა რუსეთს, ან საქართველოს. მასალები, სადაც არ აღინიშნება მსგავისი ტენდენციები არის ნეიტრალური, რადგან მათში სხვადასხვა მხარეები თანაბრადაა წარმოჩენილი.
საკვლევი თემა გაანალიზებულია ფრეიმინგის თეორიის ჭრილში.საკვლევი კითხვებია: რა სიხშირით შუქდება რუსეთთან და საქართველოსთან დაკავშირებული ინფორმაციები? როგორია მათი ერთმანეთთან შეფარდების შედეგი? როგორია ამ ინფორმაციების ტონი? [დადებითი, უარყოფითი, ნეიტრალური]
კვლევა

osinform.org - 2016 წლის მარტი - 2017 წლის მარტი
osinform.org - აღნიშნული მედია აშუქებს ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ამბებს. ჟურნალისტური ნამუშევრები მზადდება რუსულ ენაზე. კოდირების სისტემამ 2016 წლის მარტის თვეს, ასეთი შედეგები აჩვენა (სულ გავეცანი 52 ჟურნალისტურ ნამუშევარს):საქართველო ნახსენები იყო 48-ჯერ, რუსეთი 96, თბილისი - 6, მოსკოვი - 17, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 21, ქართველები - 32, რუსები - 44.
ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 23 სათაური იყო ინფორმაციული, 11 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, 3 იყო ნეიტრალური, ხოლო 15 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.
ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 28 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, 20 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ნეიტრალური გაშუქება იყო მხოლოდ 4 ნამუშევარში.




დროის ამ პერიოდში, ანუ 2016 წლის მარტის თვეს, ვებ-გვერდმა osinform.org ძირითადად შემდეგი თემატიკის საკითხები გააშუქა: ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის სოციალურ-პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობა რუსეთთან; კულტურული მიმართულებით თანამშრომლობა რუსეთთან. საქართველოს მიმართ განსაკუთრებული უარყოფითი დამოკიდებულება კი ასახული იყო ე.წ. ისტორიული ექსკურსის მატარებელ სტატიებში, სადაც ქართული მხარე წარმოჩენილი იყო, როგორც ოსებზე მოძალადე.
საქართველოს მიმართ, დროის ამ მონაკვეთში, უარყოფითი ხასიათის მასალები მომზადდა ქართული ქორეოგრაფიული ანსამბლის „რუსთავის“ და ჯგუფი „ბანის“ ჩრდილოეთ ოსეთში დაგეგმილი კონცერტის გამო. აღნიშნული კონცერტის შესახებ სტატიები დასათაურდა ამგვარად: „ ეს რა არის ძმებო?!“ - რითაც ავტორი მიმართავდა ჩრდილო ოსეთის საზოგადოებას და ქართველებისთვის კონცერტის ჩატარების უფლების მიცემას მათ ღალატად აღიქვამდა.
უარყოფითი კონტექსტით გაშუქდა ქართული მხარის ე.წ ოსურ მხარესთან პატიმრების გაცვლის საკითხიც. მიუხედავად იმისა, რომ ეს იყო ბოლო პერიოდში ერთადერთი საკითხი, სადაც მოხერხდა თანამშრომლობა, აღნიშნულმა მედიამ აქცენტი მხოლოდ იმაზე გააკეთა, რომ განთავისუფლდნენ „უკანონოდ დატყვევებული“ პირები. ჟურნალისტებმა დროის ამ მონაკვეთში გააშუქეს ე.წ საზღვრის დარღვევის ფაქტები და საკითხი შეაფასეს, როგორც სუვერენული სახელმწიფოს საზღვრის დარღვევა. ყველა ამ თემატიკის მასალში ხაზგასმული იყო, რომ მსგავსი ქმედებით ქართული მხარე აწყობს პროვოკაციებს. ჟურნალისტების ყურადღების მიღმა დარჩა ის ფაქტი, რომ ე.წ. საზღვრის დამრღვევები თაობების განმავლობაში ცხოვრობდნენ იმ ტერიტორიებზე, სადაც ახლა მათ გადასვლისას აკავებენ.
მარტის თვეს, ტრადიციულად მომზადდა ქალთა დღის ამსახველი ღონისძიებების მასალები, თუმცა განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმას, რომ 8 მარტი ვლადიმერ პუტინმა ოკუპირებული სამხრთ ოსეთის

იმჟამინდელი პრეზიდენტის მეუღლეს მიულოცა. დროის ამ პერიოდში, მომზადებული მასალების უმეტესობა ასახავდა რუსეთის ოფიციალურ პირებთან თანამშრომლობას. არ მომზადებულა არც ერთი ჟურნალისტური მასალა, რომელიც რაიმე კუთხით უარყოფითად წარმოაჩენდა რუსეთს. იგივეს ვერ ვიტყვით საქართველოზე, ამ შემთხვევაში კი საქმე პირიქით იყო. არ მომზადებულა არც ერთი ჟურნალისტური ნამუშევარი, რომელიც პოზიტიურ ფრეიმს შექმნიდა საქართველოზე.

osinform.org-ის მუშაობის პროცესზე დაკვირვებას ვაგრძელებდი 2017 წლის მარტში. კოდური სიტყვების მიხედვით, მიწევს 30 მასალისგაანალიზება. დროის აღნიშნულ პერიოდში, ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთში იყო ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების სამზადისი. მედიისგან, ხშირად ისმებოდა კითხვები კანდიდატების მიმართ რუსეთთან ურთიერთობაზე. ასევე ამ პერიოდში განხორციელდა იმჟამინდელი ე.წ პრეზიდენტის და რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრაც.

კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 36-ჯერ, რუსეთი 99, თბილისი - 5, მოსკოვი - 47, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 75, ქართველები - 16, რუსები - 73.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 19 სათაური იყო ინფორმაციული, 6 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, 1 იყო ნეიტრალური, ხოლო 4 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.

ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელია: 22 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, 5 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ნეიტრალური გაშუქება იყო მხოლოდ 3 ნამუშევარში.




მედია აქცენტს აკეთებდა ე.წ სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების სტრატეგიულ თანამშრომლობაზე რუსეთთან, ხაზს უსვამდა მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ უსაფრთხოება სრულადაა დამოკიდებული რუსეთთან თანამშრომლობაზე. საქართველო კი წარმოჩენილი იყო, როგორც ისტორიულად მტრულად განწყობილი სახელმწიფო. მომზადდა ისტორიული ხასიათის ჟურნალისტური ნამუშევრები, სადაც საუბარი იყო ოსების დევნაზე ქართველების მიერ. ორი სტატია კი მომზადაა საბჭოთა კავშირზე, ავტორმა გამოთქვა მოსაზრება და სცადა გარკვეული წყაროებით დადასტურება, რომ იოსებ სტალინი ოსური წარმომავლობის იყო და მას უბრალოდ, გვარი ჰქონდაგადაკეთებული.

მედიამ ყურადღება დაუთმო ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციის სამხედრო ძალებთან გაერთიანებას. ფაქტი ჟურნალისტების ყველა წყარომ დადებითად შეაფასა. დროის ამ პერიოდში, არც ერთი ჟურნალისტური ნამუშევარი არ წარმოაჩენდა უარყოფითად რუსეთს და მის მოქმედებებს. საქართველოს შემთხვევაში საპირისპირო შედეგი იყო. არც ერთი ნამუშევარი, არც ერთი კონტექსტით პოზიტიურად არ წარმოაჩენდა საქართველოს.

sputnik-ossetia.ru 2016 წლის მარტი - 2017 წლის მარტი

sputnik-ossetia.ruარის შემდეგი მედია, რომელიც გავაანალიზე (ან შევისწავლე). აღნიშნული ვებგვერდი წარმოადგენს პროექტს Sputnik ერთ-ერთ ფილიალს, რომელიც წერს ოკუპირებულ სამხრეთ ოსეთზე. ვაკვირდები მათ მუშაობას 2016 წლის მარტის თვეში. კოდური სიტყვების მიხედვით გაანალიზება მომიწია 26 მასალის.

კოდური სიტყვები შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 70 -ჯერ, რუსეთი 84, თბილისი - 6, მოსკოვი - 13, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 12, ქართველები -7 , რუსები - 13. ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 11

სათაური იყო ინფორმაციული, 7 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, 2 იყო ნეიტრალური, ხოლო 6 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.
ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 14 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, 11 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ნეიტრალური გაშუქება იყო მხოლოდ 1 ნამუშევარში.




მედია ძირითადად წერდა ე.წ. სამხრთ ოსეთის თანამშრომლობაზე რუსეთის ფედერაციასთან, მთავარი აქცენტი სამხედრო კუთხით თანამშრომლობაზე გაკეთდა, თუმცა არა ერთი მასალა შეეხო კულტურული და სოციალური კუთხით თანამშრომლობას. საქართველოს მიმართ გაკეთდა აქცენტები, რომ არ ხდება სამშვიდობო შეთანხმების ხელმოწერა, ეს მაშინ, როდესაც საქართველოს ამ დროისთვის უკვე არა ერთ საერთაშორისო დოკუმენტზე აქვს ხელი მოწერილი, სადაც აცხადებს, რომ უარს ამბობს სამხედრო ძალით კონფლიქტს გადაჭრაზე. მედიამ აქცენტი გააკეთა ე.წ სამხრთ ოსეთის საზღვრის გადაკვეთაზე - ადამიანები რომლებმაც გადაკეთეს ე.წ საზღვარი მოიხსენიეს, როგორც კანონის დამრღვევები.
ჟურნალისტური ნამუშევრების უმრავლესობა პოზიტიურად წარმოაჩენდა რუსეთს, ნეგატიურად კი საქართველოს.
sputnik-ossetia.ru-ის 2017 წლის მარტის ნამუშევრების გაანალიზება ფრეიმების თვალსაზრისით მსგავს სურათს გვაძლევს. კოდური სიტყვების მიხედვით, ამჯერადაც 26 მასალის გაანალიზება მომიწია.
კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 27 -ჯერ, რუსეთი 94, თბილისი - 0, მოსკოვი - 14, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 23, ქართველები -14 , რუსები - 28.
ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 9 სათაური იყო ინფორმაციული, 5 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 12 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ. ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 21 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 5 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ.

თემატიკა, გასული წლის მარტის თვის მსგავსად, ორიენტირებული იყო ე.წ. სამხრეთ ოსეთის რუსეთის ფედერაციასთან თანამშრომლობის გაშუქებაზე. ძირითადი აქცენტი ამ თანამშრომლობის ე.წ სამხრეთ ოსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობაზე გაკეთდა.
გამოვლენილი ფრეიმები: რუსეთი „მეგობარი სახელმწიფო," საქართველო „მტრული სახელმწიფო," რუსეთი „უსაფრთხოების გარანტი."
apsnypress.info 2016 წლისმარტი - 2017 წლისმარტი

კონტენტანალიზის მეთოდით ვიკვლიე იმავე პერიოდში აფხაზეთის რეგიონის ამბებზე მომუშავე რუსულენოვანი ვებგვერდებიც: apsnypress.info და sputnik-abkhazia.ru.
apsnypress.info არის აფხაზეთის ე.წ მთავრობის საინფორმაციო სააგენტო. ყოველდღიურ რეჟიმში ამზადებს ჟურნალისტურ ნამუშევრებს. ვებ-გვერდის 2016 წლის მარტის ნამუშევრებს გავაანალიზე. კოდური სიტყვების მიხედვით გავეცანი 31 მასალას.
კოდური სიტყვების გამოყენებულია შემდეგი სიხშირით: საქართველო ნახსენები იყო 29 -ჯერ, რუსეთი 117, თბილისი - 0, მოსკოვი - 3, გიორგიმარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 15, ქართველები -10 , რუსები - 52. ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 3 სათაური იყო ინფორმაციული, 5 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 23 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.
ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 25 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 6 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ.




apsnypress.info-ის 2017 წლის მარტის ჟურნალისტური ნამუშევრების შესწავლაც მსგავს სურათს გვაძლევს. კოდური სიტყვების მიხედვით ამ შემთხვევაშიც მიწევს 32 მასალის. კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 32 -ჯერ, რუსეთი 109, თბილისი - 0, მოსკოვი - 16, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 21, ქართველები -15 , რუსები - 29.
ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 9 სათაური იყო ინფორმაციული, 6 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 17 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ.
ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება. უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის მატარებელი იყო: 25 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 7 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ.




sputnik-abkhazia.ru 2016 წლისმარტი - 2017 წლისმარტი

შემდეგი ვებგვერდი, რომლის ნამუშევრების გაანალიზებითაც გავარკვიე, რა ფრეიმებს ქმნიდა ოკუპირებული რეგიონის ამბებზე მომუშავე რუსულენოვანი მედია, იყო sputnik-abkhazia.ru..
გავაანალიზე ვებგვერდის 2016 წლის მარტის ნამუშევრები. კოდური სიტყვების მიხედვით ამ შემთხვევაშიც მიწევს 31 მასალისგაცნობა. კოდური სიტყვები შემდეგი სიხშირით გამოიყენეს:

საქართველო ნახსენები იყო 26-ჯერ, რუსეთი 106, თბილისი - 4, მოსკოვი - 11, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 7, ქართველები -10 , რუსები - 33.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 10 სათაური იყო ინფორმაციული, 1 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 19 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ და მხოლოდ 1 სათაური იყო ნეიტრალური ხასიათის. უშაულოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის იყო: 25 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 4 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ. ნეიტრალურ გაშუქებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 2 ნამუშევარში.




sputnik-abkhazia.ru 2017 წლის მარტის ნამუშევრებს ვაანალიზებ. კოდური სიტყვების მიხედვით ამ შემთხვევაშიც მიწევს 33 მასალის გაცნობა. კოდური სიტყვების შემდეგი სიხშირით გამოიყენეს: საქართველო ნახსენები იყო 29 -ჯერ, რუსეთი 121, თბილისი - 3, მოსკოვი - 11, გიორგი მარგველაშვილი (საქართველოს პრეზიდენტი) – 0, გიორგი კვირიკაშვილი (საქართველოს პრემიერ-მინისტრი) – 0, ვლადიმერ პუტინი (რუსეთის პრეზიდენტი) – 9, ქართველები -10 , რუსები - 9.

ჟურნალისტური ნამუშევრების სათაურების ანალიზის შედეგი კი ასეთია: 6 სათაური იყო ინფორმაციული, 10 გამოხატავდა უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ, ხოლო 16 ასახავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ და მხოლოდ 1 სათაური იყო ნეიტრალური ხასიათის.

ჟურნალისტური ნამუშევრების შინაარსის შესწავლამ კი წარმოდგენა შემიქმნა ფრეიმებზე, რომელიც მათი დახმარებით იქმნება.

უშუალოდ ნამუშევრების ძირითადი შინაარსი შემდეგი ტენდენციის იყო: 20 ნამუშევარი გამოხატავდა დადებით ტენდენციას რუსეთის მიმართ, ხოლო 12 ნამუშევარი უარყოფით ტენდენციას საქართველოს მიმართ. ნეიტრალურ გაშუქებას ადგილი ჰქონდა მხოლოდ 1 ნამუშევარში.




ოკუპირებული სამხრეთ-ოსეთის და აფხაზეთის რეგიონის ამბებზე მომუშავე, აღნიშნული ოთხი ვებგვერდის კონტენტ-ანალიზის შედეგად გავაანალიზე - ერთიანობაში 261 ჟურნალისტური ნამუშევარი.

ჩემი კვლევის პერიოდში არ გამოვლინდა არც ერთი საქართველოს მიმართ დადებითი ტენდენციის მქონე ნამუშევარი, აგრეთვე არ გამოვლინდა არც ერთი უარყოფით ტენდენციის მქონე ნამუშევარი რუსეთის მიმართ. ტენდენციების შედარება მთლიანობაში ასეთ სურათს გვაძლევს, რაც ორივე რეგიონის ოთხივე

ვებგვერდზე გამოვლინდა: 180 ნამუშევარში დადებითი ტენდენცია რუსეთის მიმართ; 70 მასალაში უარყოფითი ტენდენცია საქართველოს მიმართ; და მხოლოდ 11 მასალაში იყო ნეიტრალური-ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მომზადებული.




ჟურნალისტების მიერ გამოყენებული სათაურების ზოგადი ტენდენციის დასანახად, რამდენიმე მათგანს გთავაზობთ: „აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატამ მონაწილეობა მიიღო რუსეთის ფედერაციის სავაჭრო პალატის მე-7 სამუშაო შეხვედრაზე“, „ წვრთნებისას რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ძალებმა აფხაზეთში 50-ჰდე ამოცანა შეასრულეს,“ „რუსეთის ფედერაციის იუსტიციის სამინისტროში სამუშაო შეხვედრა შედგა - განიხილეს აფხაზეთის პენიტენციალური სისტემის მოდერნიზაცია,“ „რუსეთის სამხედრო ძალებმა აფხაზეთის მთებში წვრთნები დაასრულეს,“ „ბრალდებულების გაცვლა საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე შედგა,“ „ რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ძალების აფხაზეთის ბაზაზე, წლის ბოლომდე 30 ახალია ინფრასტრუქტურული ობიექტი გაიხსნება“, „საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე გამშვები პუნქტების რაოდენობა შეამცირეს,“ „ საქართველოს მიერ სამშვიდობო შეთანხმების უგულებელყოფაზე რუსეთის საგარეო უწყებამ კომენტარი გააკეთა,“ „მოსკოვში სამუშაო შეხვედრა შედგა აფხაზეთის საგარეო უწყებასა და რუსეთის საგარე საქმეთა სამინისტროს შორის,“ „დიმიტრი მედვედევმა რაულ ხაჯინბას დაბადების დღე მიულოცა“, „რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა ვლამდიმერ პუტინმა აფხაზეთის პრეზიდენტს რაულ ხაჯინბას დაბადების დღე მიულოცა“, „ვლადიმერ პუტინმა უპასუხა აფხაზეთის სკოლის მოსწავლის წერილს,“ „ აფხაზეთი - რუსეთის მაცხოვრებლების რჩეული ადგილი დასვენებისთვის,“ „რუსეთმა და აფხაზეთმა კორუფციასთან ბრძოლის მეთოდები განიხილა,“ „24 წლის წინ ადამიანებმა გმირობის მაგალითი ჩაიდინეს“, „სამხრეთ ოსეთის და რუსეთის სასაზღვრო უწყებებმა ტვირთების გადაზიდვის საკითხზე იმსჯელეს“, „სამხრეთ ოსეთი მოუწოდებს საქართველოს მოქალაქეებს არ დაამუშაონ მიწები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზეა,“ „64 წლის წინ დაიღუპა ნაციის ბელადი იოსებ ბესარიონოვიჩ სტალინი“, „სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტი არჩევნების წინ მოსკოვს ეწვია,“ „პუტინმა და თიბილოვმა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალების რუსეთის სამხედრო ძალლებში შესვლა განხილეს“, „განსახილველად გამოიტანეს საკითხი სამხრეთ ოსეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების პენსიების შესახებ“, „ რუსული არყის ხეები დაამშვენებენ ცხინვალში „მოსკოვის“ მიკრო რაიონს“, „პუტინმა თანხმობა განაცხადა სამხრეთ ოსეთის სამხედრო ძალლების რუსეთის სამხრეთის სამხედრო ძალებში შესვლაზე,“ „სამხრეთ ოსეთში ერედვის ტრაგედიის მსხვერპლებს იხსენებენ,“ „რუსეთის სახელმწიფო სათათბირო ორგანომ სამხრეთ ოსეთთან საპენსიო შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა .“

აღნიშნული ჩამონათვალი არაა სრული, თუმცა ასახავს ჟურნალისტების მიერ მომზადებული სათაურების ძირითად ტენდენციას. ასევე ინფორმაციას გვაწვდის იმ საკითხებზე, რომელიც დროის ამ პერიოდში იყო აქტუალური.

სტატიების შინაარსობრივი გაანალიზება გვაჩვენებს, რომ ორივე რეგიონის ამბებზე მომუშავე აღნიშნული ვებგვერდებისთვის პრიორიტეტული იყო აფხაზეთის და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებების თანამშრომლობა რუსეთთან. აქცენტები კეთდებოდა თანამშრომლობაზე სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და სპორტულ სფეროებზე. მედიის მიერ გაშუქდა ათობით შეხვედრა, სადაც ამა თუ იმ ფორმის თანამშრომლობაზე ე.წ. მთავრობები შეთანხმდნენ.

მედია აქცენტს აკეთებდა, როგორც ოკუპირებულ აფხაზეთში ასევე სამხრეთ-ოსეთში, ისტორიულ საკითხებზე. ხდებოდა თემის იმ ჭრილში წარმოჩენა, რომლის თანახმადაც ქართველები უარყოფითი „პერსონაჟები“ იყვნენ. სამხრეთ -ოსეთის შემთხვევაში კი უარყოფითად იყვნენ წარმოჩენილი რუსეთის ფედერაციაში შემავალი ერთეულები, რომლებიც თანამშრომლობდნენ საქართველოსთან. განსაკუთრებით უარყოფითი კონტექსტით გაშუქდა - ჩრდილოეთ ოსეთში ქართული ანსამბლის „რუსთავის“ და ჯგუფი „ბანკის“ კონცერტი.

მედია წერდა, სათაურშივე: „რატომ ძმებო“ და სიტყვა ძმებით მიმართავდა ჩრდილოეთ ოსეთში მაცხოვრებლებს. ჟურნალისტები ამავე თემაზე წერდნენ, რომ ქართველები ანადგურებენ სამხრეთს და ცეკვავენ ჩრდილოეთში. მედიამ საკითხზე ტრიბუნა დაუთმო ადამიანებს, რომლებიც გმობდნენ ამ ფაქტს. ჟურნალისტურ ნამუშევრებში ერთი რესპონდენტიც ვერ მოხვდა, რომელიც გამოხატავდა განსხვავებულ პოზიციას და გაამართლებდა ამ ნაბიჯს.

ოკუპირებული რეგიონების ამბებზე მომუშავე ამ საიტების მხრიდან ადგილი ჰქონდაგამოგონილი ფაქტების გამოყენებასაც. მაგალითად sputnik-abkhazia.ru 2017 წლის 9 მარტს წერდა, რომ საქართველოსა და აფხაზეთს შორის ორი სასაზღვრო პუნქტის ჩაკეტვა გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ არსებული ინფორმაციით, დიდი ალბათობით, 2013 წელს ტყვარჩელში 50-მდე ბავშვის მოწამვლა ქართველების მიზეზით მოხდა. კონკრეტულად კი მედია წერდა, რომ თითქოს, საქართველოს, აფხაზეთის ე.წ. საზღვართან აქვს ლაბორატორია, სადაც ბიოლოგიურ იარაღზე მუშაობს. სტატიაში ვხვდებით კომენტარს - აფხაზეთის ე.წ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი მიხეილ კირბა აცხადებდა, რომ დიდი ალბათობით ქართულმა მხარემ ბიოლოგიური ნარჩენები საზღვართან ახლოს წყალში ჩაუშვა და შედეგად მოხდა ტყვარჩელში ბავშვების მოწამვლა. ჟურნალისტი, 2013 წელს მომხდარ შემთხვევას არ განავრცობს, არ ცდილობს დააზუსტოს რეალურად ჰქონდა, თუ არა ადგილი მსგავს შემთხვევას. ამ კვლევის გარეშე, რესპონდენტის დახმარებით, 2016 წლის ბოლოდე, ე.წ. საზღვრის დაკეტვას 2013 წელს თითქოსდა ქართული მხარის მიერ ჩადენილ დანაშაულს უკავშირებს.

მედიის მიერ მთავარი აქცენტი კეთდება რუსეთის პოზიტიურ წარმოჩენაზე. არა ერთი ნამუშევარი გვხვდება, სადაც მთავარი ნიუსი არის ის, რომ პრეზიდენტმა პუტინმა დაბადების დღე, ან რვა მარტი მიულოცა ოკუპირებული რეგიონების ლიდერებს და მათ მეუღლეებს. მედია აქტიურად წერს წმინდა „საპიარო“ მოვლენებზე. მაგალითად, აფხაზეთის ამბებზე მომუშავე მედიის ყურადღების ცენტრში ექცევა ფაქტი, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა უპასუხა აფხაზი სკოლის მოსწავლის წერილს. სისტემატიურად შეუქდება შეხვედრები აფხაზეთის ე.წ. მთავრობის და რუსეთის ხელისუფლებას შორის.

2016 წლის მარტსა და 2017 მარტში - არც ერთი ნეგატიური ფაქტი, მოსაზრება არ გაშუქებულა რუსეთთან მიმართებაში. ასევე, ამავე პერიოდში, არც ერთი დადებითი ხასიათის მასალა არ მომზადებულა საქართველოსთან დაკავშირებით, არც ოკუპირებული აფხაზეთის და არც ოსეთის ამბებზე მომუშავე მედია დაინტერესებულაიმ სამედიცინო, თუ საგანმანათლებლო პროექტებს, რომლებსაც საქართველო სთავაზობს და ახორციელებს აფხაზებისა თუ ოსებისთვის.

შექმნილი ფრეიმები: რუსეთი „ერთადერთი პარტნიორი,“ რუსეთი „აფხაზებისთვის კეთილის მსურველი,“ რუსი ჩინოვნიკები „აფხაზების მეგობრები;“ საქართველო აფხაზების მიმართ ისტორიულად „მტრულად განწყობილი“ სახელმწიფო, ქართველები შოვინისტები, ქართველები „საფრთხე აფხაზებისთვის.“

თვისებრივი კვლევის შედეგები:

თვისებრივი კველევა ჩავატარე 2017 წლის აპრილისა და მაისის თვეებში. ინტერვიუებისთვის შევარჩიე 7 რესპონდენტი. ესენი არიან ექსპერტები, რომლებიც მუშაობენ ოკუპირებული რეგიონების მიმართებით. მათი ნაწილი იკვლევს რეგიონულ მედიის ნაწილს, ხოლო ნაწილი კი, იკვლევს აფხაზეთის რეგიონში და სამხრეთ ოსეთის რეგიონში მიმდინარე საზოგადოებრივ საკითხებს.

ოკუპირებული რეგიონების მედიის მუშაობის შესახებ შეფასებების და მოსაზრებების მოსასმენად ვესაუბრე: კონფლიქტოლოგ ლევან გერაძეს, პროფესორ თამარ ბელქანიას, პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილს, „მედიის განვითარების ფონდის“ ხელმძღვანელს თამარ კინწურაშვილს, „სტუდია რე“-ს ხელმძღვანელს მამუკა ყუფარაძეს, პროფესორ ხათუნა მაისაშვილს და „კავკასიის რეგინალური უსაფრთხოების ინსტიტუტის“ დირექტორს ალექსანდრე რუსეცკის.

პროფესორ თამარ ბელქანიას საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ 40 გადაცემა აქვს მომზადებული ოკუპირებული რეგიონების მედიაზე. იცნობს აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში განვითარებული მოვლენების მიზეზებს. ბელქანია ამბობს, რომ ამ რეგიონებში მომხდარი კონფლიქტები არის „მიზანმიმართული, დროში გაწელილი რუსული პროექტი.“ საუბრობს ტერიტორიების ოკუპაციასთან ერთად რუსეთის კიდევ ერთ იარაღზე, რასაც „გონების ოკუპაციას“ უწოდებს. მიიჩნევს, რომ მედიასაშუალებების გამოყენებით რუსეთი მართავს ოკუპირებული რეგიონების საზოგადოებრივ აზრს. მისი დაკვირვებით, ამ დროის განმავლობაში, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის მედიაში საქართველოს მიმართ რაიმე პოზიტივის შემცველი ჟურნალისტური ნამუშევარი არ შეხვედრია. გვიხსნის, რომ ოკუპირებული მედიის ყურადღების ცენტრში არასდროს ხვდება საქართველოს აფხაზებისა და ოსებისთვის შეთავაზებული სამედიცინო და სხვასახის პროექტები. ეს მაშინ, როდესაც დღემდე არაერთმა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მცხოვრებმა ადამიანმა ისარგებლა ამ შესაძლებლობებით. თამარ ბელქანია ფიქრობს, რომ ოკუპირებული რეგიონების მედია რუსეთის პროპაგანდის იარაღია. მისი აზრით, აუცილებელია, რომ საქართველომ ამ რეგიონების მოსახლეობისთვის ალტერნატიული, ობიექტური მედიარესურსი შექმნას.

პროფესორ ზაზა ცოტნიაშვილის დაკვირვებითაც, ოკუპირებული რეგიონების მედია ცალსახად მტრის ხატს ქმნის საქართველოგან, რუსეთს კი მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენს. ცოტნიაშვილის შეფასებით, ოკუპირებული რეგიონების მედიის მომზადებული სულ უმნიშვნელო თემატიკის ჟურნალისტური ნამუშევარიც კი, ცენზურას გადის. მისი ინფორმაციით, ცხინვალის რეგიონში მთავარი საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელსაც კი, ე.წ. მთავრობა ნიშნავს. ასეთ პირობებში კი, რაიმე სახის ჟურნალისტური

სტანდარტების დაცვასა და ობიექტურობაზე საუბარიც ვერ იქნება. თვლის, რომ ოკუპირებული რეგიონების მედია დღეს ჟურნალისტიკის კეთების ნაცვლად პროპაგანდას აკეთებს. მიუხედავად ამ სირთულეებისა, მომავალს იმედიანად უყურებს და ფიქრობს, რომ ინტერნეტის არსებობა ნელ-ნელა ალტერნატიული ინფორმაციის წყაროებს გააჩენს, რომელიც რუსეთის იდეოლოგიაში არ ჩაჯდება, რაც ამ რეგიონებში ჯანსაღ დისკუსიებს შეუწყობს ხელს. ცოტნიაშვილი პოზიტიურად უყურებს მშვიდობის ჟურნალისტიკის როლს. თვლის, რომ ეს არის მნიშვნელოვანი, თუმცა, მხოლოდ მედია, ნდობის აღდგენის საქმეში სასწაულებს ვერ მოახდენს.

ოკუპირებული რეგიონების მედიაზე მსჯელობს პროფესორი ლევან გერაძეც. ამბობს, რომ ამ რეგიონების მედიის არა კეთილგანწყობილი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ ამ ვითარებაში ბუნებრივი მოვლენაა. „საქართველოს მიმართ პოზიტიური ხასიათის მასალების მომზადება, ეს იმ საზოგადოებებში არც კარგი ტონია და პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ზოგად გენერალურ ხაზს, რომელიც იქ პრევილირებს და რომლის ავტორები ნამდვილად არ არიან აფხაზები“ - ამბობს გერაძე.

თვლის, რომ ოკუპირებული რეგიონების მედიას დღის წესრიგს რუსეთი უდგენს. მიუხედავად ამისა, ფიქრობს, რომ დღევანდელ დროს არცთუისე ადვილია საზოგადოებები დიდ ხანს აცხოვრო ტყუილში, რადგან ფაქტების გადამოწმების საშუალება უკვე არსებობს ამ ინტერნეტის ეპოქაში. თვლის, რომ საქართველოს მხრიდან არსებობს ალტერნატიული მედიარესურსის შექმნის საჭიროება, თუმცა ეს ახალი რესურსი არ უნდა ჩაებას პროპაგანდაში. გერაძის აზრით, პოზიტიური იქნება მხოლოდ ობიექტური, საერთაშორისო სტანდარტებზე მომუშავე მედიის არსებობა.

„კავკასიის რეგიონალური უსაფრთხოების ინსტიტუტის“ დირექტორს ალექსანდრე რუსეცკი ოკუპირებული რეგიონების მედიის ერთ საერთო თავისებურებაზე საუბრობს. მისი აზრით, ამ რეგიონებს მედიატრიბუნას საერთოდ არ უთმობს გალისა და ახალგორის მოსახლეობას. ამისი მიზეზი კი ის არის, რომ ამ საზოგადოებებს არ სურს აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გამოყოფა საქართველოსგან. არსებული პოლიტიკისთვის კი, მსგავსი მოსაზრებები მიუღებელია. თვლის, რომ ამ მედიაში აგრეთვე, საერთოდ არ ისმის არც დევნილი საზოგადოების ხმა.

საქართველოს მიმართ ნეგატიური ხასიათის მასალების სიმრავლეზე ცხინვალის რეგიონის მედიაში საუბრობს „სტუდია რე“-ს ხელმძღვანელი მამუკა ყუფარაძე. აღნიშნული ორგანიზაცია თავის გადაცემაში სისტემატიურად აშუქებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს იმ ჟურნალისტების დახმარებით, რომლებიც მათთვის ამ რეგიონებიდან მუშაობენ. ყუფარაძის დაკვირვებით, საქართველოს მიმართ აფხაზეთის მედიაზე ნეგატიურად განწყობილია ცხინვალის რეგიონის მედია. მისი მოსაზრებით , მედია ამ რეგიონში არსებულ ყველა წარუმატებლობას საქართველოს აბრალებს. ყუფარაძე ალტერნატიული მედიის შექმნის შესახებაც საუბრობს და თვლის, რომ ასეთი მედია შესაძლოა, თავადაც პროპაგანდის მკეთებელი გახდეს. მისი აზრით, ამ საფრთხისგან თავის ასარიდებლად, სავსებით საკმარისი იქნება, თუ აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობისთვის, მხოლოდ ითარგმნება ქართული მედიის მომზადებული მასალები.

ოკუპირებული რეგიონების მედიის ძირითად ტენდენციებზე მოსაზრებებს პროფესორი ხათუნა მაისაშვილიც გვიზიარებს. თვლის, რომ:

„ ეს ჩარჩოები საკმაოდ სტერეოტიპიზებულია, და ასე იყო კონფლიქტის დაწყების დღიდან. მაგალითად: „საქართველო მტრულია“, „საქართველო ჩვენს სახელმწიფოებრიობას ებრძვის“, „ქართველი და აფხაზი სხვადასხვა იდენტობების მატარებლები არიან“... შეიძლება მოხდეს ისეც, რომ მედიამ საერთოდ ამოაგდოს თავისი დისკურსიდან „საქართველოს“ ხსენება, როგორც სივრცისა, რომელიც არანაირად არ არის მნიშვნელოვანი აფხაზისთვის ან ოსისთვის. საკმაო ხნის განმავლობაში ეს მედიური სტრატეგია „წარმატებით გამოიყენებოდა“ აფხაზურ მედიაში, საქართველო, როგორც მნიშვნელობისგან დაცლილი ადგილი.

რაც შეეხება რუსეთს, მისი მედიური რეპრეზენტაცია ყოველთვის ერთი მიმართულებით ხდებოდა: რუსეთი, რომელმაც სახელმწიოფრიობა გააღვივა აფხაზებში, რუსეთი - მერე-რა, რომ „დიდი აგრესორია“, იგი „პატარა აგრესორისგან“ - საქართველოსგან გვიცავს; რუსეთი - რომელმაც აღიარა აფხაზეთის ან ოსეთის დამოუკიდებლობა ... როგორც წესი, რუსეთი ღიად არასდროს განიხილება მედიურ წყაროებში, როგორც „ოკუპანტი“, როგორც „აფხაზური წესრიგის“ გამაკონტროლებელი, მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურ საზოგადოებაში არსებობს საპროტესტო განწყობა აფხაზეთის რუსულ კოლონიად ქცევის წინააღმდეგ“- საუბრობს ხათუნა მაისაშვილი. მისი აზრით, ოკუპირებული რეგიონების მედია მოკლებულია შესაძლებლობას იყოს თავისუფალი. მშვიდობის ჟურნალისტიკის პრინციპებზე მომუშავე მედიის შექმნის საჭიროებაზე კი ამბობს:

„მშვიდობის ჟურნალისტიკა ბევრად უფრო რთული საკეთებელია, ვიდრე ომის ჟურნალისტიკა. სინერგია „ომის მკეთებლებსა“ და „ნიუსის მკეთებლებს“ შორის უფრო მეტად არსებობს, ვიდრე მშვიდობისა და ნიუსის მკეთებლებს შორის“- აცხადებს პროფესორი ხათუნა მაისაშვილი.

ოკუპირებული რეგიონების მედიას არ აკვირდება, თუმცა ქართულ მედიაში რუსულ პროპაგანდას უკვე წლების განმავლობაში სწავლობს „ მედიის განვითარების ფონდი“. ორგანიზაციის ხელმძღვანელი თამარ კინწურაშვილი ამბობს, რომ რუსეთის პროპაგანდა გამოკვეთილად ცენტრალიზებულია, წარმოადგენს რუსეთის მთავრობის ერთ-ერთ მძლავრ იარაღს საზოაგდოებრივი აზრის სამართავად. კინწურაშვილი თვლის, რომ რუსული პროპაგანდა უკვე გასცდა ტრადიციული მედიის ტრიბუნას და წარმატებულად იყენებს თავისი მოგონილი ფაქტების გასავრცელებლად ისეთ დემოკრატიულ ინსტიტუტებსაც კი, როგორიც სოციალური ქსელებია. თვლის, რომ რუსეთმა შეძლოს ეს პლურალისტური ტრიბუნებიც კი ბოროტად გამოიყენოს. თვლის,

რომ რუსული პროპაგანდა საფრთხეა, რომელსაც მხოლოდ მედია ვერ დაუპირისპირდება. თვლის, რომ აუცილებელია პროპაგანდას ქმედითი ნაბიჯებით სახელმწიფო დაუპირისპირდეს.
თვისებრივი კვლევით გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები:
რესპონდენტები თავიანთი პირადი დაკვირვებით ადასტურებენ ჰიპოთეზის ობიექტურობას, რომლის თანახმადაც ოკუპირებული რეგიონების მედია მტრის ხატს ქმნის საქართველოსგან, რუსეთს კი ცალსახად მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში წარმოაჩენს. რესპონდენტების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ ოკუპირებული რეგიონების მედიას ჰქონდა და დღესაც აქვს საქართველოს ამბებისთვის ან უმნიშვნელოს სტატუსის მინიჭება ტენდენცია, ან მხოლოდ უარყოფით ჭრილში გაშუქება. რეპონდენტები აგრეთვე, აღნიშნავენ, რომ ოკუპირებული რეგიონების მედიაა არაა თავისუფალი და ის პროპაგანდის ერთ-ერთი იარაღია. ამ ვითარებიდან გამომდინარე, ოკუპირებული რეგიონების მედია არ/ვერ იცავს ჟურნალისტიკის სტანდარტებს და ვერ ქმნის ობიექტურ მედია პროდუქტს.

## დასკვნა

კვლევის შედაგად დასტურდება ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის ადგილობრივ მედიაში, იქმნება მტრის ხატი საქართველოს სახით. ამასთან ერთად რუსეთი წარმოჩენილია, როგორც მეგობარი, მხარდამჭერი სახელმწიფო. რუსეთი გაშუქებულია მხოლოდ პოზიტიურ ჭრილში, მაშინ როდესაც საქართველო გაშუქებულია სრულად ნეგატიურად. სტატიების შინაარსობრივი გაანალიზება გვაჩვენებს, რომ ორივე რეგიონის ამბებზე მომუშავე აღნიშნული ვებგვერდებისთვის პრიორიტეტული იყო აფხაზეთის და ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებების თანამშრომლობა რუსეთთან. აქცენტები კეთდებოდა თანამშრომლობაზე სამხედრო, სოციალურ, კულტურულ და სპორტულ სფეროებზე. იმ 261 ჟურნალისტური ნამუშევრიდან, რომელიც გაავანალიზე, არ გამოვლინდა არც ერთი საქართველოს მიმართ დადებითი ტენდენციის მქონე ნამუშევარი, აგრეთვე არ გამოვლინდა არც ერთი უარყოფითი ტენდენციის მქონე ნამუშევარი რუსეთის მიმართ. მასალების შედარება მთლიანობაში ასეთ სურათს გვაძლევს: 180 ნამუშევარში ჩანს დადებითი ტენდენცია/ტონი რუსეთის მიმართ; 70 მასალაში უარყოფითი ტენდენცია საქართველოს მიმართ; და მხოლოდ 11 მასალა იყო ნეიტრალური-ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მომზადებული.
კვლევის შედეგად გამოიკვეთა ერთი ტენდენციაც, რომელსაც არ მოიცავდა ჰიპოთეზა. აღმოჩნდა, რომ ოკუპირებული რეგიონების რუსულენოვანი ინტერნეტმედია ნაკლებად უთმობს ყურადღებას საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, მაშინ, როდესაც აშუქებს რუსეთში მიმდინარე იმ მნიშვნელოვან მოვლენებსაც, რომელიც უშუალოდ კავშირში არაა არც აფხაზეთთან და არც ცხინვალის რეგიონთან. ასევე უნდა ითქვას, რომ მედია არ უთმობს თავის ტრიბუნას ადამიანებს, რომლებიც არ არიან მომხრეები აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის საქართველსგან გამოყოფის. კვლევის პერიოდში არც ერთ ჟურნალისტურ ნამუშევარში არ ჩანდა გალის რაიონის (აფხაზეთის რეგიონის ნაწილი, სადაც უმეტესად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს) და ახალგორის (ცხინვალის რეგიონის ნაწილი, სადაც უმეტესად ეთნიკურად ქართველი მოსახლეობა ცხოვრობს) მოსახლეობის შეხედულებები. მედია არაა დამოუკიდებელი, შესაბამისად მიჰყვება იმ დისკურსს, რომელსაც არსებული პოლიტიკური გარემოს შემქმნელები კარნახობენ.
მედიის ასეთი ძირეული პრობლემები, აფერხებს კრიტიკული, პლურალისტური გარემოს შექმნას. ყოველივე ეს მშვიდობისთვის ხელისშემშლელი ფაქტორია.
კვლევა მნიშვნელოვანია, რადგან აჩვენებს რა ძალა აქვს მედიას და როგორ შეიძლება ამ ძალის საზოგადოებისთვის სასიკეთოდ გამოყენება. აბა, ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, როგორი დისკუსიები წარმოიქმნება საზოგადოებაში, თუ ამ რეგიონების მედია დაიწყებს ჟურნალისტური სტანდარტებთ მუშაობს?! თუ დღეს აჩვენებს სამხედრო თანამშრომლობის ამსახველ კადრებს რუსეთთან, ხვალ კი საქართველოს აფხაზებისა და ოსებისთვის შეთავაზებულ სოციალურ პროექტებს გააცნობს აუდიტორიას, თუ ერთ დღეს ტრიბუნას დაუთმობს ადამიანს, რომელიც ამ რეგიონების გამოყოფა სურთ საქართველოსგან, ხოლო მეორე დღეს მოქალაქეს, რომელსაც მსგავსი სურვილი არ აქვს. ამის გაკეთება კი შესაძლებელია მხოლოდ თავისუფალ მედიაში, რომელიც სამწუხაროდ, ამ დროისთვის, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონში არ არსებობს. შესაბამისად, უნდა გაიზარდოს იმ მედიის ცნობადობა, რომელიც მუშაობს ამ რეგიონის ამბებზე და ამას აკეთებს ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით. საუბარია მედიაზე, რომელიც არაა მხარე და რომელსაც შეუძლია საზოგადოების ინფორმირება და არსებული ვითარების ობიექტურად წარმოჩენა. მათ უნდა შესთავაზონ ამ საზოგადოებების, გასაგებ ენაზე ჟურნალისტური სტანდარტების დაცვით მომზადებული მედია ნამუშევრები. კვლევისას გამოითქვა მოსაზრება, რომ საჭიროა სახელმწიფოს მხრიდან ახალი მედიის შექმნა ამ რეგიონებისთვის. იდეას ოპონენტებიც ჰყავს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ასეთი ტიპის მედია თავადაც გახდება პროპაგანდის მკეთებელი და ვერასდროს მოიპოვებს ნდობას. შესაბამისად, საჭიროა არა „ბრძოლის იარაღის“ შექმნა, არამედ არსებული, ობიექტური მედია რესურსების მიმართ გზების გახსნა. სასურველია ასეთი ტიპის მედიამ გააქტიუროს თავისი საქმიანობა ამ რეგიონების მიმართ, გააშუქოს რეგიონებში არსებული ვითარება და აუდიტორიას შესთავაზოს განსხვავებული ხედვები. თუმცა ამ დროისთვის, საერთაშორისო სამართალს მიღმაა ვითარება, რომელიც აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონშია. ადვილი არააადგილზე არსებული ვითარების გაშუქება. შესაბამისად, მედიას ანალიტიკური მასალების,

დისტანცირებულად კეთების შესაძლებლობა აქვს, რაც ასევე მნიშვნელოვანია. მედიამ უნდა გამოიყენოს ის შესაძლებლობები, რაც მას რჩება, რათა საზოგადოება არ დარჩეს სტერეოტიპების ტყვეობაში.
ის ფრეიმები, რომელიც დღეს აქტიურად იქმნება ამ რეგიონის ინტერნეტმედიაში, კიდევ უფრო დააშორებს ადამიანებს. ჩვენ ამ კვლევით ვხვდებით, რომ პრობლემა სახეზეა და საჭიროა ცვლილებები. ამ შემთხვევაში დრო იმ საზოგადოების წინააღმდეგაა, რომელსაც უნდა ცივილური სამყაროს ნაწილი იყოს. იზრდებიან თაობები, როლებიც სწორხაზოვნად უყურებენ კონფლიქტს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, რომელთა დიდი ნაწილისთვისაც ქართველები არიან მტრები, რუსები კი, მფარველები. ამ მოცემულობას მათ ისტორიის სახელმძღვანელოებთან ერთად მედიაც სთავაზობს და ყოველდღიური მიმდინარე ამბების ტენდენციური გაშუქებითაც ამაში არწმუნებს.
კვლევა აჩვენებს, რომ დიდია საჭიროება ობიექტური ინფორმაციის წყაროების არსებობის. ტენდენციურ მედიას, რომელიც შორსაა მშვიდობის ჟურნალისტიკისგან, კონფლიქტის ყველა მხარე ისევ ომში შეჰყავს, ამ შემთხვევაში, საინფორმაციო ომში.

**ბიბლიოგრაფია**


General Assembly Adopts Resolution Recognizing Right of Return for Refugees, Internally Displaced Persons in Georgia, Regardless of Ethnicity,2016. https://www.un.org/press/en/2016/ga11785.doc.htm
Russia Gains Military Base in Abkhazia", RFE/RL, 17 February 2010.
"Russia to Sign Deal on Military Base in South Ossetia", RIA Novosti, 6 April 2010.
"Report of the IIFFMCG", Op. Cit.
Entman, R. (1993). Framing: Toward clarification of a fractured paradigm. Journal of Communication. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.
Tuchman, Gaye 1978. Making news: A study in the construction of reality. New York: Free Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.
Erving Goffma, 1974. Frame analysis. Cambridge, MA, US: Harvard University Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.
Gamson,W.A., & Modigliani,A. (1987). The changing culture of affirmative action ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 3 თებერვალი.
Research in Political Psychology, 3, 137-177.ნახვის დრო: ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.
Stephen D. Reese, 2007, The Framing Project: A Bridging Model for Media Research Revisited. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 10 თებერვალი.
frame elite policy discourse. Political Communication, 18, 183-212. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.
Per Gahrton. 2010. Georgia: Pawn in the New Great Game. Published by: Pluto Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.
Daniel C. Kurtzer, Scott B. Lasensky, William B Quandt, Steven L. Spiegel, and Shibley Z. Telhami, 2010, წიგნში: The Peace Puzzle: Appendices and Resources.ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 2 მარტი.
Anuradha Chenoy.2013. The Russian-Georgian Confrontation. Published by: Economic and Political Weekly. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
CEDRIC RYNGAERT and SVEN SOBRIE. 2011. International Law or Realpolitik? The Practice of Recognition in the Wake of Kosovo, South Ossetia, and Abkhazia. Journal of International Law. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
Duncan French. Statehood and Self-Determination.2013. Publisher: Cambridge University Press. Subjects: Public International Law , UN and International Organisations.ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
TED HOPF.2005.,, იდენტობა, ლეგიტიმაცია და სამხედრო ძალის გამოყენება: რუსეთის დიდი სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთში." ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
Alex Austin. Martina Fischer. Norbert Ropers (Eds) Transforming Ethnopolitical Conflict. The Berghof Handbook. Москва 2007. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
Alexander Cooley და Lincoln Mitchell. 2014. Abkhazia on Three Wheels. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
Per Gahrton.2014. Georgia: Pawn in the New Great Game. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
Grace Bolton. 2013. International responses to the secession attempts of Kosovo, Abkhazia and South Ossetia. Publisher: Cambridge University Press. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 7 მარტი.
ანგარიში: ,,საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისია. 2009 წელი. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 27 იანვარი. 13:00 მისია." http://new.smr.gov.ge/Uploads/eb7e7f.pdf
„ კონფლიქტების გაშუქება თანამედროვე ქართულ ბეჭდურ მედიაში", ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრის ნინო მანიაშვილისამაგისტრო ნაშრომი. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 27 იანვარი.
„რუსეთ-საქართველოს ომის გაშუქება საერთაშორისო მედიაში" - ავტორები: ლაშა ბაქრაძე, ნინო დანელია, ზაზა თორია, ანა ქეშელაშვილი და თიკო ცომაია. ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 27 იანვარი.

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის და ჯორჯ ქენანის რუსეთის კვლევების ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიში, გადმოწერილის ლინკი: gau.ge/sites/default/.../Bulletin%20№02,%202013.doc ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 21 იანვარი, 15:30

,, მედიის განვითარების ფონდის" (2012 წელი) კვლევა: ,, კონფლიქტების გაშუქება ქართულ მედიაში" ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 19 იანვარი. 17:00 http://eurocommunicator.ge/mdf/uploads//Konfliktebis_gashukeba_qartul_mediashi.pdf

ტელევიზია ,,ერთსულოვნება" გადაცემების ციკლი ,,მედია ოკუპირებულ ტერიტოეიებზე. ბოლო ნახვის დრო 2017 წლის 22 იანვარი. 20:00 საათი. http://www.myvideo.ge/v/2434026

,, სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი"- ის კვლევა: ,, დემოკრატიზაციის პროცესი, რეგიონული კონტექსტი, ეროვნული უმცირესობები და კონფლიქტების ტრანსფორმაცია."(2011 წლის ივლისი-სექტემბერი) ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.17:10

Johan Galtung (1998); War Journalism; Peace Journalism; ბოლო ნახვის დრო: 2017 წლის 22 იანვარი.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №6, თებერვალი, 2018

Journal of Young Researchers, No. 6, February, 2018

# ციფრული უთანასწორობა ქართულ სოციუმში

**ილონა გოგია***

დოქტორანტი, კულტურისა და მედიის სოციოლოგიის მიმართულება
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ნანა მაჭარაძე**

დოქტორანტი, სოციოლოგიის მიმართულება
საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი

---

**რეზიუმე**

ახალი ინფორმაციული ერა ძირითადად ინტელექტუალურ ტექნოლოგიას ემყარება, რაც საშუალებას გვაძლევს საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და სოციალური ცვლილებების ახალ პრინციპზე ვისაუბროთ, რომელიც უპირველეს და უმთავრეს მნიშვნელობას თეორიულ ცოდნას, როგორც განახლების მთავარ წყაროს ანიჭებს და შესაბამისად ტექნიკური პროგრესის ბუნებას ცვლის.

2016 წლის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 40%-ზე მეტი იყენებს ინტერნეტს, რაც 5%-ით უსწრებს 2015 წლის მაჩვენებელს. მიუხედავად იმისა, რომ ინტერნეტიზაციის ხარისხი იზრდება, ეს მაინც არ არის ციფრული უთანასწორობის აღმოფხვრის გარანტია. ამ სტატიის ფარგლებში ციფრული უთანასწორობა მხოლოდ მზაობის და ინტენსიურობის ინდიკატორების მეშვეობით იქნება შესწავლილი, რადგან ციფრული უთანასწორობის ინდიკატორთაგან საქართველოში ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების მატერიალური ხელმისაწვდომობა - ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს. რაც შეეხება ციფრული უთანასწორობის შემდეგ ინდიკატორებს: ციფრული უნარები და გამოყენების პრაქტიკა აქ აღსანიშნავია, საზოგადოების მიერ ინტერნეტის და ციფრული ტექნოლოგიის ძირითადად გასართობად და კომუნიკაციის მიზნით გამოყენება, რაც ქართველი მომხმარებლის დაბალი დონის ციფრულ უნარებზე მეტყველებს.

ციფრული უთანასწორობა არ არის მხოლოდ ერთ განზომილებიანი პრობლემა და ის მრავალ დონეზე არსებობს. ინფორმაციულ ეპოქაში ქვეყანაში არსებული ციფრული უთანასწორობის დონე მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან პირდაპირ კავშირშია. ამ კვლევის შედეგებით დასტურდება, რომ საქართველოში ციფრული უთანასწორობა არსებობს და ამის ერთ-ერთი მიზეზი ინტერნეტზე ხელმიუწვდომლობა და ციფრული უნარების ნაკლებობაა.

**საკვანძო სიტყვები:** ციფრული უთანასწორობა, ინფორმაციული საზოგადოება, ინტერნეტი, სოციალური მედია, ციფრული ტექნოლოგიები, ციფრული წიგნიერება.

---

*ელფოსტა: ilonagogia@gmail.com

Abstract

The new informative era primarily is based on intellectual technology that allows us to talk about a new principle of social organization and social change, which gives main importance for theoretical knowledge as the main source of renewal and thus changes the nature of technical progress.

According to the data of 2016, more than 40% of Georgian population uses the Internet, which is 5% ahead of the index of 2015. While the quantity of internet users is growing, this is not a guarantee of the elimination of digital divide.

Within the present work digital inequality will be studied only through readiness and intensity indicators becasue from the digital inequality indicators the material or physical availability of information-communications technology in Georgia is still a problem. As for the following indicators of digital inequality - digital skills and usage practices - the vast majority of Internet users actively use social networks in Georgia. The use of the Internet and digital technology by the public mainly for entertainment and communications, demonstrates the low level of digital skills of the Georgian user.

Digital inequality is not only a single dimensional problem and it has many levels. The level of digital inequality in the information era is directly related to economic and social development of the country. The results of this study confirm that there is a digital inequality in Georgia and one of the reasons is lack of access to the Internet and lack of digital skills.

Keywords: Digital Divide, Information Society, Internet, Social Media, Digital Technologies, Digital Literacy

## შესავალი

ბოლო წლების განმავლობაში ტერმინმა „ციფრული უთანასწორობა“ სოციალურ მეცნიერებებში დიდი პოპულარულობა შეიძინა. “ციფრული უთანასწორობა ციფრული ტექნიკის მფლობელებსა და არამფლობელებს შორის უთანასწორობას გულისხმობს. ის განათლებულებსა და გაუნათლებლებს, ეკონომიკურ კლასებს, ქალაქებსა და გარეუბნებს, ხოლო გლობალურ დონეზე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის არსებობს”. (Gurstein. 2003, p. 2) ამ საკითხის კვლევა მეოცე საუკუნის ბოლოს დაიწყო და ყველაზე აქტიურად მას სოციოლოგები სწავლობენ. სოციოლოგებისათვის ციფრული უთანასწორობა საინტერესოა, რადგან ის როგორც სოციალური ფენომენი, სხვადასხვა სოციალური სისტემის შიგნით ციფრული ტექნოლოგიების გავრცელებას და გავლენას გულისხმობს.

თითოეული ქვეყნის ეკონომიკური სისტემა განსხვავებულია და სხვადასხვა გამოწვევების წინაშე დგას, რომლებიც მის გეოგრაფიასთან, ინფრასტრუქტურულ მოთხოვნებთან, სოციო–ეკონომიკურ სტრუქტურასთან, ასევე ფინანსურ რესურსებთან და შესაძლებლობებთან არის დაკავშირებული. თუმცა, ეროვნულ კონტექსტში შესაბამისი პოლიტიკის განვითარებაც არანაკლებ მნიშვნელოვანია. კერძოდ კი იმ ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, რომლებიც ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების მაღალი მაჩვენებელით ხასიათდებიან, მოცემულ კონტექსტში ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის მნიშვნელობის მიუხედავად. აუცილებელია ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარება – დანერგვის და განხორციელების სტრატეგიული მიდგომების შემუშავება და ისეთი სერვისების საჭიროებასთან, როგორიცაა მაგალითად, ელექტრონული მმართველობა – ინტეგრირება, სადაც საკომუნიკაციო მოწყობილობებისა და სერვისების ხელმისაწვდომობა, იმ უნარების ბაზისური ათვისება, რომლებიც ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ეფექტიანობას მაქსიმალურად ხელსუწყობს -უზრუნველყოფილია.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) 2015 წლის ანგარიში „ინფორმაციული საზოგადოების ანალიზი“, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების და მათ შორის, საქართველოს ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსს (IDI) ადგენს და აქცენტს ციფრული განხეთქილების პრობლემაზე აკეთებს. დსთ–ს რეგიონში საქართველო მე–7 ადგილზეა 2015 წლისათვის და მხოლოდ უკრაინას და ყირგიზეთს უსწრებს. მისი ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის მაჩვენებელია 5.25. რაც შეეხება გლობალურ რეიტინგს, აქ საქართველო 78 – ე ადგილს იკავებს.

2016 წელს საქართველოში ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა 2015 წელთან შედარებით 5%-ით გაიზარდა.

ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობის ზრდა და ქვეყნის ინტერნეტიზაციის სწრაფი ტემპი ინფორმაციული საზოგადოების შექმნას უწყობს ხელს.

**თეორიული ჩარჩო**

ციფრული უთანასწორობის, როგორც სოციალური პრობლემის აქტიურად შესწავლა სოციალური მეცნიერების წარმომადგენლებმა XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყეს. ციფრული უთანასწორობის კვლევები ძირითადად ორ მიმართულებას მოიცავს: პირველი ესაა, ციფრული უთანასწორობა სახელმწიფოებს შორის, კერძოდ, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებში ტექნოლოგური ინფრასტრუქტურისა და ქსელური საზოგადოების განვითარების დონის ანალიზი; მეორე კი ქვეყნის შიგნით არსებული ციფრული უთანასწორობის და ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ინდექსის შესწავლაა.

ჰოლანდიელი სოციოლოგი ჟან ვან დაიკი, რომელიც ქსელური საზოგადოების პრობლემების კვლევით არის დაინტერესებული, და ის ინფორმაციული საზოგადოების განვითარების შემაფერხებელ ოთხ ფაქტორს გამოყოფს. ქვეყნის შიგნით არსებული ციფრული უთანასწორობის საზომ ვან დაკის მიერ შემოთავაზებული ინდიკატორებს წარმოადგენენ:

1. ციფრული გამოცდილების ნაკლებობა, რისი მიზეზიც არის ახალი ტექნოლოგიებისა და კომპიუტერის მიმართ დაუინტერესებლობა და შიში. (მოტივაციური ხელმისაწვდომობა).
2. კომპიუტერის ან ინტერნეტის არ ქონა (მატერიალური ანუ ფიზიკური ხელმისაწვდომობა).
3. ციფრული უნარჩვევების ნაკლებობა, რაც მომხმარებლის არაადექვატური განათლებით და სოციალური მხარდაჭერის არ ქონით არის გამოწვეული (უნარის არ ქონა).
4. კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის არ ქონა (გამოყენების ხელმისაწვდომობა). (Dijk. J. 2012, p.178)

ინფორმაციული საზოგადოების მრავალი მკვლევარი ყურადღებას ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების გზების ცოდნაზე ამახვილებს, რაც კომპიუტერისა და სხვა ინფორმაციული ტექნოლოგიების წარმატებით გამოსაყენებლად არის აუცილებელი. ინფორმაციული უნარი კომპიუტერითა და ელექტრონული რესურსების გამოყენებით ინფორმაციის ძებნის, შერჩევისა და გადამუშავების უნარს წარმოადგენს. შეიძლება ორი ტიპის ინფორმაციული უნარი განვასხვაოთ: ფორმალური ინფორმაციული უნარი (კომპიუტერის ფორმალური ხასიათის პროგრამებთან მუშაობის შესაძლებლობა, მაგ. ფაილები და ჰიპერლინკის სტრუქტურები) და ინფორმაციული უნარები (კომპიუტერისა და ელექტრონული რესურსების გამოყენებით ინფორმაციის მოძიების, შერჩევის, დამუშავების და შეფასების უნარი/შესაძლებლობა).

და ბოლოს, სტრატეგიული უნარი ეს არის კონკრეტული და ზოგადი მიზნის მისაღწევად, ანუ სოციალური პოზიციის გასაუმჯობესებლად კომპიუტერის და ელექტრონული/ციფრული რესურსების გამოყენების უნარი.

როგორც ციფრული უთანასწორობის მკვლევარი მაიკლ გურშტეინი განიხილავს – ICT ტექნოლოგიების წვდომის და გამოყენების პროცესში გაჩენილი უფსკრული რამდენიმე კრიტერიუმით არის განპირობებული, ესენია:

- ტექნიკური: არსებობს ქვეყნები, რომლებსაც არ გააჩნიათ ტექნიკური ინფრასტრუქტურა ამ ტექნოლოგიის მხარდასაჭერად - ელექტროენერგიის არცთუ უმნიშვნელო დონეზე. თუმცა, შეიძლება არსებობდეს შემდგომი შეზღუდვები, მაშინაც კი, თუ ქვეყანას აქვს წვდომა კომპიუტერებზე და ელექტროენერგიაზე - ფართოზოლოვან სერვისს შეუძლია შეზღუდოს მულტიმედიური გამოყენება - განსაკუთრებით მოძრავი ვიდეოს.
- გენდერი: ICT ტექნოლოგიებში უფრო ნაკლებად ჩართული არიან გოგონები, , ვიდრე ბიჭები. ეს ხომ არ ხდება იმიტომ, რომ ქალებისა და გოგონებისთვის არ არის ამისთვის ხელსაყრელი გარემო?
- პოლიტიკური: არსებობს ქვეყნები, სადაც ადამიანებს არ აქვთ ინტერნეტში შესვლის უფლება, რადგან მთავრობებს სურთ გააკონტროლონ ინფორმაციის ნაკადები.
- მოტივაცია: არსებობენ ტექნოფობები, რომლებსაც აქვთ ტექნოლოგიის შიში და არ გამოიყენებენ მას, იმის მიუხედავად, რომ მათ შეიძლება ჰქონდეთ ამ ტექნოლოგიებზე წვდომა.

- ლინგვისტური: ინტერნეტი ხელმისაწვდომია მხოლოდ გარკვეულ ენებზე, ხოლო ყველაზე დიდი საინფორმაციო წყაროები ინგლისურ ენაზეა.
- წიგნიერება: თუ მომხმარებელი არ არის განათლებული და არ შეუძლია კითხვა, მისთვის ინტერნეტის გამოყენება სერიოზულად შეზღუდულია. ისევე როგორც ახალი ფრანგული ტერმინი "ილექტრონიზმი" რაც ნიშნავს იმას, რომ ადამიანები ელექტრონულად წერა-კითხვის უცოდინარი არიან. (Gurstein.2003. 2)

ციფრული უთანასწორობის ტრადიციული ხელმისაწვდომობის პრობლემაზე ორიენტირებული კვლევები ტექნოლოგიის ფლობას და ხელმისაწვდომობის საკითხს სწავლობდა, ახლა კი საჭიროა ტექნოლოგიის საზღვრებს გავცდეთ და მომხმარებლების შესწავლაზე გადავიდეთ.

რაც უფრო მეტი ადამიანი იწყებს ინტერნეტის გამოყენებას კომუნიკაციისა და ინფორმაციის მოძიებისთვის,მით უფრო ნაკლებად საინტერესოა დემოგრაფიული განსხვავებების მიხედვით მისი შესწავლა, თუ ვინ არის ქსელში ჩართული. ჩვენ უნდა დავინტერესდეთ ინდივიდის მიერ ინტერნეტის გამოყენების მიზნებსა და უნარებს შორის არსებული განსხვავებებით. (Hargittai. 2001, p.1)

ცოდნის საზოგადოებაში ინფორმაცია გახდა ისეთი „საქონელი“, რომელიც საზოგადოებაში არსებობისათვის ყველას სჭირდება. ინდივიდებს ასევე სჭირდებათ კულტურული კაპიტალი ინფორმაციის სათანადოდ გამოსაყენებლად. კულტურული კაპიტალი საზოგადოებაში არათანაბრად არის განაწილებული. ინფორმაციულ საზოგადოებაში ინფორმაცია პოზიციური საქონელი გახდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი მოპოვება ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ ბრძოლაში ყველაზე მნიშვნელოვან საქმიანობად იქცა. (Castells. 2010, p. 134)

ინდივიდის პოზიცია ქსელის შიგნით და გარეთ სასიცოცხლო მნიშვნელობის მატარებელია, ვინაიდან საზოგადოებაში მის შესაძლებლობებს და ძალაუფლებას სწორედ ეს პოზიცია განსაზღვრავს.

თანამედროვე ეპოქაში ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიები სოციალური ინსტიტუტების არსებობისა და ფუნქციონირების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია. ამ ტექნოლოგიების განათლებისა და დასაქმების სფეროებზე გავლენა თანდათანობით იზრდება, რაც განათლებისა და შრომის დანაწილების ტრადიციული ფორმების ცვლილებებს იწვევს. მსოფლიოს მასშტაბით ციფრული ტექნოლოგიები არნახული სისწრაფით ვრცელდება, თუმცა, მათი განვითარებით მიღებული სარგებელი ამ დინამიკას საგრძნობლად ჩამორჩება.

ჩვენი აზრით, ამ საკითხის გასაანალიზებლად ჟან ვან დაიკის მიერ შემოთავაზებული კლასიფიკაცია უფრო რელევანტურია, რადგან ის ქვეყნის შიგნით არსებული ციფრული უთანასწორობის შესასწავლად უფრო სრულყოფილ მოდელს გვთავაზობს, სადაც მრავალი ფაქტორია ჩართული. ამ სტატიაში ძირითად თეორიულ ჩარჩოდ გამოყენებულია მხოლოდ ვან დაიკი, თუმცა ჩვენ ასევე მხედველობაში ვიღებთ ამ თემაზე არსებულ სხვა თეორიულ და კვლევით ნაშრომებს.

## მეთოდოლოგია

საქართველოში ციფრული უთანასწორობის გასაანალიზებლად გამოკითხვისა და დოკუმენტების ანალიზის მეთოდი იქნა გამოყენებული. კერძოდ, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის[1], საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია და მსოფლიო ბანკის 2016-2017 წლების სტატისტიკური მონაცემები. ეს სამი ორგანიზაცია კვლევებს ქვეყანაში ინფორმაციული საზოგადოების ტენდენციების გამოსავლენად ყოველწლიურად ატარებს.

მასობრივი გამოკითხვა რაოდენობრივი კვლევის მეთოდია, რომელიც გამოყენებულია ქართული საზოგადოების დამოკიდებულებებისა და მოსაზრებების შესასწავლად. გამოკითხვა 2015 წლის ზაფხულში ჩატარდა. გამოკითხვის მეთოდი პირისპირ ინტერვიუები იყო. კვლევის ინსტრუმენტია ანკეტა, რომელიც ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ კითხვებს მოიცავდა. კვლევის სამიზნე ჯგუფია საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე. შერჩევის ჩარჩოდ 2014 წლის მოსახლეობის საყოლვეთაო აღწერის შედეგებია გამოყენებული. შერჩევის მოცულობა განისაზღვრა 1050 რეპონდენტით. შერჩევის დიზაინი სტრატიფიცირებული, კლასტერული შერჩევის საფუძველზე გაკეთდა. შერჩევის ცდომილება არაუმეტეს 5%-ისა, 95%-იანი სანდოობის ინტერვალით. რაც საშუალებას გვაძლევს მიღებული შედეგები განვაზოგადოთ მთელ საზოგადოებაზე.

საველე სამუშაობის დასრულების შემდეგ განხორციელდა კითხვარების შემოწმება, რედაქტირება და კოდირება. SPSS-ის ბაზაში მონაცემების შეტანის, გაწმენდისა და სტატისტიკური დამუშავების შემდეგ, რაოდენობრივი მონაცემები გაანლიზდა ერთგანზომილებიანი და ორგანზომილებიანი ანალიზის მეთოდების გამოყენებით.

რაოდენობრივი გამოკითხვის მიზანი ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების მიმართ მოსახლეობის არსებული დამოკიდებულებების შესწავლაა.

ჩვენს მიერ მოპოვებული მონაცემები საქართველოში ციფრული უთანასწორობის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობის აღწერის საშუალებას გვაძლევს. მონაცემები ციფრული უთანასწორობის ოთხი ინდიკატორის მიხედვით არის გაანალიზებული. ეს ოთხი იდიკატორი ყველაზე კარგად ასახავს ციფრულ უთანასწორობას და ყველა ფაქტორს ითვალისწინებს. მაგალითად, საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირი ციფრული უთანასწორობის შესწავლისას მხოლოდ ორ ძირითად ინდიკატორს ეყრდნობა. ესენია: მზაობა და ინტენსიურობა.

მსოფლიო ბანკი და საერთაშორიო სატელეკომუნიკაციო კავშირი ქვეყნებს შორის და ქვეყნის შიგნით არსებული ინფორმაციული საზოგადოების განვითარების ხარისხს ინდიკატორთა ოთხ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მახასიათებლით შეისწავლის: მზაობა, ინტენსიურობა, გავლენა და შედეგი. აქედან ციფრული უთანასწორობა მხოლოდ მზაობის და ინტენსიურობის ინდიკატორების მეშვეობით შეიძლება იქნას შესწავლილი.

- ✓ მზაობა, ტექნოლოგიურ და სოციალურ ინფრასტრუქტურის არსებობას გულისხმობს. ეს ინფორმაციული საზოგადოების არსებობის და განვითარების აუცილებელი ნაწილია. მზაობის ინდიკატორი იმ პოტენციალს გვიჩვენებს, რომელიც საზოგადოებას ან აქვს, ან არ აქვს იმისთვის, რომ ინფორმაციული საზოგადოება გახდეს. ის ასევე გვიჩვენებს საზოგადოების მზაობას ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიებისაგან სარგებელი მიიღოს.
- ✓ ინტენსიურობა, ეს არის ის მდგომარეობა, როდესაც საზოგადოება ინფორმაციულ კომუნიკაციური ტექნოლოგიების აპლიკაციებს იყენებს. ინტენსიურობის ინდიკატორი გვიჩვენებს თუ რა მიზნით და რომელი სოციალური ჯგუფები იყენებენ ინტერნეტსა და ციფრულ ტექნოლოგიებს.

---

[1] ITU- International Telecommunications Union

თუმცა ქვეყნის შიგნით არსებული ციფრული უთანასწოროობის სიღრმისეულად და სრულყოფილად შესასწავლად, ჩვენი აზრით, მხოლოდ ეს ორი ინდიკატორი არ არის საკმარისი.

ITU-ს 2016 წლის ანგარიშში[2] მონაცემთა დამუშავების კონცეპტუალური ჩარჩოს და მეთოდოლოგიის გამოყენებით ციფრული განხეთქილება ქვეყნების ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის მეშვეობით განისაზღვრება. მონაცემთა ნორმალიზების მეთოდის გამოყენებით ციფრული განხეთქილების დონის განსაზღვრა ხდება.

2016 წლის ანგარიშის თანახმად 2015 წლისთვის მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანამ თავისი ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის მაჩვენებელი გააუმჯობესა, მაგრამ ქვეყნებს შორის ინტერნეტიზაციის ხარისხის მიხედვით დიდი უთანასწორობა არსებობს.

ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი მსოფლიოში ციფრული ტექნოლოგიების ძალიან ფართო სპექტრის არსებობაზე მეტყველებს. ქვეყანაში მაღალი დონის ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიური რესურსების არსებობა ეკონომიკური და სოციალური განვითარების მაჩვენებელია.

უნდა აღინიშნოს, რომ ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების პოტენციური ზემოქმედება ჯერ კიდევ სხვადასხვა ქვეყნებსა და საზოგადოებებს შორის არსებული ციფრული განხეთქილებითაა განპირობებული. ტელეკომუნიკაციების საერთაშორისო კავშირი (ITU) ინფორმაციულ საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარებისათვის საჭირო ინფრასტრუქტურას და ქვეყნებში ციფრულ უთანასწორობის დონეს შეისწავლის. ამ პრობლემის აღსაწერად ITU-მ თვითონ შექმნა ე.წ. ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი (IDI).

ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი (IDI)[3] ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობის, გამოყენებისა და უნარების ერთობლიობას აერთიანებს.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) 2015 და 2016 წლების წლის ანგარიშები „ინფორმაციული საზოგადოების გაზომვა“, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების და მათ შორის, საქართველოს ინტერნეტ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსს (IDI) ადგენს და აქცენტს ციფრული განხეთქილების პრობლემაზე აკეთებს. ITU-ს 2015 წლის ანგარიშის მიხედვით საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის წევრი ქვეყნები 6 ძირითად რეგიონად იყოფიან: აფრიკა, ამერიკა, არაბული სახელმწიფოები, აზია და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნები, CIS (Commonwealth Independent Countries) დსთ–ს ქვეყნები და ევროპა. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ 2009 წელს დატოვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), როგორც საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის წევრი მაინც დსთ–ს რეგიონში რჩება.

## კვლევის შედეგები

კვლევის შედეგები ოთხი ინდიკატორის მიხედვით არის წარმოდგენილი. ეს ოთხი ინდიკატორია: მოტივაცია, მატერიალური ხელმისაწვდომობა, ციფრული უნარები და გამოყენების პრაქტიკა.

---

[2] 2016 წლის ანგარიშში მოცემული სტატისტიკური მონაცემები 2015წელს არსებულ მდგომარეობას ასახავს.

[3] ICT-ხელმისაწვდომობა, ICT-გამოყენება და ICT-ი უნარების ინდიკტორები 11 ქვეინდექსის მეშვეობით ქვეყანაში არსებული ICT განვითარების ინდექსის მაჩვენებელს ადგენს.

## 1. მოტივაცია

ინტერნეტის და კომპიუტერის გამოსაყენებლად აუცილებელია შესაბამისი მოტივაციის არსებობა. ამიტომ ეს საკითხი ქსელში ჩართვისთვის ერთ-ერთ აუცილებელ ეტაპად არის მიჩნეული. მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურად იზრდება ინტენეტ-ქსელში ჩართულთა რაოდენობა, მაინც არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც არ აქვთ ინტერნეტის გამოყენების სურვილი. ამ პრობლემის ახსნას მეცნიერები ტექნოფობიის ან სხვა კულტურული და სოციალური ფაქტორებით ცდილობენ.

რაოდენობივი კვლევის ფარგლებში საქართველოში ინტერნეტის არგამოყენების ძირითად მიზეზად რესპონდენტები ინტერნეტისა და კომპიუტერის ხელმისაწვდომობის საკითხს ასახელებენ, და მხოლოდ 11,6%-ს მიაჩნია დროის ფუჭ კარგვად. 2,3%-ს გამოყენების სურვილი არა აქვს.

ინტერნრნეტის არ გამოყენების მიზეზებთან მიმართებაში სხვადასხვა ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ. მაგალითად, ინტერნეტისა და კომპიუტერისადმი ინტერესის ნაკლებობა უფრო შესამჩნევია უფროსი ასაკის წარმომადგენლებში, 55-ის და მეტი ასაკობრივ კატეგორიაში. 55-64 ასაკობრივი ჯგუფის 12%-ს დროის ფუჭ კარგვად მიაჩნია, 65+ წლის რესპონდენტთა 12%-ს. ეს მონაცემებიც ადასტურებს იმას, საქართველოში ქსელში ჩართული ადამაიანების უმრავლესობა არს ახალგაზრდობა, ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა.

## 2. მატერიალური ხელმისაწვდომობა

მატერიალური ხელმისაწვდომობა ნიშნავს, რომ ინდივიდს აქვს ან არ აქვს ინტერნეტი და კომპიუტერი. ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული ნაწილის მიერ ინტერნეტის და ინფორმაციული რესურსების ხელმისაწვდომობა ქვეყანაში ციფრული უთანასწორობის არსებობას ნიშნავს. აქედან გამომდინარე, XX საუკუნის 90-იან წლებში სოციალური მეცნიერებებისა და მედია მკვლევარების მთელი ყურადღება სწორედ ამ ინდიკატორზე იყო მიმართული. მათი აზრით, უნივერსალური ინტერნეტიზაცია არსებულ უთანსწორობას თავისთავად აღმოფხვრიდა.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ქსელში ჩართული ადამიანების რაოდენობა გამუდმებით იზრდება.

ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის (IDI) მიხედვით ლიდეროზს კორეის რესპუბლიკა – 8.93 მაჩვენებლით – აზიისა და წყნარი ოკეანის აუზის ქვეყნებიდან, შემდეგია – დანია 8.88 მაჩვენებლით – ევროპის რეგიონიდან. რეგიონების მიხედვით ყველაზე დაბალი საშუალო მაჩვენებელი (პირველი ათეული ქვეყნების) აქვს აფრიკის რეგიონს – მაქსიმუმი 5.41 და მინიმუმ მაჩვენებელი 1.17.

რაც შეეხება დსთ–ს რეგიონის ქვეყნებს, რომელთა შორის შედის საქართველო – ინფორმაციულ საკომუნიკაციო ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის მაქსიმალური მაჩვენებელი რეგიონში აქვს ბელორუსიას– 7.18, საქართველო რეგიონის 9 ქვეყანას შორის მე–7 ადგილზეა და მისი ინფორმაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსი 5.25 შეადგენს, ამ მონაცემით საქართველო რეგიონში უსწრებს უკრაინასა და ყირგიზეთს, თუმცა: ბელორუსიას, რუსეთს, ყაზახეთს, მოლდოვას, აზერბაიჯანს და სომხეთს ჩამორჩება.

*გრაფიკი #1: დსთ-ს რეგიონში IDI ინდექსის მიხედვით დაბალ და მაღალ პოზიციაზე მყოფი ქვეყნები (წყარო: ITU-ს 2016 წლის ანგარიში)*

| | CIS რეგიონის ქვეყნები | IDI Value 2015 | IDI World Rank 2015 | IDI Value 2016 | IDI World Rank 2016 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბელორუსია | 7.18 | 36 | 7.26 | 31 |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2 | რუსეთი | 6.91 | 45 | 6.95 | 43 |
| 3 | ყაზახეთი | 6.20 | 58 | 6.57 | 52 |
| 4 | მოლდოვა | 5.81 | 66 | 5.75 | 68 |
| 5 | აზერბაიჯანი | 5.79 | 67 | 6.28 | 58 |
| 6 | სომხეთი | 5.32 | 76 | 5.60 | 71 |
| **7** | **საქართველო** | **5.25** | **72** | **5.59** | **72** |
| 8 | უკრაინა | 5.23 | 79 | 5.33 | 76 |
| 9 | უზბეკეთი | 3.75 | 110 | 4.05 | 110 |
| 10 | ყირგიზეთი | 4.62 | 97 | 3.99 | 113 |

დსთ–ს რეგიონის ინფრომაციულ–საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის მაჩვენებელია – 2.57, რაც ყველაზე დაბალია რეგიონიულ ჭრილში. ეს მაჩვენებელი ზოგადი ეკონომიკისა და ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების დონის მსგავსებებით არის განპირობებული.

რეგიონულ ჭრილში ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის უმაღლეს და უდაბლეს მაჩვენებლებს, რაც ამავდროულად რეგიონებში ქვეყნების მიხედვით ამ ტექნოლოგიების განვითარების განსხვავებებსაც ასახავს. ამ მხრივ დსთ–ს რეგიონში საქართველო 5.25 მაჩვენებლით მე-7 ადგილზეა და მხოლოდ უკრაინასა და ყირგიზეთს უსწრებს.

აღსანიშნავია, რომ დსთ–ს რეგიონის ყველა ქვეყანა ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების გლობალური ინდექსის პირველ ასეულში შედის[4]. თითქმის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციის ქვეყნების ციფრული ტექნოლოგიების განვითარების ინდექსითაც არ განსხვავდებიან.

რაც შეეხება საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის 2016 წლის ანგარიშში ასახულ მონაცემებს, უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელთან შედარებით მონაცემები თითქმის არ შეცვლილა. ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის (IDI) მაჩვენებლით გლობალურ რეიტინგში 2015 და 2016 წლისთვის საქართველო 72–ე ადგილს იკავებს, რაც CIS რეგიონში (შემავალი 10 ქვეყნიდან) რეიტინგით მე–7–ე ადგილზეა. რეგიონში საქართველოს ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების ინდექსის (IDI) ე.წ ღირებულების მაჩვენებელი 5.59–შეადგენს და უნდა ითქვას, რომ ჩამორჩება რეგიონის საშუალო მაჩვენებელს, რომელიც 5.76–ის ტოლია. თუმცა, 2016 წლისთვის 2015 წელთან შედარებით ეს მაჩვენებელი 0.26 ქულითაა დაწინაურებული. მსოფლიო რეიტინგში ამ ტექნოლოგიების განვითარების (IDI) ხელმისაწვდომობის ქვე–ინდექსის მაჩვენებელმა 76-დან 78 –ე ადგილზე გადაინაცვლა. ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების ქვეინდექსის მაჩვენებელის მიხედვით, 2015 წელს საქართველო მსოფლიო რეიტინგით 83–ე ადგილზე იყო, ხოლო 2016 წლისთვის მე–80–ე ადგილზეა. ინფორმაციულ–კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენების უნარების ქვეინდექსის (IDI) მაჩვენებლით საქართველო 2016 წლისთვის მსოფლიო რეიტინგში ისევე, როგორც 2015 წელს, კვლავაც 53–ე ადგილზეა. ამ მხრივ ცვლილებები არ შეინიშნება.

---

[4] ITU ამ რეგიონის ყველა ქვეყნის მონაცემს არ ფლობს.

საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო კავშირის მონაცემებით საქართველო ინტერნეტიზაციის თვალსაზრისით, მისი რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით გარკვეულ პროგრესს განიცდის.

ITU-ს მონაცემების მიხედვით, 2015 წლისთვის საქართველოს მოსახლეობის შინამეურნეობათა 49.5% ფლობს კომპიუტერს, ხოლო შინამეურნეობების 44.8% აღჭურვილია ინტერნეტით.

2016 წლის 17 მაისს მსოფლიო ბანკმა მსოფლიოს განვითარების ანგარიში გამოაქვეყნა. ანგარიშში აღწერილი და გაანალიზებულია ციფრული ტექნოლოგიების განვითარებით მიღებული სარგებელი და მათი როლი ეკონომიკის განვითარების პროცესში. ანგარიშის მიხედვით, ციფრული ტექნოლოგიების განვითარების თანმდევი ტრანსფორმაციის მიღწევა შეუძლებელია ბიზნეს გარემოს გაუმჯობესების, ჯანდაცვისა და განათლების სისტემაში ინვესტიციის გაზრდისა და კარგი მმართველობის გარეშე.

კვლევის მიხედვით, ამ ეტაპზე საქართველოში სამუშაოს მხოლოდ 40%-ია კომპიუტერიზებული მაშინ, როდესაც ქვეყანაში სამუშაოს პოტენციურად 60%-ის კომპიუტერიზებაა შესაძლებელი. ამ მიმართულებით საქართველო მნიშვნელოვნად ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორიცაა ლატვია და ლიტვა, რომელთა პოტენციური და რეალური მაჩვენებელი ერთმანეთის ტოლია და კომპიუტერიზებული სამუშაო მთლიანი სამუშაოს დაახლოებით 60%-ს აღწევს.

ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით გამოკითხული რესპონდენტების 65.4% სარგებლობს ინტერნეტით. რეგიონის მიხედვით ქალაქში მცხოვრებ რესპონდენტთა შორის 45.3% იყენებს ინტერნეტს, ხოლო 54.7% არ იყენებს. სოფლად მცხოვრებ რესპონდენტთა შორის მხოლოდ 24.5% სარგებლობს ინტერნეტით, ხოლო 75.5% არ სარგებლობს.

წარმოდგენილი მონაცემებიდან ჩანს, რომ ინტერნეტის მომხმარებლების რაოდენობა ცვალდებადია ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით. სხვადასხვა კვლევის შედეგებითაც დასტურდება, რომ ახალგაზრდა თაობა უფრო აქტიურად არის ქსელში ჩართული.

*გრაფიკი #2. ინტერნეტის მომხმარებლები ასაკობრივ ჭრილში*



ინტერნეტის გავრცელების პირველი ათწლეულების მანძილზე კვლევის შედეგები ქსელში ჩართვის თვალსაზრისით გენდერულ კონტექსტში არსებულ უთანსწორობაზე მიუთითებდა. მაგრამ უკანასკნელი წლების მანძილზე ქალებისა და მამაკაცების მიერ ინტერნეტის გამოყენება თითქმის გათანაბრდა.

მდედრობით და მამრობითი სქესის რესპონდენტების ერთმანეთთან შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ ინტერნეტს მდედრობით სქესის 34.1%, ხოლო მამაკაცების 36.6% იყენებს.

სხვადასხვა კვლევაში მსგავსი შედეგები ფიქსირდება, რაც უფრო მაღალია რესპონდენტების განათლების დონე, მით უფრო ხშირია ინტერნეტის გამოყენების სიხშირე. გამოკითხულ დაწყებითი განათლების მქონე რესპონდენტთა შორის 33.3% იყენებს, ხოლო 66.7% არ იყენებს ინტერნეტს. არასრული საშუალო განათლების მქონე რესპონდენტებს შორის 33.3% სარგებლობს, ხოლო 66.7% არ სარგებლობს ინტერნეტით. საშუალო განათლების მქონე რესპონდენტთა 28.4% მოიხმარს ინტერნეტს, ხოლო 71.6% არ მოიხმარს. ტექნიკური /კოლეჯის განათლების მქონე რესპონდენტთა 23.2% იყენებს ინტერნეტს, მაშინ როცა 76.3% – არ იყენებს მას. უმაღლესი განათლების მქონე რესპონდენტთა 53.7% იყენებს, 46.3% კი არ იყენებს ინტერნეტს. მაგისტრის ხარისხის მქონე რესპონდენტთა 57.0% იყენებს ინტერნეტს. დოქტორის ხარისხის მქონე რესპონდენტების 77.8% სარგებლობს ინტერნეტით.

*გრაფიკი#3: ინტერნეტის გამოყენება განათლების დონის მიხედვით*




განათლების ხარისხი ასევე დამოკიდებულია საქმიანობის სფეროსთან, რაც უფრო მაღალი სოციალური პოზიცია უკავია ინდივიდს, მით უფრო მეტი დროის გატარება უწევს ინტერნეტში და კომპიუტერთან.

### 3. ციფრული უნარები

მატერიალური ხელმისაწვდომობის მერე ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი ციფრული უნარებია. ამ შემთხვევაში, საუბარი არის მეორე დონის ციფრულ უთანასწორობაზე. უნივერსალური ინტერნეტიზაცია ციფრულ უთანასწორობას არ აუქმებს, რადგან აქ თავს ე.წ. ციფრული უნარების საკითხი იჩენს. სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს განსხვებული დონის ციფრული უნარები აქვთ და ქსელშიც შესაბამისად ოპერირებენ. ჟან ვან დაიკი, ციფრული უნარების სამ ტიპს გამოყოფს, ესენია: ოპერაციული, ინფორმაციული და სტრატეგიული ტიპის უნარები. (Dijk, J. 2012.179)
მკვლევართა ჯგუფის მიერ ჩატარებული 2013 წლის სოციალური მედიის განვითარების ტენდენციების კვლევის ფარგლებში გამოვლინდა[5], რომ საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა (89.4%) სოციალური ქსელების მომხმარებელია. რაოდენობრივი კვლევისას გამოიკვეთა, რომ ასაკის მატებასთან ერთად კლებულობს სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობაც: თუ კი 18-22 წლის რესპონდენტთა თითქმის 100% სარგებლოს სოციალური ქსელებით, 50 წლის და უფროსი ასაკის რესპონდენტებში ეს მაჩვენებელი 65%-მდე ეცემა. (წულაძე. ბერძენიშვილი. 2013. გვ.150)[6]

ჩვენს მიერ ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის დროს ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ინფორმაციულ უნარებზე, რაც ინტერნეტის მეშვეობით ინფორმაციის მოძიების, კატეგორიზაციისა და ანალიზის გზების ცოდნას, ასევე ინტერნეტის გამოყენების მიზნებს და განხორციელებულ აქტივობებს გულისხმობს.
კითხვაზე თუ რა სიხშირით იყენებთ ინტერნეტს გამოკითხულ რესპონდენტთა 20.7% მთელი დღის მანძილზე სარგებლობს ინტერნეტით, 19.6% კი დღეში 4-5 საათის მანძილზე, დღეში 2-3 საათის მანძილზე 28.7%, დღეში ერთ საათზე ნაკლები 20.3%იყენებს, კვირაში რამდენიმეჯერ 5.6%, კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად 3.9%.

*გრაფიკი#4: ინტერნეტის გამოყენების სიხშირე*




[5] [5] კავკასიის შვიცარიული აკადემიური ქსელის (ASCN)ის მხარდაჭერით მკვლავრთა ჯგუფემა 2013 წელს „სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში: რეალური ვირტუალობის ძალაუფლება?“ ჩატარდა.
[6] ზემოთ აღნიშნული კვლევის შედეგები საფუძვლად დაედო ამავე სახელწოდების ნაშრომს, რომელიც ამავე წელს გამოქვეყნდა.

რესპონდენტების მიერ ინტერნეტის გამოყენების შემდეგი მიზეზები დაფიქსირდა, 39.5% მეგობრებთან/ნაცნობებთან ურთიერთობებისათვის, 1.6% ახალი ურთიერთობების დასამყარებლად, 15.5% გასართობად (მუსიკა, ფილმები, თამაშები და ა.შ.), 30.4% ახალი ამბების გასაცნობად იყენებს, 7.2% კი სწავლისა და თვითგანათლების მიზნით, 3.5% კი სამსახურის საქმეებისთვის იყენებს ინტერნეტს.

ინტერნეტს მდედრობითი სქესის რესპონდენტების 41.7% მეგობრებთან/ნაცნობებთან ურთიერთობებისათვის, 1.7% ახალი ურთიერთობების დასამყარებლად, 12.0% გასართობად (მუსიკა, ფილმები, თამაშები და ა.შ.), 30.0% ახალი ამბების გასაცნობად იყენებს, 8.6% კი სწავლისა და თვითგანათლების მიზნით, 3.1% კი სამსახურის საქმეებისთვის იყენებს.

ინტერნეტს მამრობითი სქესის რესპონდენტების 34.9% მეგობრებთან/ნაცნობებთან ურთიერთობებისათვის, 1.2% ახალი ურთიერთობების დასამყარებლად, 22.9% გასართობად (მუსიკა, ფილმები, თამაშები და ა.შ.), 31.3% ახალი ამბების გასაცნობად, 4.2% კი სწავლისა და თვითგანათლების მიზნით იყენებს.

*გრაფიკი #5: ინტერნეტის გამოყენების მიზნები*




კითხვაზე თუ რომელი სოციალური მედიის გვერდებზე ხართ დარეგისტრირებული გამოკითხულ რესპონდენტთა(ის რესპონდნეტები ვინც ინტერნეტით სარგებლობს) facebook-ზე დარეგისტირებულია 78.1%, twitter-ზე დარეგისტრირებულია 7.0%, youtube-ზე 34.1% არის დარეგისტრირებული, odnoklasniki.ru-ზე – 48.8%, google+-ზე 35.3%, instagram-ზე 12.4%, myspace-ზე – 3.5%, vkontakte.ru-ზე კი 3.1%, tumbrl.com-ზე 0.6%, pinteresti-ზე – 0.8%, flickr.com-ზე კი 1.2% არის დარეგისტრირებული.

Facebook-ზე მდედრობითი სქესის რესპონდენტების 79.7% არის დარეგისტირებული, ხოლო მამრობითი სქესის რესპონდენტების 74.7%.

Facebook-ზე 18-24 წლის რესპონდენტების 90.3% არის დარეგისტრირებული, 25-34 ასაკობრივი კატეგორიის 82.4%, 35-44 წლის ასაკის რესპონდეტთა 77.7%, 45-54 წლის რესპონდენტთა 74.7%, 55-64 წლის ასაკობრივი კატეგორიის გამოკითხულთა 62.3%, ხოლო 65+-ასაკის რესპონდენტთა 45.8%.

კითხვაზე თუ რომელ სოციალურ ქსელს მოიხმართ ყოველდღიურად გამოკითხულთა 65.3%-მა უპასუხა, რომ ეს არის Facebook–ი, 10.5% იყენებს odnoklasniki.ru-ს, 5.9% google+ , 2.9% youtube.com-ს იყენებს, 14.9%-ს კი გაუჭირდა დაესახელებინა.

ქათველი მომხამრებელი ინტერნეტს და ციფრულ ტექნოლოგიებს ძირითადად გართობის მიზნით იყენებს. ახალგაზრდების დიდი უმრავლესობა სოციალური ქსელის აქტიური მომხამრებელია.

## 4. გამოყენების პრაქტიკა და შედეგები (ITU)

საერთაშორიო სატელეკომუნიკაციო კავშირის (ITU) 2017 წლის ანგარიშის მიხედვით მსოფლიოს 104 ქვეყანაში, ახალგაზრდების 80%-ზე მეტი ონლაინ რეჟიმშია ჩართული. აქედან განვითარებულ ქვეყნებში 15-24 ასაკობრივი კატეგორიის ახალგაზრდების 94%, განვითარებად ქვეყნებში ამ ასაკობრივი კატეგორიის 67% არის ჩართული ინტერნეტში, ხოლო დაბალი განვითარების ქვეყნებში (LDCs) ეს მაჩვენებელი მხოლოდ 30%–ს წარმოადგენს.

მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტის მომხმარებელი ახალგაზრდა ასაკის (15-24) ადამიანების წილი (71%) მნიშვნელოვნად მაღალია ინტერნეტის მომხარებელ მთლიანი მოსახლეობის წილთან შედარებით (48%). დსთ–ს ქვეყნებისთვის ეს ინტერნეტის მომხმარებელი ახალგაზრდა ასაკის (15-24) ადამიანების წილი წარმოადგენს 89.6%, ხოლო ინტერნეტის მომხმარებელი მთლიანი მოსახლეობის წილი კი 67.7%.

რაც შეეხება შინამეურნეობების მიერ ინტერნეტ ხელმისაწვდომობის პროპორციულ მაჩვენებელს 2017 წლისთვის განვითარებულ ქვეყნებში ინტერნეტის ხელმისაწვდომობის მქონე შინამეურნეობების წილი ორჯერ მაღალია განვითარებად ქვეყნებზე.

დაბალი განვითარების ქვეყნებში (LDCs) შინამეურნეობების მხოლოდ 15% -ს აქვს ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა. ამ ქვეყნებში ინტერნეტ მომხმარებლების უდიდეს ნაწილს ინტერნეტზე წვდომა აქვთ სკოლებსა და უნივერსიტეტებში ან სხვა საერთო სახლს გარეთ არსებული საჯარო რესურსებით.

დსთ–ს ქვეყნებისთვის შინამეურნეობების მიერ ინტერნეტ ხელმისაწვდომობის პროპორციული მაჩვენებელი 2017 წლისთვის 70.4%-ის ტოლია.

ITU-ს 2016 წლის ანგარიშში ვკითხულობთ, რომ ინტერნეტ-ხელმისაწვდომობის ინდიკატორის მიხედვით, საქართველოში 2015 წლისათვის კომპიუტერით აღჭურვილი შინამეურნეობების პროცენტული მაჩვენებელია - 49.5%, ინტერნეტით აღჭურვილი შინამეურნეობების პროცენტულობა წარმოადგენს 44.8%-ს. ინტერნეტის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სარგებლობის / გამოყენების ინდიკატორის მიხედვით საქართველოში 2015 წლის მონაცემებით ინტერნეტით მოსარგებლე ინდივიდთა პროცენტული მაჩვენებელი შეადგენს 45.2%–ს, ფიქსირებული ფართოზოლოვანი გამომწერები 100 მოსახლეზე - 14.6; ხოლო აქტიური მობილური ინტერნეტ გამომწერები 100 მოსახლეზე - 50.4.

ინტერნეტის მოხმარების სიხშირე სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში:

18-24 ასაკის რესპონდენტების 37.2% მთელი დღის მანძილზე სარგებლობს ინტერნეტით, 25.7 % კი დღეში 4-5 საათის მანძილზე, დღეში 2-3 საათის მანძილზე 22.1%, დღეში ერთ საათზე ნაკლები 10.6% იყენებს, კვირაში რამდენიმეჯერ 6.0%, 2.7% კი კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად იყენებს ინტერნეტს.

25-34 წლის ასაკობრივი კატეგორიის რესპონდენტების 19.1% მთელი დღის მანძილზე სარგებლობს ინტერნეტით, 17.6% კი დღეში 4-5 საათის მანძილზე, დღეში 2-3 საათის მანძილზე 38.9%, დღეში ერთ საათზე ნაკლები 16.0% იყენებს, კვირაში რამდენიმეჯერ 4.6%, 3.8% კი კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად იყენებს ინტერნეტს.
35-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების 14.3% მთელი დღის მანძილზე სარგებლობს ინტერნეტით, 22.3 % კი დღეში 4-5 საათის მანძილზე, დღეში 2-3 საათის მანძილზე 23.2%, დღეში ერთ საათზე ნაკლები 27.7% იყენებს, კვირაში რამდენიმეჯერ 7.1%, ხოლო 3.6% კი კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად იყენებს ინტერნეტს. 45-54 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების 20.5% მთელი დღის მანძილზე სარგებლობს ინტერნეტით, 15.7% კი დღეში 4-5 საათის მანძილზე, დღეში 2-3 საათის მანძილზე 32.5%, დღეში ერთ საათზე ნაკლები დროით ინტერნეტს – 26.5% იყენებს, კვირაში რამდენიმეჯერ 2.4%. 55-64 წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების 11.3% მთელი დღის მანძილზე სარგებლობს ინტერნეტით, 15.1% კი დღეში 4-5 საათის მანძილზე, დღეში 2-3 საათის მანძილზე 28.3%, დღეში ერთ საათზე ნაკლები 20.8% იყენებს, კვირაში რამდენიმეჯერ 13.2%, ხოლო 9.4% კი კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად იყენებს ინტერნეტს. 65+ წლის ასაკობრივი ჯგუფის რესპონდენტების 4.2% მთელი დღის მანძილზე სარგებლობს ინტერნეტით, 12.5% კი დღეში 4-5 საათის მანძილზე, დღეში 2-3 საათის მანძილზე 16.7%, დღეში ერთ საათზე ნაკლები 33.3% იყენებს, კვირაში რამდენიმეჯერ 12.5%, ხოლო 12.5% კი კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად იყენებს ინტერნეტს, და 8.3%-ს გაუჭირდა დასახელება. ინტერნეტის გამოყენების სიხშირე ასევე დამოკიდებულია რესპონდენტთა ასაკზე.

*გრაფიკი #6: ინტერნეტის გამოყენების სიხშირე ასაკობრივ ჭრილში*




ინტერნეტის გამოყენების ყველაზე მეტი პრაქტიკით ახალაგზრდების ჯგუფი გამოირჩევა, მათი დიდი ნაწილი ინტრნეტში მთელი დღის მანძილზეა ჩართული. ინტერნეტის გამოყენების პრაატიკა მჭირდო კავშირშია ციფრული

უნარების განვითარებასთან, მაგრამ ქსელში 12 საათის მანძილზე ყოფნა არ არის მისი ეფექტური და ეფექტიანი გამოყენების გარანტი. ინტერნეტ გამოყენების პრაქტიკის არსებობა ციფრული უნარების ჩამოსაყალიბებლად, მაინც ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია.

## დასკვნა/დისკუსია

ჰოლანდიელი სოციოლოგი ჟან ვან დაიკის მიერ გამოყოფილი ციფრული უთანასწორობის ინდიკატორთაგან საქართველოში ინფორმაციულ - კომუნიკაციური ტექნოლოგიების მატერიალური ანუ ფიზიკური ხელმისაწვდომობა - ჯერ კიდევ პრობლემას წარმოადგენს. ამ პრობლემას საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი მონაცემები და არაერთი ადგილობრივი კვლევაც ადასტურებს. ქვეყანა ჯერ კიდევ ინტერნეტში სრულად არ არის ჩართული. სხვა ქალაქებთან შედარებით თბილისი ყველაზე მეტად არის ინტერნეტიზირებული. რაც შეეხება ინტერნეტის გამოყენების სიხშირეს, აქ აქტიურობით ახალგაზრდები გამოირჩევიან.

რესპონდენტები ყველაზე ხშირად ინტერნეტს დღეში რამდენიმე საათს - 2-3 ან 4-5 საათს მოიხმარენ; ახალგაზრდები უფრო დიდი დროს ატარებენ ინტერნეტში, ვიდრე უფროსი ასაკის წარმომადგენლები. მთელი დღის განმავლობაში ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებლით ინტერნეტს 18-22 და 23-29 წლის ასაკობრივი ჯგუფები იყენებენ.

ინტერნეტს რესპონდენტები, ძირითადად, ნაცნობ-მეგობრებთან ურთიერთობისათვის და გართობის მიზნით იყენებენ. მომხმარებლის ასაკის და განათლების დონის ზრდა ნეგატიურ კორელაციაშია ინტერნეტის გართობის მიზნით გამოყენებასთან; კვლევის შედეგების მიხედვით, მაღალი განათლების დონის მქონე მოქალაქეებს უფრო ხშირად უწევთ ინტენრეტისა და კომპიუტერის გამოყენება.

ციფრული უთანასწორობის შემდეგი ინდიკატორების – ციფრული უნარები და გამოყენების პრაქტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებს საქართველოში ინტერნეტის მომხმარებელთა დიდი უმრავლესობა სოციალური ქსელებს აქტიურად იყენებს. განსაკუთრებული პოპულარულობით Facebook-ი სარგებლობს; სოციუმში ინტერნეტის და ციფრულ ტექნოლოგის გასართობად და კომუნიკაციის მიზნით გამოყენება, ქართველი მომხმარებლის დაბალი დონის ციფრულ უნარებზე მეტყველებს.

ციფრული უთანასწორობა არ არის მხოლოდ ერთგანზომილებიანი პრობლემა და ის მრავალ დონეზე არსებობს. ინფორმაციულ ეპოქაში ქვეყანაში არსებული ციფრული უთანასწორობის დონე მის ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან პირდაპირ კავშირშია. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მსოფლიო ბანკის 2016 წლის კვლევის ანგარიში „ციფრული დივიდენდები“, რომლის ფარგლებშიც მსოფლიო ბანკი განვითარებადი ქვეყნების განხილვისას საქართველოში დასაქმების, ციფრული ჩართულობის, ელ-მმართველობის, გადასახადების გადახდის ელექტრონული სისტემის და სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონული სისტემის შეფასებას ახდენს. კვლევაში განხილულ საკითხებს შორისაა განვითარებად ქვეყნებში სამუშაოს კომპიუტერიზაციის მაჩვენებელი. ავტორების განცხადებით, განვითარებად ქვეყნებში გაცილებით მაღალია ისეთი პროფესიების რაოდენობა, რომელსაც შესაძლოა ავტომატიზირება შეეხოს, რადგან განვითარებულ ქვეყნებში მსგავსი პროფესიები უკვე აღარ არსებობს. თუმცა, სავარაუდოდ, განვითარებად ქვეყნებში ეს პროცესი შედარებით ნელა განხორციელდება, რადგან, ამჟამად ინფორმაციულ–კომუნიკაციურ ტექნოლოგიებს (ICT), ამ ქვეყნების ქალაქში მცხოვრებ დასაქმებულთა მხოლოდ 1/3 იყენებს.

ამ და სხვა კვლევის შედეგებმაც დაადასტურა, რომ საქართველოში ციფრული უთანასწორობა არსებობს და ამის ერთ-ერთი მიზეზი ინტერნეტის ხელმიუწვდომლობა და ციფრული უნარების ნაკლებობაა.

**ბიბლიოგრაფია:**

1. წულაძე, ლ. ბერძენიშვილი, ა. ესებუა, ფ. კახიძე, ი. მაჭარაძე, ნ. კვინტრაძე, ა. კლდიაშვილი,დ. (2013). სოციალური მედიის განვითარების ტენდენციები საქართველოში: რეალური ვირტუალურის ძალაუფლება. თბილისი.
2. Castells, M. (2010) The rise of the network Society(2nd ed.). Oxford:Wiley-Blackwell
3. Dijk, J. V. (2012). The network society. Sage Publications.
4. Dijk, J.V. Hacker, K. The Digital Divide As a Complex and Dynamic Phenomenon. The Information Society, 19: 315–326, 2003.Taylor and Francis.
5. DiMaggio, P. & Hargittai, E. (2001) From the 'digital divide'to 'digital inequality': Studying Internet use as penetration increases. Princeton: Center for Arts and Cultural Policy Studies, Woodrow Wilson School, Princeton University, 4(1), 4-2.
6. Gurstein, M. (2003) Effective use: A community informatics strategy beyond the digital divide. *First Monday*, *8*(12).
7. Hassan, R. (2004) Media, Politics and The network Society. Open university press
8. Hargittai, E. (2001) Second-level digital divide: Mapping differences in people's online skills. arXiv preprint cs/0109068.
9. Loader, B. (1998) Cyberspace Divide. Routledge
10. Mossberger, K. Tolbert, C. McNeal, R. (2008) Digital citizenship, Massachusetts Institute of Technology
11. Norris, P. (2001). Digital divide: Civic engagement, information poverty, and the Internet worldwide. Cambridge University Press.
12. Selwyn, N. (2004). Reconsidering political and popular understandings of the digital divide. New media & society, 6(3), 341-362.
13. Webster, F. (2006) Theories of the information society. Routledge

1. http://www.itu.int/en/ITU-D/Statistics/Pages/facts/default.aspx
2. https://idfi.ge/ge/statistics-of-internet-users-in-georgia
3. http://www.internetlivestats.com/
4. http://www.internetworldstats.com/stats.htm
5. http://www.utwente.nl/gw/vandijk/research/digital_divide/Digital_Divide_overigen/pdf_digitaldivide_website.pdf
6. http://eprints.lse.ac.uk/2576/1/Information_society_and_the_digital_divide_problem_in_developing_countries_(LSERO).pdf
7. http://www.newschool.edu/uploadedFiles/Milano/Academics/Faculty/urban_and_regional_research2001.pdf
8. http://www.gncc.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=5704&info_id=6429
9. http://www.socialbakers.com/facebook-statistics/georgia
10. http://whatis.techtarget.com/definition/digital-divide

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №6, თებერვალი, 2018

Journal of Young Researchers, No. 6, February, 2018

# 2012 2014 წლების ყველაზე სკანდალური ამბის ვიზუალიზება თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში

თინათინ მაჭარაშვილი *

*დოქტორანტი, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულება*
*სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

**რეზიუმე**

ჩვენი სტატიის მიზანია, წარმოვაჩინოთ, თუ როგორ ხდებოდა 2012 2014 წლების ყველაზე სკანდალური ამბის ვიზუალიზება მაშინდელ ქართულ ბეჭდვით მედიაში, რა დამატებით ინფორმაციას აწვდიდა მკითხველს არავერბალური კოდით გადმოცემული ქვეტექსტური მნიშვნელობები. კვლევის ემპირიულ ბაზას შემდეგი ჟურნალ გაზეთები წარმოადგენს: „24 საათი“, „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, „პრაიმ ტაიმი“, „ასავალ დასავალი“, „ტაბულა“ და „ლიბერალი“.

ანალიტიკურ მიდგომად ვიყენებთ სემიოტიკურ ანალიზს, კერძოდ, მითების ანალიზს, ხოლო საკვლევ ტექნიკად კონტენტანალიზს. სემიოტიკური ანალიზი საშუალებას იძლევა, რომ არავერბალური კოდებით გადმოცემული ინფორმაციის დეკოდირებისას გამოიკვეთოს როგორც ექსპლიციტური, ასევე კონოტაციური მნიშვნელობები. აღნიშნულ ჟურნალ გაზეთებში „ციხის სკანდალის“ საილუსტრაციოდ გამოყენებულია თემატური ფოტოები, გასაშუქებელ ინფორმაციასთან კონცეპტუალურად დაკავშირებული, სიტუაციის ამსახველი და პირადული ფოტოები, რაც, ახდენს რა რეალობის დენოტაციას, მეტი დამაჯერებლობით ტვირთავს შეტყობინებას და ასევე, ციფრულ გრაფიკული ხერხი, კერძოდ, ცხრილი, რომელიც მკითხველს ამბის ობიექტურად გადმოცემაში არწმუნებს.

შესწავლილი ჟურნალ გაზეთების ვიზუალური სახის სემიოტიკური ანალიზი წარმოაჩენს, როგორც უშუალოდ სტატიის ავტორის შეხედულებებს ასევე პუბლიკაციის სარედაქციო პოზიციას „ციხის სკანდალთან“ მიმართებაში.

* *ელფოსტა: thinathin2002@yahoo.fr*

**საკვანძო სიტყვები:** ციხის სკანდალი, მითოლოგიური ანალიზი (მითი), ფოტოს დეკოდირება, კონოტაციური მნიშვნელობების დემონტაჟი, ცხრილის კონტექსტუალური ანალიზი.

## Abstract

The aim of our research based on the semiotic analysis is to demonstrate the editorial policy of our studied publications regarding the "prison scandal".

The empirical basis of our study  Visualization of the most scandalous story of 2012 2014 in contemporary Georgian print media  include the Georgian press in 2012 2014, in particular, the following magazines and newspapers: “24 Hours”, “Resonance”, “Kviris Palitra”, “Prime Time”, “Asaval Dasavali”, "Tabula" and "Liberal".

Based on mythological analysis, this method of research allows for the exploitation of the information provided by the non verbal code as an exploitative and conduction value. In these magazines and newspapers, the thematic photographs are used to illustrate thematicly, contextually reflective and personalized photos, which denotes reali ty, load more conviction, and at last, digital graphical method, namely, the table that makes the reader objective in conclusion and persuaded.

The semiotic analysis of the visuals of the studied magazines and newspapers clearly demonstrate the points of view of the author of the article as well as the publication's position on the "prison scandal".

## შესავალი

ჩვენი კვლევის პერიოდის, კერძოდ, 2012 2014 წლების ყველაზე გახმაურებული ამბავი, ეგრეთ წოდებული „ციხის სკანდალი“ გახლავთ, რომელიც 2012 წლის ოქტომბერში, საპალამენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, გლდანის ციხეში პატიმართა წამების საქმის გახსნის და ამ საქმესთან დაკავშირებით სამი თანამშრომლის დაკავების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური განცხადებით დაიწყო. იმავე ღამეს, სასჯელაღსრულების რამდენიმე დაწესებულებაში მომხდარი პატიმართა ცემის და გაუპატიურების ამსახველი აუდიოჩანაწერები ქართულმა ტელეარხებმა გაასაჯაროვეს, რამაც საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია და დაიწყო საპროტესტო აქციები.

შედეგად, 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებში მ. სააკაშვილის პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ დამარცხდა და ხელისუფლებაში ბ. ივანიშვილის კოალიცია „ქართული ოცნება“ მოვიდა. ის ფაქტი, რომ იმ დროისთვის პატიმართა საქმესთან დაკავშირებით პასუხისმგებლობაში მიცემული იყო საპატიმრო დაწესებულებების 70 თანამშრომელი, ხოლო მათგან 42 ს სხვადასხვა ვადის პატიმრობა მიესაჯა, მოწმობს ამ საქმის მასშტაბურობას.

„ციხის სკანდალმა“ გადამწყვეტი როლი რომ ითამაშა საქართველოში ხელისუფლების საარჩევნო გზით შეცვლაში, მოწმობს NDI ის საქართველოს ოფისის ხელმძღვანელის ლუის ნავაროს 2012 წლის 29 ოქტომბერს გაკეთებული განცხადება: „არჩევნებში გადამწყვეტი როლი „ციხის სკანდალმა“ შეასრულა. ამომრჩევლებს, რომლებმაც არჩევნებამდე რამდენიმე ხნით არდე არ იცოდნენ, ვისთვის მიეცათ ხმა, კონკრეტული გადაწყვეტილება ციხის სკანდალმა მიაღებინა, სწორედ ამ ადამიანებმა დაიკავეს პოლიტიკური ცენტრი“.

აშკარაა, რომ არა ეს კსანდალი, შესაძლოა, სრულიად სხვა შედეგი გამოეღო არჩევნებს. ჩვენთვის საინტერესოა, საზოგადოებისთვის ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის გაშუქებისას მაშინდელი ბეჭდვითი მედია ვიზუალიზების რომელ ხერხს ანიჭებდა უპირატესობას, რათა გაემდიდრებინა ვერბალური კოდით გადმოცემული ინფორმაცია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე ჟურნალ გაზეთები, სადაც ილუსტაციები ლინგვისტურ ტექსტს სჭარბობს, ინფორმაციის ვიზუალიზებისთვის მრავალ საშუალებას მიმართავენ, როგორიც არის ფოტო, კარიკატურა, ციფრულ გრაფიკული გამოსახულებები და სტატიების გასაფორმებლად გამოყენებული დიზაინის ხერხები: შრიფტი, ცარიელი სივრცე და ფერები. მაიკლ ფრინდლი ინფორმაციის ვიზუალიზაციას განმარტავს როგორც სწავლებას ინფორმაციის ვიზუალური წარმოდგენის შესახებ. მისივე აზრით, ვიზუალიზების ხერხები აადვილებენ ინფორმაციის აღქმას, გააზრებასა და დამახსოვრებას. აქედან გამომდინარე ვიზუალური შემადგენელი მხოლოდ ვერბალური ტექსტის ილუსტრირებას არ ახდენს.

საგულისხმოა, რომ ვიზუალური კულტურის ეპოქაში ბეჭდვითი მედიის ფურცლებზე მომრავლდა კრეოლიზებული მედიატექსტები. ტერმინი "კრეოლიზებული ტექსტები" ჯერ კიდევ 1990 წელს გამოიყენეს მეცნიერებმა ი. ა. სოროკინმა და ე. ფ. ტარასოვმა, რათა აღენიშნათ ორი არაჰომოგენური ნაწილისგან (ვერბალური და იკონური გამომსახველობითი საშუალებებისგან) შემდგარი ტექსტი. გამოსახულებისა და ტექსტის ერთიან კონტექსტში განხილვისთვის დავიმოწმებთ მ. შამილიშვილის ნაშრომს "ზურაბ ქარუმიძის კრეოლიზებული მედიატექსტები". გამოყოფენ ნაწილობრივ ან მთლიანად კრეოლიზებულ ტექსტებს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ტექსტები, რომელშიც ვერბალური ნაწილი ავტონომიურია, ხოლო გამომსახველობითი ელემენტები მასზე დაქვემდებარებული. ასეთი ავტოსემანტიკური ურთიერთობა ვერბალურ და იკონურ კომპონენტებს შორის გვხვდება საგაზეთო, სამეცნიერო პოპულარულ და ლიტერატურულ ტექსტებში, ხოლო ინსემანტიკური გამოსახულებისა და ვერბალური ტექსტის სრული შერწყმა რეკლამაში, სამეცნიერო და სამეცნიერო ტექნიკურ ტექსტებში (შამილიშვილი, 2014).

ნათელია, რომ ბეჭდვით მედიაში იკონური კოდი დამატებითი ინფორმაციით ავსებს სტატიის ავტორის სათქმელს და ამავედროს, როგორც სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელი ტვირთავს კონოტაციური მნიშვნელობებით. იკონურ და ვერბალურ კომპონენტებს შორის ავტოსემანტიკური ურთიერთმიმაგრების საფუძველზე წარმოქმნილი იმპლიციტური ინფორმაციის დეკოდირებას ყველაზე ნათლად ბეჭდვითი მედიის ვიზუალური სახის სემიოტიკური ანალიზი, კერძოდ, კი მითების ანალიზი ახდენს, ამიტომ ჩვენც არჩევანი თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში 2012 2014 წლების ყველაზე სკანდალური ამბის ვიზუალიზების შესწავლისას მასზე შევაჩერეთ.

მითური მნიშვნელობების ამოხსნის სქემა ფრანგ სემილოგს, როლან ბარტს ეკუთვნის, რასაც თავად „მეორეულ ამოხსნას" უწოდებს, რაც საგნის კონოტაციური, თანმდევი მნიშვნელობების დეკოდირებას გულისხმობს. ჩვენც კვლევას, რა თქმა უნდა, ამ სქემის მიხედვით წარვმართავთ. ავტორი ამტკიცებს, რომ მეორადი ამოხსნის ანუ კონოტაციის დროს წარმოიქმნება ის, რასაც თვითონ „მითს" უწოდებს. ამაში კი ბარტი მოიაზრებს იდეოლოგიას, როგორც იდეებისა და მეთოდების ღერძს, რომელიც ამყარებს და აქტიურად უწყობს ხელს დომინირებული ჯგუფების ფასეულობებსა და ინტერესებს საზოგადოებაში (სთორი,2007). ჟურნალ გაზეთების, როგორც მასობრივი კულტურის, ვიზუალური სახის აღწერა და ახსნა სემიოტიკური ანალიზის ამოცანას წარმოადგენს, რადგან სწორედ ეს არის, როგორც ბარტი უწოდებს, „ბუნებისა და ისტორიის აღრევის დეკორატიული გამოფენა", სადაც საგნები იძენენ კონოტაციურ მნიშვნელობებს.

როლან ბარტმა სოსიურის ლინგვისტურ მოდელზე დაყრდნობით შექმნა მითის ამოხსნის სქემა. შვეიცარიელი ენათმეცნიერი, ფერდინანდ დე სოსიური, ენობრივ სისტემას განიხილავდა, როგორც სემიოლოგიურ და სოციალურ მოვლენას. სოსიურის ფორმულას აღმნიშვნელი + აღნიშნული = ნიშანი ბარტი მეორე დონეს ამატებს.

N1ცხრილი




როგორც მოცემულ ცხრილში ჩანს, მითის ამოხსნა ნიშნით იწყება (სთორი, 2007). არაბული რიცხვებით აღნიშნულია ლინგვისტური სემიოლოგიური სისტემა, რომელშიც აღმნიშვნელისა და აღსანიშნის ერთობლიობა ქმნის ნიშანს, ჯაჭვის ბოლო წევრს. ხოლო რომაული რიცხვებით გადმოცემულია მითი, მეორე სემიოლიური სისტემა, რომელშიც ლინგვისტური სისტემის ბოლო წევრით ნიშნით იწყება ახალი სისტემა. მითის თვალსაზრისით, ავტორი აღმნიშვნელს უწოდებს ფორმას, რადგან ის იგივეა, რაც ლინგვისტური თვალსაზრისით აზრი, რომელიც არის სახის და ცნების ერთიანი ასოციაციის შედეგი. ბარტი აღსანიშნს ცნებას უწოდებს, ხოლო ნიშანს მნიშვნელობას.

ბარტის აზრით, მკითხველი მითს არ აღიქვამს როგორც სემიოტიკურ სისტემას, არამედ ინდუქციურ სისტემად ხედავს, სადაც მხოლოდ ერთი ეკვივალენტი არსებობს. მის თვალში აღმნიშვნელსა და აღნიშნულს ბუნებრივი ურთიერთკავშირი აქვს. მითის მომხმარებელი ფაქტების სისტემას ანიჭებს მნიშვნელობას. შედეგად, მითი იკითხება, როგორც ფაქტების სისტემა, მაშინ, როცა ის მხოლოდ სემიოლოგიური სისტემაა. ვიზუალური სახის ანალიზისას, ჩვენ შევეცდებით, მნიშვნელობათა დემონტაჟი ორივე დონეზე, დენოტაციურ და კონოტაციურ დონეზე განვახორციელოთ, რათა მითის, როგორც ნიშანთა სისტემის, მნიშვნელობა წარმოვაჩინოთ.

**ბეჭდვით მედიაში ინფორმაციის ვიზუალიზების ძირითადი ხერხები**

თანამედროვე ჟურნალ გაზეთები სტატიების საილუსტრაციოდ მრავალ საშუალებას მიმართავენ, თუმცა, მათ შორის ყველაზე მეტად გავრცელებული ფოტო და ციფრულ გრაფიკული მონაცემებია.

ფოტო ინფორმაციის ვიზუალიზების ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახეა, ამიტომ მიოკიდა ასე მყარად ფეხი ჟურნალისტიკაში და ცალკე მიმდინარეობადაც ფოტოჟურნალისტიკად ჩამოყალიბდა.

„დღევანდელი ფოტოჟურნალისტიკა სარეკლამო ფოტოგრაფიის ტექნიკას სესხულობს აბსტრაქტულ იდეებზე დამყარებული აზრის ილუსტრირებისთვის“, წერს კ. კოუბრე ნაშრომში „ფოტოჟურნალისტიკა, პროფესიული მიდგომა“ (კოუბრე, 2005, 172) და მას სარედაქციო ილუსტრაციას უწოდებს, რაც ბეჭდვით მედიაში ახალმა ტენდენციამ ფაქტის აღწერიდან ანალიზზე

გადასვლამ წარმოშვა. ჟურნალისტურ გამომსახველობაში მომხდარმა ცვლილებამ სარედაქციო კონცეფციის ილუსტრირებისას იდეის ვიზუალიზებისთვის ვიზუალური მეტაფორები შექმნა. ვიზუალური მეტაფორა გულისხმობს ერთი საგნის მეორეთი შეცვლას, რათა აჩვენოს მათ შორის მსგავსება. ავტორს მაგალითად მოყავს ქვიშის საათი, რომლის ქვედა ნაწილში მეტი ქვიშაა, რაც მნახველს მიახვედრებს, რომ ეს საგანი მოხუცებულობას, ანუ ძალის, ენერგიისა და წლების ხარჯვას გამოსახავს.

ფოტოს ძირითადი ფუნქციის განმარტების მიზნით დავიმოწმებთ რ. დოლიძისა და მ. რუსეიშვილის ნაშრომს „სემიოტიკა და მასმედია“ (2009). ავტორები მიიჩნევენ, რომ ფოტოსურათი, რომელიც აქტუალურობითა და რეალობის კონოტაციით ხასიათდება, ასახავს სინამდვილეს, ხოლო მისი პრაგმატული ფუნქცია მკითხველის ყურადღების მიპყრობაა. მკვლევართა აზრით, ინფორმაციის აღქმის პროცესზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ლინგვისტური და ვიზუალური კონოტაციური კოდები, რადგან მკითხველის მიერ ჟურნალ გაზეთებით გადმოცემული ამბავი აღიქმება ფრეიმებით, რომლებიც კოდირდება ჟურნალისტის მიერ და დეკოდირდება რეციპიენტის მიერ მისი ინტელექტის, ინტერესების, სოციალური მდგომარეობისა და იდეოლოგიური შეხედულებების საფუძველზე (დოლიძე, რუსეიშვილი, 2009, 26 27).

ფოტოს მნიშვნელობის დეკოდირების ყველაზე ცნობილი მაგალითი რ. ბარტის მიერ განხილული „Paris Match“ ის (1955) გარეკანია.

მითის ახსნა იწყება ლინგვისტური სისტემის ბოლო წევრიდან ანუ ნიშნიდან შავკანიანი ჯარისკაცი ფრანგულ დროშას სამხედრო სალამს აძლევს, რომლის აღსანიშნი ანუ ცნება გამოხატავს ფრანგობისა და გასამხედროების მიზანმიმართულ ნაზავს, ხოლო ნიშანი, ანუ მნიშვნელობა, რაც მითმა შეიძინა არის „Paris Match“ ის მცდელობა, შექმნას ფრანგული იმპერიალიზმის დადებითი იერსახე.

მითის აღქმაში, როგორც რ. ბარტი „ფოტოგრაფიულ გზავნილში“ (1974) წერს, მნიშვნელოვან როლს თამაშობს პუბლიკაციის კონტექსტი. „პარი მაჩის“ („Paris Match“) გარეკანის ფოტო სოციალისტური ჟურნალის ყდაზე ირონიულად განწყობილი მკითხველის მიერ ფრანგული იმპერიალიზმის დადებითი სახის ნაცვლად, იმპერიული ექსპლუატაციის ნიშნად იქნებოდა აღქმული, რაც განპირობებულია საფრანგეთის ვიეტნამში (1946) დამარცხებისა და ალჟრში მარცხის (1954) ისტორიული კონტექსტებით.

კრისტიან მეცი სტატიაში “ანალოგიის მიღმა, სახე“ („Au–delà de l’analogie, l’image“) წერს, რომ ვიზუალური სახე არ ქმნის თავის თავში ჩაკეტილ და ავტონომიურ იმპერიას, ერთგვარ დახურულ სამყაროს. პირიქით, მის მნიშვნელობას სწორედ გარშემომყოფი ელემენტები განსაზღვრავს, ამიტომაც არავერბალური კოდი მუდმივად იქნება სიტყვათა თამაშის და საერთოდ ყველა იმ სიახლის მსხვერპლი, რაც მოცემულ სოციუმში ქმნის ნიშნის მნიშვნელობას (მეტცი, 1970). კიდევ ერთი მტკიცებულება იმისა, რომ ერთი და იგივე ნიშანი, ვერბალური თუ არავერბალური, სხვადასხვა დროსა და სივრცეში სხვადასხვანაირად იქნება გაგებული და

აღქმული.

ე. ვერონი კი „პრესის ფოტოს“ სემიოტიკური ანალიზისას, მნიშვნელობას ანიჭებს დროის იმ მონაკვეთს, როდესაც ფოტო პრესის საშუალებით პირველად იყო გავრცელებული, რადგან ჟურნალ გაზეთებში ვხვდებით ძირითადად სამი ტიპის ფოტოს. პირველ კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი ფოტო, რომელიც მის გავრცელებამდე რამდენიმე საათის ან მაქსიმუმ რამდენიმე დღის წინ მომხდარ მოვლენას ასახავს; მეორე კატეგორიას პიროვნების „საიდენტიფიკაციოდ“ გამოყენებული ფოტო, რომელიც არავინ იცის, როდის არის გადაღებული, ხოლო მესამეს არქივიდან ამოღებული ფოტო, რომელზეც ნათლად არის მითითებული წყარო.

რაც შეეხება ინფორმაციიის ციფრულ გრაფიკული ხერხებით წარმოჩენას, უნდა აღინიშნოს, რომ ციფრების საშუალებით ინფორმაციის ვიზუალიზების საკითხს მრავალი მკვლევარი შეეხო. ჯერ კიდევ 1970 წელს სამეცნიერო ჟურნალის „კომუნიკასიონის“ („Communications”) ფურცლებზე დაიბეჭდა ჟაკ დურანის ნაშრომი „რიცხვის რიტორიკა“ („Rhétorique du nombre“). ავტორი განიხილავდა იმ დროისთვის დამკვიდრებულ ორ ძირითად მოსაზრებას: ერთნი მიიჩნევდნენ, რომ რიცხვი არაფერს აღნიშნავდა და ამგვარად, მეტყველების ნაწილს არ წარმოადგენდა, მეორეთა აზრით, რიცხვი იყო ნიშანი, რომელსაც მხოლოდ დენოტაციურ დონეზე ჰქონდა მნიშვნელობა და ამდენად, არ წარმოადგენდა რიტორიკის შესწავლის საგანს. ჟ. დურანი კი თვლიდა, რომ განსაკუთრებით მასკომუნიკაციაში გამოყენებულ რიცხვს გააჩნდა მრავალი ექსპრესიული ნიშან თვისება. ამ მოსაზრების თანახმად, ციფრებითა თუ რიცხვებით გადმოცემულ ინფორმაციას მართებულად მიიჩნევდა რიტორიკული ანალიზის წყაროდ.

იმდროინდელი ჟურნალ გაზეთების კვლევის საფუძველზე ჟ. დურანმა დაასკვნა, რომ რიცხვების გამოყენებით მედიატექსტი, მოცემულ შემთხვევაში ბეჭდვითი მედიატექსტი, მიმართავს ისეთ სპეციფიურ რიტორიკულ ხერხებს, როგორებიცაა:

- ✓ გამეორება, მაგალითად „5 დღე: 555 ფრანკი“ (განცხადება *ეარაფრიკა*. 1967), რომელმაც მკითხველში უნდა მოახდინოს „ბედისწერის იდეის“ გენერირება;
- ✓ ანტითეზა („დაპირისპირება“), რომელიც მხატვრულ ლიტერატურასა და ორატორულ ხელოვნებაში სტილისტიკური ხერხია, რაც მდგომარეობს ურთიერთსაწინააღმდეგო ცნებათა შეპირისპირებაში და გამოიყენება შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, უმეტესწილად, ხდება მცირე და დიდი რიცხვების შეპირისპირება;
- ✓ პლეონაზმი, ვიზუალური ხერხებით ილუსტრირებული რიცხვი (მაგალითად, პერსონაჟი თითებით გამოსახავს რიცხვს). (Durand, 1970, 128 129)

დასასრულს, ავტორი აღნიშნავს, რომ რიცხვითი სახელი, ციფრებით თუ სიტყვით გამოსახული, როგორც მეტყველების ნაწილი, წარმოადგენს კოდს, რომელიც არის ნაწილობრივ

ექსპლიციტური, ხოლო იმპიციტური კოდები დატვირთულია კონოტაციური აღსანიშნით.

თანამედროვე ბეჭდვითი მედიის ფურცლებზე ხშირად ვხვდებით ისეთ კრეოლიზებულ მედიატექსტებს, რომელშიც არავერბალური კომპონენტი გადმოცემულია დიაგრამის გრაფიკული მრავალსახეობით, როგორიცაა: ცხრილი, სფერო, სქემა, დიაგრამა, რუკა... ინფორმაციის ვიზუალიზების აღნიშნული სახის არსებობა, რა თქმა უნდა, განპირობებულია თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებით.

ინფორმაციის ციფრებით გადმოცემას თითქმის ყველა სფეროში ვხვდებით, თუმცა მაინც უნდა გამოვყოთ პოლიტიკური, სოციალურ ეკონომიკური და სპორტული დისკურსი, რადგან მეტი აქტიურობით სწორედ აღნიშნულ დარგებში გამოიყენება სტატისტიკური მონაცემები. მკვლევრები პ. ბაკო, დ. დესმარშელიე და ს. რემი ჟიორო ნაშრომში „პოლიტიკაში ციფრების მეტყველება“ („Le langage des Chiffres en politique“), რომელიც დაიბეჭდა 2012 წელს სამეცნიერო ჟურნალის „Mots. Les langages du politique” მეასე ნომერში და სრულად მიეძღვნა პოლიტიკურ დისკურსში ციფრებისა და რიცხვების შესწავლას, აღნიშნავდნენ: „სადაც არის სტატისტიკა, იქ სახელმწიფოცაა“ (ბაკო, et al., 2012, 5). ამიტომაც, მათ საკითხის შესწავლა დაიწყეს შემდეგ კითხვაზე: ყოველთვის რატომ არის პოლიტიკურ დისკურსში წარმოდგენილი რიცხვები? პასუხის მოძიებით.

თუკი ციფრები და რიცხვები წარმოადგენს ისეთი დისციპლინის საბაზისო კონცეფციას, როგორიც არის მათემატიკა, მათი გამომხატველი სიტყვები და სიმბოლოები გვხვდება ნებისმიერი სახის დისკურსში, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ციფრებს აქვს ერთდროულად დენოტაციური და კონოტაციური ღირებულება.

ხოლო რაც შეეხება მათი გამოხატვის მრავალფეროვან ვიზუალურ ხერხებს, (ცხრილი, სქემა, დიაგრამა, სფერო...), ზემოთ დასახელებული მკვლევრების თანახმად, ისინი სემიოტიკური ტრანსფორმაციის მეორე დონეს მიეკუთვნებიან. რადგანაც თავად ციფრი ქმნის ინფორმაციის იკონურ გამოსახვას, სემიოტიკური ტრანსფორმაციის პირველ დონეს. გრაფიკულად გამოსახული ციფრული მონაცემის გასაფორმებლად უმეტესწილად მიმართავენ ფერებს, რაც ავტორთა აზრით, რეალობის შემცირების დამატებით დონეს წარმოადგენს, ხოლო ამ დასკვნამდე საკითხის შემდეგი კუთხით გაშუქებით მივიდნენ.

პ. ბაკო, დ. დესმარშელიე და ს. რემი ჟიორო სტატისტიკურ მონაცემებს შემდეგნაირად განიხილავენ: „რიცხვებით გამოსახულ რაოდენობრივ ინფორმაციას ქმნიან ექსპერტები, სოციოლოგები, დარგის სპეციალისტები. თუმცა, მონაცემთა საზოგადოებაში გავრცელებას თავად იშვიათად ეწევიან. აღნიშნულ ინფორმაციას, პირველწყაროსთან მეტნაკლებად მიმსგავსებულს, ავრცელებენ სხვადასხვა ინსტიტუციები: პოლიტიკური, ეკონომიკური, ადმინისტრაციული, კულტურულ სპორტული, რეგიონალური, ეროვნული, საერთაშორისო და სხვა მრავალი. მათ მიერ გავრცელებული რაოდენობრივი ინფორმაცია მრავალმხრივ ფორმაშეცვლილი და მედიატიზებულია“ ( ბაკო, et al., 2012, 9). ერთგვარად პარადოქსულია, რომ ციფრები, რომლებიც

მიჩნეულია ზუსტ, ობიექტურ და ნეიტრალურ ინფორმაციად, მანიპულირების კარგ საშუალებას იძლევა, ამიტომაც მას ხშირად მიმართავენ რიტორიკული, არგუმენტაციური და პოლემიკური ხასიათის პოლიტიკურ დისკურსში, რომლის მიზანი მსმენელის დარწმუნებაა.

მსგავსი ტიპის ინფორმაცია განსაკუთრებულად მატულობს წინასაარჩევნო პერიოდში. ციფრების, როგორც „ზუსტი და ობიექტური" ინფორმაციის, მოხმობა ხელსუწყობს პოლიტიკოსის დადებითი იმიჯის შექმნას. არისტოტელესეული დარწმუნების სამი ხერხიდან პირველი ეთოსი, ანუ სანდოობის მოპოვება ორატორის პიროვნულ თვისებებზე აპელირებით, სრულად ვლინდება სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით საუბრისას. საზოგადოებაში დამკვიდრებული შეხედულების თანახმად, რიცხვებით გადმოცემული რაოდენობრივი ინფორმაცია ხელს უწყობს ადრესანტს, შეიქმნას სერიუზული, არაზედაპირული, საკითხის ზედმიწევნით მცოდნის იმიჯი.

ამრიგად, ბეჭდვითი მედიის ფურცლებზე სტატისტიკური მონაცემების ხშირი გამოჩენა საზოგადოებისთვის ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად მედიასაშუალების იმიჯის შექმნასაც ემსახურება.

**სკანდალი, როგორც პოლიტიკური დისკურსის შემადგენელი ელემენტი**

„სკანდალი თანამედროვე პოლიტიკური ცხოვრების აუცილებელი ატრიბუტია", წერს ე. შეიგალი „პოლიტიკური დისკურსის სემიოტიკა"ში (შეიგალი, 2000). როგორც ავტორი აღნიშნავს პოლიტიკაში ტერმინი „სკანდალი" ორი სახის მოვლენას ასახავს. სკანდალი მაშინ წარმოიშვება, როდესაც ცნობილი ხდება, რომ პოლიტიკოსი ფარულად ახორციელებს პირად მიზნებს კანონების, საზოგადოებრივი ნდობისა და პოლიტიკური ნორმების დარღვევით, ან როდესაც მსგავსი ნომრმები ღიად იღრვევა. გარდა ამისა, სკანდალი ხშირად აბსოლუტურად „უვნებელი" მასალისგან წარმოიშვება, რაც ნიშნავს იმას, რომ ხშირად პოლიტიკოსის სრულიად ლეგიტიმურ და მორალურ ქმედებას ეძლევა სპეციფიური, ცილისმწამებლური ინტერპრეტაცია. პოლიტიკურ სკანდალს თან ახლავს საპროტესტო აქციები, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა, მიტინგები და სხ., სპონტანური პოლიტიკური მოვლენები, რომლებიც, როგორც წესი, არ არის წინასწარ დაგეგმილი და წარმოადგენს ერთგვარ რეაქციას არსებულ პოლიტიკურ სიტუაციაზე. სკანდალი საზოგადოებრივ აზრს აღვივებს, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში პოლტიკური ცხოვრების ხერხემლად იქცევა და შესაბამისად, პოლიტიკური დისკურსისაც. ყველაზე ცნობილი სკანდალები იღებენ ენობრივ ფუნქციურ ფიქსაციას და მათი დენომინაცია კულტურულ ისტორიული კოდის ნიშნებად გადაიქცევა (შეიგალი, 2000).

სკანდალი პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ ერთ ჟანრს განეკუთვნება. პოლიტიკური სკანდალის განმარტების მიზნით, დავიმოწმებთ ხ. მაისაშვილის ნაშრომს „პოლიტიკური დისკურსის კონტენტანალიზი", სადაც ავტორი ახდენს რა პოლიტიკური კომუნიკაციის ჟანრების გრადუირებას მაქსიმალური არაფორმალურობიდან მაქსიმალურ ოფიციალურობამდე პოლიტიკურ სკანდალს

განათავსებს პირადისა და ინსტიტუციურის მიჯნაზე. ეს კი მისივე აზრით, ინფორმაციის წრაყოდ მოიაზრებს როგორც ოფიციალურ ასევე არაოფიციალურს, სკანდალური ფაქტები ქვეყნდება საჯაროდ, ე.ი., კომუნიკაციის არხი ოფიციალურია, რაც შეეხება სკანდალის მოტივაციას, როგორც წესი, პიროვნულია, სკანდალის წამომწყებს პირადი ინტერესები ამოძრავებს (მაისაშვილი,2017). დედუქციური ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, პოლიტიკური კომუნიკაციის მთავარი დანიშნულება ხელისუფლებისთვის ბრძოლა და მისი მოპოვება პოლიტიკურ სკანდალზეც, როგორც პოლიტიკური კომუნიკაციის ერთ ერთ შემადგენელ ნაწილზეც, რა თქმა უნდა, ვრცელდება. ჩვენ მიერ შესწავლილი „ციხის სკანდალის“ მიზანიც, როგორც ვნახეთ ხელისუფლების ხელში ჩაგდება იყო, რასაც ასევე მოწმობს სკანდალური ფაქტების გადამღების, ვლადიმერ ბედუკაძის 2013 წლის 10 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადება, რომელიც ეხებოდა ვიდეომასალის მედიასაშუალებების მიერ გასაჯაროების პერიოდს, კერძოდ, ის აღნიშნავს: „ვიდეოები გასაჯაროვდა მაშინ, როცა იყო ამის რეალური საშუალება და ამის აუცილებელი გარემო პირობები შექმნილი“. ინფორმაციის წყარო ამ შემთხვევაში ოფიციალური გახლდათ (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ოფიციალური განცხადება გააკეთა, რომელიც გლდანის ციხეში პატიმართა წამების საქმის გახსნასა და ამ საქმესთან დაკავშირებით სამი თანამშრომლის დაკავებას ეხებოდა). კომუნიკაციის არხიც ოფიციალურია, კერძოდ, ქართული ტელეარხები.

თანამედროვე ქართულ ბეჭდვით მედიაში გამოქვეყნებული ვიზუალური მასალის სემიოტიკური ანალიზის მიხედვით განხილვისას შევეცდებით, გამოვკვეთოთ ის ჰიპერტექსტები, რომლითაც ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალ გაზეთები ახდენდნენ აღნიშნული თემის გაშუქებას.

**მეთოდი**

2012 2014 წლების ყველაზე გახმაურებული ამბის, ეგრეთ წოდებული „ციხის სკანდალის“, ვიზუალიზებისთვის გამოყენებული ხერხები შევისწავლეთ შემდეგ ჟურნალ გაზეთებში: „24 საათი“, „რეზონანსი“, „კვირის პალიტრა“, „პრაიმ ტაიმი“, „ასავალ დასავალი“, „ტაბულა“ და „ლიბერალი“. მათი შერჩევა შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით მოხდა:

- ამ გამოცემების მაღალი ტირაჟით, სტაბილურიბითა და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებით;
- კომუნიკაციის განსხვავებული ფუნქციითა და მიზნით;
- სარედაქციო დამოუკიდებლობის სხვადასხვა ხარისხით;
- გამომსახველობითი საშუალებების სიჭარბით, კერძოდ, სტატიების მრავალფეროვანი ფოტოებით გაფორმებით.

ჩვენ მიერ შერჩეული გამოცემებიდან „კვირის პალიტრა“, „პრაიმ ტაიმი“, „ლიბერალი“, „ასავალ დასავალი“ ყოველკვირეულია, ხოლო „ტაბულა“ მხოლოდ 2012 წელს გამოდიოდა ყოველ კვირას, 2013

2014 წლებში კი ყოველთვიურად, „24 საათი“ და „რეზონანსი“ კი ყოველდღიური გამოცემებია. პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტთა გათვალისწინებით, სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, შევისწავლეთ „კვირის პალიტრის“ 144 ნომერი, „პრაიმ ტაიმის“ – 143, „ლიბერალის“ – 141, „ასავალ დასავალის“ 140, „ტაბულას“ 72, „24 საათის“ – 950, „რეზონანსის“ – 950 ნომერი. კვლევის მიზნიდან გამომდინარე წარმოგვეჩინა, აღნიშნული მედიასაშუალებების მიერ სკანდალური ინფორმაციის საილუსტრაციოდ გამოყენებული ვიზიალური მასალა შეიცავს თუ არა გარკვეულ ქვეტექსტსა და მინიშნებებს, რამდენად სიმბოლიზებულია, გამოხატავს თუ არა სტატიის ავტორის პოზიციას და ზოგადად, სარედაქციო პოლიტიკას სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით შევისწავლეთ იკონური კოდი.

საძიებო სამუშაოების შემდეგ, რომელიც საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ჟურნალ გაზეთების ნომრების შესწავლით დასრულდა, მოვახდინეთ შეგროვებული მასალის სისტემატიზაცია. ანალიზის საზრისისეულ ერთეულად აღებულ იქნა ინფორმაციის ვიზუალიზების ხერხი, ვიანიდან ჩვენს საკვლევ ინტერესს წარმოადგენდა, თუ როგორ გადმოიცემოდა არავერბალური კოდით ციხეებში მომხდარი ამბები. გამოიკვეთა 3 კატეგორია: ფოტო, ფოტოკოლაჟი და ცხრილი, რომლითაც საკვლევი ჟურნალ გაზეთები აშუქებდნენ ციხეში მიმდინარე მოვლენებს. საკვლევ ჟურნალ გაზეთებში ფოტოების შემდეგ ტიპებს შევხვდით:

- ამბის მნიშვნელობის (Newsworthiness), ანუ ამბის ღირებულების მიხედვით, წამყვანი ინფორმაციის საილუსტრაციო ფოტო,
- პერსონალური (Personal), ანუ პირადული,
- სიტუაციური (Situational), საგაზეთო ამბავში სიტუაციის ამსახველი,
- თემატური (Technical) ანუ შეტყობინების თემასთან კონცეპტუალურად დაკავშირებული.

ვიზუალიზების აღნიშნული ხერხები კოდირებულ იქნა მათში სტატიის ავტორის პოზიციისა თუ სარედაქციო პოლიტიკის სიმბოლიზებულ ქვეტექსტური შემცველობის ნიშნით ეგრეთ წოდებული „ციხის სკანდალის“ მედიური რეპრეზენტაციისას.

საზრისისეული ერთეულები გაანალიზდა სემიოტიკური ანალიზის, კერძოდ, მითების ანალიზის მიხედვით. შემდეგ კი, იმ მიზნით, რომ წარმოგვეჩინა, იკონური კოდისა და ვერბალური შემადგენელის ურთიერთმომაგრებით ვიზუალიზებული ინფორმაცია რამდენად გამოხატავდა სტატიის ავტორისა თუ რედაქციის პოზიციას, მითების ანალიზის შედეგები განვათავსეთ შემდეგ კატეგორიებში:

- ატრიბუცია „ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლა“: ამ ცვლადისთვის კოდი „1“ მიენიჭა ვიზუალურ კოდებს, რომლებიც ქვეტექსტურად გამოხატავენ მშვიდობიან ფორმებს, ხოლო კოდი „2“ უფრო მეტად აგრესიულ ფორმებს. ამ ჯგუფისთვის კოდირებულ იქნა 5 საზრისისეული ერთეული.

- ატრიბუცია „მაშინდელი მოქმედი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება“: ამ ცვლადისთვის კოდი „1“ მიენიჭა ვიზუალურ კოდებს, რომლებიც ქვეტექსტურად გამოხატავენ ლოიალურ დამოკიდებულებას მაშინდელი მოქმედი ხელისუფლების მიმართ, ხოლო კოდი „2“ უფრო მეტად ნეგატიურ დამოკიდებულებას. ამ ჯგუფისთვის კოდირებულ იქნა 5 საზრისისეული ერთეული.
- ატრიბუცია „მკითხველის ჩართულობისკენ მოწოდება“: კოდი „1“ მიენიჭა ვიზუალურ კოდებს, რომლებიც ქვეტექსტურად გამოხატავენ, რომ მედიასაშუალება ანგაჟირებულია, ხოლო კოდი „2“ ნაკლებად ანგაჟირებულია, სხვა გვარად რომ ვთქვათ, ახდენს მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას. ამ ჯგუფისთვის კოდირებულ იქნა 9 საზრისისეული ერთეული.

*სემიოტიკური ანალიზი*

ჟურნალი „ლიბერალის“ 2012 წლის 24 30 სექტემბრის ნომრის გარეკანზე გამოტანილია იმ დროისთვის ყველაზე სენსაციური ინფორმაცია, რომელიც მოიცავდა ციხეში ადამიანების წამების ფაქტების გამოაშკარავებას.

ფოტო, რომლითაც ჟურნალის ყდა არის გაფორმებული, ასახავს საპროტესტო აქციაზე ცოცხების დაწვის მომენტს. თუ მკითხველმა არ იცის, რომ ციხეებში გადაღებული და შემდგომ გასაჯაროებული კადრების მიხედვით, პატიმრებს ცოცხებით აწამებდნენ, რა თქმა უნდა, სრულიად გაუგებარი დარჩება ვერბალური ტექსტის „ტეროორი ციხეში“ და ვიზუალური ინფორმაციის ცეცხლწაკიდებული ცოცხების ურთერთმიმართება. საგულისხმოა, რომ სოციო კულტურულ კოდებს გარდა თემატური ფოტოებისა სიტუაციის ამსახველ ფოტოებშიც ვხვდებით. მითი, რომელსაც ქმნის ჟურნალი ლიბერალი ცეცხლწაკიდებული ცოცხებით მთავარი გვერდის გაფორმებით არის მცდელობა წამროაჩინოს რედაქციის დამოკიდებულება აღნიშნულ ფაქტთან, რომელსაც ცალსახად გმობს, რაც ცეცხლის მიერ ცოცხების განადგურებით არის ქვეტექსტურად გადმოცემული.

იგივე ნომერში ფოტორეპორტაჟი სახელწოდებით „არ აწამო!“ სამდღიანი აქციების ქრონიკა“ ვერბალური კოდის გარეშე მოგვითხრობს პატიმართა წამების წინააღმდეგ გამართულ საპროტესტო აქციებზე. მას დაეთმო ათი გვერდი. სულ დაიბეჭდა სიტუაციის ამსახველი თექვსმეტი ფოტო.

- პირველი ფოტო, რომელიც ორ გვერდზეა განთავსებული, ისეა დაგაღებული, რომ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ აქციას ზემოდან დაჰყურებს. აქცენტირებულია აქციონერთა რაოდენობა. ღამით გადაღებულ ფოტოზე ჩანს მშვიდად მდგარი აქციონერები, რაც ხაზს უსვამს, რომ აქცია ექსცესების გარეშე მიმდინარეობს და რომ ნამდვილად მშვიდობიანია. მიზანი ცალსახაა, დაარწმუნოს მკითხველი, რომ აქციის მონაწილეები მშვიდობიანი გზით ითხოვენ ადამიანის უფლებების დაცვას და ამგვარად, უპირისპირდებიან იმ შემზარავ აგრესიას, რაც გლდანის ციხეში და არა მარტო იქ ხდებოდა.

- შემდეგ სამ ფოტოზე, რომლებიც ერთმანეთის თანმიმდევრობითაა განლაგებული, ვხედავთ აქციონერთა ტრანსპარანტებს. ფოტოების დანიშნულებაა მკითხველს ინფორმაცია მიაწოდოს აქციის მონაწილეთა მოთხოვნების შესახებ: 1. „არ აწამო. იწამე ადამიანი“, 2. „ჩვენი უზენაესი ღირებულებაა ადამიანი“. ამ ლოზუნგის ქვეშ ჩანს რუპორი, რაც იმპლიცისტურად მიგვანიშნებს, რამდენად დაჟინებით ითხოვენ საზოგადოების წარმომადგენლები და მათ შორის თავად ჟურნალი „ლიბერალი“, რომ უპირველეს ყოვლისა დაცული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, რომ სხვა ყველაფერი მეორე ხარისხოვანია მათთვის და მოუწოდებენ მოსახლეობას შეუერთდეს მათ პროტესტს, რაც სიმბოლურად რუპორით არის გამოხატული. 3. „არ აწამო!“ ილუსტრირებულია კომიქსის სახით: ერთი სამართალდამცავი ურტყამს ჩვეულებრივ მოქალაქეს, რომელიც შეშინებული სახით გარბის, მეორე სამართალდამცავი კი აჩერებს კოლეგას ამ სიტყვებით: „არა, წამო!“ იმპიციტური მნიშვნელობა გულისხმობს, რომ აქციონერები სამართალდამცავებს მოუწოდებენ, დაიცვან ადამიანის უპირველესი უფლება.

- მეოთხე ფოტო, რომლითაც სრულდება გვერდი, ასახავს მტირალ მოხუც ქალს. ფოტოს მინაწერით ვიგებთ, რომ ფოტო გადაღებულია 2012 წლის 19 სექტემბერს გლდანის მე 8 საპყრობილესთან, მოხუცი კი პატიმრის ნათესავია. ამ ვიზუალური ტექსტით დენოტირებულია ის მტანჯველი ტკივილი, რაც „ციხის სკანდალმა“ გამოიწვია მოსახლეობაში. მითი, კი რომელიც იქმნება, რედაქციის მცდელობაა, მკითხველში გამოიწვიოს თანაგრძნობა, რაც თავის მხრივ გააძლიერებს მასში პროტესტს არსებული რეალობის წინააღმდეგ.

- შემდეგი ორი ფოტო ერთმანეთის თანმიმდევრობით ერთ გვერდზე განთავსებული ასახავს პეკინის გამზირზე 2012 წლის 20 სექტემბერს გამართულ მსვლელობას. პირველი ფოტოთი, რომელიც ზემოდან არის გადაღებული, დენოტირებულია მსვლელობის მშვიდობიანი ხასიათი. მეორე ფოტოზე აღბეჭდილია აქციონერთა ტრანსპარანტი წარწერით: „ნულოვანი ტოლერანტობა, ყველანი ციხეში!“ ამ ფოტოთი დენოტირებულია აქციონერთა მოთხოვნა, ხოლო იმპლიცისტურად წარმოჩენილია დამნაშავეთა მიმართ როგორც აქციის მონაწილეთა, ასევე ტავად რედაქციის დამოკიდებულება.

- შემდეგ გვერდზე განთავსებული ორი ფოტო ასახავს მოდულის შენობის წინ იმავე დღეს, 20 სექტემბერს, გამართულ აქციას. პირველი ფოტოთი დენოტირებულია აქციონერთა რაოდენობა, მეორე ფოტო კი გვაწვდის ინფორმაციას, რომ აქციონერები მშიდობიანი ფორმით გამოხატავდნენ პროტესტს ფოტოზე ვხედავთ, როგორ იწვის ცოცხები.

- მომდევნო ორ გვერდზე სამი ფოტოთი ასახულია აქციონერთა სამი სხვადასხვა ლოკაცია: პროკურატურა, გლდანის ციხე და პრეზიდენტის რეზიდენცია. პროკურატურის წინ დღისით გადაღებული ფოტოთი დენოტირებულია აქციონერთა სიმრავლე. მის ქვემოთ განთავსებული ორივე ფოტო ღამით არის გადაღებული, რაც ამძაფრებს შთაბეჭდილებას მით უმეტეს, როცა ციხის წინ მხოლოდ აჩრდილები ჩანს. პრეზიდენტის რეზიდენციის წინ გადაღებულ ფოტოზე აქცენტირებულია აქციონერთა მოთხოვნა. ტრანსპარანტზე იკითხება: „SOS! შეწყდეს ძალა“. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო სიტყვა „ძალადობა“ სრულად არ ჩანს, მკითხველისთვის შირააარსი სრულიად გასაგებია.
- ბოლო ოთხი ფოტო ისეა გადანაწილებული ორ გვერდზე, რომ დღისით გადაღებული გლდანის ციხის ამსახველი კადრები ფურცლის ზედა ნახევარშია განთავსებული, ღამით კოსტავას გამზირზე დაგაღებული ორი ფოტო კი მათ ქვეშ. განვიხილოთ გლდანის ციხესთან გამართული აქციის ფოტოები. პირველ ფოტოზე აქცენტირებულია საგუშაგო, სადაც გუშაგიც ჩანს, წინა პლანზე კი თავჩაღუნულ ქალს ვხედავთ. მისი პოზით იქმნება მითი, რაც არის პუბლიკაციის მცდელობა, არსებულ რეალობაზე დააფიქროს მოსახლეობა. მის გვერდით ფოტო ისეა განთავსებული, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს გუშაგი აქციონერებმა ჩაანაცვლეს, რომლებიც ნანგრევებისგან დარჩენილ სვეტზე ასულები გადაჰყურებენ ციხეს. იმპლიცისტურად ფოტოების ასეთი განლაგებით გამოხატულია საპროტესტო აქციის მონაწილეთა დანიშნულება: იდგნენ ციხეში პატიმართა უფლებების საგუშაგოზე. ბოლო ორი ფოტო, როგორც აღვნიშნეთ, ასახავს კოსტავას მოედანზე გამართულ აქციას. ფოტოები აგრესიულ ხასიათს იძენს, რადგან მათზე აღბეჭდილია ის აქციონერები, რომელთაგან ერთი, ბენდენით ცხვირ პირ წაკრული, მალავს სახეს, მეორე კი წელზევით შიშველი მიმართავს აქციის ახალგაზრდა მონაწილეებს. მის გვერდით განთავსებული ფოტო კი ზურგის მხრიდან ასახავს ახალგაზრდა აქციონერებს, რომელთა შორის განირჩევა ტანშიშველი და სახეზე ბენდენააკრული ბიჭები. ფოტოს რაკურსით იქმნება მითური მნიშვნელობა, რომლითაც სიმბოლურად გადმოცემულია

პუბლიკაციის პოზიცია, რომ აგრესიის ნიშნების მატარებელ აქციას ზურგი შეაქციონ ანუ არ შეუერთდნენ თუნდაც დანარჩენი აქციონერები.

განხილული ფოტოების ერთობლიობა წარმოაჩენს ფოტორეპორტაჟის როგორც ექსპლიციტურ ასევე ფარულ მნიშვნელობებს. ფოტორეპორტაჟით დენოტირებულია 19 20 სექტემბერს, საპატიმროებში პატიმართა წამების საზარელი ფაქტების გასაჯაროების შემდეგ გამართული აქციების სიმრავლე და მშვიდობიანი ხასიათი, ხოლო კონოტაციურად გამოხატულია პუბლიკაციის დამოკიდებულება არნიშნული საპროტესტო აქციების მიმართ. კერძოდ, ჟურნალი „ლიბერალი“ უერთდება მშვიდობიანი ფორმით ადამიანის უფლებების დაცვის მოთხოვნით გამართულ პროტესტს და მკითხველსაც მოუწოდებს თანაგრძნობისკენ, სამაგიეროდ გმობს აქციებზე გამოხატულ აგრესიის ნიშნებს და აფრთხილებს საზოგადოებას, რომ მშვიდობიანი აქცია თუ გადაიზრდება აგრესიულ მსვლელობებში, ზურგი შეაქციოს და არ შეუერთდეს.

ყოველკვირეული გაზეთი „კვირის პალიტრა“ ჯერ კიდევ 2012 წლის დასაწყისში შეეხო ციხეში პატიმრების ყოფის საკითხს.

23 29 იანვრის ნომრის სარედაქციო ფოტოს სათაურია: „N1 საპატიმრო“ ანუ არასაპატიო ადგილი ევროპაში!“, რომელშიც სიტყვები ფერებისა და ფონტის ზომების გამოყენებით კომპოზიციურად ისეა გადანაწილებული, რომ მკითხველს მიეწოდება მთავარი გზავნილი: „N1 საპატიმრო“ ევროპაში!“ ფოტო, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება, თემატური ფოტოს კატეგორიას მიეკუთვნება. ერთზე ძველებური ხის სატუსაღოს გისოსებზე რვა ადამიანის ხელია აღბეჭდილი იმგვარად, თითქოს მისი ჩამოღება სურთ, მეორეზე კი ქართული მხატვრული ფილმის „ყვარყვარე თუთაბერის“ კადრია, რომელზეც თავად ყვარყვარეა გამოსახული და ფოტოს მინაწერად მისივე სიტყვებია მოხმობილი: „კარი იკეტება? აბა, დატეულან და ეგ არის!“

ინტერტექსტუალიზმით გამდიდრებული შეტყობინების კონოტაციური მნიშვნელობის გაგება მთლიანად მკითხველის ისტორიული და კულტურული ცოდნის მარაგზეა დამოკიდებული.

ამ სარედაქციო სტატიის გაშუქებისას აღნიშნული თემატური ფოტო დაშლილია.

„№1 საპატიმრო“ ანუ არასაპატიო ადგილი ევროპაში

„ეს არის ქართველი ერის შეფარული გენოციდი!“

Entire world - Prison Population Rates per 100,000 of the national population

| | | |
|---|---|---|
| 1 | United States of America | 730 |
| 2 | St. Kitts and Nevis | 649 |
| 3 | Rwanda | c.595 |
| 4 | Georgia | 539 |
| 4 | Virgin Islands (USA) | 539 |
| 6 | Russian Federation | 534 |
| 7 | Seychelles | 507 |
| 8 | Anguilla (United Kingdom) | 480 |
| 9 | Belize | 439 |
| 9 | Virgin Islands (United Kingdom) | 439 |
| 11 | Dominica | 431 |
| 12 | Bermuda (United Kingdom) | 428 |
| 13 | Grenada | 423 |
| 14 | El Salvador | 391 |
| 15 | Cayman Islands (United Kingdom) | 385 |
| 16 | Bahamas | 382 |
| 17 | Belarus | 381 |
| 18 | St. Vincent and the Grenadines | 379 |
| 19 | Palau | 378 |
| 20 | Barbados | 354 |
| 21 | Panama | 349 |
| 22 | Ukraine | 347 |
| 23 | Maldives | 343 |
| 24 | Greenland (Denmark) | 340 |
| 25 | Iran | 333 |
| 26 | Antigua and Barbuda | 330 |
| 27 | Guam (USA) | 328 |
| 27 | Thailand | 328 |
| 29 | Kazakhstan | 323 |
| 29 | St. Lucia | 323 |
| 31 | Israel | 319 |
| 31 | Netherlands Antilles (Netherlands) | 319 |
| 33 | South Africa | 318 |
| 34 | Latvia | 314 |
| 35 | Puerto Rico (USA) | 303 |

შენარჩუნებულია მხოლოდ ფილმის კადრი. სტატია ყვარყვარეს ნათქვამით იწყება. აქ, საილუტრაციოდ გამოყენებულია თემატური ფოტო წარწერით: „ეს არის ქართველი ერის შეფარული გენოციდი“. მასზე აღბეჭდილია შუახნის მამაკაცის სახე ციხის გისოსებს უკან სიგარეტით პირში. ეს ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ეგრეთ წოდებული „ციხის ამბების“ საილუსტრაციოდ გამოყენებულია ციფრულ გრაფიკული საშუალება, კერძოდ, ცხრილი, რომელზეც საქართველო მეოთხე ადგილზეა აღნიშნული, რაც წინააღმდეგობაში მოდის სათაურთან („N1 საპატიმრო“... ევროპაში“). აშკარაა, რომ ეს ცხრილი, რომელზეც ნაჩვენებია 100 000 მცხოვრებზე პატიმართა რაოდენობა მსოფლიოს მასშტაბით და არა ევროპის, აბნევს მკითხველს. ზოგადად, სტატისტიკურ მონაცემებს მეტი დამაჯერებლობისთვის მოიხმობენ. ჩვენ მიერ შესწავლილ მაგალითში კი ის პირიქით არასანდოობის ეფექტს ქმნის.

იგივე გამოცემა უშუალოდ „ციხის სკანდალს“ 24 30 სექტემბრის ნომერში აქვეყნებს მთავარ თემად.

ამ სარედაქციო ფოტოს წინა პლანზე ჩანს ახალგაზრდა მამაკაცი ზემოთაწეული

მუშტშეკრული მარცხენა ხელით, თეთრი ყელსაბამით, ხუთქიმიანი წითელ ვარსკვლავიანი ბერეტით და ცეცხლწაკიდებული ცოცხით მარჯვენა ხელში, უკანა პლანზე კი გისოსებჩამონგრეული საკნის ფანჯარაა. სარედაქციო სტატიის სათაური და ფოტოს ელემენტები კომპოზიციურად ისეა გადანაწილებული, რომ ცეცხლწაკიდებული ცოცხის თავზე წითლად წერია: „გამოცხადებული სადიზმი“, ხოლო მის გვერდით შავ ფონზე თეთრად: „და გამოცოცხლება სიკვდილის შემდეგ!!!“. სიტყვა „გამოცოცხლება“ ში „ცოცხ“ წითლად არის აღნიშნული.

ვიზუალაური სახით შექმნილი მითის ანალიზისთვის პირველ რიგში უნდა შევისწავლოთ ის სოციო კულტურული კოდები, რომელიც ფოტოს შესაქმნელად არის გამოყენებული. პერსონაჟი ბერეტზე გამოსახული ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავით „ჩე გევარას“ სიმბოლურ სახეს წარმოადგენს. მოგეხსენებათ, ერნესტო რაფაელ გევარა დე ლა სერნა საყოველთაოდ ცნობილი, როგორც „ჩე გევარა“ იყო მარქსისტი რევოლუციონერი, პოლიტიკოსი, კუბის პარტიზანული ლიდერი. მისი სტილიზებული სახე გახდა წინააღმდეგობის საყოველთაოდ გავრცელებული კონტრკულტურული სიმბოლო და სახალხო კულტურის გლობალური ნიშანი. ცოცხი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2012 წლის „ციხის სკანდალის“ გამომხატველი ნიშანია. ცეცხლწაკიდებული ცოცხით კონოტირებულია ციხეებში პატიმართა წამების აღმოფხვრა. ზემოთაწეული მუშტშეკრული მარცხენა ხელით დენოტირებულია ხალხის ერთ მუშტად შეკვრა, გაერთიანება ერთი იდეის გარშემო, ხოლო კონოტაციურად აღნიშნავს მეოცე საუკუნის 80 90 იანი წლების ეროვნული მოძრაობის გამარჯვებას, რადგან სწორედ ეს ჟესტი იყო გაერთიანების ერთ ერთი სიმბოლო. თეთრი ყელსახვევი გამოხატავს მშვიდობიან მოთხოვნას, რომელიც უპირისპირდება ყველანაირ ძალადობრივ ქმედებას, ციხის გამონგრეული სარკმელი კი გისოსებს მიღმა არსებული რეალობის გამოაშკარავებას.

მითი, რომელიც იქმნება სარედაქციო ფოტოთი, არის გაზეთ „კვირის პალიტრის“ მცდელობა, მოახდინოს საზოგადოების მობილიზება, რათა მშვიდობიანი გზით ერთ მუშტად შეკრულმა, გასაჯაროებული ფაქტების საფუძველზე, იბრძოლოს ციხეებში პატიმართა წამების აღმოსაფხვრელად.

„ციხის სკანდალის“ საილუტრაციოდ პირადული ფოტოც გამოქვეყნდა გაზეთი „ასავალ დასავალის“ ფურცლებზე.

2012 წლის 24 30 სექტემბრის ნომერში მთავარ გვერდზე დაბეჭდილია ხათუნა კალმახელიძის (საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების მინისტრი 2009 2012 წლებში) პირადული ფოტო წარწერით: „სკანდალური ინტერვიუ გლდანის ციხის ყოფილ პატიმართან! ...კალმახელიძე და მისი თაყვანისმცემელი შამპანურს სვამდნენ და სიამოვნებით უყურებდნენ პატიმრის წამებას!“ სტატიის საილუსტრაციოდ იგივე ფოტოა გამოყენებული.

არავერბალური ტექსტის მიმაგრება ლინგვისტურ გზავნილთან ტვირთავს რა მას კონოტაციებით ახდენს რეალობის დენოტირებას და, ამგვარად, მეტ დამაჯერებლობას სძენს გზავნილს, მაგალითად, სიტყვა „სიამოვნებით“ და ხ. კალმახელიძის მომღიმარი სახის ურთიერთმიმართება.

2013 წლის ერთ ერთ მთავარ საგაზეთო თემად დარჩა ციხეში პატიმართა წამების გასაჯაროებული ფაქტები. მაგალითად, 2013 წლის 17 23 ივნისის „კვირის პალიტრასა“ და 2013 წლის 24 ივნისის „პრაიმ ტაიმის“ ნომრებში დაიბეჭდა ერთი და იგივე ფოტო.

„ასეთი საღისტი დღეს დაუსჯელია“

განვიხილოთ თითოეული მათგანი.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ „პრაიმ ტაიმი“, რომელმაც „კვირის პალიტრის“ შემდეგ ერთი კვირის თავზე გამოაქვეყნა იგივე ფოტო, სკანდალურ ექსკლუზივს არქმევს მას, რაც ცხადია, ექსკლუზივი ვერ იქნებოდა. „პრაიმ ტაიმის“ ფოტო ფერადია, „კვირის პალიტრის“ შავ

თეთრი. პირველი ფოტოს მინაწერი თეთრი ასოებით დიდი შრიფტით ფოტოზევეა: „18 წლის ბიჭის გაუპატიურებას ცნობილი პოლიციელი ცდილობდა“. „კვირის პალიტრა“ კი ფოტოს თავზე აწერს: „ბუთლიაშვილი იყო ყველაზე სასტიკი ჯალათი“. ეს მინაწერი სტატიის სათაურის: „ასეთი სადისტი დღეს დაუსჯელია“ ქვემოთ არის განთავსებული. სათაურის გასწვრივ გოგა ბუთლიაშვილის პორტრეტია.

მთავარი გზავნილი, რომელსაც გაზეთი „კვირის პალიტრა“ ქმნის ორი ფოტოთი და მათზე მიმაგრებული ვერბალური ტექსტებით, ასე შეიძლება, გავაანალიზოთ: ფოტოზე ასახული სადიზმის ავტორი გ. ბუთლიაშვილია, რომელიც ისევ დაუსჯელია. იმპლიცისტურად ერთი მხრივ, იკვეთება არა მარტო ავტორის, არამედ რედაქციის პოზიციაც, რომ სადისტები უნდა დაისაჯონ და მეორე მხრივ, გაკრიტიკებულია სასამართლო ხელისუფლების უუნარობა.

რაც შეეხება „პრაიმ ტაიმს“, აქ, „სკანდალური ექსკლუზივი“, რომელიც ეხება ცნობილი პოლიციელის მიერ 18 წლის ბიჭის გაუპატიურების მცდელობას, ქმნის მითს, რაც არის პუბლიკაციის მცდელობა, შექმნას საკუთარი იმიჯი, რომ მას სკანდალური ამბების გაშუქების ექსკლუზიური უფლება აქვს მოპოვებული, რაც, როგორც ვნახეთ, ამჯერად სიცრუე აღმოჩნდა.

ამგვარად, ერთი და იგივე ინფორმაცია ილუსტრირებული ერთი და იგივე ფოტოთი გამოცემის სარედაქციო პოლიტიკიდან გამომდინარე სრულიად განსხვავებულ კონოტაციურ მნიშვნელობას იძენს.

გაზეთი „რეზონანსი“ 2012 წლის 19 სექტემბრის ნომერში მთავარ გვერდს უთმობს „ციხის სკანდალს“ სათაურით: „ნაციონალური“ წამების კადრები“.

მთავარ გვერდზე წამყვანი ინფორმაციის საილუსტრაციოდ გამოყენებულია სიტუაციის ამსახველი სამი ფოტო და ერთიც ამ შემზარავი კადრების გადამღები ბედუკაძის პორტრეტი, რომელიც ამ დროისთვის ბრიუსელში იმყოფებოდა. ოთხივე ფოტო ბარტისეული ერთ ერთი კონოტაციური ხერხის მიხედვით, „სინტაქსურად“ არის განლაგებული. პირველი ბედუკაძის პორტრეტია. მისი სახის მიმიკა გამოხატავს გაკვირვებას, რისი გაზიარებაც სურს მკითხველისთვის, რადგან მისი მზერა ადრესატისკენ არის მიპყრობილი. შემდეგ მოსდევს სიტუაციის ამსახველი სამი ფოტო, ვიდეოკადრებიდან ამოჭრილი, რაზეც მიუთითებს ფოტობის წარწერა. გაზეთმა ამგვარი ხერხების გამოყენებით შექმნა მითი, თითქოს მკითხველს ამ საზარელ ამბავს თავად ბედუკაძე აცნობს, რაც, თავის მხრივ, გაზეთს მეტ ობიექტურობას სძენს.

გაზეთ „რეზონანსის“ 2012 წლის 20 სექტემბრის ნომრის წამყვანი ინფორმაციაც „ციხის სკანდალს“ ეხება. საილუსტრაციოდ კვლავ სიტუაციის ამსახველი ფოტოა გამოყენებული, მაგრამ ამჯერად საპროტესტო აქციის ამსახველი.

„წამება და არჩევნები“ ასეთი სათაურით დაიბეჭდა მთავარი სტატია, რომელსაც თავზე შედარებით პატარა შრიფტით აწერია: „უპრეცედენტო პროტესტი და უპრეცედენტოდ

„დარცხვენილი“ ხელისუფლება“. საპროტესტო აქციის ამსახველ ფოტოზე ტრანსპარანტების წინ ვხედავთ ორ ახალგაზრდა ქალს, მათი ჟესტების მიხედვით, ერთი სტვენით გამოთქვამს პროტესტს, მეორე კი ყვირილით. ორივეს მზერა მკითხველისკენ არის მიმართული, რაც იმპლიცისტურად ერთგვარ მოწოდებას გამოხატავს. სათაურისა და ფოტოს ურთიერთმიმაგრებით იქმნება მითი, რაც დეკოდირდება როგორც მოწოდება, რომ არჩევნებზე მისულმა ამომრჩეველმა გაიხსენოს ციხეებში პატიმრების წამების ფაქტები და საპროტესტო აქციის მონაწილეთა მსგავსად ხმა „დარცხვენილი ხელისუფლების“ ანუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ მისცეს.

გაზეთი „რეზონანსი“ მომდევნო ნომრებში აქტიურად აშუქებს საპროტესტო აქციებს, რაც მოჰყვა ციხეებში პატიმართა წამების ფაქტების გასაჯაროებას. სტატიების საილუსტრაციოდ კვლავ იყენებს სიტუაციის ამსახველ ფოტოებს, თუმცა, ამჯერად აქცენტი ტრანსპარანტებზეა გადატანილი.

მოწოდებებში დომინირებს სიტყვა „ცოცხი“, მაგალითად, „მოცოცხეთ აქედან!“ და „ გამო ცოცხ ლდით!“. მოგეხსენებათ, ცოცხი ამ ფაქტების სიმბოლოდ იქცა. ამგვარი ფოტოებით სტატიების გაფორმება მიგვანიშნებს გაზეთის მცდელობაზე, ერთი მხრივ, წარმოაჩინოს საპროტესტო აქციის მონაწილეთა კრეატიულობა, მეორე მხრივ, კი მკითხველის ფსიქიკაზე მოახდინოს ძლიერი ზემოქმედება იმ ასოციაციებით, რასაც „ცოცხი“ გამოიწვევს რეციპიენტში.

გაზეთი „24 საათი“ 2012 წლის 19 სექტემბრის ნომერში მთავარ გვერდზე პირველ ინფორმაციად აქვეყნებს სტატიას: „ძალადობა გლდანის ციხეში“.

საილუსტრაციოდ იყენებს სიტუაციურ ფოტოს, რომელზეც აღბეჭდილია ფილარმონიასთან საპროტესტო აქციაზე ხალხის მსვლელობა. ფოტო ისეთი რაკურსით არის გადაღებული, რომ პროტესტის მონაწილეთა ზურგებს ან პროფილს ხედავს მკითხველი. ილუსტრაციით კონოტირებულია პუბლიკაციის პოზიცია: „24 საათი“ მხოლოდ ფაქტის კონსტატაციას ახდენს. ყოველდღიური გამოცემის ინტერესი საზოგადოების მობილიზება რომ ყოფილიყო, ფოტო ისეთი რაკურსით იქნებოდა გადაღებული, მკითხველი მინიმუმ თავისკენ მომავალ ადამიანთა ჯგუფებს დაინახავდა.

შემდეგ ნომერშიც, მთავარ გვერდზე იბეჭდება სტატია სათაურით: „პროტესტი გრძელდება“. საილუტრაციოდ კვლავ სიტუაციური ფოტოა გამოყენებული. ამჯერადაც, ისეთი ფოტოა, რომ ტრანსპარანტებიც კი არ ჩანს.

უშუალოდ სტატიის გასაფორმებლადაც სიტუაციური ფოტოა დაბეჭდილი. ფოტოზე ასახულია საპროტესტო აქციაზე მყოფი სამი ახალგაზრდა მამაკაცი ცოცხებით ხელში.

ნათელია, რომ გაზეთი „24 საათი“ ერთგული რჩება არჩეული პოზიციის, რომ საზოგადოებრივი ვნებათაღელვა გააშუქოს როგორც უბრალოდ ფაქტი.

ჟურნალი „ტაბულა“ 2012 წლის 19 სექტემბრის ნომრის ყდას აფორმებს ჰიერონიმუს ბოსხის ტრიპტიქის „მიწიერ სიამოვნებათა ბაღის“ მარჯვენა პანელის იმ ნაწილით, რომელზეც ჯოჯოხეთია




დახატული.

ორიგინალში ნახატი ფერადია, ჟურნალი კი მას შავ თეთრად ბეჭდავს, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ემოციურ შთაბეჭდილებას. ყდაზე წარწერაა: „გლდანტანამო ანუ სისტემური მარცხი“. “გლდანტანამო“ გლდანისა და გვანტანამოს შერწყმით არის მიღებული. გლდანი მიუთითებს იმ ციხის გეოგრაფიულ მდებარეობას, სადაც ფარულად იყო გადაღებული პატიმართა წამების ფაქტები, გვანტანამო კი მოგეხსენებათ, კუბის ტერიტორიაზე ამერიკის სამხედრო ბაზაზე შექმნილი ციხეა, სადაც ტეროროზმსა და ჯაშუშობაში ბრალდებულები იხდიან სასჯელს. „სისტემური მარცხი“ აპელირებს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში მომხდარ მსგავს ფაქტზე, როდესაც 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ გვანტანამოს ციხეში პატიმართა წამების ფაქტები გასაჯაროვდა. ამერიკაში სისტემური მარცხი მოჰყვა პატიმართა წამების ფაქტების გასაჯაროებას და შედეგად, რესპუბლიკელთა მმართველობა დამარცხდა (მოქმედი პრეზიდენტი, ჯორჯ უოლკერ ბუში, რესპუბლიკელი იყო). დემოკრატებმა ამით ხმების უმრავლესობა მოიპოვეს და შედეგად, ბარაკ ობამამ დაამარცხა რესპუბლიკელი კონკურენტი ჯონ მაკ კეინი და გახდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

ამრიგად, ვიზუალური კოდით, ბოსხის ფერწერული ნამუშევრით დენოტირებულია პატიმართა წამების შემზარავი ფაქტები, ხოლო კონოტაციურად გამოხატავს ჟურნალის რედაქციის მიერ ამ ფაქტების შეფასებას, რომ, რაც გლდანის ციხეში ხდება, ნამდვილი ჯოჯოხეთია და შესაბამისად, დასაგმობია. ვერბალური კოდით დენოტირებულია, რომ გვანტანამოს სკანდალის მსგავსად გლდანის ციხის გახმაურებული ფაქტებიც სისტემურ ცვლილებას მოახდენს საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, ხოლო კონოტაციურად მკითხველს მიანიშნებს, რომ სენსაციური, რომლის ანალოგიც მსოლიოში არ არსებობს, არაფერი მომხდარა, რაც თავისთავად აკნინებს „ცოხის სკანდალი“ არავერბალური კოდით კონოტირებულ შეფასებას.

მითი, რომელიც იქმნება, გამოხატავს ჟურნალის სარედაქციო პოლიტიკის ორმაგ

სტანდარტს: ერთი შეხედვით, ფაქტს აფასებს, როგორც ჯოჯოხეთურს, საბოლოოდ, კი ამაში ისეთს ვერაფერს ხედავს, რაც ანალოგი არ ჰყავს.

*შედეგები*

სემიოტიკურ ანალიზზე დაყრდნობით, გამოვიკვლიეთ ის მითები, რომელსაც ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალ გაზეთები ქმნიდნენ იკონური და ვერბალური კოდების ურთიერთმიმაგრებით ეგრეთ წოდებული „ციხის სკანდალის“ ვიზუალიზებისას. მითების ანალიზის საფუძველზე გამოკვეთილი იმპიციტური მნიშვნელობები განვათავსეთ გადაუდებელი კოდირების სისტემაში.

გამოიკვეთა, რომ ჩვენ მიერ შესწავლილ მედიასაშუალებებში გამოქვეყნებული ვიზუალური ინფორმაცია „ადამიანის უფლებების დაცვისათვის ბრძოლის“ უფრო მეტად მშვიდობიანი ფორმის ილუსტრირებას ახდენს, ვიდრე აგრესიულის (იხ. დიაგრამა 1). რაც შეეხება ვიზუალური შემადგენლის კონოტაციური მნიშვნელობებით მაშინდელი ხელისუფლებისადმი (ნაციონალური მოძრაობის მმართველობისადმი) გამოხატულ დამოკიდებულებას, აშკარაა, რომ უმეტესად ნეგატიურია, ლოიალობა კი იშვიათად იკვეთება (იხ. დიაგრამა 2). კვლევის მიზნიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი იყო შეგვესწავლა ვიზუალიზებული ინფორმაცია იმპლიციტურად რამდენად მოუწოდებდა მკითხველს საპროტესტო აქციებში ჩართულობისკენ. კვლევამ აჩვენა, რომ იკონურ შემადგენელში სიმბოლიზებული ინფორმაცია უფრო ხშირად წარმოაჩენს მედიასაშუალების ანგაჟირებულ სახეს, ვიდრე არაანგაჟირებულს (იხ. დიაგრამა 2).

დიაგრამა N1




დიაგრამა N2


მაშინდელი მოქმედი ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება
ლოიალური
ნეგატიური

დიაგრამა N3


მკითხველის ჩართულობისკენ მოწოდება
ანგაჟირებული
ნაკლებად ანგაჟირებული

## დასკვნა

კონკრეტული მაგალითების სემიოტიკური, კერძოდ კი, მითების ანალიზის საფუძველზე განხილვის შედეგად შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ ჩვენი კვლევის პერიოდის, კერძოდ, 2012 2014 წლების ყველაზე სკანდალური ინფორმაცია, „ციხის სკანდალის“ სახელით დამკვიდრებული მრავალფეროვნად არის გაშუქებული თანამედროვე ქართული ბეჭდვითი მედიის ფურცლებზე.

როგორც ვნახეთ, „ციხის სკანდალის“ საილუსტრაციოდ გამოყენებულია თემატური ფოტოები, გასაშუქებელ ინფორმაციასთან კონცეპტუალურად დაკავშირებული, სიტუაციური და პირადული ფოტოები, რაც ახდენს რა რეალობის დენოტირებას, მეტი დამაჯერებლობით ტვირთავს შეტყობინებას და ბოლოს, ციფრულ გრაფიკული ხერხი, კერძოდ, ცხრილი, რომელიც ზოგადად მკითხველს ამბის ობიექტურად გადმოცემაში არწმუნებს. თუმცა, განხილულმა მაგალითმა ნათელჰყო, რომ სტატისტიკურ მონაცემებზე არასწორად დასმული აქცენტები პირიქით, აბნევს მკითხველს და ობიექტურობის ნაცვლად ზრდის არასანდოობის კოეფიციენტს.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, განსაკუთრებით, თემატური ფოტოს შექმნისას სოციალურ კულტურული კოდების გარდა ამოქმედებულია ინტერტექსტუალური მნიშვნელობებიც, რაც ერევა კონოტაციების შექმნაში და აძლიერებეს იმპლიცისტურ მნიშვნელობებს.

ჩვენი საკვლევი პერიოდის, კერძოდ, 2012 2014 წლების ყველაზე გახმაურებული ამბის „ციხის სკანდალის“ ვიზუალიზების ხერხების შესწავლის საფუძველზე, აშკარად გამოიკვეთა ჟურნალ გაზეთების სარედაქციო პოლიტიკა. მაგალითად, თუ შევადარებთ ყოველდღიურ გამოცემებს „24 საათსა“ და „რეზონანსს“, ნათლად დავინახავთ მათ სრულიად განსხვავებულ მიდგომას: „24 საათი“ ისე აშუქებს სკანდალს, რომ მხოლოდ ფაქტების კონსტატაციით შემოიფარგლება, „რეზონანსი“ კი ცდილობს, ზემოქმედება მოახდინოს მკითხველზე. გაზეთი „პრაიმ ტაიმი“ საკუთარი იმიჯის შესაქმნელად იყენებს სკანდალურ ინფორმაციას. ის ცდილობს, დაარწმუნოს მკითხველი, რომ ექსკუზიური უფლებით სარგებლობს. „კვირის პალიტრა“ და „ასავალ დასავალი“ ვიზუალიზების ისეთ ფორმებს (თემატური და პირადული ფოტოები) მიმართავენ, რაც ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას მოახდენს მკითხველზე და არსებული რეალობის შეცვლის სურვილით გამსჭვალავს.

რაც შეეხება ჟურნალებს, „ლიბერალი“ სკანდალის გაშუქებისთვის სიტუაციის, ამ შემთხვევაში საპროტესტო აქციის, ამსახველ ფოტოებს ანიჭებს უპირატესობას, „ტაბულა“ კი თემატურ ფოტოს, რომელიც საკითხის უფრო სიღრმისეული წვდომის საშუალებას იძლევა და ვიზუალურ კოდს მრავალი იმპიციტური მნიშვნელობებით ტვირთავს.

კვლევამ ნათელყო, რომ ჩვენ მიერ შესწავლილი ჟურნალ გაზეთების ვიზუალური კომპონენტით გადმოცემული სიმბოლიზებული ინფორმაცია აშკარად გამოხატავს არა მარტო სტატიის ავტორის პოზიციას, არამედ მთლიანად სარედაქციო პოლიტიკას.

## ბიბლიოგრაფია

Bacot, P. Desmarchelier, D. et Remi Giraud, S. (2016, 05 23). *Mots. Les langages du politique.* Retrieved from Le langage des chiffres en politique: http://mots.revues.org/20977

Barthes, R. (1961). Le message photographique. *Communications*.

Barthes, R. (1964). Rhetorique de l'image. *Communications*.

Barthes, R. (1967). *Elements of Semiology.* London: Jonathan Cape.

Barthes, R. (1980). *La chambre claire Note sur la photographie.* Paris: Gallimard.

Durand, J. (1970). Rhétorique du nombre. *Communications*.

Metz, C. (1970). Au dela de l'analogie, l'image. *Communications*.

Сорокин, Ю. А. Тарасов, Е. Ф. . (1990). *Креолизованные тексты и их коммуникативная функция*. Москва: Высшая школа.

ШЕЙГАЛ, Е. (2000). *Семиотика политического дискурса*. Волгоград.

ბარტი, რ. (2011). *მითოლოგიები.* თბილისი: აგორა.

დოლიძე, რ. რუსეიშვილი, მ. (2009). სემიოტიკა და მასმედია. In *სამეცნიერო ძიებანი XXX Linguistic papers* (pp. 25 31). თბილისი: ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი.

კუბრე, კ. (2005). *ფოტოჟურნალისტიკა: პროფესიული მიდგომა.* თბილისი: დიოგენე.

მაისაშვილი, ხ. (2017). *პოლიტიკური დისკურსის კონტენტანალიზი.* https://idocslide.com/docx 3MKLMve.

სთორი, ჯ. (2007). *კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა.* თბილისი: ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტი.

შამილიშვილი, მ. (2014). ზურაბ ქარუმიძის კრეოლიზებული მედიატექსტები. *კრიტიკა.*

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №6, თებერვალი, 2018

Journal of Young Researchers, No. 6, February, 2018

# პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზები: მასების და ელიტების ძალადობა

**ნინო ოხანაშვილი***

დოქტორანტი, კონფლიქტების ანალიზი და მართვა
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**რეზიუმე**

წინამდებარე სტატია პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევ მიზეზებს იკვლევს. სტატიის ძირითად მიზანს ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის ჭრილში, პოლიტიკურ-ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების დადგენა წარმოადგენს.

ქვენეთ უოლცის ანალიზის სამი დონე, რომელიც ხსნის სახელმწიფოთა შორის ომის გამომწვევ მიზეზებს, სტატიაში, სტიუარტ კაუფმანის ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის გამოყენებით, უოლცის თეორია გადმოტანილია შიდა დონეზე, ეთნიკური კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების ასახსნელად. სტატიის მიზანია გადაამოწმოს ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორიის ვარაუდები კონფლიქტის გამომწვევი მიზეზების დადგენაში. სტატიაში ამ თეორიული არგუმენტების გადამოწმება ხორციელდება აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე.

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისეთი აპრობირებული გზა, როგორიც არის კვლევის თვისობრივი მეთოდი. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, კვლევის პროცესში, გაანალიზდა მეორადი წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს. ასევე გამოყენებულ იქნა მონაცემთა შეგროვების ისეთი კონკრეტული მეთოდოლოგიური ტექნიკა, როგორიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუები საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი შეიძლება გახდეს, როგორც მასების, ასევე ელიტების მიერ მართული ძალადობა. ეთნიკური ომის წინაპირობას ქმნის ეთნიკური დომინირების ისტორია, ეთნიკური სტერეოტიპები, ეთნიკური სიმბოლიკის საკითხები. თუ ეს ფაქტორები სხვა ეთნიკურ ჯგუფებს მტრობას უღვივებს, მასების მიერ მართული ძალადობა სავარაუდოა. ელიტები დიდ როლს ასრულებენ ამ პროცესის კატალიზირებაში, ზოგჯერ კი მიჰყვებიან მასის განწყობებს, გამოხატავენ მიზნებს, რომლებიც უკვე წახალისებულია მასის ქცევისგან; კვლევამ აჩვენა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი საწყის ეტაპზე იყო მასების მიერ მართული, ხოლო აფხაზეთის - ელიტების მიერ მართული ძალადობა. ასევე, ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ხდება შიდა ჯგუფური უსაფრთხოების დილემა, რომელიც ეთნიკური გადაშენების შიშის შედეგად ამოძრავებს ერთ ან ორივე მხარეს, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც აფხაზეთის, ისე მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში.

**საკვანძო სიტყვები:** მასები, ელიტები, უსაფრთხოების დილემა, ეთნიკური ძალადობა.

*ელფოსტა: okhanashvilinini@yahoo.com

Abstract
This article investigates the causes of the ethnic conflicts. The main purpose of the article is establishing the causes of the ethnic conflicts in the context of an 'international' theory of ethnic war.
The three levels of Kenneth Waltz's analysis that explains the causes of the war between the states, in the article, using Stuart Kauffman's 'international' theory of ethnic war, Waltz's theory is brought to the internal level to explain the causes of the ethnic conflicts. The aim of the article is to review assumptions of the 'international' theory of ethnic war in determining the causes of the ethnolitical conflict.
In the article, these theoretical arguments are crosschecked on basis of the study and analysis of the conflicts of Abkhazia and Nagorno-Karabakh.
While working on the research, it has been used such approved way as qualitative method of research. In the process of the research for collecting the data and analysis, secondary sources, scientific literature were analyzed that are around the subject of the study. It has also used specific methodological techniques for data collection, such as in-depth interviews with representatives of expert circles.
As a result of the research, it was established that the cause of the ethnolitical conflict might be the violence ruled by masses', as well as the elites'. Precondition of the ethnic war is created by the history of ethnic dominance, ethnic stereotypes and issues of ethnic symbolism. If these factors foments enmity to other ethnic groups, violence ruled by the masses is likely. Elites play a major role in catalyzing this process, and sometimes follow the attitude of mass, express their goals that are already encouraged by the behavior of the masses; The research showed that the Nagorno-Karabakh conflict was controlled by the masses, and the violence was managed by the elites of Abkhazia. In addition, the reason for the ethnolitical conflict is becoming the dilemma of internal group safety that motions one or other party due to fear of ethnic extinction that happened in the case of Abkhazia as well as in Nagorno-Karabakh.

Key words: masses, elites, security dilemma, ethnic violence, offensive realism.

## შესავალი

აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების გამომწვევ მიზეზად უნდა გამოიყოს ორი მთავარი ფაქტორი: შიდა და საგარეო ფაქტორი.

აფხაზეთის და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტების გაღვივებაში დიდი გავლენა იქონია საგარეო ფაქტორმა, კერძოდ, რუსეთის როლმა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი აქტიურად ცდლობდა შეენარჩუნებინა გავლენა რეგიონზე, შესაბამისად, დაინტერესებული იყო აღნიშნული კონფლიქტების გაღვივებით. კრემლი ახდენდა სამხრეთ კავკასიაში არსებული სეპარატისტული და ნაციონალისტური ძალების მობილიზებასა და მათით მანიპულირებას; დაინტერესებული იყო ამ რეგიონში დაძაბული და ფეთქებადი სიტუაცია შეექმნა. „დაყავი და იბატონე“ - მისი მოქმედების მთავარი პრინციპია. სამხრეთ კავკასიის რეგიონში მტრული ბანაკების არსებობა მუდმივი დაძაბულობის წყარო იქნება, რაც საშუალებას მისცემს რუსეთს არასტაბილური ვითარება თავის სასარგებლოდ გამოიყენოს და რეგიონში გავლენა და კონტროლის მექანიზმები შეინარჩუნოს. რუსეთის მთავარი მიზანია რეგიონალური დომინანტობის შენარჩუნება და ამას ვერ შეძლებს თუ მისი გავლენა მხოლოდ თავისი ქვეყნის საზღვრებში ვრცელდება. (ოხანაშვილი, 2017)

გამომდინარე იქიდან, რომ ამ კუთხით მრავალი ნაშრომი დაიწერა და უკვე შედარებით ნაკლებად წარმოადგენს სამეცნიერო ცოდნისთვის ღირებულ სიახლეს, ჩემი სტატია აღნიშნული კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების შიდა დონის ანალიზზეა ფოკუსირებული.

1959 წელს გამოცემულ წიგნში „ადამიანი, სახელმწიფო და ომი: თეორიული ანალიზი”, ქენეთ უოლცმა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის სამი დონე გამოყო: 1. ინდივიდის დონე; 2. სახელმწიფოს დონე; 3. საერთაშორისო სისტემის დონე. აღნიშნული სამი განსხვავებული დონის მიხედვით, ქენეთ უოლცი სცემს პასუხს კითხვას, თუ რა იწვევს სახელმწიფოებს შორის ომებს (უოლცი, 2003).

სტატიის სიახლეს წარმოადგენს ის რომ, ქენეთ უოლცის ანალიზის სამი დონე, გამოყენებულია შიდა სახელმწიფოებრივი კონფლიქტის ახსნაში. "პირველი დონე" ფოკუსირებულია ადამიანის ბუნებაზე და მასის ქცევებზე; მეორე დონე- სახელმწიფოს ბუნებასა და ელიტის ქცევაზე და მესამე დონე ფოკუსირებულია საერთაშორისო სისტემის ბუნებზე. ეთნიკური კონფლიქტის დროს, შესაძლოა შესწავლილ იქნეს მასის ქცევა (პირველი დონე), ელიტის ქცევა (მეორე დონე) და პოლიტიკური სისტემის წესები, რომელშიც ჯგუფები ურთიერთქმედებენ (მესამე დონე). (Kaufman, 1996).

წლების განმავლობაში, მეცნიერები აღნიშნავდნენ, რომ ეთნიკური ჯგუფები ძალადობრივ კონფლიქტში მოქმედებდნენ ისევე, როგორც ქვეყნები საერთაშორისო სისტემაში. ეთნიკური ომის „საერთაშორისო“ თეორია განიხილავს ანალიზის დონის პრობლემას. (Kaufman, 1996). ეთნიკურ ომს მოაქვს მასების, პოლიტიკური ელიტების მტრობა და უსაფრთხოების დილემა. როდესაც სამივე ფაქტორია წარმოდგენილი, თითოეული იწვევს მეორის გამძაფრებას.

ეს ესკალაცია შეიძლება დაიწყოს ორი გზით. ერთ-ერთი შემთხვევა მოიცავს მასის ძალადობას, რომლის დროსაც ეთნიკური მტრული დამოკიდებულება ელიტებს უბიძგებს ეთნიკურ საკითხებზე უფრო მწვავე პოზიციების მიღებას. ასეთი ქცევა ქმნის უსაფრთხოების დილემას და იწვევს ეთნიკურ ომს.

ეთნიკური ომის მეორე შემთხვევა არის ელიტის ძალადობა, ანუ ეთნიკური ომი, რომელიც წამოწყებულია ეთნიკური ჯგუფების ლიდერების მიერ საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზებისთვის. ამ პროცესში იყენებენ თავიანთ კონტროლის მექანიზმებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე, რათა ხელი შეუწყონ მტრობის გაღვივებას. შემდეგ ისინი ხელს უწყობენ ეთნიკურ ძალადობას, რათა წარმოიქმნას უსაფრთხოების დილემა.

სტატიაში გამოყენებულია ვილფრედო პარეტოს „ელიტატა წრებრუნვის კონცეფცია“. პარეტოს სოციოლოგიურ სისტემაში ყველაზე დიდი ყურადღება ელიტათა თეორიამ მიიპყრო, რომლის ამოსავალ დებულებას წარმოადგენს ძალაუფლების მექანიზმი. პარეტოს აზრით, მასებისგან განსხვავებით, ელიტებს ახასიათებს სხვებში სუსტი და ყველაზე

მგრძნობიარე ადგილების დანახვისა და მათი საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის გამოყენების უნარი. ელიტათა წრებრუნვის კონცეფცია აღნიშნული კვლევისთვის რელევანტურია ყველაზე განსხვავებული თეორიული პოზიციებიდანაც კი.

სტატიაში მასების მიერ მართულ ძალადობად განხილულია მთიანი ყარაბაღის, ხოლო ელიტების მიერ მართულ ძალადობად აფხაზეთის კონფლიქტი. მთიან ყარაბაღის კონფლიქტში, საწყის ეტაპზე, საპროტესტო აქციები და ძალადობა არ ყოფილა ორგანიზებული ელიტების მიერ. აფხაზეთის შემთხვევაში კი ელიტებმა დიდწილად შეუწყეს ხელი კონფლიქტის ესკალაციას.

სტატიაში ტერმინი - ეთნიკური ჯგუფი, განმარტებულია კოლექტიური სახელით: საერთო წარმოშობა, გაზიარებული ისტორია, კულტურა, ტერიტორიული გაერთიანებისა და სოლიდარობის განცდა. კულტურა მოიცავს ენას, რელიგიას. ეთნიკურ ომში მე ვგულისხმობ ფართომასშტაბიან, ორგანიზებულ ძალადობას, რომელშიც ჯგუფები და ღირებულებები განისაზღვრება ეთნიკური თვალსაზრისით.

**მეთოდოლოგია**

კვლევაზე მუშაობისას გამოყენებულ იქნა ისეთი აპრობირებული გზა, როგორიც არის კვლევის თვისობრივი მეთოდი. მეთოდოლოგიურად სტატია თვისებრივი კვლევის კატეგორიაში მოიაზრება და საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომად შემთხვევის შესწავლის (Case-study) მეთოდს იყენებს. მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის, კვლევის პროცესში, გაანალიზდა მეორადი წყაროები, სამეცნიერო ლიტერატურა, რომელიც შესასწავლი საკითხის გარშემო არსებობს, რათა შექმნილიყო მეცნიერული საფუძველი კვლევის გასაგრძელებლად. ამგვარი მოდგომა, მეცნიერული თვალსაზრისით რელევანტურს ხდის კვლევის შედეგებს. კვლევაში ასევე გამოყენებულ იქნა მონაცემთა შეგროვების ისეთი კონკრეტული მეთოდოლოგიური ტექნიკა, როგორიცაა ჩაღრმავებული ინტერვიუები საექსპერტო წრეების წარმომადგენლებთან. აღნიშნულმა ინტერვიუებმა გარკვეულწილად ახალ კითხვებამდე და პასუხებამდე მიიყვანა კვლევა.

სტატიის საკვანძო ამოცანაა პასუხი გასცეს თეორიულად და ემპირიულად მნიშვნელოვან შეკითხვას. კვლევაში დასახული ამოცანის შესაბამისად ჩამოყალიბდა შემდეგი საკვლევი კითხვა: რა იწვევს ეთნიკურ კონფლიქტს? კვლევის კითხვიდან გამომდინარე შემუშავდა შემდეგი ჰიპოთეზა: ეთნიკური კონფლიქტის გამომწვევი მიზეზი ხდება როგორც მასების, ისე ელიტების ძალადობა.

კვლევა ჰიპოთეზის გადასამოწმებლად ეყრდნობა ორი ქეისის - მთიანი ყარაბაღისა და აფხაზეთის კონფლიქტის ანალიზს და ამგვარად მოწმდება სტატიაში იდენტიფიცირებული თეორიების მოლოდინებსა და ემპირიულ შედეგებს შორის თავსებადობა.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა - ანალიზის დონეები და ეთნიკური ომის თეორიები;

### 1.1. ანალიზის პირველი დონით ახსნა: მასების მტრობა

როდესაც სახელმწიფოები ომს ენთუზიაზმით იწყებენ, მთვრობის ლიდერები მუშაობენ ასეთი ენთუზიაზმი შექმნან საზოგადოებაშიც. ბევრი თეორეტიკოსი აღნიშნავს, რომ მასის მტრობის მნიშვნელობა, როგორც ერთ-ერთი ფაქტორი, ხელს უწყობს საერთაშორისო ომს.

ჰანს მორგენთაუ, ამტკიცებს, რომ როდესაც ადამიანები გამოავლენენ აგრესიულ ნაციონალიზმს, აგრესიული ომის

დაწყება სავარაუდოა. სტივენ ვან ევერა გამოყოფს ორ შეხედულებას: "ჰიპერნაციონალიზმი", რწმენა იმისა, რომ სხვა ერებზე უნდა დომინირებდნენ; და "მილიტარიზმი", რწმენა, რომ ომი არის კეთილშობილური ვალდებულება, რომელიც სასარგებლოა მთელი საზოგადოებისთვის. ეთნიკური კონფლიქტის კვლევებში ასევე აღინიშნება "ჰიპერნაციონალიზმის" მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება უფრო ზუსტად იყოს განმარტებული, როგორც ეთნიკური შოვინიზმი. როგორც დონალდ ჰოროვიცი აღნიშნავს, ეს დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში გამოხატულია ეთნიკური სიმბოლოების ან ეთნიკური ლიდერების სტატუსზე. შოვინისტური ეთნიკური ჯგუფების მიერ, შესაძლოა, ძალადობრივი კონფლიქტის პროვოცირება. (Kaufman, 1996).

მიუხედავად იმისა, რომ მთელი რიგი კვლევები ამტკიცებდა, რომ "ძალადობის კულტურა" ზოგადად შიდა პოლიტიკურ ძალადობას უკავშირდება, ეს არგუმენტი იშვიათად გამოიყენება ეთნიკურ ძალადობის გაანალიზებისას. თუმცა არგუმენტი აშკარად აქტუალურია. მაგალითად, იუგოსლავიის შემთხვევაში იყო სისხლიანი დაპირისპირება და სამოქალაქო ომი, ხოლო ჩეხოსლოვაკიაში კონფლიქტი მშვიდობიანად გადაწყდა. იუგოსლავიის ერები არიან მილიტარისტულნი: ხორვატები და სერბები განსაკუთრებით ამაყობენ თავიანთი წინაპრების მიერ გამოვლენილი საბრძოლო ნიჭით და ცდილობენ მიბაძონ მათ. ჩეხები, პირიქით, უფრო ამაყობენ თავიანთი კულტურითა და არაძალადობრივი ისტორიით, ვიდრე წარსული საბრძოლო დიდებით (Kaufman, 1996).

შოვინიზმი ან მილიტარიზმი, უფრო ფართოდ გაგებულია, როგორც მასობრივი მტრული დამოკიდებულება. დონალდ ჰოროვიცი გამოყოფს რამდენიმე მიზეზს, რომელიც იწვევს ეთნიკურ ომს. პირველი წინაპირობა არის ერთი ჯგუფის ისტორიული დომინირება მეორეზე, ან უარეს შემთხვევაში, რომელიც ახლაც დომინირებს და დომინანტია. ეს ფაქტორები წარმოქმნის უსაფრთხოების დილემას ეთნიკურობის გადაშენების შიშით. მეორე ფაქტორი, უარყოფითი ეთნიკური სტერეოტიპების არსებობა არის ის, რაც ხელს უწყობს მასობრივ მტრულ დამოკიდებულებას. მესამე, ეთნიკური სიმბოლოების კონფლიქტი. მეოთხე ფაქტორი, ეკონომიკური გაჭირვება - ცხოვრების დონის შემცირების ტენდენცია. (Kaufman, 1996).

აღნიშნული მოსაზრებების საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, თუ რა შეიძლება ითქვას მასის ძალადობაზე. გრძელვადიანი შოვინისტური და მილიტარისტული შეხედულებების გამო და ეკონომიკური გაჭირვების გამწვავების პირობებში, ეთნიკური კონფლიქტი არის მასის ზეწოლის შედეგი: თუ კონკრეტული ლიდერი არ მიიღებს უკიდურეს პოზიციებს ეთნიკურ საკითხებზე, მას შეცვლის ლიდერს იმ ლიდერით, რომელიც ამას გააკეთებს. ამრიგად, ელიტა ან დაჰყვება მასების მოთხოვნას, ან მასები ელიტას გამოცვლიან. (Welzel, 2003). ამდენად, შიდა ეთნიკური ექსტრემისტული პოლიტიკა კონკურენტული ხდება. ამან შეიძლება საბოლოოდ გამოიწვიო ეთნიკური ომი.

### 1.2 მეორე დონე: ელიტების მიერ მართული ძალადობა; საშინაო პოლიტიკური პროცესები

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის ნეოლიბერალურ სკოლაში ცენტრალური არგუმენტი ისაა, რომ უსაფრთხოების დილემა არ არის ანარქიის გარდაუვალი შედეგი. დემოკრატიული მშვიდობის თეორიის მიხედვით, რომ ლიბერალური ნორმებისა და დემოკრატიული პროცესების გამო, დემოკრატიული სახელმწიფოები ერთმანეთის წინააღმდეგ არასოდეს არ წავლენ, ძირითადად ომები ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არიან აგრესორები, რომელთაც სურთ მისი დაწყება.

რატომ არიან სახელმწიფოები აგრესიულები? ვან ევერას არგუმენტი არის ის, რომ პოპულარული მილიტარისტული და "ჰიპერნაციონალისტური" იდეები ხშირად ელიტების პოლიტიკის შედეგია. (Kaufman, 1996). მაგალითად, პირველ მსოფლიო ომამდე ევროპაში რამდენიმე ევროპულ ქვეყანაში, მილიტარისტული იდეები წინ წამოწიეს. ომი იყო აღქმული, როგორც კეთილშობილური, სასარგებლო და გარდაუვალი.

ჯეკ სნაიდერი უფრო რთულად ხსნის მილიტარისტულ და შოვინისტურ პოლიტიკას. მისი თვალსაზრისით, გადამწყვეტი ფაქტორია ის, რომ ლიდერები დარწმუნებულნი არიან თავიანთი და თავის ხალხის გარკვეული სტრატეგიული მითების ნამდვილობაში.

აგრესიული ელიტები იყენებენ ბიუროკრატიულ ბაზებს და მონოპოლიას მნიშვნელოვან ინფორმაციებზე, ავრცელებენ განზრახ დამახინჯებულ ინფორმაციას, რათა დაარწმუნონ სხვები თავიანთი პოლიტიკის მხარდაჭერის სისწორეში. ისინი ცდილობენ თავიანთი მოსაზრებების გავრცელებას, ან თუ შესაძლებელია, ზეგავლენას ახდენენ მასმედიაზე.

ვილფრედო პარეტოს აზრით, ელიტა შეიძლება ვუწოდოთ იმათ, ვისაც აქვთ თავიანთი საქმიანობის სფეროში უმაღლესი მაჩვენებელი. ელიტა წარმოადგენს მოსახლეობის რჩეულ ნაწილს, დანარჩენი ნაწილი კი მხოლოდ „ეგუება მისგან მიღებულ სტიმულებს“. (მაცაბერიძე, 2014). ელიტას შესწევს უნარი სხვებში სუსტი და ყველაზე მგრძნობიარე ადგილების დანახვისა და მათი საკუთარი მიზნების რეალიზებისთვის გამოყენების უნარი, მაშინ, როდესაც მასები, რომლებიც ემოციებს არიან აყოლილნი. შესაბამისად, საზოგადოების ის ნაწილი (ელიტები), რომლებშიც ჭარბობს ცოდნა, მართავენ მათ, რომლებიც გრძნობებს და ემოციებს არიან აყოლილნი. მმართველ ელიტას ახასიათებს ადამიანთა ემოციებით მანიპულირებისას დარწმუნების უნარი და ძალის გამოყენების უნარი იქ, სადაც ამისი აუცილებლობა წარმოიქმნება. ელიტებისთვის მასების მართვა შესაძლებელი ხდება მათი გრძნობების მანიპულირების გზით და იმ იდეების დახმარებით, რომლებიც მასებს უქვემდებარებენ მმართველი კლასის ინტერესებს. „მთავრობის პოლიტიკა, მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო წარმატებით იყენებს იგი ემოციებს“. (მაცაბერიძე, 2014).

პარეტოს აზრით, ელიტა ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, ვიდრე „არაორგანიზებული მასა“. შესაძლოა ელიტების მიერ მოხდეს პოლიტიკური თუ ეკონომიკური აღმასვლა, მაგრამ მასა ამისთვის მზად არ იყოს. (Higley, Pakulski, 1992).

### 1.3 მესამე დონე: ანარქია და უსაფრთხოება

საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის - ნეორეალიზმის სკოლის მიხედვით, საერთაშორისო სისტემის შესახებ დომინანტური ფაქტი არის ის, რომ სისტემა ანარქიულია. არ არის ცენტრალური ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია განსაზღვროს ქცევის წესები ყველა სახელმწიფოსთვის. ანარქიული გარემო ხშირად აყენებს სახელმწიფოებს უსაფრთხოების დილემის წინაშე. ეს არის სიტუაცია, რომელშიც სახელმწიფოს მცდელობა გაზარდოს თავისი უსაფრთხოება, მეზობელ სახელმწიფოს საფრთხეს უქმნის. მეორე სახელმწიფო თავის მხრივ ცდილობს საკუთარი ძლიერების გაზრდას და საბოლოო შედეგი ხანდახან ომია. (უოლცი, 2003).

მკაცრად რომ ვთქვათ, უსაფრთხოების დილემა არ უნდა იყოს სახელმწიფოში გამოყენებული ეთნიკურ ჯგუფებთან დასაპირისპირებლად, რადგან იშვიათად არიან სრულ ანარქიულ გარემოში. ანარქია შეიძლება არსებობდეს თუ ეთნიკური ჯგუფები ეწინააღმდეგებიან ხელისუფლების ლეგიტიმაციას და მის კონტროლს ტერიტორიებზე. თუ ანარქია აღწევს იმ წერტილს, სადაც ხელისუფლება ვერ ახერხებს თავისი ტერიტორიის ეფექტიანად კონტროლს და ხალხის დაცვას, ხოლო ეს შეუძლიათ ეთნიკურ ორგანიზაციებს, მაშინ ეთნიკურ ორგანიზაციებს აქვთ საკმარისი სუვერენიტეტი უსაფრთხოების დილემის შესაქმნელად. ამ პირობებში თითოეული ჯგუფი ასკვნის, რომ უნდა დაიცვას საკუთარი წევრების ფიზიკური უსაფრთხოება, მაგალითად, შეიარაღებული ფორმირებების ან ფარული ჯგუფების შექმნის გზით, რითაც სხვა ჯგუფის შემდგომი დაუცველობის პროვოცირებას მოახდენს. უარესია, თუ რომელიმე ეთნიკური დასახლება შერეულია, უფრო სერიოზული უსაფრთხოების დილემა შეიძლება წარმოიშვას.

ზოგიერთი მკვლევარი ხაზს უსვამს უსაფრთხოების დილემის სხვადასხვა ასპექტს. ისინი აღნიშნავენ, რომ სახელმწიფოები ხშირად ინტერესდებიან სტატუს-კვოს შენარჩუნებით, მაგრამ ისინი ვერ იაზრებენ, რომ მათი უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები საფრთხეს უქმნის სხვა სახელმწიფოს და შესაბამისად იქმნება მტრობა.

## 2. თეორიების მოლოდინებსა და ემპირიულ შედეგებს შორის თავსებადობა.

### 2.1 მასების მიერ მართული ძალადობა მთიან ყარაბაღში

ზოგადად, ძნელი წარმოსადგენია, მასის უკან არ იდგეს ლიდერი, მაგრამ კვლევები აჩვენებს და მასის მიერ მართული ძალადობის დეფინიცია განმარტავს, რომ რათქმაუნდა ლიდერი რაღაც ეტაპზე ჩნდება, რადგან საბოლოო მიზნის მისაღწევად ლიდერის არსებობა აუცილებელია, რადგან ის აკეთებს პროცესის კოორდინირებას, მაგრამ საწყის ეტაპზე პროცესი ორად იყოფა: მასის მიერ წარმოებული და ელიტის მიერ წარმოებული ძალადობა. ძნელია გამყოფი ხაზი გაავლო, თუ რომელი ეთნიკური კონფლიქტია მასის მიერ წარმოებული და რომელი ელიტის მიერ წარმოებული ძალადობა, რადგან ხდება გადასვლა ამ ორი ტიპის ძალადობას შორის. ძნელია ცალსახად ვთქვათ, რომ რომელიმე კონკრეტული კონფლიქტი იყო მასის მიერ წარმოებული, ან ელიტის მიერ წარმოებული ძალადობა, რადგან გარკვეული ეტაპის შემდეგ მასა შობს ლიდერს, რომელიც იმ ლოზუნგებს გააჟღერებს, რომლის მოსმენაც მასას უნდა. და პირიქით, ელიტა იწყებს მასის აზროვნების ფორმირებას. მასა ფაქტიურად იქცევა, როგორც ზომბირებული ერთეული, რადგან ის აკეთებს იმას, რაც ელიტას სურს.

როდესაც, კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებზე ვსაუბრობთ, უნდა გამოიკვეთოს კონფლიქტის საწყის ეტაპზე ვის მიერ მართულ ძალადობასთან გვქონდა საქმე. მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, მეცნიერთა უფრო დიდი ნაწილი იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ მასების როლი უფრო დიდი იყო, ვიდრე ადგილობრივი ელიტების. ყარაბაღელი სომხების განწყობა, რომ ყარაბაღი მათი მიწაა და ეს არ არის აზერბაიჯანული მიწა, უფრო ღრმად არის ჩანერგილი და უფრო მასებიდან მომდინარე პროცესია, ვიდრე ელიტებიდან.

თუ მასობრივი ძალადობის ინიციატორი არის დაქვემდებარებული ჯგუფი, ეს ერთ-ერთ მასობრივ ამბოხს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში განსაკუთრებით დიდია უსაფრთხოების დილემა და ეთნიკური გადაშენების შიში. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ამ თვალსაზრისს ასახავს: ყარაბაღის სომხებმა გაიხსენეს 1915 წლის მათი გენოციდი და გადაშენების შიში; როგორც კი გორბაჩოვის გლობალურმა პოლიტიკამ 1987 წელს საჭირო პოლიტიკური სივრცე გახსნა, მათ დაიწყეს აგიტაცია ამ რეგიონის ანექსიისთვის. აზერბაიჯანელებმა-სომხებს, რომლებიც მიზნად ისახავდნენ მათი რესპუბლიკის დამარცხებას, წინააღმდეგობა გაუწიეს. შედეგად, მასობრივი ძალადობა, ამბოხი მოხდა. (Kaufmnan, 1996).

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი ერთ-ერთი ყველაზე მწვავე ეთნიკური კონფლიქტია საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. (Nygren, 2007)

მთიანი ყარაბაღის ტერიტორია საუკუნეების მანძილზე სადაოდ იყო მიჩნეული. ორივე მხარეს საკუთარი არგუმენტები გააჩნდათ ტერიტორიის ფლობასთან დაკავშირებით.

1918-21 წლებში აზერბაიჯანმა და სომხეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა. ამ პერიოდში მთიანი ყარაბაღი სომხეთის დაქვემდებარებაში დარჩა. 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით, ოსმალეთმა და რუსეთმა ამირეკავკასია გაიყვეს, რის შედეგადაც მთიანი ყარაბაღი აზერბაიჯანის კუთვნილებაში შევიდა. საბჭოთა კავშირის არსებობის წლებში ყარაბაღი აზერბაიჯანის შემადგენლობაში იყო. 1988 წელს ძველმა ჭრილობებმა გაიღვიძა და სომხეთის ინიციატივით შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო. ომი რამდენიმე წელი გრძელდებოდა. მასობრივი სისხლიანი დაპირისპირება 1994

წელს ზავით დასრულდა. (Waal, 2003, p. 66)

აზერბაიჯანის დავა სომხებთან მთიანი ყარაბაღის გამო არის შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს მასის ეგიდით წარმოებულ კონფლიქტს. მთიან ყარაბაღში არსებობდა ყველა წინაპირობა ეთნიკური კონფლიქტის გასაჩაღებლად; იყო ეთნიკური კუთვნილების პრობლემა. აზერბაიჯანელები თვლიდნენ, რომ „მთიანი ყარაბაღი იყო იგივე აზერბაიჯანი, მაგრამ ეს ჯერ არ იყო გაცნობიერებული სომხების მიერ“. (Lynch, 2012). სომხები საბჭოთა პერიოდში, ყარაბაღში აზერბაიჯანის მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ძალიან სწრაფად, ყარაბაღი გახდა სიმბოლური საკითხი ორივე ჯგუფისთვის, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი სტერეოტიპები : სომხური მხარე პრეტენზიას აცხადებდა ამ ტერიტორიაზე და აზერბაიჯანელებს წარმოაჩენდნენ „სისხლიან მოაზროვნეებად“. (Kaufman, 1996) სომხების მისწრაფება ეს რეგიონი შეერთებოდა სომხეთს იყო უდავოდ მასის მიერ წარმოებული.

საკითხი პირველად დღის წესრიგში 1918 წელს დადგა და არაერთხელ იქნა აღდგენილი. პეტიცია შემუშავდა 1960 იანი წლების შუა პერიოდში; დემონსტრაციებმა თავი იჩინა 1977 წელს და გამოჩენილი სომხების მიერ განმეორდა ინდივიდუალური მიმართვებით. ამრიგად, 1987 წლის ზაფხულში ეს საკითხი ახალი არ ყოფილა, როდესაც 75 ათასზე მეტმა სომეხმა რეგიონში ხელი მოაწერა პეტიციას, რომლითაც სთხოვდნენ მიხეილ გორბაჩოვს, რომ ტერიტორია შეერთებულიყო სომხეთთან. ყარაბაღის საკითხზე მასობრივი საპროტესტო გამოსვლები სწრაფად გავრცელდა რეგიონის გარეთ. სომხეთის დედაქალაქ - ერევანში დაიწყო სტეფანაკერტის საპროტესტო აქციების მხარდამჭერი აქციები, რომელსაც ათობით ათასი მონაწილე აპროტესტებდა. იმავდროულად, სტეფანკერტის საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებს მიმართეს თხოვნით რომ ყარაბაღი მოქცეულიყო სომხეთის იურისდიქციის ქვეშ. ამის შემდეგ, თებერვლის ბოლოს, აზერბაიჯანულმა მხარემ განაცხადა ყარაბაღიდან განდევნილი 2,000 მდე დევნილის აფეთქების შესახებ, რის შედეგადაც გარდაცვლილების რიცხვი ოცდათერთმეტს აღწევდა. ეს მოვლენები ნათლად ცხადყოფს, რომ უსაფრთხოების დილემა რეგიონში შეიქმნა 1987-88 წლებში, როდესაც ორივე მხარის უმცირესობათა ჯგუფი ცდილობდა გაქცევას, რათა გადარჩენილიყო.

მომდევნო წლებში კონფლიქტი გაგარძელდა. ძალადობის ტალღები სომხეთსა და აზერბაიჯანში 1988 წლის შემოდგომაზე გადაიზარდა კონფლიქტში, რის შედეგადაც 100 ადამიანი დაიღუპა და 200 000 სომეხი და აზერბაიჯანელი დევნილად იქცა.

1989 წლის ბოლოს საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა მთიანი ყარაბაღის დაბრუნება აზერბაიჯანის იურისდიქციაში, სომხეთის მთავრობამ კი ყარაბაღი სომხეთის ნაწილად გამოაცხადა.

მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, საწყის ეტაპზე იკვეთება მასის მიერ წარმოებული ძალადობის ნიშნები. მტრული დამოკიდებულება და უსაფრთხოების დილემა წარმოიშვა, სანამ მედიის ტონი იქნებოდა მტრული და არა მედიის მტრული ტონის შედეგად. უსაფრთხოების დილემა გაჩნდა მანამ, სანამ ნაციონალისტურ ორგანიზაციებს გააჩნიათ ინსტიტუციონალური ძალა, რათა წამოეწყოთ კონფლიქტი, აქედან გამომდინარე, ძალადობა სპონტანური იყო. და ეთნიკური კონფლიქტის გაღვივება მოხდა მას შემდეგ, როდესაც უსაფრთხოების დილემა წარმოიშვა.

აზერბაიჯანელებსა და სომხებს შორის არსებული ეთნიკური განსხვავება საშუალებას იძლევა მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი განხილულ იქნეს ფართო ისტორიულ კონტექსტში, რაც ორივე ქვეყანაში უფრო ართულებს შემწყნარებლობასა და ურთიერთკომპრომისზე ორიენტირებული პოლიტიკის განხორციელებას. აზერბაიჯანელებისა და სომხების უმრავლესობას სჯერა, რომ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი არის არა ორ მთავრობას შორის, არამედ ორ ხალხს შორის არსებული დაპირისპირება. (მალაშხია, 2011).

## 2.2 ელიტების მიერ მართული ძალადობა აფხაზეთში

ელიტარულ ჯგუფებს, აქვთ უნარი და საშუალება გავლენა მოახდინონ როგორც საზოგადოებაზე, ისევე ხელისუფლებაზე. ელიტებს გავლენა აქვთ მასაზე. ელიტები ცდილობენ შედეგის ოპტიმიზაციას სხვა აქტორების ფონზე. შესაბამისად, ელიტებმა უნდა შეძლონ ალტერნატიული მიზნების დასახვა პრიორიტეტების განსაზღვრაში, შიდა და საერთაშორისო შეზღუდვების ფონზე. ეროვნულ დონეზე, ეთნიკურ ჯგუფები თავიანთ მიზნებს სხვადასხვა გზით ატარებენ, განსაკუთრებით, ხელისუფლებაზე ზეწოლის გზით, რათა მიიღონ ხელსაყრელი პოლიტიკა.

მთიანი ყარაბაღის კონფლიქტისგან განსხვავებით, რომლის გამომწვევი მიზეზია განსხვავებული ისტორიული ტრადიცია ორ ერს შორის და ისტორიული მტრობა, ქართველებს და აფხაზებს შორის არ არსებობს განსხვავებული ისტორიული ტრადიცია და მათ შორის ისტორიულ წარსულში, ეთნიკურ ნიადაგზე მნიშვნელოვანი დაპირისპირება არ მომხდარა. (მალაშხია, 2011)

მე-20 საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საქართველოში ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურების ფონზე, აფხაზეთში აქტიურდებიან ანტიქართული ძალები. 1988 წლის ნოემბერში შეიქმნა აფხაზთა სახალხო ფორუმი „აიდგილარა“(ერთობა), რომელიც უკიდურესად ანტიქართული განწყობილებით გამოირჩეოდა. 1989 წლის 18 მარტს „აიდგილარას“ ინიციატივით მიღებულ იქნა ე.წ. „ლიხნის მიმართვა“, რომელიც აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას მოითხოვდა. 1989 წლიდან აფხაზეთში დაიწყო ქართველთა მომავალი ეთნიკური წმენდისთვის მზადება. საბჭოთა კავშირის უშიშროების საკავშირო სამსახურის მიერ შექმნილი „კავკასიის ხალხთა კონფედერაცია“, რომელიც აფხაზეთს თავის ნაწილად აცხადებდა, სოხუმს კი - კონფედერაციის დედაქალაქად.

1990 წლის დეკემბერში, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბლოკ „სოიუზის“ ერთ-ერთი ლიდერი ვ. არძინბა, რომელიც ანტიქართული პოზიციით გამოირჩეოდა. აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ, სეპარატისტულად განწყობილი დეპუტატების მეშვეობით მიიღო ანტიკონსტიტუციური დადგენილებები, მათ შორის ე.წ. აფხაზური „გვარდიის“ შექმნა, რაც საქართველოს კონსტიტუციასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა. საქართველოს სახელმწიფო საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება უკანონოდ გამოაცხადა.

1992 წელს აფხაზეთში არსებულ სატრანსპორტო-საკომუნიკაციო სისტემებთან დაკავშირებით რთული ვითარება შეიქმნა. უსაფრთხოების დაცვის მიზნით, აფხაზეთის ხელმძღვანელობასთან შეთანხმების შემდეგ, საქართველოს შინაგანი ჯარები შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, რომლებსაც სეპარატისტებმა ცეცხლი გაუხსნეს.

არძინბას ერთპიროვნული გადაწყვეტილების საფუძველზე, სეპარატისტულმა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მობილიზაცია გამოაცხადა და შეიარაღებულმა აფხაზმა სეპარატისტებმა დაიკავეს სოხუმის სტრატეგიული პუნქტები. ამის შემდეგ დაიწყო 1992-93 წლების საომარი მოქმედებები აფხაზეთში. (დავითაშვილი, 2001)

არძინბა მოუწოდებდა მხარდამჭერებს ძალადობისკენ, მისი მიზანი იყო საკუთარი ძალაუფლების განმტკიცება. მისი წარმატების გასაღები შეიძლებოდა ყოფილიყო ეროვნული შოვინისტური კოალიციის ჩამოყალიბება ორგანიზაციული რესურსების გამოყენების გზით, რომლებიც მხარს დაუჭერდნენ. მაგალითად, არძინბამ კონტროლის დამყარება შეძლო ეფექტური პოლიტიკური მანევრების გზით. ეს საშუალებას აძლევს ლიდერებს მანიპულირება მოახდინონ და უზრუნველყონ მხარდამჭერებისთვის შერჩევითი სტიმულები, ეს არის ერთ-ერთი ფაქტორი, რომელიც ელიტების მიერ წარმოებულ ეთნიკურ ომს წარმოშობს.

1988 წლიდან აფხაზური და ქართული ელიტა, პოლიტიკურიც და კულტურულიც, აფხაზეთის დამოუკიდებლობის საკითხზე საკუთარ მოსაზრებებს დაუფარავად აცხადებდა. დამოუკიდებლობის ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ხედვა იძლეოდა კონფლიქტის ესკალაციის საფუძველს. ორივე მხარეს განსხვავებული პასუხი ჰქონდათ კითხვაზე, თუ რა არის აფხაზეთი. ქართველებისთვის აფხაზეთი - იგივე საქართველოა, როგორც ქართლი, კახეთი და აშ. ხოლო აფხაზებისთვის, აფხაზეთი - ეს აფხაზეთია.

„ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში „ჯგუფური ინტერესების“ აშკარა კვალს შესაძლოა აფხაზ მმართველ ელიტამდე

მივყავდეთ“ (ნოდია, 1999). 1989 წლის მონაცემებით, ეთნიკური აფხაზები ავტონომიური რესპუბლიკის მხოლოდ 17 პროცენტს შეადგენდნენ, მაშინ, როცა ქართველები - 45% Ს. მიუხედავად ამისა, ქართველები ნაკლებად იყვნენ წარმოდგენილინი აფხაზეთის სახელისუფლებო ორგანოებში (მალაშხია, 2011). ბუნებრივია ისინი შიშობდნენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ხელისუფლება, ზოგადი დემოკრატიული ნორმების საფუძველზე, ამგვარი პოლიტიკის გატარებას შეწყვეტდა. ცხადია, ასეთ ვითარებაში აფხაზურ ელიტას მართლაც ჰქონდა შეშფოთების საფუძველი და ვერც იმას ვიტყვით, თითქოს ქართული მხარე საწინააღმდეგოს მტკიცებას ცდილობდა. (ნოდია, 1999)

ასევე, ზვიად გამსახურდიაც გამოხატავდა საკმაოდ ხისტ განწყობას ეთნიკური უმცირესობების მიმართ, რომელსაც საქართველოს ელიტა იზიარებდა. შესაბამისად, ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ეროვნულმა მოძრაობამ აღნიშნული რეგიონების და ეთნიკური უმცირესობების გაუცხოება გამოიწვია ეთნო-ცენტრისტული ლოზუნგით - „საქართველო ქართველებისთვის“. ზოგჯერ, რადიკალური ანტი-აფხაზური მოწოდებებიც გაისმოდა ხოლმე, აფხაზური ავტონომიის საერთოდ გაუქმების თაობაზე. (მაგრამ ამგვარი რამ ოფიციალურ დონეზე არ ასახულა) როგორც ჩანს, ზოგიერთი პოლიტიკური ფიგურა, მათ შორის გამსახურდია, თავად ჩამოდიოდა ხოლმე ამ „ეთნიკურ კარტს“ და საბოლოოდ, ქართული ელიტა უუნარო აღმოჩნდა, წინასწარ გაეთვალა აფხაზებისა და რუსების საკუთრივი ინტერესები (ნოდია, 1999).

აფხაზებსა და ქართველებს, რომლებსაც ისტორიულად დიდი ხნის განმავლობაში ჰქონდა გაზიარებული ქვეყნის იდენტობა და ისტორია, მხოლოდ რამოდენიმე ელიტამ შეძლო მასზე ზემოქმედება, ნაციონალისტური იდენტობის გამოყენებით მასობრივი განწყობის მანიპულირება.

## დასკვნა

ეთნიკური ძალადობის გამომწვევი მიზეზების ასახსნელად, აუცილებელია ანალიზის სამივე დონეზე მოქმედი ფაქტორების გაანალიზება. თეორიულად, სამივე შემთხვევაში, ეთნიკური ომის გამომწვევი მიზეზი ხდება: ეთნიკური კუთვნილების პრობლემა, ემოციებით მართული და უარყოფითი ეთნიკური სტერეოტიპები, სიმბოლური საკითხების დავის პრობლემა. ეს პირობები იწვევს ეთნიკურ მტრობას და ეთნიკური გადაშენების შიშს. ასეთ შემთხვევაში ხშირია ძალადობა.

მტრობა და შიში ეთნიკური ომის ახსნის პირველი დონის ნაწილია. ეთნიკური ძალადობა იწყება, როდესაც მტრობა გააქტიურებულია. მეორე ფაქტორი, ეთნიკური ჯგუფების მობილიზება პოლიტიკოსების მიერ მათი ინტერესების დაცვის მიზნით. და მესამე ფაქტორი, როდესაც ძალადობა და მტრული დამოკიდებულება ქმნის უსაფრთხოების დილემას.

ზოგიერთ შემთხვევაში, საწყის ეტაპზე ესკალაციის პროცესი მასის მიერაა წარმოებული. როგორც მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, მტრული განწყობები და ეთნიკური გადაშენების შიში ერთ მხარეს როცა გავრცელდა, ხალხი სპონტანურად მობილიზდა მათი ეთნიკური ინტერესების გათვალისწინებით, როგორც კი მათ მიეცათ შესაძლებლობა. მას შემდეგ, რაც ზოგიერთი ინტერესის გატარებამ საფრთხე შეუქმნა მათ ეთნიკურ მეზობლებს, მეორე ჯგუფიც მობილიზდა, როგორც აზერბაიჯანში მოხდა. მტრული დამოკიდებულება იზრდება, როცა ერთი მხრიდან ადგილი აქვს ძალადობრივ ქმედებას, ამას მოჰყვება მეორე მხარის მიერ ძალადობის შემდგომი ქმედება.

მთიანი ყარაბაღის შემთხვევაში, საწყის ეტაპზე ნაკლებად იყო ელიტის მიერ წარმოებული ძალადობის ნიშნები. მტრული დამოკიდებულება და უსაფრთხოების დილემა წარმოიშვა, სანამ მედიის ტონი იქნებოდა მტრული და არა მედიის მტრული ტონის შედეგად. უსაფრთხოების დილემა გაჩნდა მანამ, სანამ ნაციონალისტურ ორგანიზაციებს გააჩნიათ ინსტიტუციონალური ძალა, რათა წამოეწყოთ კონფლიქტი, აქედან გამომდინარე, ძალადობა სპონტანური იყო.

აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში, ელიტების ძალადობის პროცესი დაიწყო მტრული შოვინისტური

დამოკიდებულებების ხელშეწყობით, სტრატეგიული მითების შექმნით და მისი გავრცელებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებით, რომლებიც ამართლებდნენ ამ აგრესიას. ლიდერები ავრცელებდნენ მითებს, რომ კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს რაიმე სახის საფრთხე ემუქრებოდათ, ვრცელდებოდა აგრესიული გზავნილები. ორგანიზაციულ რესურსს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შესარულოს.

ძალადობის ამგვარი აქტივობები ქმნის ექსტრემისტულ შეიარაღებულ ფორმირებებს ან იწვევს ბრძოლას. მას შემდეგ, რაც საბრძოლო მოქმედებები იწყება, უსაფრთხოების დილემა „მოძრაობს“: ყოველი ქმედება რომელსაც ერთი მხარე მიმართავს თავის დასაცავად, როგორც იმ საფრთხისგან თავის დაცვა, რომელსაც მეორე მხარე მიმართავს, საშუალებას იძლევა გაამართლონ შემდგომი ესკალაცია, რასაც ადგილი ჰქონდა აფხაზეთის კონფლიქტის დროს. ეთნიკური ჯგუფის წარმოჩენა მთავარ „დროშად“ აგრესიულ ელიტას უფრო მეტად აძლიერებს. ლიდერები კომპრომისის ყველა გზას უშლის ხელს. ზოგიერთ შემთხვევაში, მტრული დამოკიდებულება იმდენად უკიდურესი ხდება, რომ ძალადობას მისი ინიციატორიც კი ვეღარ შეაჩერებს.

ემოციები ხელს უწყობს ძალადობის სპონტანურ ეპიდემიას, უსაფრთხოების დილემის გააქტიურებას, რაც, თავის მხრივ, აძლიერებს მტრობას და შიშს, რასაც ადგილი ჰქონდა მთიან ყარაბაღში. აფხაზეთის კონფლიქტის შემთხვევაში, მმართველი ელიტების მიერ ძალაუფლების ხელში აღება ერთ ეთნიკურ საზოგადოებაში, საფრთხე შეუქმნა სხვა ეთნიკური ჯგუფების უსაფრთხოებას.

ამ მიდგომის მეთოდოლოგიური სარგებლობა ისაა, რომ ჰიპოთეზის გადამოწმების საშუალებას იძლევა. თუ ეთნიკური ძალადობა არის მასის მიერ წარმოებული, მარტივად შეიძლება კითხო ეთნიკურ საზოგადოებას მათი პრეფერენციები. თუ მასა ირჩევს კონფრონტაციას, მაშინ ძალადობა მათ მიერაა წამოწყებული. თუ მასა უპირატესობას კომპრომისს ანიჭებს, მაშინ ძალადობა არის ელიტების მიერ მართული. ელიტის მიერ მართული ძალადობა შესაძლოა შეაჩეროს მესამე მხარემ, ზომიერი პოლიტიკური ორგანიზაციებისთვის ინფორმაციის და წყაროების მიწოდებით. ამის საწინააღმდეგოდ, თუ კონფლიქტი მასის მიერაა მართული ნებისმიერი ძალისხმევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული, მარცხს განიცდის: მასობრივი ვნება არ არის ადვილად შეცვლადი საგარეო საფრთხეებით. მათ, ვისაც სურთ ეთნიკური ძალადობის აღმოფხვრა, უნდა იმოქმედონ სანამ ელიტების მიერ მართული კონფლიქტი წარმოიქმნება და მიიღებს ხალხის აბსოლიტურ მხარდაჭერას (Kaufman, 1996). კაუფმანის აღნიშნული მოსაზრება და ვილფრედო პარეტოს ვარაუდი, რომ ელიტა ბევრად უფრო დიდ როლს თამაშობს ქვეყნის ბედის განსაზღვრაში, ვიდრე „არაორგანიზებული მასა“ (Higley, Pakulski, 1992) კვლევის შედეგად გაბათილდა. კვლევამ აჩვენა, რომ ორივე შემთხვევაში, როგორც მასების, ისე ელიტების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში პოლიტიკის შედეგები არ განსხვავდება. ელიტების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში (აფხაზეთი) დაძაბულობა კვლავ დიდი იყო და საომარი მოქმედებები განახლდა 1998 წლის მაისში, აფხაზეთის სამხრეთით, გალის რეგიონში. ისევე როგორც მასების მიერ მართული ძალადობის შემთხვევაში (მთიანი ყარაბაღი) ადგილი ჰქონდა დაძაბულობის ხელახალ ესკალაციას; 2014 წლის აგვისტოში მთიანი ყარაბაღი ომის განახლების ზღვარზე იყო.

**ბიბლიოგრაფია**

Kaufman, B. (1996). An “International” Theory of Inter-Ethnic War. p.p 149-171.

Lynch, D. (2012). Separatist States and Post-Soviet Conflicts. JSTOR p.p 832-844.

Nygren, B. (2007). The Rebuilding of Greater Russia. Routledge. p.p. 106-109.

Higley, J., & Pakulski, A. (1992). Revolution and Elite Transformation in Eastern Europe, Australian Journal of Political Science, vol. 27, pp. 104-119.

Welzel, C. (2003) Ronald Inglehart and Hans-Dieter Klingemann The theory of human development: A cross

cultural analysis. European Journal of Political Research 42: 341-379.

Waal, Thomas. (2003). *Black Garden.* New York University Press. p.p. 66-95

დავითაშვილი, ზ. (2001) *კავკასიის კონფლიქტები. მიზეზები და შესაძლო შედეგები.* თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 5-22

მალაშხია, შ. (2011). კონფლიქტების ანატომია, თბილისი: გამომცემლობა ფორმა. გვ. 59-132.

ნოდია, გ.(1999). კონფლიქტი აფხაზეთში- მიზეზები და გააზრება. თბილისი: CIPDD. გვ. 76.

ოხანაშვილი, ნ. (2017) აგვისტოს ომის გამომწვევი მიზეზები თავდაცვითი და თავდასხმითი რეალიზმის ჭრილში. თბილისი: ჟურნალი - ინტელექტუალი. გვ. 122-126.

უოლცი, ქ. (2003). ადამიანი, სახელმწიფო და ომი. გამომცემლობა ჯისიაი. გვ.154-258.

## ჩაღრმავებული ინტერვიუები

ნინო ფავლენიშვილი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასოცირებული პროფესორი.

ავთანდილ ტუკვაძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პროფესორი.

ნიკა ჩიტაძე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი. პროფესორი; ექსპერტი.

დავით მაცაბერიძე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ასისტენტ პროფესორი.

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №6, თებერვალი, 2018

Journal of Young Researchers, No. 6, February, 2018

# რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია საქართველოში

**მარიამ ღამბაშიძე***

*მაგისტრი, დემოგრაფიისა და მოსახლეობის გეოგრაფიის მიმართულება*
*სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

---

## რეზიუმე

წარმოდგენილ სტატიაში განხილული იქნება რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია საქართველოში, რეპროდუქციული ორიენტაციების ცვლილება, გასული საუკუნის 70 - იანი წლებიდან დღემდე. თემა არჩეულია საკითხის აქტუალობის გათვალისწინებით. საქართველოს მოსახლეობისთვის დამახასიათებელი დემოგრაფიული მაჩვენებლები მოწმობს, რომ ქვეყანა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს, რამაც გამოხატულება, უწინარეს ყოვლისა, შობადობის მკვეთრად შემცირებაში ჰპოვა. აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, საჭიროა მისი საწყისების ძიება, პროცესის ევოლუციისთვის თვალის გადევნება და იმ ფაქტორების გამოვლენა რომლებიც განაპირობებს შობადობის არსებულ მდგომარეობას. ამ ყოველივეს კი რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ცვლილება უდევს საფუძვლად.

ნაშრომის მიზანს და სიახლეს წარმოადგენს საქართველოში რეპროდუქციული განწყობისა და რეპროდუქციული ქცევის ევოლუციის შესწავლა, რომელმაც მოიცვა შემდეგი ამოცანები და საკითხები: რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის თემატიკაზე ჩატარებული კვლევებისა და 2017 წელს, ჩემს მიერ ჩატარებული კვლევის - „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“, შეპირისპირებული ანალიზი, არსებული მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება და ახსნა; პარალელების გავლება წარსულსა და დღევანდელობას შორის, იმ ძირითადი ტენდენციებისა და ასპექტების გამოყოფა, რომლებმაც განიცადეს ცვლილება ნახევარი საუკუნის მანძილზე და რამაც საქართველო დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დააყენა. აგრეთვე, ახალგაზრდების (18 - 35 წლის კატეგორია) რეპროდუქციული ორიენტაციებისა და მათი დამოკიდებულებების გამოვლენა / შეფასება შობადობის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და შობადობის საკითხებში სახელმწიფოს როლის განსაზღვრის მიმართ. ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ძალზე მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ისინი არიან / გახდებიან XXI საუკუნის საქართველოში სოციალურ - კულტურული და პოლიტიკურ - ეკონომიკური ცხოვრებისა და რაღა თქმა უნდა თაობათა აღწარმოების მთავარი სუბიექტები / აქტორები.

***საკვანძო სიტყვები:*** *რეპროდუქციული განწყობა, რეპროდუქციული ქცევა, ბავშვის ყოლის მოთხოვნილება, შობადობის ხელშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორები, დემოგრაფიული პოლიტიკა.*

---

*ელფოსტა: mariam.gambashidze@yahoo.com

Abstract

The purpose of the article is to analyze the evolution of reproductive disposition and behaviour in Georgia and the changes of reproductive orientations from the 70s of the last century to the present day. The topic was chosen due to its actuality. Demographic indicators of Georgian population show that the country is in a severe demographic crisis, which first of all, has dramatically reflected in the decrease of the childbirth. To find the solution, it is essential, to find the source of the problem, to trace the evolution of the process and to display the factors determining the actual condition of fertility and the changes of the reproductive disposition and behaviourare the bases for it.

The aim and the novelty of this article is the study of reproductive disposition and behaviour in Georgia, which covers next objectives and issues: analyzing and comparing the existing researches (about the issues of reproductive disposition and behaviour) and the results of the research "Survey of Reproductive Disposition and Behaviour of the Youth" (conducted by me, in 2017), showing and explaining their causal connections, making the comparable parallels between past and present, underlining the main tendencies and aspects that have been changed during the half century and that drove Georgia into the demographic crisis. Also the article aims to reveal and examine the reproductive orientations and attitudes of the youth (18 - 35 age category) towards to childbirth, the factors effecting on the childbirth, as well as to define the role of the state in this area. The study of the youth reproductive disposition and behaviour is very important, because this generation will become / already is the main actor of social - cultural and political - economic life and the renewal of generation of XXI century's Georgia.

***Key words:*** *Reproductive Disposition, Reproductive Behaviour, Need of Having Children, Fertility Factors, Demographic Policy.*

# 1. შესავალი

## 1.1. საკითხის აქტუალობა

თანამედროვე მსოფლიოს წინაშე მდგარ გლობალურ პრობლემათა შორის ერთ-ერთ პრობლემას დედამიწის მოსახლეობის სწრაფი ზრდა წარმოადგენს. მსოფლიო მოსახლეობის მაღალი ზრდის ტემპის ფონზე, საქართველოში საპირისპირო ტენდენციაა - მოსახლეობა სწრაფი ტემპით კლებულობს.

გაეროს 2017 წლის მოსახლეობის გადასინჯვის მონაცემებზე დაყრდნობით, პროგნოზის დაბალი ვარიანტის შესაბამისად, საქართველოს მოსახლეობა (აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით) 2015-დან 2050 წლამდე პერიოდში 23.7%-ით, ანუ 935 000 კაცით შემცირდება და საანგარიშო პერიოდის დასასრულისთვის 3 017 000 ადამიანს შეადგენს. შესაბამისად, მოსახლეობის საშუალოწლიური ზრდის ტემპი[1] უარყოფითი იქნება (-0,68%) და ყოველწლიურად, ქვეყნის მოსახლეობა საშუალოდ 26 714 კაცით შემცირდება (United Nations, DESA / Population Division, 2017)[2]. დღეს, საქართველო მოსახლეობის ზრდის ტემპის მიხედვით, 234 ქვეყანას შორის 198 ადგილზე იმყოფება (CIA. The World Factbook).

საქართველოს მოსახლეობის შობადობის, მოკვდაობის, ბუნებრივი მატების, ქორწინებისა და გარე მიგრაციის მონაცემები მოწმობს, რომ მოსახლეობა განიცდის მწვავე დემოგრაფიულ კრიზისს. დღის წესრიგში დგება ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც წარმოუდგენელია მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების სიღრმისეული შესწავლის გარეშე. აღნიშნულ საკითხს სათანადო ყურადღება არ ექცევა და უგულვებელყოფილია სახელმწიფოს მხრიდან.

დემოგრაფიული განწყობისა და ქცევის შესწავლისკენ მიმართული კომპლექსური კვლევები დღეს-დღეობით სამწუხაროდ არ ხორციელდება. შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიე, რომ ჩამეტარებინა მრავალპლანიანი კვლევა ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესასწავლად.

ჩემი კვლევა მიმართული იყო 18 - 35 წლის ახალგაზრდებზე, რომლებიც XXI საუკუნის საქართველოში სოციალურ-კულტურული, პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების ერთ-ერთი შემოქმედი და თაობათა აღწარმოების[3] სუბიექტი არის / გახდება. შობადობა, მოსახლეობის აღწარმოების ერთ-ერთი წარმმართველი და უმნიშვნელოვანესი შემადგენელი

---

[1] სიდიდე, რომელიც ახასიათებს მოსახლების ცვლილებას დროში (წულაძე გ. , 2012).

[2] პროგნოზის საშუალო ვარიანტის მიხედვით კი ამავე საანგარიშო პერიოდში საქართველოს მოსახლეობა 14.1% - ით, ანუ 558 000 კაცით შემცირდება და 2050 წლისთვის 3 394 000 კაცს შეადგენს. შესაბამისად, მოსახლების საშუალოწლიური ზრდის ტემპიც უარყოფითი იქნება (- 0.4%) და ყოველწლიურად ქვეყნის მოსახლეობა საშუალოდ 15 943 კაცით შემცირდება (UNITED NATIONS, DESA / POPULATION DIVISION, 2017).

[3] თაობათა მუდმივი განახლების პროცესი, რომელიც შობადობისა და მოკვდაობის ურთიერთქმედების შედეგს წარმოადგენს (წულაძე გ. , 2012).

კომპონენტია. შესაბამისად, ახალგაზრდების რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლა, მიმდინარე პროცესების ანალიზი და სამომავლო ტენდენციების განსაზღვრა ყველა დროში არსებითია, განსაკუთრებით კი დღეს, როდესაც მოსახლეობის კლება ასეთი თვალშისაცემია.

### 1.2. ნაშრომის მიზანი

ნაშრომის მიზანი გახლდათ - საქართველოში რეპროდუქციული განწყობისა და რეპროდუქციული ქცევის ევოლუციის შესწავლა (გასული საუკუნის 70 - იანი წლებიდან მოყოლებული - დღემდე). ნაშრომის ფარგლებში გადაიჭრა შემდეგი ამოცანები: მიღებული და გაანალიზირებული იქნა უახლესი სურათი რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების კუთხით (ჩემს მიერ ჩატარებულ კვლევაზე - „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ (2017 წ.) დაყრდნობით); გაივლო პარალელები წარსულსა და დღვანდელობას შორის (ჩატარებული კვლევების შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე); მოხდა მიღებული შედეგების შეპირისპირებული ანალიზი და დადგინდა მიზეზ-შედეგობრივი კავშირები; გამოიყო ის ძირითადი ტენდენციები და ასპექტები, რომლებმაც ნახევარი საუკუნის მანძილზე განიცადეს ცვლილებები (რამაც, შედეგად, საქართველო დემოგრაფიული კრიზისის წინაშე დააყენა); გამოვლინდა და გაანალიზდა დღვანდელი ახალგაზრდების რეპროდუქციული ორიენტაციები და დამოკიდებულებები, შობადობის, მასზე მოქმედი ფაქტორებისა და შობადობის საკითხებში სახელმწიფოს როლის განსაზღვრის კუთხით.

## 2. ლიტერატურის მიმოხილვა

ბოლო წლების საქართველოში, მძიმე დემოგრაფიული სიტუაცია თვალნათლივ აისახა შობადობის მკვეთრად შემცირების პროცესში. საკმაოდ მოკლე პერიოდში, ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა კატაკლიზმებმა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებამ, განაპირობა შობადობის ისედაც რთული პროცესის დეფორმირება.

საქართველოში მიმდინარე დემოგრაფიული პროცესებისა და კერძოდ, მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლაზე მრავალი ქართველი მეცნიერი მუშაობდა. მათ შორის უნდა აღინიშნოს ბ-ნი. გ. წულაძის შრომები, რომლებიც სიღრმისეულად და ფუნდამენტურად იკვლევს რეპროდუქციულ ქცევასა და რეპროდუქციულ განწყობებს. აღნიშნული საკითხების შესწავლაში აგრეთვე დიდი წვლილი აქვთ შეტანილი შემდეგ მეცნიერებს: მ. ხმალაძე, ბ. კოტრიკაძე, ზ. ცხოვრებაძე, გ. მელაძე, ლ. ჩიქავა და სხვ. სწორედ მათ ნაშრომებს უნდა ვუმადლოდეთ ჩვენს ხელთ არსებულ იმ მნიშვნელოვან მონაცემებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში დიდ სამსახურს გაუწევს სფეროთი დაინტერესებულ პირებს, სპეციალისტებსა და სახელმწიფო სტრუქტურებს. მოცემული სტატიაც მნიშვნელოვანწილად მათ ნაშრომებს ეყრდნობა, რომელთა წყალობითაც შესაძლებელი ხდება ამა თუ იმ პროცესის დროში დანახვა და გაანალიზება.

მეტი სიცხადისათვის განვიხილოთ, ის დემოგრაფიული კატეგორიები, რომლებიც მნიშვნელოვანია რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლაში. დემოგრაფიული განვითარების თვალსაზრისით, სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობა სხვადასხვა ფაზაში იმყოფება, რომელთა გავლასაც განსხვავებული პერიოდები სჭირდება. დემოგრაფიაში, მოსახლეობის აღწარმოების მნიშვნელოვანი თვისებრივ-რაოდენობრივი ცვლილებების ასახსნელად, გამოიყენება დემოგრაფიული გადასვლის კონცეფცია. აღნიშნული კონცეფციის მიხედვით, საქართველო 60-იანი წლებიდან მოსახლეობის აღწარმოების თანამედროვე ტიპის მესამე ფაზაში იმყოფებოდა, რომლისთვისაც დამახასიათებელია შობადობის შემცირება და მოკვდაობის ზრდა (ეს უკანასკნელი უმეტესად გამოწვეულია ასაკობრივი სტრუქტურის ცვლილებით, მოსახლეობის დემოგრაფიული დაბერებით). შობადობის შემცირება თანდათან ნელდება და მესამე ფაზის ბოლოს მარტივი აღწარმოებისთვის[4] საჭირო დონეს (შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი[5] უტოლდება 2.1-ს, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი[6] კი - 13.7‰-ს) აღწევს. თუმცა მოკვდაობა მაინც შობადობაზე ნაკლებია. მომდევნო მეოთხე ფაზისთვის კი დემოგრაფიული სიტუაციის კიდევ უფრო გაუარესებაა მოსალოდნელი (წულაძე, მელაძე და გაჩეჩილაძე, 1997). მოსახლეობის აღწარმოების მეოთხე ფაზის დროს მოკვდაობა იზრდება და აღწევს შობადობის დონეს (დაახლოებით 13‰-ს), რითაც დემოგრაფიული სტაბილიზაციის პროცესი უნდა დამთავრდეს, მოსახლეობის ზრდა უნდა შეწყდეს და ერთ უცვლელ დონეზე დარჩეს (წულაძე გ. , 2012).

---

[4] მოსახლეობის აღწარმოების ისეთი რეჟიმი, როდესაც მომდევნო და წინა თაობის რაოდენობა ტოლია (დაახლოებით) (წულაძე გ. , 2012).
[5] ერთი ქალის მიერ მთელი ცხოვრების მანძილზე (პირობითად 15 - 49 წლისასაკში) დაბადებული ბავშვების საშუალო რაოდენობა (წულაძე გ. , 2012).
[6] გარკვეულ დროში დაბადებულთა საერთო რაოდენობის შეფარდება, იმავე პერიოდის მოსახლეობის საშუალო რაოდენობასთან; გამოისახება პრომილეებში (‰) და უჩვენებს დაბადებულთა რაოდენობას მოსახლეობის 1000 სულზე გაანგარიშებით (წულაძე გ. , 2012).

დემოგრაფიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე დონეზე, დემოგრაფიული პროცესების შესწავლისათვის, აუცილებელია მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობისა და დემოგრაფიული ქცევის ანალიზი. მოკლედ მიმოვიხილოთ ის ძირითადი კატეგორიები, რომლებიც დაგვეხმარება განსახილველი საკითხის უკეთ გაგებასა და წვდომაში.

დემოგრაფიული განწყობა წარმოადგენს პიროვნების დამოკიდებულებას დემოგრაფიული პროცესების მიმართ. მათ შორის გამოიყოფა რეპროდუქციული განწყობა (დამოკიდებულება შობადობის მიმართ), საქორწინო განწყობა, მიგრაციული განწყობა და სხვა. დემოგრაფიული განწყობისა და დემოგრაფიული ქცევის ცენტრალური საკითხი გახლავთ რეპროდუქციული განწყობა და რეპროდუქციული ქცევა. აღნიშნული კატეგორიები ახასიათებს ადამიანების შეხედულებებს ბავშვთა რაოდენობისა და მათი დაბადების დროის შესახებ (ხმალაძე, 1981).

რეპროდუქციული განწყობა წარმოადგენს ადამიანის მზადყოფნას ფსიქოფიზიკური აქტივობისთვის, რომელიც მიმართულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დაკმაყოფილებისაკენ. რეპროდუქციული განწყობა წინ უსწრებს რეპროდუქციულ ქცევას, წარმოადგენს გარკვეული სახის მზადყოფნას და განსაზღვრავს რეპროდუქციული ქცევის მიმდინარეობას. „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“ დემოგრაფიაში განიმარტება, როგორც ადამიანის მდგომარეობა, რომელიც წარმართავს მას ბავშვების ყოლისთვის. „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებამ“ ძველი დროიდან დღემდე ევოლუცია და ტრანსფორმაცია განიცადა. მისი ჩამოყალიბება ადრეულ ასაკში იწყება. განსაზღვრულ, დასრულებულ სახეს კი დაქორწინებისა და ცოლ-ქმრული ცხოვრების რამდენიმე წელიწადში (1-2) ღებულობს, რის შემდეგაც აღარ იცვლება (წულაძე გ. , 2012).

რეპროდუქციული ქცევა კი არის აქტივობა, რომელიც მიმართულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დასაკმაყოფილებლად. რეპროდუქციული ქცევა განისაზღვრება „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით“ და იმ სიტუაციით, რომელშიც შესაძლებელია ამ „მოთხოვნილების“ დაკმაყოფილება. რეპროდუქციული ქცევა წარმოადგენს შესაბამისი რეპროდუქციული განწყობის რეალიზაციას. რეპროდუქციული ქცევა შეიძლება იყოს შემდეგი სამი ტიპის: მრავალშვილიანობა, საშუალოშვილიანობა, მცირეშვილიანობა. თითოეული რეპროდუქციული ქცევის ტიპს ახასიათებს შესაბამისი რეპროდუქციული ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ბავშვების გარკვეული რაოდენობის ყოლასთან და მიღებულია მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში. მრავალშვილიანობის რეპროდუქციული ნორმები ჩვილთა და საერთო მოკვდაობის მაღალი დონის შემთხვევაში იყო გაბატონებული და მათზე შესაბამის რეაქციას წარმოადგენდა. თუმცა, მოკვდაობის კლების პირობებში აღარ აღმოჩნდა საჭირო, რასაც დაემატა ოჯახის ფუნქციების ცვლილება და გარეოჯახური ორიენტაციების გაძლიერება. შესაბამისად, მრავალშვილიანობის ნორმები ჯერ საშუალოშვილიანობის, შემდგომ კი მცირეშვილიანობის ნორმებით ჩანაცვლდა. საშუალოშვილიანი რეპროდუქციული ქცევა განპირობებულია 3-4 „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით“. მცირეშვილიანი რეპროდუქციული ქცევა კი - 1-2 „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებით“. აღნიშნულ პროცესს თან სდევდა ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებისა და აბორტის ფართოდ გავრცელება (წულაძე გ. , 2012).

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის გამოვლენა და შესწავლა შესაძლებელია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის საფუძველზე - სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევებით (იხ. სქემა *1*) (ხმალაძე, 1981).

*სქემა 1*




*წყარო: სქემა შედგენილია ავტორის მიერ, დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიურ ლექსიკონზე დაყრდნობით (წულაძე გ. , 2012)*

პირველად, რეპროდუქციული ორიენტაციების მაჩვენებლების შესახებ მონაცემები მიღებულ იქნა აშშ-ში, XX საუკუნის პირველ ნახევარსა და 50-იანი წლების შუა პერიოდისთვის. საქართველოში, რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევები კი XX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო. ზოგ მათგანში მეტი ყურადღება ექცეოდა რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის სიღრმისეულ შესწავლას, ზოგი კი ამ საკითხს ნაწილობრივ, მხოლოდ რამდენიმე შეკითხვით ეხებოდა. კვლევების უმეტესი ნაწილი ძირითადად შეისწავლიდა არსებული რეპროდუქციული ქცევის ამსახველ სურათს და უფრო ნაკლებად რეპროდუქციულ განწყობას, მოლოდინებსა და განზრახვებს. მათი მხოლოდ მცირე ნაწილი უთმობდა ყურადღებას როგორც არსებული რეპროდუქიცული ორიენტაციების, ისე მათზე მოქმედი შესაძლო ფაქტორების გავლენის შესწავლას, რაც მათ მინუსად უნდა ჩაითვალოს.

კვლევების უმეტესობამ გამოავლინა, რომ ქართველები განწყობილნი იყვნენ/არიან რეპროდუქციული ორიენტაციების საკმაოდ მაღალი მახასიათებლებისკენ, მაგრამ რეალურად რეპროდუქციულ ქცევაში მათი ეს სურვილები არ/ვერ აისახება. რატომ? სწორედ ეს საკითხი არის საკვლევი, სწორედ ეს საკითხი არის საქართველოს დემოგრაფიული კრიზისის „აქილევსის ქუსლი“.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დემოგრაფიული ქცევა წარმოადგენს მოქმედებათა ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც განცალკევებულად კი არა, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ-საზოგადოებრივი ფორმაციის ჭრილში უნდა განვიხილოთ. რეპროდუქციულ ორიენტაციებზე და შესაბამისად მის მახასიათებელ მაჩვენებლებზე გავლენას ახდენს რიგი დემოგრაფიული, სოციალურ-დემოგრაფიული, სოციალურ-ეკონომიკური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა ფაქტორები. შესაბამისად, დემოგრაფიული კრიზისის დაძლევისთვის საჭიროა ფუნდამენტური თვისებრივი კვლევების ჩატარება, რომელშიც დემოგრაფიასთან ერთად ჩართული უნდა იყოს ისეთი დარგები, როგორებიცაა ეთნო და სოციალური ფსიქოლოგია, სოციოლოგია, კულტუროლოგია და სხვა.

## 3. მეთოდოლოგია

რეპროდუქიცული განწყობისა და ქცევის ევოლუციის საკითხების კვლევისას, საწყის ეტაპზე, გამოყენებულ იქნა მონაცემების ანალიზის[7] მეთოდი, აღნიშნულ საკითხზე არსებული ლიტერატურისა და საქართველოში ჩატარებული კვლევების შესწავლისა და ანალიზის მიზნით. საკითხის უფრო სიღრმისეულად შესწავლისთვის (რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუციაში მომხდარი ძირეული ცვლილებების ჩვენების, ამ პროცესების განმაპირობებელი ფაქტორების ახსნისა და დღეს არსებული სიტუაციის შესწავლის მიზნით) ჩავატარე მრავალპლანიანი კვლევა - „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ (2017 წელი), რომელშიც გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი. კვლევა განხორციელდა ელექტრონული გამოკითხვის მეშვეობით (ვებ გვერდის - www.surveymonkey.com პროგრამაში). კვლევის ინსტრუმენტს წარმოადგენდა სტრუქტურიზებული კითხვარი დახურული, ნახევრად დახურული და ღია კითხვებით.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 18 - 35 წლის 563 რესპონდენტი. ახალგაზრდათა ამ ასაკობრივი ჯგუფის შერჩევა მოხდა იმ პრინციპით, რომ აღნიშნულ ასაკში მყოფი ადამიანები ყველაზე აქტიურ რეპროდუქციულ ფაზაში არიან (ფსიქო-ფიზიოლოგიური სიმწიფის გათვალისწინებით) და შესაბამისად, აქტიურად მონაწილეობენ თაობათა აღწარმოების პროცესში.

გამოკითხვა მიმდინარეობდა ერთი კვირის მანძილზე - 2016 წლის 31 დეკემბრიდან 2017 წლის 7 იანვრის ჩათვლით პერიოდში. მონაცემთა შეყვანა და დამუშავება მოხდა სტატისტიკური მეთოდების გამოყენებით (მოხდა მონაცემების როგორც ერთ, ისე ორგანზომილებიანი ანალიზი).

რესპონდენტთა კვლევაში ჩართვა მოხდა ნებაყოფლობით, კითხვარის პრეამბულაში მითითებული კვლევის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გაცნობით. კვლევა სრულად იცავდა რესპონდენტთა ანონიმურობასა და კონფიდენციალობას.

## 4. რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუცია - კვლევების შედარებითი ანალიზი

კიდევ ერთხელ ხაზი უნდა გავუსვათ იმ ფაქტს, რომ რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შობადობის შესწავლაში. იმისათვის, რომ მოხდეს დღევანდელი სურათის სწორად შეფასება, განსაკუთრებით კი სამომავლო პერსპექტივებისა და მოსალოდნელი ტენდენციების პროგნოზირება, საჭიროა

---

[7] მონაცემები, რომლებიც უკვე შეგროვილია სხვა მკვლევარებისა და ინსტიტუტების მიერ განსხვავებული მიზნებით. მათი ანალიზი კი გულისხმობს იმ კვლევების აღმოჩენას, რომლებიც ემყარება სხვათა მიერ შეგროვილ მონაცემებს (ფრანკფორტ - ნაჩმაისი, ჩ., და ნაჩმაისი, დ., 2009).

საკითხისადმი თანმიმდევრული, სისტემური მიდგომა, რეპროდუქციული ორიენტაციების სიღრმისეულად შესწავლა, მათი ცვლილების ევოლუციისთვის თვალის მიდევნება და კვლევის შედეგების შედარებითი ანალიზის გაკეთება.

სწორედ ამ საკითხებს ეთმობა მოცემული ნაშრომი, სადაც შევეცადე რომ პარალელები გამევლო და თვალსაჩინოდ წარმომედგინა საქართველოში რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ცვალებადობა, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე.

ჩვენამდე ჩატარებული სოციოლოგიურ-დემოგრაფიული კვლევებიდან, ზოგი უფრო სიღრმისეულად, ზოგი კი ზედაპირულად ეხებოდა რეპროდუქციული ორიენტაციების შესწავლას, ამიტომ მათ შორის პარალელების გავლება მხოლოდ საერთო მონაცემების არსებობის შემთხვევაში მოხერხდა. ამასთანავე, ყველა ჩატარებული კვლევა რაოდენობრივი გახლდათ, რაც არ იძლეოდა საკითხში სათანადოდ ჩაღრმავების საშუალებას და იმ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენას, რამაც გადამწყვეტი როლი ითამაშა რეპროდუქციული ორიენტაციების ცვლილებაზე. თუმცა, ჩემს ხელთ არსებულ მასალებზე დაყრდნობით, შევეცადე მეჩვენებინა რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუციაში მომხდარი ძირეული ცვლილებები და ამეხსნა ამ პროცესების განმაპირობებელი ფაქტორები.

რეპროდუქციული განწობისა და ქცევის კვლევის მთავარ კატეგორიებს წარმოადგენს ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა, რომლებიც ხასიათდება შესაბამისი მაჩვენებლებით. *ბავშვების იდეალური რაოდენობა* გულისხმობს ადამიანის წარმოდგენას, ოჯახში ბავშვების საუკეთესო რაოდენობის შესახებ საერთოდ, პირადი უპირატესობის მინიჭებისა და ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. *ბავშვების სასურველი რაოდენობა* გულისხმობს ბავშვების იმ რაოდენობას, რომლის ყოლასაც ამჯობინებდა ადამიანი თავის ოჯახში პირადი მისწრაფებებიდან გამომდინარე, ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. ხოლო, *ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა* წარმოადგენს ბავშვების იმ რაოდენობას, რომლის ყოლასაც აპირებს ადამიანი საერთოდ, „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებიდან" გამომდინარე, კონკრეტული ცხოვრებისეული პირობების გათვალისწინებით (წულაძე გ. , 2012).

ამგვარად, ნათლად ჩანს, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობის განმსაზღვრელი კატეგორიები (ბავშვების იდეალური, სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა) მართალია ერთმანეთისგან შინაარსობრივად განსხვავდება, მაგრამ ყველა გაერთიანებულია რეპროდუქციულ განწყობაში და მისი შესწავლისთვის გამოიყენება. აღნიშნული კატეგორიები ერთმანეთის მიმართ გარკვეულ კანონზომიერებას ამჟღავნებენ. კერძოდ, ოჯახში ბავშვების საშუალო იდელაური რაოდენობის მაჩვენებლი აღემატება სასურველს, ხოლო სასურველი აღემატება მოსალოდნელს (თუმცა გამორიცხული არ არის მაჩვენებლთა სიდიდეების დამთხვევა ან პირიქითი მდგომარეობა).

ჩატარებული კვლევების შედეგებმა აჩვენა, რომ საქართველოში მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციები აღნიშნულ კანონზომიერებას იმეორებს, თუმცა მაჩვენებლები სტაბილური დაღმავალი ან აღმავალი ცვლილებით არ ხასიათდება, რამაც კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ დემოგრაფიული პროცესები მჭიდრო კავშირშია ქვეყნის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან და მის ერთგვარ ანარეკლს წარმოადგენს.

განვიხილოთ თითოეული კატეგორია ცალ-ცალკე (იხ. გრაფიკი 1). *ბავშვების იდეალური რაოდენობა*, რომელიც საზოგადოებაში გავრცელებულ რეპროდუქციულ ნორმას წარმოადგენს, საქართველოში, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე 1 ბავშვით შემცირდა და დღეისთვის 2.94-ს შეადგენს. რეპროდუქციული ორიენტაციების ყველა მაჩვენებელმა (განსაკუთრებით კი ბავშვების იდეალურმა რაოდენობამ), თვალშისაცემი ვარდნა 1990-იან წლებში განიცადა და XXI საუკუნის დასაწყისამდე მუდმივი კლების ტენდენციით ხასიათდებოდა. ამ პერიოდში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს გაუთანაბრდა (2.15 ბავშვი – 1996 წელს). რეპროდუქციული ორიენტაციების ესოდენ სწრაფი ცვლილება ემთხვევა 1990-იან წლებში საქართველოში მიმდინარე მნიშვნელოვან პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს, რამაც ბუნებრივია, პირდაპირი ასახვა ჰპოვა დემოგრაფიულ და განსაკუთრებით კი რეპროდუქციულ ქცევაში. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1999 წლიდან შეინიშნებოდა რეპროდუქციული ორიენტაციების ნელი ტემპით, თუმცა მაინც ზრდის ტენდენცია. სავარაუდოა, რომ რეპროდუქციული ორიენტაციების ზრდა განპირობებული ყოფილიყო შემდეგი ძირითადი ფაქტორებით: ქვეყნის გამოსვლა პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისიდან; საზოგადოებრივი ცხოვრების მოწყობის ახალი ტენდენციები, როგორებიცაა: საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, სამუშაო ადგილების გაჩენა, სახელმწიფო სტრუქტურების - საგანმანათლებლო და ჯანდაცვის სისტემების გამართვა; პატრიარქის შობადობის წამახალისებელი ინიციატივა და სხვა.

რაც შეეხება *ბავშვების სასურველ რაოდენობას*, რაც „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების" გამოხატულების მაჩვენებლს წარმოადგენს, მასაც ისეთივე ცვლილების ხაზი ახასიათებს, როგორიც ბავშვების იდეალურ რაოდენობას. 1969 წლიდან 2017 წლამდე, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე, ბავშვების სასურველი რაოდენობის მაჩვენებელი 1.11-ით შემცირდა (3.9-დან 2.79-მდე). თუმცა საინტერესოა, რომ ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობის მაჩვენებლები ერთმანეთთან ყველაზე ახლოს 1969 წლის შემდეგ, ჩემს მიერ ჩატარებული - 2017 წლის კვლევის დროს

დაფიქსირდა და მათ შორის სხვაობამ მხოლოდ 0.15 შეადგინა. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში კი ამ ორ კატეგორიას შორის განსხვავება დიდი იყო (0.3 - 0.65-ის ფარგლებში).

საინტერესოა, *ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის* მაჩვენებელის დინამიკისთვის თვალის გადევნება. აღნიშნული მაჩვენებელი, რომელიც საკმაოდ რეალურად ასახავს როგორც რეპროდუქციულ განწყობას, ისე რეპროდუქციულ ქცევას (ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობებისგან განსხვავებით), ყველაზე ნაკლებად შეიცვალა. თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, კლებამ მხოლოდ 0.23 შეადგინა (2.88-დან 2.65-მდე). უნდა აღინიშნოს მისი საგანგაშო ვარდნა 2003 წელს, როდესაც მარტივი აღწარმოების ზღვარს ქვევით დაეშვა და მხოლოდ 1.9 შეადგინა (სამწუხაროდ 2003 წელს ჩატარებული კვლევა არ იძლეოდა ამ პროცესის ახსნას). უკანასკნელ წლებში, ბავშვების მოსალოდელი რაოდენობის მაჩვენებელი მატების ტენდენციითაც კი ხასიათდებოდა. რას უნდა მიუთითებდეს მისი მეტ-ნაკლები სტაბილურობა? რატომ იყო გასულ საუკუნეში ასეთი დიდი სხვაობა მოსახლეობის რეპროდუქციულ ორიენტაციებს შორის? ვთვლი, რომ ამ კითხვებს პასუხი მხოლოდ სიღრმისეული, კომბინირებული კვლევების ანალიზის შედეგად შეიძლება გაეცეს. თუმცა, ამ ეტაპზე, შესაძლოა გამოითქვას შემდეგი მოსაზრება - 1970-იან წლებში არსებობდა მაღალი რეპროდუქციული ნორმები, რომელსაც საქართველოს მოსახლეობა იზიარებდა (რასაც ცხადყოფს საკმაოდ მაღალი რეპროდუქციული ორიენტაციების მაჩვენებლები ბავშვების იდეალური და სასურველი რაოდენობის შემთხვევაში - თითქმის 4 ბავშვი), მათი იდეალები და სურვილები მრავალშვილიანობისკენ იყო მიმართული. რეპროდუქციული ქცევის არსებული სოციალური ნორმა და პირადი მისწრაფებები ერთმანეთთან თანხვედრაში მოდიოდა. მიუხედავად ამისა, ამავე პერიოდში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა 1-ზე მეტი ბავშვით ნაკლები იყო რესპონდენტთა სურვილებზე. ვინაიდან ბავშვის მოსალოდნელი რაოდენობა ითვალისწინებს კონკრეტულ ცხოვრებისეულ პირობებს და ინდივიდუალურ ოპტიმუმს წარმოადგენს, შესაძლოა დავასკვნათ, რომ იმ ხანადაც ქართველებისთვის მნიშვნელოვანი იყო ბავშვის აღზრდის ხარისხი და არა რაოდენობა. არსებული გარემო-პირობები კი, მრავალშვილიანობის ამსახველი რეპროდუქციული განწყობის რეალიზაციის საშუალებას არ იძლეოდა. გასულ საუკუნეში, სახელმწიფოს სათანადო ყურადღება რომ მიექცია მოსახლეობის რეპორდუქციული ორიენტაციების კლებისთვის, გაეტარებინა შებამასისი ღონისძიებები და შეემუშავებინა სისტემური დემოგრაფიული პოლიტიკა, დღეს ამ კუთხით, უკეთესი სურათი გვექნებოდა.




| | 1969 | 1996 | 1998 | 1999 | 2003 | 2005 | 2010 | 2014 | 2017 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| იდეალური | 3.95 | 3 | 2.6 | 2.8 | 3.05 | 2.8 | 3 | 3.15 | 2.94 |
| სასურველი | 3.9 | 2.68 | 2.3 | | 2.6 | | | 2.5 | 2.79 |
| მოსალოდნელი | 2.88 | 2.15 | | | 1.9 | | | 2.45 | 2.65 |

*გრაფიკი 1. რეპროდუქციული ორიენტაციების დინამიკა საქართველოში 1969 - 2017 წლებში*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, მითითებულ წლებში ჩატარებული კვლევების ანგარიშებზე დაყრდნობით*

როგორც აღმოჩნდა, რეპროდუქციულ ორიენტაცებს შორის ყველაზე დიდი ვარდნა ბავშვების იდეალურმა და სასურველმა რაოდენობებმა განიცადა, სწორედ იმ კატეგორიებმა, რომლებიც დაკავშირებულია რეპროდუქციული ქცევის სოციალურ ნორმებთან და პირად მისწრაფებებთან, ცხოვრების კონკრეტული პირობების გაუთვალისწინებლად. ორივე მათგანზე დიდია სოციალური გარემოს გავლენა. შესაბამისად, ამ პროცესის ახსნა იმ დემოგრაფიული ფასეულობების ცვლილებაში უნდა ვეძიოთ, რომლებსაც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს რეპროდუქციული ორიენტაციების ფორმირებაში. დემოგრაფიულ ფასეულობებში აისახება ამა თუ იმ ხალხის ცხოვრების წესი, ზნე-ჩვეულება, საქორწინო და საოჯახო ფორმები და ტრადიციები, ინტერესები და მოთხოვნები, ოჯახის დაგეგმვის გამოცდილება და საბოლოო ჯამში მოსახლეობის აღწარმოების რეჟიმი. „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ შემცირება, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ ქართველებისთვის არ არის დამახასიათებელი. ეს ტენდენცია ქვეყნის განვითარებისა და ცხოვრების წესის თანმდევი შეუქცევადი პროცესია. ადამიანები უფრო და უფრო მეტ ორიენტირს აკეთებენ ბავშვების აღზრდის ხარისხზე და არა მათ

რაოდენობაზე. ამასთან, თანამედროვე ცხოვრების წესი და მოთხოვნები უბიძგებს მათ მეტი თვითაქტივობისკენ ოჯახს გარეთ. წინა პლანზე გამოდის ახალი ეპოქის გამოწვევები და მოტივები, რის შედეგადაც ყალიბდება სხვადასხვა ფასეულობები, რომელშიც ახალგაზრდები თავის თავს არა მხოლოდ მშობლებად, არამედ აქტიურ მოქალაქეებად წარმოიდგენენ, ესენია: ფართო ინტერესები და მათი დაკმაყოფილების მოთხოვნილება, პერსონალური და კარიერული წინსვლა, მყარი მატერიალური საფუძვლის შექმნა, დამოუკიდებლად ცხოვრების მოთხოვნილება, ქალთა ემანსიპაცია, ბავშვების აღზრდის ხარისხი და სხვა. ცხოვრების ახალი წესის პირობებში, თანდათან მცირდება „ბავშვის ყოლის მოთხოვნილება“, რადგან ბავშვის გაჩენა ადამიანის ცნობიერი არჩევანის შედეგი ხდება. შესაბამისად, ადამიანები ნაკლებად არიან ორიენტირებულნი ბავშვების ყოლაზე, რაც ხსნის კვლევების შედეგად მიღებულ სურათს, თუ რატომ მცირდება „ბავშვთა ფასეულობა“, რატომ იკლებს მრავალშვილიანი და საშუალოშვილიანი ოჯახების ფასეულობა, მის უკუპროპორციულად იზრდება მცირეშვილიანობის ფასეულობა და შესაბამისად მკვიდრდება აღნიშნული რეპროდუქციული ნორმა - რაოდენიბრივად ცოტა ბავშვი ოჯახში, სამაგიეროდ, ბავშვთა აღზრდის ხარისხის ზრდა. მცირეშვილიანობა კი, თავისთავად შობადობის შემცირების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია.

კვლევების ანალიზმა აჩვენა, რომ დროთა განმავლობაში, რეპროდუქციული ორიენტაციების ამსახველ თითოეულ კატეგორიას შორის სხვაობა შედარებით შემცირდა და მათი მაჩვენებლები ერთმანეთს დაუახლოვდა. საინტერესოა, რომ 2014 და 2017 წლის კვლევებს შორის, მართალია ბავშვების იდეალური რაოდნეობა მცირედით დაკლებულია, მაგრამ ბავშვების სასურველი და მოსალოდნელი რაოდენობა გაზრდილია. ამასთან, 2017 წლის მონაცემებით, რეპროდუქციული ორიენტაციების მაჩვენებლები ერთმანეთს ძალზე დაუახლოვდა (თითოეულ მათგანს შორის სხვაობამ დაახლოებით 0.15 შეადგინა, რაც აქამდე ჩატარებულ არცერთ კვლევაში არ დაფიქსირებულა). რეპროდუქიცული ორიენტაციების მაჩვენებელების ერთმანეთთან ესოდენ ახლოს დგომა შესაძლოა იმაზე მიუთითებდეს, რომ დღეს ახალგაზრდები უფრო პრაგმატულად უდგებიან ცხოვრებას. მათი იდეალები და სურვილები რეალური განხორციელების შესაძლებლობებს პასუხობს. ეს ყოველივე კი განაპირობებს რეპროდუქციული განწყობის დღევანდელ სურათს, რომელიც თავის მრივ, ახლოს იქნება მისი რეალიზაციის შედეგებთან - ფაქტობრივ მდგომარეობასთან.

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლისას მეტად მნიშვნელოვანია სტუდენტებისა და ახალგაზრდების რეპროდუქციული ორიენტაციების კვლევა, რადგან ყველაზე აქტიურად სწორედ ისინი არიან ჩართულნი ან უახლოეს პერიოდში ჩაერთვებიან თაობათა აღწარმოების პროცესში. ბავშვების იდეალური რაოდენობის დინამიკა სტუდენტთა შორის ბოლო 45 - 48 წელში მნიშვნელოვნად შეიცვალა (იხ. გრაფიკი 2). ყველაზე დიდი კლება განიცადა 4 ბავშვის კატეგორიამ, რომელიც თითქმის 4-ჯერ (36.5 პროცენტული პუნქტით) შემცირდა - 49.4%-დან 12.9%-მდე. მის საპირისპიროდ კი, ოჯახში 2 ბავშვის ყოლას იდეალურად, გასულ საუკუნესთან შედარებით (7.1%), ახალგაზრდების 3-ჯერ მეტი წილი - 21.7% მიიჩნევს. რესპონდენტთა თითქმის ნახევრისთვის, დღეს იდეალურია 3-ბავშვიანი ოჯახი. დღევანდელი დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, ეს ტენდენცია მეტად დამაიმედებელად უნდა მივიჩნიოთ. თუმცა მისი რეალიზებისთვის (შენარჩუნებისთვის მაინც, რადგან ზრდაზე რთულია საუბარი) აუცილებელია, სახელმწიფოში შეიქმნას ერთი მხრივ, ხელსაყრელი სოციალურ-ეკონომიკური გარემო და მეორე მხრივ, შემუშავდეს სათანადო დემოგრაფიული პოლიტიკა.




*გრაფიკი 2. ბავშვების იდეალური რაოდენობის დინამიკა (1969/1972 – 2017)*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, მითითებულ წლებში ჩატარებული კვლევების ანგარიშებზე დაყრდნობით*

როგორც ცნობილია, რეპროდუქციული განწყობის მახასიათებლებს პროგნოსტიკული მნიშვნელობა აქვთ, თუმცა ეს არ ნიშნავს მათ გარდაუვალ რეალიზებას მომავალში. ბავშვებზე მოთხოვნილება რეპროდუქციული ქცევის განხორციელების მნიშვნელოვანი და აუცილებლი, მაგრამ არა ერთადერთი პირობაა. აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი სიტუაცია და განხორციელების შესაძლებლობა, რაც არცთუ ისე იშვიათად ემთხვევა ერთმანეთს. ამიტომ, ფაქტობრივად რეალიზებული რეპროდუქციული ქცევის შემთხვევები ნაკლებია, ვიდრე განზრახული. ამას ადასტურებს შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტისა და ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის დინამიკის ცვლილების ანალიზი, გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან დღემდე (იხ. გრაფიკი 3).




*გრაფიკი 3. ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობისა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის დინამიკა 1969 - 2014*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, მითითებულ წლებში ჩატარებული კვლევების ანგარიშებსა და საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით*

როგორც ჩანს, ორივე მაჩვენებელი თანადროულად იცვლებოდა და ზუსტად ერთსა და იმავე პერიოდში ჰქონდათ კლებისა თუ მატების ტენდენცია. მათ შორის (რეპროდუქციულ განწყობასა და ფაქტობრივ მდგომარეობას შორის) სხვაობა მერყეობდა 0.26-დან 0.6-ის ფარგლებში. 1990-იანი წლებში, რეპროდუქციული ორიენტაციებისა და შობადობის დონის დაცემას ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობისა და შობადობის ჯამობრივ კოეფიციენტის მაჩვენებლებს შორის სხვაობის ზრდაც მოჰყვა, რაც ბუნებრივია, რადგან სტაბილური შობადობის პირობებში, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა ფაქტობრივთან ახლოსაა, ხოლო როდესაც შობადობა სწრაფად იცვლება, ეს მაჩვენებელიც შორდება ფაქტობრივ მდგომარეობას. თუმცა დღეს, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა და შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტი კვლავ საკმაოდ ახლოს არის ერთმანეთთან. აღნიშნულ მაჩვენებლებს შორის არსებული ურთიერთმიმართების, კვლევის შედეგებისა და ოფიციალური წყაროების მონაცემების შედარებით გამოვლენილმა ტენდენციებმა კიდევ ერთხელ დაასაბუთა, რომ ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობის მაჩვენებელს საკმაოდ სტაბილური ხასიათი აქვს და საშუალოდ საკმაოდ ზუსტად რეალიზდება. შესაბამისად, ბავშვების მოსალოდნელი რაოდენობა, უმეტესწილად რეალურად ასახავს როგორც მშობლების განწყობას, ისე მათი მომავალი რეპროდუქციული ქცევის შედეგებს, რისი მეშვეობითაც შესაძლებელია შობადობის მომავალი ტენდენციების წარმოდგენა და მოსახლეობის დინამიკის პროგნოზირება.

რეპროდუქციული ქცევისა და შესაბამისად შვილიანობის ტიპის ცვლილებას, თან სდევს ბავშვების რიგითობის ხვედრითი წილის ცვლაც. ამიტომ მნიშვნელოვანია აღნიშნული პროცესის დინამიკის განხილვა 1970-იანი წლებიდან დღემდე. მრავალშვილიანობიდან საშუალოშვილიანობის და შემდგომ მცირეშვილიანობის რეპროდუქციულ ნორმაზე გადასვლისას იკლებდა მეოთხე და მეხუთე ბავშვთა ხვედრითი წილი, რომლის ხარჯზეც იზრდებოდა სხვა დანარჩენი რიგითობების წილი. კვლევების შედეგების შეპირისპირებისას ცხადად გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ოჯახის ფუნქციონირების ცვლილებასა და გარეოჯახური ორიენტაციების გაძლიერებას თან სდევს მრავალშვილიანობის ნორმების შეცვლა საშუალოშვილიანობისა და შემდეგ მცირეშვილიანობის ნორმებით.

საქსტატის ოფიციალური მონაცემების მიხედვით (იხ. გრაფიკი 4), 1970-იანი წლებიდან დღემდე, მეხუთე ბავშვის ხვედრითმა წილმა 6.25-ჯერ დაიკლო (7.6%-დან 1.2%-მდე), 4 ბავშვისამ კი - 2.28-ჯერ (8%-დან 3.5%-მდე). შესაბამისად, მოიმატა პირველი (4%-ით) და მეორე (7%-ით) ბავშვის ხვედრითმა წილმა. საინტერესოა, რომ მესამე ბავშვის ხვედრითი წილი ფაქტობრივად უცვლელი დარჩა (მხოლოდ 0.1%-ით დაიკლო). ამ საანალიზო პერიოდში, ბავშვების რიგითობის ხვედრითი წილის ცვლილება თანმიმდევრული არ ყოფილა.




*გრაფიკი 4. დაბადებების რიგითობის დინამიკა 1970 - 2016*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ, საქსტატის მონაცემებზე დაყრდნობით*

განსაკუთრებით თვალშისაცემია მესამე რიგითობის ბავშვთა ხვედრითი წილის დაცემა 1990-იანი წლებიდან (16%-დან) 2005 წლამდე (9%-მდე) პერიოდში, რასაც თან სდევდა პირველი რიგითობის ბავშვის ხვედრითი წილის მნიშვნელოვანი ზრდა (14%-იანი ზრდა), რომელმაც 2005 წლისათვის თითქმის 60%-ს მიაღწია. ზუსტად ამავე პერიოდს ემთხვეოდა შობადობის ჯამობრივი კოეფიციენტის რადიკალური კლება (მოსახლეობის მარტივი აღწარმოების ზღვარს ქვევით ვარდნა) და ამავდროულად, მოსახლეობის რეპროდუქციული ორიენტაციების შემცირება (განსაკუთრებით კი ბავშვთა მოსალოდნელი რაოდენობის). თუმცა, იმედის მომცემია მესამე ბავშვის ხვედრითი წილის ხელახალი ზრდის ტენდენცია, რაც 2005 წლის შემდგომი პერიოდიდან აღინიშნება. ექსპერტთა აზრით, აღნიშნული, ერთი მხრივ, დაკავშირებულია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესი და უნეტარესი ილია II-ის, ინიციატივასთან, რომლის მიხედვითაც პატრიარქი მართლმადიდებლურ ოჯახში დაბადებული ყოველი მესამე და მომდევნო რიგითობის ბავშვის ნათლია გახდება; ხოლო მეორე მხრივ, ბუნებრივი მოძრაობის მაჩვენებლების რეგისტრაციის გაუმჯობესებასთან.[8] ექსპერტების გარდა, საზოგადოების დიდი ნაწილიც, პატრიარქის აღნიშნულ ინიციატივას, შობადობის წამახალისებელ ფაქტორად მიიჩნევს, რაც 2017 წლის კვლევის შედეგებშიც გამოვლინდა. რესპონდენტთა ნახევარზე მეტი „ეთანხმება“ (55.6%) და „უფრო ეთანხმება, ვიდრე არ ეთანხმება“ (33.1%) მოსაზრებას, რომ ილია II-ის ინიციატივამ, მესამე რიგითობის ბავშვის მონათვლასთან დაკავშირებით, ხელი შეუწყო შობადობის წახალისებას.

## 5. „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ (2017 წელი) - ანალიზი

ჩემს მიერ ჩატარებული კვლევა სახელწოდებით - „რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევა ახალგაზრდებში“ (2017 წელი) მიზნად ისახავდა ახალგაზრდების რეპროდუქციული ორიენტაციების მრავალპლანიან კვლევას (რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის მიმართ ახალგაზრდების დამოკიდებულების შესწავლა, მათზე ცხოვრებისეული გარემო პირობებისა და ფაქტორების გავლენა, შობადობის საკითხებში სახელმწიფოს როლის

[8] ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების სანდოობა ყოველთვის იყო განხილვის საგანი, 1990-იანი წლებში კი ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა სიტუაციამ გამოიწვია მოსახლეობის რეგისტრაციის სისტემის მოშლა, რის შედეგადაც დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხარისხი და სანდოობა მკვეთრად გაუარესდა. 2010 წლიდან საქართველოში სავალდებულო გახდა დაბადებულებისა და გარდაცვლილების რეგისტრაცია, რამაც გამოიწვია ოფიციალური დემოგრაფიული სტატისტიკური მონაცემების ხარისხისა და სანდოობის გაუმჯობესება (შუშტაკაშვილი და წიკლაური, 2014).

განსაზღვრა და სხვ.) და იმ ასპექტების გამოყოფას, რაც ადრეულ კვლევებში არ იყო გათვალისწინებული. შესაბამისად, საჭიროდ მივიჩნიე რამდენიმე საკითხის გამოყოფა და განხილვა / გაანალიზება.

### 5.1. ბავშვების ყოლის, მათი რაოდენობისა და აღზრდის მიმართ დამოკიდებულება

ბავშვების ყოლის, მათი რაოდენობისა და აღზრდის მიმართ დამოკიდებულებას დიდწილად განსაზღვრავს ესა თუ ის მოტივები (მოტივაცია), რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ადამიანის სამომავლო ქცევის (ჩვენს შემთხვევაში რეპროდუქციული ქცევის) პროგნოზირება. აქედან გამომდინარე, რეპროდუქციული მოტივაცია ორ ძირითად ჯგუფად შეგვიძლია დავყოთ: ბავშვების ყოლის ხელშემწყობი და ბავშვების ყოლის ხელისშემშლელი მოტივები.

ჩვენს კვლევაში მონაწილე ახალგაზრდებისათვის, მცირეშვილიანობა განმტკიცებული გახლდათ ბავშვთა აღზრდის ხარისხისა და მშობელთა პასუხისმგებლობის გაზრდის არგუმენტით, რაც თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ბავშვთა ყოლის მოტივებს ემთხვევა (იხ. გრაფიკი 5). კვლევის შედეგებისა და ბავშვთა შობის მოტივების ანალიზის საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ეტაპზე თანდათან მცირდება ეკონომიკური და სოციალური მოტივების როლი და წინა პლანზე გამოდის ფსიქოლოგიური მოტივები, რასაც მცირეშვილიანობისკენ მივყავართ. ოჯახში, სულ უფრო და უფრო, წინა პლანზე გამოდის მშობელთა პასუხისმგებლობა შვილებლისადმი, მათი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისადმი, განათლებისა და განვითარებისადმი. ეს პროცესი კი უდავოდ შეამცირებს ბავშვთა შობადობის ინტენსივობას, რაც მოსახლეობის რიცხოვნების შემცირების ერთ-ერთი ძირითად ფაქტორად იქცევა.




*გრაფიკი 5. დებულებების - ბავშვების ყოლის რაოდენობასა და მათი აღზრდის ხარისხთან დაკავშირებულ დებულებებზე პასუხების განაწილება*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (2017 წ.)*

### 5.2. თაობებს შორის რეპროდუქციული ქცევის ევოლუცია

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის შესწავლა საინტერესოა წინა თაობების რეპროდუქციული ქცევის გათვალისწინებით, რათა თაობათა ცვლის ფონზე მოხდეს პროცესის დინამიკაში გაანალიზება. ამასთან საგულისხმოა, რომ რეპროდუქციული ორიენტაციების ჩამოყალიბებაზე ცხოვრების წესის ცვლილებისა და სხვა გარემო ფაქტორების გარდა, ასევე დიდწილად მოქმედებს ოჯახის ზომა. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენწევრიან ოჯახში იზრდებიან ის ადამიანები, რომლებიც მომავალში თავად ჩაერთვებიან თაობათა აღწარმოების პროცესში. 2017 წლის კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ გამოკითხული ახალგაზრდების ნახევარზე მეტი მცირეშვილიანი ოჯახების (მათგან 33% - 4-წევრიანი ოჯახების) წარმომადგენლები იყვნენ. შესაბამისად, მათი მშობლების რეპროდუქციული ორიენტაციები უკვე შემცირებული იყო (რესპონდენტთა მშობლების (55%-ის) მიერ გაჩენილი ბავშვების რაოდენობამ საშუალოდ 2.28-ს შეადგინა, ბებია-ბაბუების კი (30%-ის) - საშუალოდ 3 ბავშვს უდრიდა). სამშვილიანი ოჯახების წილი დაკლებულია (23%-ს შეადგენს), შესაბაისად იგივე ტენდენცია გამოვლინდა სამზე მეტ შვილიანი ოჯახების განაწილებაში. უკვე ბებია-ბაბუებისა

და მშობლების თაობებს შორის შეინიშნებოდა ბავშვთა რაოდენობის კლება და მცირეშვილიანი ოჯახების წლის ზრდა (იხ. გრაფიკი 6; გრაფიკი 7). სულ უფრო და უფრო გავრცელებულ სახეს იღებს ოჯახების ნუკლეარიზაციის [9] პროცესი (განსაკუთრებით ურბანულ არეალებში). დიდი და მრავალწევრიანი ოჯახები ბებია-ბაბუის თაობებში რჩება, რომლის გაგრძელებასაც ახალგაზრდა თაობა აღარ წარმოადგენს. შესაბამისად, ფორმირდება ახლებური იდეალები და დამოკიდებულებები, რაც თავის მხრივ გავლენას ახდენს რეპროდუქციული განწყობის მაჩვენებლების შემცირებასა და მცირეშვილიანობის რეპროდუქციული ნორმების დამკვიდრებაზე.




*გრაფიკი 6. ოჯახების განაწილება წევრთა რაოდენობის მიხედვით*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (2017 წ.)*




*გრაფიკი 7. ბავშვების რაოდენობის ცვლილება მშობლებისა და ბებიების თაობაში*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (2017 წ.)*

[9] დაქორწინებასთან დაკავშირებით, ოჯახიდან შვილების გამოყოფის ტენდენცია, რომელსაც თან სდევს ნუკლეარული ოჯახების (ოჯახი რომელიც შედგება ცოლ-ქმრისა / ან ერთ-ერთი მშობლისა და დაუქორწინებელი შვილებისგან / ან შვილების გარეშე) წილის ზრდა (წულაძე გ. , 2012)

### 5.3. ბავშვების ყოლის ხელისშემშლელი ფაქტორები

რეპროდუქციული ქცევა მნიშვნელოვნად განიცდის ცხოვრებისეული გარემო პირობების გავლენას. ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა აქვს იმ რეპროდუქციულ ფაქტორებს, რომლებიც რეპროდუქციული ქცევის განმსაზღვრელ, ადამიანის ან ოჯახისთვის დამახასიათებელ სხვადასხვა მაჩვენებლს (ფიზიოლოგიური, სოციალურ-ეკონომიკური და სხვა) გულისხმობს (წულაძე გ. , 2012).

რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის კვლევისას, მეტად მნიშვნელოვნია იმ ფაქტორების კვლევა და გაანალიზება, რომლებიც აფერხებს ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლას. 2017 წლის კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა მთელი სიმძაფრით აისახება ახალგაზრდების ამჟამინდელ და სამომავლო ცხოვრებაზე (ჩვენს შემთხვევაში - ბავშვების ყოლის მიმართულებით). გამოკითხულთა უმრავლესობამ (66%) მთავარ შემაფერხებელ ფაქტორად „მატერიალური პირობები“ დაასახელა, ასევე დიდი პროცენტული წილი ერგო „კარიერული წინსვლის შეფერხებას“ (30.7%), „დროის დეფიციტს“ (29.7%) და „ჯანმრთელობის მდგომარეობას“ (20.7%). რესპონდენტებმა ასევე მიუთითეს ისეთ შემაფერხებელ ფაქტორებზე, როგორებიცაა: ცუდი საბინაო პირობები, მომავლის რწმენის უქონლობა, სამუშაოზე მეტისმეტი დატვირთულობა, სამუშაოს დაკარგვის შიში, ოჯახში კონფლიქტური სიტუაცია და სხვა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი მნიშვნელოვნად ამცირებს რეპროდუქციული განწყობის მაჩვენებლებს და შესაბამისად, მისი რეალიზების ხარისხს რეპროდუქციულ ქცევაში (იხ. გრაფიკი 8).

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეს, საქართველოში რეპროდუქციული ქცევის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებს შორის წინა პლანზეა ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები. შესაბამისად, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და იმ სათანადო ღონისძიებების გატარება (დემოგრაფიული მიზნების მქონე სოციალური პოლიტიკის), რომლებიც ორიენტირებული იქნება „ბავშის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების მოხსნაზე / შესუსტებაზე, გარკვეულწილად გამოიწვევს რეპროდუქციული ორიენტაციების ზრდას.




*გრაფიკი 8. ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლის შემაფერხებელი ფაქტორების განაწილება*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (2017 წ.)*

### 5.4. დემოგრაფიული ვითარებისა და მასში სახელმწიფოს როლის შეფასება

2017 წლის კვლევის ფარგლებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა, იმ საკითხს თუ როგორ აფასებს ახალგაზრდობა ქვეყნის დემოგრაფიულ ვითარებას და რამდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ის. ამასთან, არსებითი გახლდათ მათი აზრის გაგება იმ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც სასურველია, რომ სახელმწიფომ გაატაროს შობადობის წასახალისებლად.

საგულისხმოა, რომ ქართველ ახალგაზრდებს, საქართველოს მძიმე დემოგრაფიული ვითარება საკმაოდ გაცნობიერებული აქვთ და სავალალოდ მიაჩნიათ (იხ. გრაფიკი 9). თუმცა, საკმაოდ ბევრმა მათგანმა - 27.7%-მა, დააფიქსირა პოზიცია, რომ ვერაფერს იღონებს მოსახლეობის შემცირების პრობლემის გადასაჭრელად. შეიძლება გამოვთქვათ ვარაუდი, რომ „სახეზეა“ სახელმწიფოს მხრიდან არსებული სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული ვითარების უგულვებელყოფა და უმოქმედობა, რაც ახალგაზრდებში იწვევს უპერსპექტივობის განცდას, აპათიას, ან საკუთარი თავის რეალიზებისათვის ალტერნატიული გზების გამოძებნის სურვილის გაჩენას - ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასვლას. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ რესპონდენტთა ძალზე მცირე ნაწილი აპირებს ბავშვის ყოლას, იმ შემთხვევაში, თუ იქნება მხარდამჭერი დემოგრაფიული პოლიტიკა (იხ. გრაფიკი 10). ეს კი იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ ახალგაზრდები სკეპტიკურად უყურებენ სახელმწიფოს ჩართულობას ამ კუთხით. ქვეყანაში სათანადოდ არ ხორციელდება თანმიმდევრული მუშაობა კომპლექსური დემოგრაფიული პოლიტიკის გასატარებლად. ხოლო ერთეული ღონისძიებები ცხადია არ არის საკმარისი და არც გადამწყვეტი შედეგების მომტანია. ამიტომ, ახალგაზრდების ცნობიერებაშიც არ არის გათავისებული დემოგრაფიული პოლიტიკის მიერ გატარებული / ან გასატარებელი იმ ღონისძიებების მნიშვნელობა და როლი, რამაც შესაძლოა მათსავე რეპროდუქციულ ქცევაზე იმოქმედოს.




*გრაფიკი 9. დემოგრაფიული ვითარების შეფასება და დამოკიდებულება მოსახლეობის შემცირების პრობლემისადმი*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (2017 წ.)*




*გრაფიკი 10. საქართველოს მოსახლეობის კლების პრობლემასთან დაკავშირებით ახალგაზრდების დამოკიდებულების განაწილება*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (2017 წ.)*

### 5.5. სახელმწიფოს მიერ შობადობის წასახალისებლად გასატარებელი ღონისძიებები

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ახალგაზრდების აზრის გაგება იმასთან დაკავშირებით, თუ რა უნდა გააკეთოს სახელმწიფომ შობადობის წახალისებისთვის. ამის დასადგენად გამოყენებული იქნა ღია კითხვა. შესაბამისად, რესპონდენტები სრულად თავისუფლები იყვნენ პასუხის გაცემისას და მოსაზრებების დაფიქსირებისას (იხ. გრაფიკი 11).

კვლევაში რესპონდენტების მიერ დაფიქსირებულმა პასუხებმა შემდეგი სპექტრი მოიცვა: გამოკითხულთა უმრავლესობა (45.5%) თვლიდა, რომ აუცილებელია: გრძელვადიანი ფულადი დახმარებები და შეღავათები არა მხოლოდ მრავალშვილიანი, არამედ ერთშვილიანი ოჯახებისთვის; სპეციალური სოციალური პროგრამები და მოსახერხებელი საკრედიტო პირობები; სტუდენტი ოჯახების მხარდაჭერა; რეგიონალური პროგრამების განხორციელება მრავალშვილიანი ოჯახებისათვის; ასევე მნიშვნელოვნად მიაჩნდათ შემდეგი ღონისძიებების გატარებას: სამსახურთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება; დეკრეტული შვებულების სისტემის დახვეწა; სტაბილური შემოსავლების გაზრდა; მშობლებისთვის შეღავათები სამსახურში; შვებულების დღეების გაზრდა; ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება; ბავშვების სამედიცინო დაზღვევის სრულყოფა; ქვეყანაში მშვიდი, დაცული და კომფორტული გარემოს შექმნა; მეტი კეთილდღეობა; ბაღებსა და სკოლებში მომსახურების ხარისხის ზრდა; დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტად გამოცხადება, უცხოეთის დემოგრაფიული პოლიტიკის გაზიარება და გატარება.

უდავოა, რომ ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკის დაგეგმვისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებული დემოგრაფიული ვითარების თანმიმდევრული შესწავლა. დემოგრაფიული პოლიტიკის მიერ გატარებული (თუ გასატარებელი) ღონისძიებები კი მოსახლეობაზე უნდა იყოს ორიენტირებული და შესაბამისად, უნდა იკვლევდეს და ითვალისწინებდეს სწორედ მოსახლეობის აზრს, სურვილებსა თუ საჭიროებებს, რაც ყველაზე უკეთ სიღრმისეული კვლევების მეშვეობით არის შესაძლებელი.




*გრაფიკი 11. სახელმწიფოს მიერ შობადობის წასახალისებლად გასატარებელი ღონისძიებები*
*წყარო: გრაფიკი შედგენილია ავტორის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით (2017 წ.)*

## 6. დასკვნები და რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში, XXI საუკუნის დასაწყისში, დემოგრაფიული პროცესები მკვეთრად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება, რაც აუცილებელს ხდის ეფექტიანი და მიზანმიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოსალოდნელია მოსახლეობის აღწარმოების ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორის - შობადობის ისეთ დონემდე შემცირება, რომ ის საკმარისი აღარ აღმოჩნდება მოსახლეობის მარტივი აღწარმოებისთვისაც კი, რასაც უცილობლად მოჰყვება დეპოპულაცია[10].

ქვეყანაში აუცილებელია დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება, რადგან ჯერ კიდევ, რეპროდუქციული განწყობის მაჩვენებლები სჭარბობს რეალიზებული რეპროდუქციული ქცევის მაჩვენებლებს. ადეკვატური დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება ხელს შეუწყობს მოსახლეობის რეპროდუქციული განწყობისა და შობადობის დონის ზრდის რეზერვის[11] ნაწილობრივ რეალიზებას მაინც (სრულ რეალიზებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია) და შედეგად, შობადობის დონის ამაღლებას.

თანამედროვე ეტაპზე, საქართველოში, შობადობის შემცირება უმთავრესად განპირობებულია „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებისა“ და „ბავშვების ფასეულობის“ შემცირებით. ამასთან, ბოლომდე არ ხდება ისედაც შემცირებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დაკმაყოფილება. ამიტომ, უპრიანი იქნება, შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა წარიმართოს შემდეგი ორი მიმართულებით:

- არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციისათვის შესაბამისი პირობების შექმნა / სრულყოფა;
- „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ საზოგადოებრივად საჭირო დონისა და შესაბამისი განწყობის შექმნისთვის აუცილებელი პოზიტიური საზოგადოებრივი აზრის ფორმირება.

არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის სრულყოფის მნიშვნელოვან ღონისძიებებს წარმოადგენს: სხვადასხვა სახის დახმარებები და წახალისებები, ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობა, დასაქმებასთან დაკავშირებული საკითხების მოგვარება და ყველა იმ სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიების გატარება, რომელიც მიმართული იქნება ოჯახში ბავშვების სასურველი რაოდენობის ყოლისკენ - არსებული რეპროდუქციული განწყობის რეალიზებისკენ. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მხოლოდ დემოგრაფიული პოლიტიკის აღნიშნული ღონისძიებების გატარებას ვერ მოჰყვება დემოგრაფიული ვითარების არსებითი გაუმჯობესება - კერძოდ, შობადობის რეგულირება სასურველ ფარგლებში. სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება გარკვეულწილად გამოიწვევს რეპროდუქციული ორიენტაციებისა და ნორმების ზრდას. საწყის ეტაპზე, შობადობის დონის განმსაზღვრელი სხვადასხვა ხელისშემშლელი პირობის, როგორც „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის შემაფერხებელი ფაქტორების მოხსნამ, უნდა გამოიწვიოს შობადობის ზრდა, მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მატერიალური მდგომარეობისა და სხვა პირობების კიდევ გაუმჯობესებას ასევე პერმანენტულად მოჰყვება შობადობის ზრდაც (წულაძე და ცხოვრებაძე, 1989). იმ შემთხვევაში, თუ ოჯახში ბავშვების რაოდენობა და მათზე მშობლების მოთხოვნილება ერთმანეთის ტოლია, მაშინ ცხოვრების პირობების ნებისმიერი გაუმჯობესება ამ რიცხვის გაზრდას ვერ გამოიწვევს. მაგრამ თუ ბავშვების ფაქტობრივი რაოდენობა „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ დონეზე ნაკლებია, მაშინ ამ მოთხოვნილების რეალიზაციისთვის საჭირო პირობების გაუმჯობესების შემთხვევაში, დაბადებულთა რიცხვი შესაძლოა გაიზარდოს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა ადამიანს შეფასების სხვადასხვა კრიტერიუმი გააჩნია. ამიტომ, ცხოვრების ერთი და იგივე პირობები შეიძლება ერთმა აღიქვას, როგორც ხელშემწყობი, მეორემ კი პირიქით - როგორც არახელსაყრელი (მენაბდიშვილი, 2004).

ყოველივე ზემოთ განხილულს კვლავ მივყავართ რეპროდუქციულ განწყობასთან, რაც რეპროდუქციული ქცევის განხორციელების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს. შესაბამისად, მოსახლეობის კვლავწარმოების ოპტიმალური რეჟიმის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია, როგორც სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და სათანადო ღონისძიებების (დემოგრაფიული მიზნების მქონე სოციალური პოლიტიკის) გატარება, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია (თუ უფრო მნიშვნელოვანი არა) შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის მეორე ძირითადი მიმართულების გატარება - „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“, „ბავშვების ფასეულობისა“ და საზოგადოებრივად საჭირო დონის შესაბამისი რეპროდუქციული განწყობის ფორმირება.

---

[10] ქვეყნის ან რომელიმე ტერიტორიის მოსახლეობის აბსოლუტური რაოდენობის შემცირება ან მოსახლეობის შეკვეცილი აღწარმოება, რომლის დროსაც მომდევნო თაობების რიცხოვნება ნაკლებია წინაზე (წულაძე გ. , 2012).

[11] სხვაობა ბავშვთა სასურველ და მოსალოდნელ რაოდენობებს შორის (2017 წლის კვლევის მონაცემების მიხედვით, შობადობის დონის ზრდის რეზერვმა 0.14 შეადგინა).

დემოგრაფიული პოლიტიკა აუცილებლად უნდა შეიცავდეს აღმზრდელობით - ფსიქოლოგიურ მიმართულებას, რაც გულისხმობს: მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და საგანმანათლებლო ღონისძიებებით რეპროდუქციული ორიენტაციების გარკვეული სტანდარტების პროპაგანდასა და ფიქსაციას, რაც ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებების განხორციელების პარალელურად, ფსიქოლოგიური და საზოგადოებრივი ფასეულობების განმტკიცებას გულისხმობს. მისგან მიღებული ეფექტი საკმაოდ მაღალი იქნება, რაც რეზულტატით არ ჩამორჩება არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის პირობების სრულყოფით მიღებულ შედეგებს. მეცნიერთა აზრით, „ბავშვის ყოლის მოთხოვნილებისა“ და შესაბამისი განწყობის ფორმირებას გაცილებით ნაკლები მატერიალური სახსრები სჭირდება, ვიდრე არსებული „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ რეალიზაციის პირობების სრულყოფას. კარგი იქნებოდა, რომ შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკის ობიექტი სკოლის ასაკის მოსწავლეებიც იყვნენ, რადგან ოჯახში ბავშვების რაოდენობის შესახებ წარმოდგენის ფორმირება, საკმაოდ პატარა ასაკში იწყება. 18 წლის ასაკში კი უკვე ყალიბდება „ბავშვის ყოლის მოთხოვნილების“ სახით, რაც სამომავლოდ თან სდევს ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე და განსაზღვრავს მის რეპროდუქციულ ქცევას. ცნობილია, რომ ადამიანები არასდროს გააჩენენ იმაზე მეტ ბავშვს, ვიდრე თავად მათ სურთ. ეს ფაქტი თავის გამოხატულებას ჰპოვებს რეპროდუქციულ განწყობაში (კონკრეტულად კი ბავშვთა სასურველი რაოდენობაში) და გვიჩვენებს შობადობის მაქსიმალურ ზღვარს. შესაბამისად, ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს რეპროდუქციული განწყობის ფორმირების პროცესს, მასზე მოქმედი ფაქტორების შესწავლასა და კვლევას.

სახელმწიფო, ამა თუ იმ ფორმით, მეტ-ნაკლებად, ყოველთვის ზემოქმედებდა დემოგრაფიულ პროცესებზე. ამ ფაქტის გათვალისწინებით, უნდა აღვნიშნო, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის გაცნობიერებული დემოგრაფიული პროცესები თავად სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ჯგუფების, ოჯახისა და პიროვნებების მიერ. ჩვენს შემთხვევაში, საზოგადოება, ოჯახი და ადამიანები უფრო მეტად არიან მიმართულნი დემოგრაფიული პროცესების დარეგულირებისკენ, ვიდრე სახელმწიფო. არადა, ამ უკანასკნელის ჩარევის გარეშე, საქართველოს დემოგრაფიული ვითარება სულ უფრო და უფრო სავალალო შედეგებამდე მიგვიყვანს.

ეფექტური და შედეგზე ორიენტირებული დემოგრაფიული პოლიტიკა უნდა დაიგეგმოს რეპროდუქციული განწყობისა და ქცევის ევოლუციის გაანალიზების საფუძველზე და უნდა ითვალისწინებდეს მოსახლეობის საჭიროებებსა და სურვილებს. ამის განხორციელება კი ყველაზე უკეთ მულტიდისციპლინალური კვლევებისა და მათი სიღრმისეული ანალიზის მეშვეობით შეიძლება, რაშიც აისახება როგორც მოსახლების რეპროდუქციული განწყობები და ქცევა, ასევე არსებული პრობლემის გადაჭრის გზები, რადგან დემოგრაფიული ღონისძიებები თავად ადამიანებზე, მათ სურვილებსა და საჭიროებებზე უნდა იყოს ორიენტირებული.

დემოგრაფიული ქცევის შეცვლა მყისიერად არასდროს ხდება. მის ნებისმიერ კორექტირებას, განსაკუთრებით კი რეპროდუქციული ქცევის სტიმულირებას, კარგად დაგეგმილი, თანმიმდევრული დემოგრაფიული პოლიტიკის გატარება სჭირდება, რომლის შედეგებიც რამდენიმე თაობის შემდეგ აისახება მოსახლეობის დემოგრაფიულ ქცევაში. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ყველაზე რთული გახლავთ განწყობებისა და არაცნობიერი მისწრაფებების (ჩვენს შემთხვევაში რეპროდუქციული განწყობის) ცვლილება, რაც რეპროდუქციული ქცევისა და შობადობის საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, ამ საკითხის გადადებამ და უგულვებელყოფამ შესაძლოა გამოუსწორებელ შედეგებამდე მიგვიყვანოს. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს რეპროდუქიცული ორიენტაციების კუთხით სიღრმისეული კვლევების განხორციელებას, რომელთა შედეგებზე დაყრდნობითაც, შეძლებს შობადობის ხელშემწყობი დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებას.

## ბიბლიოგრაფია


ახალაია, ნ. (2005). მოსახლეობის რეპროდუქციული ქცევა თანამედროვე დემოგრაფიული კრიზისის პირობებში. *სამეცნიერო ჟურნალი დემოგრაფია, N 1-2 (9-10)*, გვ.123-128.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი. (2010). *ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2010, საბოლოო ანგარიში.* თბილისი: შპს "ვესტა".

დაავადებათა კონტროლისა და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრი. (2006). *ქალთა რეპროდუქციული ჯანმრთელობის კვლევა საქართველოში, 2005, საბოლოო ანგარიში.* თბილისი: შპს "პოლიგრაფ +".

მენაბდიშვილი, ნ. (2004). ბავშვებზე მოთხოვნილების დინამიკა ქართულ მოსახლეობაში. *მაკრო მიკრო ეკონომიკა, N2*, გვ.35-36.

*საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.* www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2009). *საქართველოს სტატისტიკური წელიწდეული.* თბილისი. http://www.geostat.ge/index.php?action=page&p_id=643&lang=geo

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *დემოგრაფიული ვითარება საქართველოში, სტატისტიკური კრებული.* თბილისი. http://geostat.ge/index.php?action=wnews&lang=geo&npid=493

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2016). *ძირითადი დემოგრაფიული მაჩვენებლები საქართველოში*. თბილისი. http://geostat.ge/index.php?action=wnews&lang=geo&npid=530

უზნაძე, დ. (1949). *განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძლები* (ტ. 6). ფსიქოლოგიის ინსტიტუტის შრომები.

ფრანკფორტ-ნაჩმაისი, ჩ., და ნაჩმაისი, დ. (2009). *კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებაში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შუშტაკაშვილი, ვ., და წიკლაური, შ. (2014). შობადობა და რეპროდუქციული ქცევა საქართველოს ქალაქებში. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული*, გვ.63-75. http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/86162/1/Shromata_Krebuli.pdf

წულაძე, გ. (1981). რეპროდუქციული განწყობის ცნების დაზუსტებისთვის. *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე ფილოსოფიისა და ფსიქოლოგიის სერია, N4*, გვ.47-50.

წულაძე, გ. (1984). *შობადობის სოციოლოგიის საკითხები .* თბილისი: მეცნიერება.

წულაძე, გ. (2012). *დემოგრაფიის მოკლე ენციკლოპედიური ლექსიკონი.* თბილისი: შპს "ვესტა".

წულაძე, გ., და ცხოვრებაძე, ზ. (1989). შობადობის ოპტიმიზაციისკენ მიმართული დემოგრაფიული პოლიტიკა. *ჟურნალი საქართველოს კომუნისტი, N7*, გვ.63-66.

წულაძე, გ., და ხმალაძე, მ. (2001). შობადობის თანამედროვე ტენდენციები საქართველოში. *დემოგრაფიისა და სოციოლოგიის პრობლემები, შრომების კრებული, I*, გვ.39-46.

წულაძე, გ., მელაძე, გ., და გაჩეჩილაძე, ე. (1997). შობადობისა და რეპროდუქციული ქცევის ტენდენციები თანამედროვე საქართველოში. *ჟურნალი ეკონომიკა, N1-3*, გვ.75-78.

წულაძე, გ., ცხოვრებაძე, ზ., და მელაძე, გ. (1993). რეპროდუქციული ორიენტაციების პროგნოსტიკული შესაძლებლობები. *ჟურნალი ეკონომიკა, N10-11*, გვ.61-63.

ხმალაძე, გ. (1981). საქართველოს მოსახლეობის დემოგრაფიული განწყობის შესახებ. *თბილისის უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სერია, ტ. 7*, გვ.204-209.

Blacke, J. (1989). *Family size and achievement.* University of California Press.

Caldwell, J. (1982). *Theory of Fertility Decline.* London: Academic Press.

Carvajal, M. J., & Geithman, D. T. (1976). *Family Planning and Family Size Determination.* University Press of Florida.

*CIA. The World Factbook*. Retrieved from Central Intelligence Agency: https://www.cia.gov/library/publications/resources/the-world-factbook/geos/gg.html

United Nations, DESA / Population Division. (2017, 07). *United Nations, Department of Economic and Social Affairs, Population Division (2017). World Population Prospects: The 2017 Revision, DVD Edition.* Retrieved from UNITED NATIONS: https://esa.un.org/unpd/wpp/Download/Standard/Population/

ახალგაზრდა მკვლევართა ჟურნალი. №6, თებერვალი, 2018

Journal of Young Researchers, No. 6, February, 2018

# ამომრჩეველთა პასუხი მთავრობის მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკაზე: 2012 წლის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შემთხვევა

რატი შუბლაძე *

*დოქტორანტი, სოციოლოგიისა და სოციალური მუშაობის მიმართულება*
*სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი*
*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი*

---

## რეზიუმე

აღნიშნული სტატიის მიზანია გამოააშკარავოს კავშირი საჯარო პოლიტიკის განხორციელებასა და საარჩევნო ქცევას შორის. მეორადი მონაცემების, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებისა და ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუების გამოყენებით ნაშრომი ცდილობს დაადგინოს, თუ როგორ შეიძლება იქნეს გამოყენებული საჯარო პოლიტიკა სასურველი საარჩევნო შედეგის მისაღწევად და, ამგვარად, მმართველი პარტიისთვის ძალაუფლების შესანარჩუნებლად. გრინის (2007) მიერ აღწერილი დომინანტური ტიპის პოლიტიკური პარტიისთვის დამახასიათებელი მოქმედებების გათვალისწინებით, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა (ენმ) იყენებდა სოციალურ, უმუშევრობის აღმომფხვრელ მოკლევადიან პროგრამებსა და სხვა პოპულისტურ პროექტებს არჩევნებში ხმების მოსაპოვებლად. ხმების მოპოვების აღნიშნული სტრატეგიების გამოყენების მიუხედავად ენმ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში დამარცხდა. ამის მიზეზი რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა, მათ შორის, აკუმულირებული ნეგატიური დამოკიდებულება მმართველი პარტიის მიმართ ადამიანისა და საკუთრების უფლებების დარღვევის გამო, ეკონომიკური პრობლემები, და ა.შ. თუმცა, ამის მიუხედავად ენმ-ს დამარცხების უმთავრესი მიზეზი გახდა მთავრობის კონცენტრირება რესურსების კლიენტელისტურ გადანაწილებაზე, სახელმწიფოს უნარიანობის განმტკიცებასა და მოდერნიზაციულ რეფორმებზე. ამ პოლიტიკის შედეგები სოციალური უთანასწორობის და გაჭირვების მაღალი დონის შენარჩუნება გახდა. ამ ყველაფრის ფონზე კი ამომრჩევლებმა, იხელმძღვანელეს რა ხმის მიცემის ეკონომიკური თეორიის პრინციპებით, გადაირჩიეს ხელისუფლება.

---

*ელფოსტა: rati@outlook.com

***საკვანძო სიტყვები:*** *საარჩევნო ქცევა, ეკონომიკური ხმის მიცემა, კლიენტელიზმი, არჩევნები, მოდერნიზაცია.*

Abstract

The paper is concentrated on revealing the links between policy making and voter behavior. Using the secondary data, public opinion surveys and semi-structured interview method the paper specifically aims to look at the use of public policy as a tool for achieving favorable electoral outcomes, thus stabilizing a ruling party's grip on power. Using the typical moves of the dominant party, described by Greene (2007), United National Movement (UNM) used social programs, unemployment reduction short-term projects and other populist policies for vote obtaining purposes. Besides wide usage of vote obtaining strategies, UNM still lost the parliamentary elections in 2012 and several factors are named contributors to it, like negative attitudes toward the ruling party accumulated due to continued violation of human and property rights, economic problems, etc. However, the main reason behind the losing the power was failure of the UNM in using clientelistic redistribution of resources to population, still focusing on the state capacity strengthening and modernization the country. As the result, voters following the principles of economic voting theory, re-elect the incumbent.

***Key words****: Voting behavior, Economic voting, Clientelism, Elections, Modernization.*

## შესავალი

როგორც ჰიბრიდულ, აგრეთვე დემოკრატიულ ქვეყნებში ამომრჩევლებისთვის მნიშვნელოვანია თუ როგორი ტიპის პოლიტიკას ახორციელებს მთავრობა (Slater & Fenner, 2011). მაგალონის (2006) და ჰაუსერის (2014) მიხედვით, პოლიტიკოსებსა და ამომრჩევლებს შორის კავშირი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ჰიბრიდული და დომინანტური პარტიის რეჟიმებისთვის. მკაცრად ავტორიტარული ქვეყნებისგან განსხვავებით, ე.წ. ჰიბრიდული ტიპის ქვეყნებში მთავრობის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ პოლიტიკას და რეფორმას უკუკავშირი აქვს საზოგადოების მხრიდან, რაც შეიძლება აისახოს მთავრობის მიმართ ნდობის დაკარგვასა და არჩევნებში დამარცხებაში ან ნდობის მანდატის გახანგრძლივებასა და არჩევნებში გამარჯვებაში.

2004-დან 2012 წლამდე ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ (ენმ) ყველა ეროვნული და ადგილობრივი არჩევნები მოიგო მნიშვნელოვანი უპირატესობით. თუმცა, 2012-ში მათ დამარცხება იწვნიეს ბიძინა ივანიშვილის თაოსნობით შექმნილი ოპოზიციური კოალიციისგან. წინამდებარე ნაშრომი სწორედ აღნიშნული მარცხის გამომწვევი მიზეზების გამოაშკარავებას ცდილობს. ნაშრომის გარკვეულწილად გაგრძელებაა შუბლაძის და ხუნდაძის (2017) სტატიისა, რომელიც ცდილობს პასუხი გასცეს, თუ რა სტრატეგიებს იყენებენ ჰიბრიდული რეჟიმები სამხრეთ კავკასიაში ძალაუფლების და სტაბილურობის შესანარჩუნებლად. იმისთვის, რომ გავიგოთ ენმ-ს არჩევნებში დამარცხების მიზეზი, თავდაპირველად ჩვენ უნდა გავიგოთ თუ რა პირობებში და როგორ ახერხებდა ის არჩევნებში გამარჯვებას და რა ფაქტორების გამო დაკარგა მან საზოგადოების ნდობა. მეორადი მონაცემების, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვისა და ნახევრად სტრუქტურირებული თვისებრივი ინტერვიუების საშუალებით მოპოვებული მონაცემების საშუალებით ნაჩვენები იქნება, თუ როგორც ცდილობდა 2004-2012 წლებში მმართველი პარტია სასურველი საარჩევნო შედეგის მიღწევას, რა ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გადაჭრის წინაშე იდგა ხელისუფლება და საბოლოოდ როგორ გამოიწვია გატარებულმა საჯარო პოლიტიკამ ამომრჩევლების იმედგაცრუება და არჩევნებში დამარცხება.

დომინანტური პარტიების სისტემებში მთავრობა იყენებს განსხვავებულ მეთოდებს საკუთარი მიზნების მისაღწევად, მაგრამ ეს მეთოდები არ რჩება შეუმჩნეველი საზოგადოებისთვის. ნაშრომი ამოდის იმ დაშვებიდან, რომ ჰიბრიდული ტიპის პოლიტიკურ სისტემებშიც კი ვხვდებით ამომრჩეველთა პასუხს მთავრობის მიერ განხორციელებულ საჯარო პოლიტიკაზე: არჩევნებზე ნდობის გამოცხადება და ხმის მიცემა. სწორედ ამ გარემოებასთან არის დაკავშირებული საარჩევნო ქცევებში საჯარო პოლიტიკისა და პარტიის საქმიანობის შეფასებისა და აღქმის კონცეპტები (Key 1966; Fiorina 1981). ჰილის და მალჰორტას (2013) მიერ შემუშავებული რეტროსპექტული ხმის მიცემის პრაქტიკების გამოყენებით ნაშრომი ამტკიცებს, რომ საქართველოს კონტექსტში სწორედ მთავრობის მიერ გატარებული პოლიტიკის ნეგატიურმა შეფასებამ, რაც დაკავშირებული იყო უთანასწორობის მაღალი დონის შენარჩუნებასა და მოსახლეობის შეჭირვებული სოციალური მდგომარეობის სტაბილურობით, გამოიწვია 2012 წელს მმართველი პარტიის მარცხი.

### ლიტერატურის მიმოხილვა: საჯარო პოლიტიკის მნიშვნელობა ჰიბრიდულ რეჟიმებში

ჰიბრიდულ რეჟიმებში ხელისუფლებას უზარმაზარი უპირატესობა აქვს პოლიტიკური

მოწინააღმდგეების წინაშე, თუმცა ისინი მაინც იზღუდებიან რიგი ფაქტორების გათვალისწინებით. იმისთვის, რათა რეჟიმმა რეალობაში გარდასახოს საკუთარი უპირატესობები, მან უნდა გამოიყენოს საკუთარი პოლიტიკური შესაძლებლობები მაქსიმალურად მეტი ამომრჩევლის გულის მოსაგებად (Greene, 2007). არჩევნები, განსაზღვრების თანახმად, მნიშვნელოვანია ისეთი ტიპის ქვეყნებში, როგორც საქართველოა. როგორც უკვე აღინიშნა, იმის მიუხედავად რომ ხელისუფლება ფლობს ყველა შესაძლო რესურს არჩევნების გასაყალბებლად, როგორც წესი, ის მაინც არ მიმართვას ფართომასშტაბიან საარჩევნო გაყალბებას ან თაღლითობას. გამონაკლისია ის სიტუაცია, როდესაც სხვა წინასაარჩევნო მანიპულაციები არაეფექტურია და არჩევნების შედეგების გამოცნობა შეუძლებელია (Greene, 2007). ჰიბრიდულ რეჟიმის წარმატებისთვის აუცილებელია „დე-იდეოლოგიზებული, ცენტრისტული, „ყოველის მომცველი“ პოზიციის“ დაკავება, რათა მოსახერხებელი იყო რაც შეიძლება მეტი პოტენციური მხარდამჭერის მოზიდვა. მკაცრი იდეოლოგიური შეზღუდვების გარეშე პარტიას ამ შემთხვევაში უკეთესად შეუძლია დაპირებების, საჯარო პოლიტიკის და გადაწყვეტილებების მორგება კონკრეტულ საჭიროებებზე (White, 2014). საჯარო პოლიტიკის გადაწყვეტილებების მთავარი დანიშნულება უპირატესობების მიღებაა. არსებობს მრავალი კვლევა ჰიბრიდული რეჟიმის შესახებ, რომელიც იკვლევს თუ როგორ ხდება სპეციალურად ამომრჩევლების გულის მოსაგებად, არჩევნებში გამარჯვების შანსების გასაზრდელად და ხელისუფლებაში დარჩენის უზრუნველსაყოფად სამთავრობო აქტივობების, საკანონმდებლო ინიციატივების ან პროექტების იმპლემენტაცია (Przeworski and Sprague, 1986; Esping-Andersen, 1985; Boix, 1998). შესაბამისად, „დომინანტური პარტიების საბიუჯეტო გადაწყვეტილებებისთვის დამახასიათებელია ნათელი პოლიტიკური ლოგიკა და ისინი ხშირად იწვევენ სიღრმისეულ გადაცდომებს რესურსების გადანაწილებისას“ (Greene, 2007). სწორედ ამის გამოძახილია ის გარემოება, რომ საქართველოში საბიუჯეტო პრიორიტეტები დროთა განმავლობაში იცვლებოდა იმის მიხედვით, თუ რა კონკრეტული გამოწვევა ჰქონდა მმართველ პარტიას: ბიუროკრატიული აპარატის გამართვა თუ მძიმე სოციალური ფონთან განმკლავება.

### ლიტერატურის მიმოხილვა: ამომრჩევლის მიერ ხმის მიცემის სტრატეგიები

მთავრობის განხორციელებული პოლიტიკის კმაყოფილებასთან ერთად იცვლებოდა საზოგადოებრივი აზრიც, რომელიც თავის მხრივ არჩევნების შედეგებში გამოიხატა. საარჩევნო ქცევის შესახებ ლიტერატურის მიხედვით ამორჩევლები ხშირად გადაწყვეტილებებს პოლიტიკური პარტიების მიერ უკვე განხორციელებული საქმიანობების მიხედვით გააკეთონ საკუთარი არჩევანი (Fiorina, 1981). ეკონომიკური ხმის მიცემის (Economic voting) მიდგომა სწორედ მსგავსი დაშვებიდან ამოდის, რომლის თანახმადაც არჩევნების დროს გადაწყვეტილებების მიღებისას ხელმძღვანელობენ წინა საარჩევნო ციკლების შედეგად მიღებული სარგებლითა და/ან დანაკარგებით (Lewis-Beck & Nadeau, 2011).

არსებობს ეკონომიკური ხმის მიცემის განსხვავებული მიდგომები და მათ შორის ყველაზე გავრცელებული ეგოტროპული და სოციოტროპული ხმის მიცემის სტრატეგიებია (Rogers & Tyszler, 2012). ეგოტროპული ხმის მიცემა გულისხმობს ხმის მიცემას ამომრჩევლის მიერ უშუალოდ საკუთარი ეკონომიკური გამოცდილების გათვალისწინებით, რაც მიზნად ისახავს პოლიტკოსების დასჯას ან წახალისებას (Nannestad & Paldam 1994). Rogers და Tyszler (2012) აღნიშნავენ, რომ ამ მიდგომის

მიხედვით ამომრჩეველზე ზეგავლენა შეიძლება მოახდინოს პერსონალურმა ფინანსურმა მდგომარეობამ, უმუშევრობამ ან სამსახურის დაკარგვამ და დაგროვებულმა ვალებმა.

ეგოტროპული მიდგომის საწინააღმდეგოდ, სოციოტროპული მიდგომა აქცენტს აკეთებს არა უშუალოდ ინდივიდს მიერ საკუთარი ფინანსური მდგომარეობის შეფასებაზე, არამედ ქვეყნის მაკროეკონომიკურ მდოგმარებაზე. ამ დროს ამომრჩევლები კონცენტრირდებიან ისეთი პოლიტიკოსებისადმი ხმის მიცემაზე, რომლებმაც ქვეყანას მოუტანეს მაღალი ეკონომიკური ზრდა, ინფლაციის დაბალი მაჩვენებლები და დაბალი ფასები საყოფაცხოვრებო ნივთებზე (Rogers & Tyszler, 2012). Kinder და Kiewiet (1979) აგრეთვე მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ სოციოტროპული მიდგომა გულისხმობს იმასაც, რომ ამომრჩევლებს წინასწარ ჰქონდეთ შექმნილი გარკვეული აზრები იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი პოლიტიკური გუნდი უფრო უკეთესად გაუმკლავდება ქვეყნის ეკონომიკურ პრობლემებს.

კიდევ ერთი ღირსშესანიშნავი დაყოფა ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიაში არის რეტროსპექტული ხმის მიცემის პარადგიმა. ეკონომიკური ხმის მიცემის ტრადიციის ფარგლებში ჰილისა და მალჰორტას (2013) მოჰყავთ რეტროსპექტული ხმის მიცემის შემდეგი სამი ძირითადი საფეხური:

1. ამომრჩევლები აკვირდებიან საზოგადოებაში მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებს, არჩეული პოლიტიკური პირების მიერ განხორციელებული საქმიანობის შედეგებს (მაგალითად, მაკროეკონომიკურ სტატისტიკას და ა.შ.).

2. ამომრჩევლები აგრეთვე აკისრებენ პასუხისმგებლობას ზემოთ აღწერილ მოვლენებზე არჩეულ პოლიტიკურ პირებს.

3. ეს პასუხისმგებლობები, თავის მხრივ, მოქალაქეებს უბიძგებს შეაფასონ შესაბამისი პასუხისმგებლობის მქონე პირების საქმიანობა

მოსახლეობის გამოკითხვის შედეგების მიხედვით ჩატარებული ანალიზის მიხედვით, ბაბუნაშვილი (2017) ამტკიცებს, რომ არსებობს დადებითი სახის კავშირი მთავრობის მიერ განხოციელებულ სხვადასხვა პოლიტიკებსა და მოსახლეობის მიერ მთავრობის მხარდაჭერაში - ამომრჩევლები, რომელებიც უკმაყოფილონი არიან მთავრობის საქმიანობით უფრო დიდი ალბათობით უჭერენ მხარს ოპოზიცას, ვიდრე სამთავრობო პარტიებს. ზემოთ აღწერილი ყველა ნაბიჯის გათვალისწინებით ამომრჩევლები აფასებენ პოლიტიკოსების მიერ განხორციელებულ ან დაპირებულ ყველა ქმედებას და ამგვარად აკეთებენ საკუთარ არჩევანს. 2004-2012 წლებში სწორედ ამ ლოგიკის გათვალისწინებით მოსახლეობა საქართველოში ჯერ დადებითად, ხოლო შემდგომში უარყოფითად აფასებდა ენმ-ს მმართველობას.

**მეთოდოლოგია**

სტატიის მიზნია, ერთის მხრივ, მთავრობის მიერ განხორციელებული საჯარო პოლიტიკის მიმოხილვა და ამომრჩევლებსა და მთავრობას შორის არსებულ დამოკიდებულებების აღწერა. მეორეს მხრივ, კი იმის შეფასებას თუ რა გავლენა ჰქონდა განხორციელებულ საჯარო პოლიტიკას მოსახლეობის მიერ მთავრობის საქმიანობის შეფასებასა და არჩევნების შედეგებზე 2004-2012 წლებში. კვლევა მეთოდების ტრიანგულაციის გამოყენებით განხორციელდა. მეთოდების ტრიანგულაცია

დაკავშირებულია მეთოდოლოგიურ პლურალიზმთან, რომელიც საშუალებას აძლევს მკვლევარს გამოიყენოს განსხვავებული ტექნიკები და მონაცემები ერთი კონკრეტული სოციალური ფენომენის აღსაწერად (Ekstrom & Danermark, 2002; Carter & New, 2005). მაგალითად, აღნიშნული სტატიის ფარგლებში თვისებრივი მონაცემების გამოყენებით ხდება იმ სფეროების შესახებ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც მიუწვდომელია რაოდენობრივი მონაცემების გამოყენებით. კერძოდ, გადაწყვეტილებების მიღების მოტივაციები და მიზეზები სამთავრობო წრეებში უკეთ წარმოჩინდება სიღრმისეული ინტერვიუების გამოყენებით. სტატიაში გამოყენებული მეთოდების ტრიანგულაცია წარმოადგენს განზოგადების, სანდოობისა და კონვერგენტული ვალიდობის ნარევს, რომლის მიზანიც არის უფრო რთული, ჰოლისტური და კონტექსტური აღწერა შესასწავლი სოციალური ფენომენისა (Denzin, 1978). ამ მიზნის მისაღწევად კი ნაშრომი ერთანეთს უთავსებს მეორადი მონაცემების, მასობრივი გამოკითხვებისა და თვისებრივი ინტერვიუს მიხედვით მოპოვებულ ინფორმაციას. მონაცემთა ტრიანგულაციის მიღმა დგას იდეა, რომლის მიხედვითაც მონაცემების საიმედოობა და ვალიდურობა დაფუძნებულია მონაცემთა შეგროვების დროზე, მონაცემების შემგროვებელთა იდენტობასა და გარემოზე (Begley, 1996; Hussein, 2015).

სტატიაში მეორადი მონაცემების წყაროს წარმოადგენს ცენტრალური საარჩევნო კომისია, სოციალური მომსახურების სააგენტო, სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია. ნაშრომში აგრეთვე ეყრდნობა სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ შეგროვებულ და გამოქვეყნებულ ანგარიშებს. მეორადი მონაცემების მხარდამხარ სტატიაში გამოყენებულია საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვების შედეგებიც. კავკასიის ბარომეტრისა, საერთაშორისი რესპუბლიკური ინსტიტუტისა (IRI) და ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) ლონგიტუდური კვლევების საფუძველზე შესაძლებელია ერთმანეთს დაუკავშირდეს საზოგადოების განწყობები და საზოგადოების რეფლექსია მთავრობის მიერ განხორციელებულ ქმედებებზე. აგრეთვე, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვები მეორად მონაცემებში მოცემული სტატისტიკის ემპირიულ გარემოში გადამოწმებისკარგი ინდიკატორია .

გარდა ამისა, კვლევის პროცესში გამოყენებულია 21 ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუ, რომელიც ჩატარდა პოლიტიკოსებთან, ჟურნალისტებთან, საჯარო პოლიტიკის ექსპერტებთან, ეკონომისტებსა და იურისტებთან. რესპონდენტები შერჩეული იყვნენ 2004-2012 წლებში არსებული პოლიტიკური ლანდშაფტის სახელისუფლებლო და ოპოზიციური ფლანგებიდან. თითოეული გამოკითხული რესპონდენტი წარმოადგენდა ნაშრომში აღწერილი მოვლენებისა და ასახსნელი ფენომენების მონაწილეს, შემოქმედს, უშუალო დამკვირვებელს ან შემფასებელს. ამგვარად, თვისებრივი მეთოდების გამოყენებით ნაშრომს აქვს შესაძლებლობა მოისმინოს როგორც უშუალო მონაწილეების, აგრეთვე გარე დამკვირვებლის პოზიციები 2004-2012 წლებში მიმდინარე მოვლენების შეფასების დროს.

**კონცეპტუალიზაცია და ოპერაციონალიზაცია**

სტატიაში განხილული დამოკიდებული ცვლადი არის რეჟიმის სტაბილურობა, რომელიც იზომება მმართველი პარტიის მიერ მიღებული ხმების რაოდენობით ისეთი ტიპის ეროვნულ არჩევნებზე, რომლის შედეგადაც შესაძლებელია მთავრობის ჩამოყალიბება. 2012 წლის შემთხვევაში ასეთი

საპარტლამენტო არჩევნები იყო. სტატიის ფარგლებში ჩვენ ყურადღებას ვამახვილებთ ენმ-ს მმართველობის ბოლო ეტაპზე. ამიტომაც, დამოკიდებული ცვლადის გასაზომად ვიყენებთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგებს. რაც შეეხება დამოუკიდებელ ცვლადს, ჩვენს შემთხვევაში, ეს არის მთავრობის მიერ განხორციელებული ხმების მოპოვების განსხვავებული სტრატეგიები.

მაშინ, როდესაც ნაშრომის დამოკიდებული ცვლადის ოპერაციონალიზაცია შედარებით იოლი საქმეა - არჩევნებში მიღებული ხმების რაოდენობა, დამოუკიდებული ცვლადების გაზომვა მოცემულ კონტექსტში ხშირად საკამათო შეიძლება იყოს. ეკონომიკური და რეტროსპექტული ხმის მიცემის მოდელები ეყრდნობიან ისეთი ტიპის ინდიკატორებს, რომლებიც ზომავს საზოგადოების მიმართ „სოციალური კონტრაქტის“ შესრულებას ეკონომიკური და სოციალურ კეთილდღეობის მიღწევით, აგრეთვე საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების კუთხით (Healy & Malhotra, 2013). ამ კონცეპტების გასაზომად გამოყენებულია მეორადი მონაცემებიდან მიღებული ინფორმაცია: მთლიანი შიდა პროდუქტი, GINI-ის ინდექსი, სახელმწიფო ორგანოების მიერ სოციალური პროგრამების დასაფინანსებლად დახარჯული თანხები. ლეგიტიმაციის ინდიკატორის საზოგადოებრივი განზომილებიდან გასაზომად კი გამოვიყენებთ მასობრივი გამოკითხვების შედეგებს, რომლებიც ასახავენ მოსახლეობის აზრს. მეთოდების ტრიანგულაციის ფარგლებში, ამ ინდიკატორების გასაზომად გამოყენებულ იქნება აგრეთვე თვისებრივი მეთოდების გამოყენებით შეგროვებული მონაცემები.

## ლეგიტიმაციის სტრატეგიები 2004-2012 წლებში

ენმ-ს მმართველობის დასაწყისში როგორც საზოგადოების დაკვეთა, აგრეთვე მთავრობის მიზანი წესრიგის და უსაფრთხოების დამყარება, კორუფციის დამარცხება და სამეწარმეო საქმიანობისთვის საჭირო გარემოს შექმნა იყო (Anable, 2006). ამ მიზნის მისაღწევად მთავრობამ გააძლიერა ძალოვანი სტრუქტურების მშენებლობის პროცესი და საბიუჯეტო ხარჯების გამოყოფა კრიმინალის საწინააღმდეგოდ საბრძოლველად (Lynch 2006; Bruckner 2009; Mitchell, 2009). შედეგად ბიუროკრატიულ აპარატში მკვეთრად დაიწია კორუფციის დონემ, შედარებით მოიმატა ხელფასების დონემ და სახელმწიფო აპარატში ახალგაზრდა და განათლებული მოსახლეობა დასაქმდა (Cheterian, 2008; Freedom House 2008). აღნიშნული წარმატება სამთავრობო პროპაგანდისტული რიტორიკის მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა (Dominioni, 2014). საბოლოო ჯამში, სხვადასხვა სტრატეგიების გამოყენებით, მთავრობა ცდილობდა ბალანსის დაცვას სტაბლურობის მიღწევის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით (Shubladze & Khundadze, 2017).

ენმ-ს მთავრობაში ყოფნის პირველ ნაწილში გატარებულმა პოლიტიკამ მნიშვნელოვანწილად გაზარდა მთავრობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ ნდობა. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვის თანახმად 2003 წლის მაისიდან 2004 წლის ნოემბრამდე პრეზიდენტის ინსტიტუტის (58%), საქართველოს პარლამენტის (54%) და მთავრობის ნდობა (50%) გაიზარდა (IRI 2003; 2004). თუმცა, დროთა განმავლობაში საზოგადოებაში გაიზარდა ფრუსტრაცია და მოსახლეობა უფრო და უფრო ნაკლებად კმაყოფილი იყო მთავრობის საქმიანობით. *„სახელმწიფოს მშენებლობის და მოდერნიზაციის პროექტების სულ უფრო და უფრო გრანდიოზული ხდებოდა, მაგრამ ისინი ვერ ახერხებდნენ ისეთი საკითხების გადაჭრა, როგორიც იყო უმუშევრობა ან ეკონომიკის სტაბილურობა (საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი; 2015 წლის მარტი-მაისი; თბილისი.)*

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლები 2007, 2008 და 2009 წლებში სულ უფრო და უფრო მცირდებოდა (იხილეთ დანართი 13). მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ამჟამად ყურადღებას ამახვილებდა ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევაზე და არა უფრო ზოგადი და შორს მიმავალი საკითხებისთვის პრიორიტეტის მინიჭებაზე, როგორიც სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობაა. 2005 წლის ივნისიდან 2007 წლის სექტემბრამდე საზოგადოებაში განცდა რომ ქვეყანა სწორი გზით მიდიოდა 65%-დან 36%-მდე შემცირდა (IRI 2007). ამ ფაქტორების ერთობლიობამ კი მნიშვნელოვნად შეარყია ენმ-ს საყოველთაო მხარდაჭერა და ნდობა (Berglund, 2014).




გრაფიკი 1. საქართველოს საბიუჯეტო პრიორიტეტები წლების მიხედვით (საქართველოს ბიუჯეტი, 2005-2012).

2008 წლის ფინანსური კრიზისისა და აგვისტოს ომის შემდგომ მთავრობას აღარ შეეძლო მხოლოდ წარმატებული მოდერნიზაციული კამპანიის იმედად ყოფნა. (Cornell and Starr 2009; Mikhelidze 2009; Papava 2009). დასავლეთისგან აგვისტოს ომის შედეგად მიღებულმა დახმარებამ მთავრობას შესაძლებლობა მისცა განეხორციელებინა მისთვის საინტერესო და საჭირო ფინანსური ოპერაციები. (Cecire, 2013). ეს მოვლენა განსაკუთრებით მკაფიოდ აისახა სოციალური დახმარებების და სოციალური გამიზნული ხარჯების ზრდაზე (იხილეთ გრაფიკი 1).

სოციალური დახმარებები და სიღარიბის საწინააღმდეგო პროგრამები, ზოგადად, მიმართულია ბენეფიციარების ცხოვრების გაუმჯობესებისკენ, თუმცა ჰიბრიდული ქვეყნების კონტექსტში მათი დანიშნულება ხმების მოზიდვის ფუნქციაც ხდება. Kitschelt-ის (2000) მოდელის თანახმად ასეთ შემთხვევაში წარმოიქმნება კავშირი ამომრჩევლებსა და პოლიტიკოსებს შორის. 2004-2012 წლების საქართველოში ამგვარი კლიენტელისტური კავშირების ჩამოსაყალიბებლად ნოყიერი ნიადაგი იყო შექმნილი: რეპრეზენტატული საზოგადოებრივი აზრების გამოკითხვების თანახმად წლების განმავლობაში უმუშევრობა, პენსიები და სიღარიბე ენმ-ს მმართველობის დროს მუდამ ყველაზე

მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხები იყო (იხილეთ გრაფიკი 2):




გრაფიკი 2. ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემები საქართველოში (NDI, 2016).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების თანახმად 2007 წელს შემწეობის და სხვა სოციალურ დახმარების მიმღებთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ამის მიზეზი იყო ამავე წელს შეცვლილი მეთოდოლოგია,, რომლის მიხედვითაც შემცირდა დასაშვები ზღვარი, რომლის ქვემოთაც გაჭირვებაში მყოფ ოჯახებს შეეძლოთ შემწეობის მიღება[1]. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოებაც, რომ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ადგილი, როგორც წესი, წინასაარჩევნო პერიოდში ჰქონდა, მაშინ, როდესაც არჩევნების შემდგომ მათი რაოდენობა მცირდებოდა (იხილეთ გრაფიკი 3). ეს საკითხი წამოიჭრა თვისებრივი ინტერვიუების დროსაც, როდესაც განიხილეს დასაქმების პროგრამების პოლიტიკური მიზნებით გამოყენების მაგალითები: *„ასეთი რამე ხდებოდა არჩევნების წინ, „ჩვენ ხალხს ვასაქმებთ“. მოიყვანდნენ ავტობუსს, ჩასვამდნენ იქ ხალხს და წაიყვანდნენ ქარხანაში, სადაც მფლობელს ეუბნებოდნენ რომ ყველაზე ცოტა 2 თვე მაინც დაესაქმებინა ეს ხალხი, სანამ არჩევნები არ მორჩებოდა“ (2004-2012 წლებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი; 2015 წლის მარტი-მაისი; თბილისი.)*

[1] სოციალური მომსახურების სააგენტო. დეტალებისთვის, იხილეთ http://ssa.gov.ge/index.php?sec_id=744&lang_id=GEO




გრაფიკი 3. საარსებო შემწეობის მიმღები ოჯახების რაოდენობა საქართველოში (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2008-2012).

სოციალური საკითხებით მანიპულაცია განსაკუთრებით ინტენსიური ხდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში. მაგალითად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს „მეტი სარგებელი ხალხს“ კამპანიის მიზანი ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, სოციალური დახმარების გაზრდა და სოფლის მეურნეობაში სუბსიდირების შემოღება იყო (TI Georgia, 2012). აღნიშნულ სლოგანს მთავრობა და ენმ, ერთდროულად იყენებდნენ რაც კლიენტელისტური კავშირების გამოყენების კლასიკურ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს (Kitschelt 2000; TI Georgia, 2012).



გრაფიკი 4. სოციალური ხარჯვის სტატისტიკა (ფინანსთა სამინისტრო, 2006-2013).

თვისებრივი და მეორადი მონაცემების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ პოლიტიკური ცხოვრება საქართველოში მუდამ წინასაარჩევნო პერიოდზე იყო მორგებული (იხილეთ გრაფიკი 4). ამ თვალსაზრისით, სტოუკსის, დანინგის, ნაზარენოსა და ბრუსკოს (2013), აგრეთვე განს-მორსეს, მაზუკასა და ნიხტერის (2014) მიერ აღწერილი მაგალითებთან შესატყვისობით, საქართველოს პოლიტიკური სისტემაც წარმოადგენდა გარემოს, სადაც პოლიტიკური ელიტა სახელმწიფო და პარტიულ რესურსებს იყენებდა ამომრჩევლების გულის მოსაგებად გამიზნული პროგრამების დასაფინანსებლად, რათა მათ თავის მხრივ არჩევნების დროს სამთავრობო პარტიისთვის მიეცათ ხმა.




გრაფიკი 5. ჯანმრთელობის სახელმწიფო დაზღვევის მიმღები პირების რაოდენობა (სოციალური მომსახურების სააგენტო, 2016).

2010 და 2012 წლებში ამომრჩევლებით მანიპულაციის კიდევ ერთი საშუალება სახელმწიფო დაზღვევის მიმღები პირების რაოდენობის ზრდა გახდა. მეხუთე გრაფიკზე ასახული ტენდენციაც შესაბამისობაში მოდის ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიასთან, რომლის თანახმადაც ამომრჩევლები ხშირად მიღებული სარგებლის მიხედვით აკეთებენ არჩევანს (Rogers და Tyszler, 2012). ენმ-ს მიერ განხორციელებული ამომრჩევლების მოხიბვლის სტრატეგიები გარკვეულ დრომდე წარმატებულად მუშაობდა, თუმცა 2012-ში ეს სტრატეგიები უკვე აღარ აღმოჩნდა ეფექტური.

### 2012 წლის საპარლამენტო არჩევნები

წინა ქვეთავში ნაჩვენები იყო ერთის მხრივ მთავრობის მიერ განხორციელებული სხვადასხვა პოლიტიკა, ხოლო, მეორეს მხრივ, მთავრობის საქმიანობის შეფასება მოსახლეობის მხირდან. თუმცა, როგორც საარჩევნო ქცევის შესახებ ლიტერატურა ამტკიცებს, საბოლოო ჯამში ამომრჩევლებზე გავლენას ახდენს არა რომელიმე კონკრეტული ან ცალკე აღებული მოვლენა, არამედ ამ ქმედებების და სტრატეგიების აკუმულირებული ერთობა. ბრენდერი და დრეიზენი (2005) მიიჩნევენ, რომ

რაციონალური თეორიის პრინციპით გადაწყვეტილებების მიღების დროს ამომრჩევლები ყურადღებას ამახვილებენ რეჟიმის მიერ შექმნილ ეკონომიკურ წარმატებასა და კეთილდღეობაზე. ამ ქვეთავში განხილული იქნება მთავრობის მიერ განხორციელებული საჯარო პოლიტიკის შედეგები: უთანასწორობისა და პოლარიზაციის ზრდის გამო შემცირებული სამთავრობო მხარდაჭერა, რაც საბოლოოდ, საპარლამენტო არჩევნებში 2012-ში ენმ-ს მარცხით დამთავრდა. საქართველოს მოსახლეობაში ლეგიტიმაციის ტაქტიკების უმეტესობა ენმ-ს მმართველობის ბოლო პერიოდში დაკავშირებული იყო სოციალური დახმარებების და უმუშევრობის აღმოფხვრის პროექტების დაგეგმვით. თუმცა საქართველოში ჯინის ინდექსის სტატიკურმა მდგომარეობამ და მაღალმა უთანასწორობამ ენმ-ს მიმართ ფრუსტრაცია გამოიწვია.




გრაფიკი 6. ჯინის ინდექსის ტენდენცია 2000-იანი წლების დასაწყისიდან ენმ-ს მმართველობის ბოლომდე. მსოფლიო ბანკი, 2001-2012

შეიძლება ითქვას, რომ ენმ-ს მმართველობაში მოსვლის შემდეგ ჯინის ინდექსის მაჩვენებელი გაიზარდა, რაც უთანასწორობის მაღალ დონეზე მიუთითებს (იხილეთ გრაფიკი 6). უთანასწორობის პირდაპირ შედეგად საზოგადოებაში შეიძლება პოლარიზაცია და რეფორმების შედეგად განაწყენებული და მოგებული ფენების დაპირისპირება მივიღოთ. ხშირ შემთხვევაში, უთანასწორობა პირდაპირ უკავშირდება პოლარიზაციას, როგორც ეს 2004 წლის უკრაინის ნარინჯისფერი რევოლუციის შედეგების მიხედვით დაასკვნეს ერლმა და გელბახმა (2015). საქართველოშიც მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში, ენმ-ს მმართველობამ გამოიწვია უთანასწორობის გაზრდა, რაც გამოიხატებოდა დასაქმების რეალური მაჩვენებლების შემცირებასა და ხარვეზებში საზოგადოებრივი სიკეთის გადანაწილების კუთხით (Bauman, 2012). მსოფლიო ბანკის სიღარიბის შეფასების ანგარიშის თანახმად, საქართველოში უთანასწორობის და სიღარიბის უმთავრეს მიზეზებად ეკონომიკურ და საჯარო სექტორში განხორციელებული რეფორმები არის მითითებული, რომლებმაც გამოიწვია ძველი სამუშაო ადგილების შემცირება. ანგარიშის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ რეფორმების შედეგად შეიქმნა ახალი სამუშაო ადგილები და გაიზარდა ხელფასების ნომინალური მაჩვენებლები, აღნიშნული სიკეთეები მოსახლეობის მხოლოდ მცირე ფენას დაეტყო (World Bank,

2009). *„ნახევარდ ოფიციალურად ხელისუფლებამ დეკლარირება გაუკეთა ე.წ. ნეო-ლიბერალურ მიდგომებს, როდესაც მთავრობა არ უნდა ჩაერიოს ეკონომიკის ფუნქციონირებაში და ბიზნესში“ (2004-2012 წლებში ოპოზიციური პოლიტიკური პარტიის წარმომადგენელი; 2015 წლის მარტი-მაისი; თბილისი.)*

ასემოღლუსა და რობინსონის (2006) თეორიული ჩარჩო წინასწარმეტყველებს, რომ ჯგუფთაშორისი უთანასწორობის ზრდა ზრდის იმის ალბათობას, რომ მოქალაქეები პოლიტიკურ ცვლილებებს მოითხოვენ. უთანასწორობა არის სწორედ ის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელიც იწვევს ქვეყანაში საზოგადოებრივი სიკეთეების გადანაწილების მოთხოვნის ზრდას (Acemoglu & Robinson, 2001). ასეთ შემთხვევაში ამომრჩევლები ხშირად გადააფასებენ წინა არჩევნების დროს გაკეთებულ შედეგებს. ვუნის (2012) ლაბორატორიული ექსპერიმენტის თანახმადაც ამომრჩევლები მიდრეკილნი არიან გამოიყენონ რეტროსპექტული ხმის მიცემის სტრატეგიები რთული სიტუაციების დროს, როდესაც მათ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება აქვთ მისაღები.

ამომრჩევლების მიმართ კლიენტელისტური დამოკიდებულებები და პრინციპი „ხმები ფულის ნაცვლად“ მუშაობს მხოლოდ იმ მომენტამდე, სანამ ამომრჩევლებს აღნიშნული პრინციპით მიღებული სარგებელი გადაწონის მმართველი პარტიის მიერ განხორციელებული სხვა აქტივობების შედეგად მიღებულ ზარალს. აღნიშნული მიდგომა კარგად მუშაობს ისეთი ტიპის ქვეყნებში, სადაც ელექტორატი შედარებით ღარიბია და მოკლებულია დამოუკიდებელ ეკონომიკურ კაპიტალს (Eisenstadt and Roniger, 1981). ენმ-ს ტრადიციული მესიჯები სახელმწიფოს მშენებლობის, გადასახადების შემცირებისა და ეკონომიკის დერეგულაციის შედეგად გაუცხოებას იწვევდა მოსახლეობაში: *„მნიშვნელოვანი იყო როგორ იგეგმებოდა და ხორციელდებოდა სახელმწიფოს მოდერნიზაციის პროცესი ან პროექტები... ისინი არ გაჩერებულან, პირიქით უფრო დიდი მასშტაბის გახდნენ, თუმცა მათ ვერ შეძლეს ძირითადი ამოცანების გადაჭრა, რაც უმუშევრობასთან და ეკონომიკასთან იყო დაკავშირებული“ (საჯარო პოლიტიკის ანალიტიკოსი; 2015 წლის მარტი-მაისი; თბილისი.)*

2012 წლის არჩევნების წინ საზოგადოება პოლარიზებული გახდა ენმ-ს მიერ განხორციელებული საჯარო პოლიტიკის შედეგად. ფიდრმაკი (2000) ამტკიცებს, რომ ამომრჩევლები ხშირად არჩევანის გაკეთებისას იმით ხელმძღვანელობენ, თუ როგორი პირადი სარგებელი მიიღეს კონკრეტული პოლიტიკური სუბიექტისგან. ასეთ დროს ამომრჩევლები, რომლებმაც იხეირეს განხორციელებული რეფორმების შედეგად, უფრო მეტად პრო-სახელისუფლებლო პოზიციას იკავებენ. შესაბამისად, ენმ-ს მმართველობის პერიოდში გატარებული საჯარო პოლიტიკის შედეგად დაზარალებულნი ოპოზიციური პარტიების გაერთიანების მხარდამჭერები გახდნენ. მსგავსი ფენომენი სელიგსონმა და კარტერმაც (2005) აღწერეს რუსეთში ჩატარებულ კვლევის შედეგად, როდესაც ეკონომიკური რეფორმების შედეგად დაზარალებული ამომრჩევლები უფრო მეტად მიდრეკილნი იყვნენ მემარცხენე ოპოზიციური პარტიებისთვის მიეცათ ხმა.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ საქართველოშიც ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა. მრავლობითი წრფივი რეგრესია უმცირეს კვადრატთა მეთოდით გვიჩვენებს, რომ უთანასწორობამ გავლენა მოახდინა არჩევნების შედეგებზე. მოდელში გამოყენებულია 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგები მუნიციპალიტეტების მიხედვით. მოდელში დამოკიდებული ცვლადი 2012 წელს ენმ-ს მიერ მაჟორიტარული არჩევნებისას მიღებული ხმების რაოდენობა არის. არჩევანი მაჟორიტარული არჩევნების შედეგები უფრო მეტად რელევანტურია, რადგანაც დაკვირვების

ერთეული საარჩევნო ოლქია.

რაც შეეხება მოდელის დამოუკიდებულ ცვლადებს, ისინი წარმოადგენენ უთანასწორობისა და სამთავრობო ფინანსებზე დამოკიდებულების გასაზომ ინსტრუმენტებს. სოციალური მომსახურების სააგენტოს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის და სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოთხოვილი მონაცემების საფუძველზე მოდელი იყენებს 2008-2011 წლების გასაშუალოებულ მონაცემებს თითოეული საარჩევნო ოლქისთვის. აკუმულირებული მონაცემების გამოყენების უკან დგას იდეა, რომ ამომრჩევლები ყურადღებას ამახვილებენ რეჟიმის ეკონომიკურ წარმატებასა და შექმნილ კეთილდღეობაზე გრძელვადიან პერიოდში (Brender & Drazen, 2005). უთანასწორობის ფენომენის გასაზომად გამოყენებულ იქნა შემდეგი ცვლადები:

- სიკვდილიანობა სამედიცინო დაწესებულებებში [საშუალო პროცენტული მაჩვენებელი 2008-2011 წლებში]
- საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების რაოდენობა [საშუალო ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]
- სახელმწიფო სტიპენდიისა და კომპენსაციების მიმღები ადამიანების რაოდენობა [საშუალო ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]

სამთავრობო ხარჯებზე დამოკიდებულის გასაზომი ცვლადები:

- მუნიციპალური ხარჯების მოცულობა [საშუალო ერთ სულ მოსახლეზე 20082011 წლებში]
- ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული გამათანაბრებელი ტრანსფერები

[ჯამი ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]

- ცენტრალური ბიუჯეტიდან გადარიცხული მიზნობრივი ტრანსფერები [ჯამი ერთ სულ მოსახლეზე 2008-2011 წლებში]

შესაბამისად, წარმოდგენილი მოდელის მიხედვით 2012 წლების ზემოთ აღწერილ ცვლადებს გავლენა უნდა მოეხდინათ 2012 წელს ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმებზე საარჩევნო ოლქებში. აღსანიშნავია, რომ მონაცემთა პირველადი დამუშავებისას საჩხერის საარჩევნო ოლქი გამოირიცხა შემდგომი ანალიზიდან, რადგანაც ის წარმოადგენდა ანომალიურ გადახრას, რაც დიდი ალბათობით გამოწვეული იყო არჩევნების კონტექსტით[2]. იმის გამო, რომ არ არსებობდა ქალაქ თბილისის საარჩევნო უბნების წარმომადგენლობითი მონაცემები, თბილისიც ამოღებულია ანალიზიდან.

სანამ მოდელის შედეგების აღწერაზე გადავალთ, უნდა შევამოწმოთ მოდელი და მასში წარმოდგენილი ცვლადები რამდენად გამოდგება წრფივი რეგრესიისთვის. უნდა მოვახდინოთ რეგრესიის დიაგნოსტირება რიგი ტესტების მიხედვით. ჰეტეროსკედესტიკურობის (იხილეთ

---

[2] საჩხერე ქართული ოცნების ლიდერის, ბიძინა ივანიშვილი მშობლიური მუნიციპალიტეტი იყო და საჩხერეში ქართული ოცნების მიერ მოპოვებული ხმების მაღალი რაოდენობა ამ ფაქტორით აიხსნება, მათ შორის თვისებრივი ინტერვიუების მიერ მიღებული ინფორმაციაზე დაყრდნობით.

დანართი 1 და 2) და კოლინეალურობის ტესტის (იხილეთ დანართი 3) წარმოადგინა რომ მონაცემების განაწილება შეესაბამება წრფივი რეგრესიის მოთხოვნებს, აგრეთვე მოდელში წარმოდგენილი ცვლადები არ არიან კოლინიალურნი - ანუ მოდელის დამოუკიდებელი ცვლადები არ ზომავენ ერთნაირ სოციალურ ფენომენებს.

ნორმალური განაწილების დასადგენად მოდელის ტესტირება განხორციელდა შაპირო-ვილკის (დანართი 7) და Ramsey RESET-ის ტესტების გამოყენებით (დანართი 9). ამ ტესტების შედეგების ვიზუალური გამოხატულებაც დასტურდება კერნელის სიმჭიდროვის შეფასების ტესტითაც (იხილეთ დანართი 4).

| ცვლადები | (1)<br>**მრავლობითი წრფივი რეგრესია** |
|---|---|
| სიკვდილიანობა | -0.0374** |
| | (0.0173) |
| მუნიც. ხარჯვა | -0.000113** |
| | (4.36e-05) |
| შემწეობა | -0.805*** |
| | (0.214) |
| გათანაბრ. ტრანსფერი | 0.497*** |
| | (0.164) |
| მიზნობრ. ტრანსფერი | 3.166 |
| | (1.896) |
| კომპენსაცია | -28.67** |
| | (11.59) |
| მუდმივი | 0.649*** |
| | (0.0499) |
| დაკვირვება | 61 |
| R-კვადრატი | 0.451 |

ფრჩხილებში სტანდარტული შეცდომა
*** p<0.01, ** p<0.05, * p<0.1

გრაფიკი 7. მრავლობითი წრფივი რეგრესია

მეშვიდე გრაფიკში წარმოდგენილია მრავლობითი წრფივი რეგრესიის კოეფიციენტები და მათი სტატისტიკური მნიშვნელოვნების დონე. თეორიასთან მიმართებით, ენმ-ს მიერ არჩევნებში აღებული ხმების რაოდენობა ნეგატიურად არის დაკავშირებული უთანასწორობის გამომწვევ შემდეგ ცვლადებთან: სიკვდილიანობის ხარისხი, შემწეობის და კომპენსაციების მიღება. ამავდროულად, მთავრობის სოციალურ პოლიტიკაზე დამოკიდებულება ზრდის ენმ-ს მიერ აღებული ხმების რაოდენობას.




გრაფიკი 8. სტანდარტიზებული მრავლობითი წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია (95% სანდოობის ინტერვალი)

მონაცემთა ვიზუალიზაციის მიზნით, განხორციელდა გამოყენებული მოდელის დამოკიდებული და დამოუკიდებელი ცვლადების სტანდარტიზაცია. მერვე გრაფიკზე წარმოდგენილია სტანდარტიზებული მრავლობითი წრფივი რეგრესიის ვიზუალური გამოსახულება, რომელიც უფრო ნათლად წარმოაჩენს თუ რა მიმართება აქვთ მოდელის დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს. ასემოღლუსა და რობინსონის (2006) ჯგუფთაშორისი უთანასწორობის ზრდის თეორიასთან შეთანხმებით, უთანასწორობის და მატერიალური დეპრივაციის გამომწვევი ცვლადები უარყოფით კაუზალურ კავშირში არიან ენმ-ს მიერ აღებული ხმების მაჩვენებელთან. ამავდროულად, ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიას მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ავხსნათ, თუ რატომ იწვევს მთავრობის მიერ განხორციელებული კლიენტელისტური პოლიტიკების მოცულობის ზრდა მმართველი გუნდის მიერ მოპოვებული ხმების რაოდენობის გაზრდას.




გრაფიკი 9. ენმ-ს მოპოვებული ხმების და სამედიცინო დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია

საინტერესოა, როგორი მიმართება აქვთ ერთმანეთთან ჩვენს მოდელში განხილულ ცალკე აღებულ ცვლადებს დამოკიდებულ ცვლადთან. პირველი მაგალითისათვლად აჩვენებს მატერიალური დეპრივაციის ერთ-ერთ ინდიკატორსა და ენმ-ს მიერ მოპოვებულ ხმებს შორის კავშირს (იხილეთ დანართი 10). თუმცა, თუ ანალოგიური მეთოდით შევეცდებით დავადგინოთ კაუზალური მიმართება მრავლობითი წრფივი რეგრესიის მოდელში გამოყენებულ სხვა დამოკიდებულ ცვლადებთან, შედეგები განსხვავებულია.






გრაფიკი 10. ენმ-ს მოპოვებული ხმების და მუნიციპალური ხარჯების მოცულობის მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია

გრაფიკი 11. ენმ-ს მოპოვებული ხმების და საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის ვიზუალიზაცია

მეათე და მეთერთმეტე გრაფიკების მიხედვით, ცალკე აღებული, არც მუნიციპალური ხარჯების მოცულობა და არც საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების მაჩვენებლის ცვლილება სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში არ იწვევს ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმების სტატისტიკურად მნიშვნელოვან ცვლილებას (დანართი 11 და დანართი 12). შესაბამისად, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მთავრობის ცვლილება დაკავშირებული იყო არა მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ მოვლენასთან, არამედ წარმოადგენდა კომპლექსური, ერთმანეთზე დამოკიდებული ფაქტორების შედეგს. 2004-2012 წლებში აკუმულირებული უკმაყოფილება, რომელიც ემპირიულად აისახა მატერიალური დეპრივაციისა და უთანასწორობის გაზრდილ მაჩვენებლებში, მნიშვნელოვანი იყო ოპოზიციის მიერ მიღებული ხმების ზრდისთვის. ამავდროულად, ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიის გათვალისწინებით, ენმ-ს მიერ მოპოვებული ხმები დამოკიდებული იყო მთავრობის მიერ განხორციელებულ კლიენტელისტურ სოციალურ საჯარო პოლიტიკაზე.

## დასკვნა

საქართველოში საარჩევნო ქცევის შესწავლისას უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტორი, რომ ამომრჩეველთა გადაწყვეტილებებზე ერთმანეთთან დაკავშირებული რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს. უპირველესად, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტორი, რომ ამომრჩევლები საქართველოს მსგავსი ტიპის ქვეყნებში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ არჩევნების შედეგებს. საქართველოს მაგალითზე, მმართველი პარტიის მმართველობის პირველ ნახევარში, ლეგიტიმაციის მაღალი ხარისხის გათვალისწინებით, საზოგადოებრივი მხარდაჭერა და, შესაბამისად, არჩევნებისას მოპოვებული ხმების რაოდენობა მაღალი იყო. სახელმწიფო ინსტიტუტების სწრაფი მშენებლობა და კორუფციის დონის შემცირება დადებითად იქნა აღქმული მოსახლეობის მიერ. თუმცა, გატარებული ნეოლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკებისა და სწრაფი მოდერნიზაციის შედეგად, რასაც თან ახლდა სოციალური უთანასწორობის მაღალი დონის შენარჩუნება და მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის შედარებითი გაუარესება, საზოგადოების მიერ მთავრობის მიმართ ნდობა შემცირდა. ლეგიტიმაციის შესანარჩუნებლად მთავრობამ კლიენტელისტური სოციალური პოლიტიკის გატარება გადაწყვიტა, რაც გარკვეული წარმატებით მუშაობდა 2008-2010 წლებში. მატერიალური მდგომარეობის გაუარესებისა და სოციალური დეპრივაციის ზრდასთან ერთად კლიენტელისტურმა სოციალურმა პოლიტიკამ აღარ გაამართლა. ამის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომლის თანახმადაც ამომრჩევლები საქართველოში გადაწყვეტილებების მიღებისას ეკონომიკური ხმის მიცემის თეორიის მიხედვით ოპერირებენ.

ბიბლიოგრაფია

Acemoglu, D & Robinson, J (2001). "A Theory of Political Transitions." *American Economic Review*. 91(4): 938-963.

Acemoglu, D., & Robinson, J. A. (2005). *Economic origins of dictatorship and democracy*. Cambridge University Press.

Anable, D. (2006). The Role of Georgia's media—and Western aid—in the Rose Revolution. *Harvard International Journal of Press/Politics*, *11*(3), 7-43.

Andersen, R., & Heath, A. (2000). Social cleavages, attitudes and voting patterns: A comparison of Canada and Great Britain.

Antunes, R. (2010). Theoretical models of voting behaviour. *Exedra*, 4, 145-70.

Babunashvili, G. (2017). Retrospective voting in Georgia: does the government's past performance matter? *Caucasus Survey*, *5*(3), 259-278.

Bartels, L. M. (2010). The study of electoral behavior. *The Oxford handbook of American elections and political behavior*, 239-261.

Baumann, E. (2012). Post-Soviet Georgia: It'sa long, long way to 'modern'social protection. *Economies et Sociétés*, *46*(2), 259-285.

Begley, C. M. (1996). Using triangulation in nursing research. *Journal of advanced nursing*, 24(1), 122-128.

Berglund, C. (2014). Georgia between dominant-power politics, feckless pluralism, and democracy. *Demokratizatsiya*, 22(3), 445.

Boix, C. (1998). *Political parties, growth and equality: Conservative and social democratic economic strategies in the world economy*. Cambridge University Press.

Brender, A., & Drazen, A. (2005). Political budget cycles in new versus established democracies. *Journal of monetary Economics*, 52(7), 1271-1295.

Bruckner, T. (2009). Decision-making and Georgia's perpetual revolution: The case of IDP housing. *Caucasian Review of International Affairs*, 3(2), 172.

Carter, B., & New, C. (Eds.). (2005). *Making realism work: Realist social theory and empirical research*. Routledge.

Cecire, M. (2013). Georgia's 2012 Elections and Lessons for Democracy Promotion. *Orbis*, 57(2), 232-250.

Cheterian, V. (2008). *War and Peace in the Caucasus*. Hurst.

Collier, D., & Levitsky, S. (1997). Democracy with adjectives: Conceptual innovation in comparative research. *World politics*, *49*(3), 430-451.

Cornell, S. E., & Starr, S. F. (Eds.). (2009*). The guns of August 2008*. ME Sharpe.

Denzin, N. K. (1978). The research act: A theoretical orientation to sociological methods*. McGraw-Hill*, New York. 2012,'Triangulation, 2, 80-88.

Diamond, L. J. (2002). Thinking about hybrid regimes. *Journal of democracy*,13(2), 21-35.

Downs, A. (1957). An economic theory of political action in a democracy. *The journal of political economy*, 135-150.

Danermark, B., Ekstrom, M., & Jakobsen, L. (2001). *Explaining society: an introduction to critical realism in the social sciences*. Routledge.

Dominioni, S. (2014). *Consolidating a hybrid regime: the case of Georgia under Shevardnadze and Saakashvili.*
https://spire.sciencespo.fr/hdl:/2441/40je8va72m9a0ar7ojq6vlgpcc/resources/samuele-dominioni-1786-1.pdf

Earle, J. S., & Gehlbach, S. (2015). The Productivity Consequences of Political Turnover: FirmLevel Evidence from Ukraine's Orange Revolution. *American Journal of Political Science*, 59(3), 708-723.

Eisenstadt, S. N., & Roniger, L. (1981). Clientelism in Communist systems: a comparative perspective. *Studies in Comparative Communism*, 14(2-3), 233-245.

Esping-Andersen, G. (1985). Power and distributional regimes. *Politics & Society*, *14*(2), 223-256.

Fidrmuc, J. (2000). Political support for reforms: Economics of voting in transition countries. *European Economic Review*, 44(8), 1491-1513.

Fiorina, M. P. (1981). *Retrospective voting in American national elections*. New Haven: Yale University Press.

Freedom House (2008). Georgia, Country report. Retrieved May 12, 2017, from https://www.google.ge/search?q=Freedom%2BHouse.%2B2008.%2BGeorgia.&oq=Freedom%2BHouse.%2B2008.%2BGeorgia.&aqs=chrome..69i57.198j0j9&sourceid=chrome&ie=UTF-8

Gans-Morse, J., Mazzuca, S., & Nichter, S. (2014). Varieties of clientelism: Machine politics during elections. *American Journal of Political Science*, 58(2), 415-432.

Geddes, B. (2008, April). Party creation as an autocratic survival strategy. In *Dictatorships: Their Governance and Social Consequences" Conference at Princeton University*.

Gerschewski, J. (2013). The three pillars of stability: Legitimation, repression, and co-optation in autocratic regimes. *Democratization*, 20(1), 13-38. doi:10.1080/13510347.2013.738860

Greene, K. F. (2007). *Why dominant parties lose: Mexico's democratization in comparative perspective*. Cambridge University Press.

Greene, K. F. (2010). The political economy of authoritarian single-party dominance. *Comparative Political Studies*, 43(7), 807-834.

Hauser, M. (2014). Political Accountability or Political Evasion? An Examination of PoliticianVoter Linkages in Hybrid Regimes, Paper prepared for the International Foundation for Electoral Systems.

Healy, A., & Malhotra, N. (2013). Retrospective voting reconsidered. *Annual Review of Political Science*, 16, 285-306.

Hussein, A. (2015). The use of triangulation in social sciences research: Can qualitative and quantitative methods be combined?. *Journal of Comparative Social Work*, 4(1).

International Republican Institute (IRI). (2003, September). Georgian National Voter Study [Press release].

International Republican Institute (IRI). (2003, October). Georgian National Voter Study [Press release].

International Republican Institute (IRI). (2007, September). Georgian National Voter Study [Press release]. Retrieved May 21, 2017, from http://www.iri.org/sites/default/files/2007%20November%208%20Survey%20of%20Georgian%20Public%20Opinion,%20August%2031-September%2010,%202007.pdf

Key, V. O. (1966). *The responsible electorate* (p. 150). Belknap Press of Harvard University Press.

Kitschelt, H. (2000). Linkages between citizens and politicians in democratic polities. *Comparative political studies*, 33(6-7), 845-879.

Levitsky, S., & Way, L. (2010). *Competitive authoritarianism: Hybrid regimes after the Cold War*. New York: Cambridge University Press.

Lewis-Beck, M. S., & Nadeau, R. (2011). Economic voting theory: Testing new dimensions. *Electoral Studies*, *30*(2), 288-294.

Lynch, D. (2006). Why Georgia Matters. *Institute for Security Studies*, European Union.

Magaloni, B. (2006). *Voting for autocracy: Hegemonic party survival and its demise in Mexico*. Cambridge: Cambridge University Press.

Mikhelidze, N. (2009). After the 2008 Russia-Georgia War: Implications for the Wider Caucasus. *The International Spectator*, *44*(3), 27-42.

Mitchell, L. A. (2009). Compromising democracy: state building in Saakashvili's Georgia. *Central Asian Survey*, 28(2), 171-183.

Nannestad, P., & Paldam, M. (1994). The VP-function: A survey of the literature on vote and popularity functions after 25 years. *Public Choice,*79(3-4), 213-245.

NDI, (2016). Results of March 2016 Public Opinion Poll in Georgia. Retrieved October 30, 2017, from https://www.ndi.org/March-2016-Public-Opinion-Poll-Georgia

Papava, V. (2009). Georgia's economy: post-revolutionary development and post-war difficulties. *Central Asian Survey*, 28(2), 199-213.

Przeworski, A., & Sprague, J. (1986). Paper Stones: A History of Electoral Socialism. Chicago: Univ.

Rogers, J., & Tyszler, M. (2016). Information and Economic Voting. *Political Science Research and Methods*, 1-18.

Schuknecht, L. (2000). Fiscal policy cycles and public expenditure in developing countries. *Public choice*, 102(1), 113-128.

Seligson, A. L., & Tucker, J. A. (2005). Feeding the hand that bit you: Voting for exauthoritarian

rulers in Russia and Bolivia. *Demokratizatsiya*, 13(1), 11.
Shubladze, R., & Khundadze, T. (2017). Balancing the three pillars of stability in Armenia and Georgia. *Caucasus Survey*, *5*(3), 301-322.
Slater, D., & Fenner, S. (2011). State power and staying power: Infrastructural mechanisms and authoritarian durability. *Journal of International Affairs*, 15-29.
Stokes, S. C., Dunning, T., Nazareno, M., & Brusco, V. (2013). *Brokers, voters, and clientelism: The puzzle of distributive politics*. Cambridge University Press.
TI Georgia. (2012, August 1- October 1, 2012). An analysis of the Election Campaign Finances August 1 – October 1, 2012. . Retrieved October 30, 2017 From http://www.transparency.ge/sites/default/files/post_attachments/An%20Analysis%20of%20the%20election%20compaign%20finances.pdf
Woon, J. (2012). Democratic accountability and retrospective voting: A laboratory experiment. *American Journal of Political Science*, 56(4), 913-930.
World Bank. (2009, April 28). Georgia - Poverty assessment. Retrieved October 30, 2017, from http://documents.worldbank.org/curated/en/2009/04/10503390/georgia-poverty-assessment

## დანართი

Breusch-Pagan / Cook-Weisberg test for heteroskedasticity
Ho: Constant variance
Variables: fitted values of unmv12_pm

chi2(1) = 0.09 Prob > chi2 = 0.7665

დანართი 1. Breusch-Pagan / Cook-Weisberg test for heteroskedasticity

Cameron & Trivedi's decomposition of IM-test

| Source | chi2 | df | p |
|---|---|---|---|
| Heteroskedasticity | 13.90 | 27 | 0.9822 |
| Skewness | 5.39 | 6 | 0.4952 |
| Kurtosis | 0.58 | 1 | 0.4462 |
| Total | 19.87 | 34 | 0.9743 |

დანართი 2. Cameron & Trivedi's decomposition of IM-test

| Variable | VIF | 1/VIF |
|---|---|---|
| tranequ | 2.08 | 0.481814 |
| expend | 1.91 | 0.523697 |
| aidnum | 1.87 | 0.535345 |
| transtar | 1.55 | 0.644490 |
| stipnumb | 1.43 | 0.697225 |
| lethal | 1.19 | 0.842558 |
| Mean VIF | 1.67 | |

დანართი 3. კოლინეალურობის VIF ტესტი




დანართი 4. Kernel density estimate




დანართი 5. pnorm r2012




დანართი 6. qnorm r2012

Shapiro-Wilk W test for normal data

| Variable | Obs | W | V | z | Prob>z |
|---|---|---|---|---|---|
| r2012 | 62 | 0.97558 | 1.363 | 0.669 | 0.25180 |

დანართი 7. Shapiro-Wilk W test for normal data

. linktest

| Source | SS | df | MS |
|---|---|---|---|
| Model | .55662187 | 2 | .278310935 |
| Residual | .627274104 | 58 | .010815071 |
| Total | 1.18389597 | 60 | .0197316 |

Number of obs = 61
F(2, 58) = 25.73
Prob > F = 0.0000
R-squared = 0.4702
Adj R-squared = 0.4519
Root MSE = .104

| unmv12_pm | Coef. | Std. Err. | t | P>\|t\| | [95% Conf. | Interval] |
|---|---|---|---|---|---|---|
| _hat | -.6479999 | 1.144524 | -0.57 | 0.573 | -2.939013 | 1.643013 |
| _hatsq | 1.610364 | 1.109704 | 1.45 | 0.152 | -.6109499 | 3.831678 |
| _cons | .4074663 | .2901497 | 1.40 | 0.166 | -.1733314 | .988264 |

დანართი 8. linktest

Ramsey RESET test using powers of the fitted values of unmv12_pm
Ho: model has no omitted variables
F(3, 51) = 1.16
Prob > F = 0.3350

დანართი 9. Ramsey RESET test

| Source | SS | df | MS | |
|---|---|---|---|---|
| Model | .187828043 | 1 | .187828043 | Number of obs = 62 |
| Residual | 1.00135607 | 60 | .016689268 | F(1, 60) = 11.25 |
| | | | | Prob > F = 0.0014 |
| | | | | R-squared = 0.1579 |
| Total | 1.18918412 | 61 | .019494822 | Adj R-squared = 0.1439 |
| | | | | Root MSE = .12919 |

| unmv12_pm | Coef. | Std. Err. | t | P>\|t\| | [95% Conf. | Interval] |
|---|---|---|---|---|---|---|
| lethal | -.0622363 | .0185516 | -3.35 | 0.001 | -.099345 | -.0251275 |
| _cons | .5835605 | .0282755 | 20.64 | 0.000 | .5270012 | .6401199 |

დანართი 10. ენმ-ს მოპოვებული ხმების და სამედიცინო დაწესებულებებში სიკვდილიანობის მაჩვენებლის წრფივი რეგრესიის შედეგები

| Source | SS | df | MS | |
|---|---|---|---|---|
| Model | .126845336 | 1 | .126845336 | Number of obs = 62 |
| Residual | 1.06233878 | 60 | .017705646 | F(1, 60) = 7.16 |
| | | | | Prob > F = 0.0096 |
| | | | | R-squared = 0.1067 |
| Total | 1.18918412 | 61 | .019494822 | Adj R-squared = 0.0918 |
| | | | | Root MSE = .13306 |

| unmv12_pm | Coef. | Std. Err. | t | P>\|t\| | [95% Conf. | Interval] |
|---|---|---|---|---|---|---|
| expend | -.0001024 | .0000382 | -2.68 | 0.010 | -.0001789 | -.0000259 |
| _cons | .5613861 | .0266283 | 21.08 | 0.000 | .5081215 | .6146507 |

დანართი 11. ენმ-ს მოპოვებული ხმების და მუნიციპალური ხარჯების მოცულობის მაჩვენებლის წრფივი რეგრესია

| Source | SS | df | MS | |
|---|---|---|---|---|
| Model | .043725883 | 1 | .043725883 | Number of obs = 62 |
| Residual | 1.14545823 | 60 | .019090971 | F(1, 60) = 2.29 |
| | | | | Prob > F = 0.1354 |
| | | | | R-squared = 0.0368 |
| Total | 1.18918412 | 61 | .019494822 | Adj R-squared = 0.0207 |
| | | | | Root MSE = .13817 |

| unmv12_pm | Coef. | Std. Err. | t | P>\|t\| | [95% Conf. | Interval] |
|---|---|---|---|---|---|---|
| aidnum | -.2929096 | .1935434 | -1.51 | 0.135 | -.680054 | .0942348 |
| _cons | .5486378 | .0330205 | 16.62 | 0.000 | .4825869 | .6146887 |

დანართი 12. ენმ-ს მოპოვებული ხმების და საარსებო შემწეობის მიმღები ადამიანების მაჩვენებლის წრფივი რეგრესია




დანართი 13. მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის მაჩვენებლები (წლიური %), მსოფლიო ბანკი 2000-2012 წლებში